


ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

15 ოქტომბერი 2010 №21(125)



შირვანისი

ფიქრი და გაცემა	2	ლუკა ბაქანიძე მკითხველი — XXI
ერი და გაყიდვება	3	ნანა კუცია ადგილისა და დროის მისტერია (მურიდ ალ-ბარლუთის „მე ვნახე რამალა“)
ეპსარას-ინიციატივა	7	იოსებ ჭუმბურიძე „პედიორებას აქვს ცეტები და არა საფარისი“
უჩვეული რაკურსით	8	თამაზ ნატროშვილი ნაპურმარილევი იყვნენო
აროზა	12	ელგუჯა ბერძენიშვილი ვეროპიოს „დავითი“
აროზის	15	თეკლა არშბა მე, შენ და პიკასო და სხვა ლექსები
	17	ნინო ქოქოსაძე ყაყარობი და სხვა ლექსები
სად წაიყვან სადაურსა	19	სოფიო ჯაფარიძე ნიგბი, რომელიც ყველაზ უნდა წაიკითხოს (ციცინი ჯერვალიძის „პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით“)
უცხოეთის ცხრარეგილა	20	მოპამად თოლუი ქორნიცება
მოგორევათა სიივრი	25	გოგი ოჩიაური მიცე
აროზა	28	თამთა ჯინჯოლავა მინიატურები
წუთები და წლები	31	როსტომ ჩხეიძე აღსარება გრამ დოჩანაშვილისა
დაუვიზუარი სახალები	41	თამარ ცინცაძე აბაშვილების საგა
რეართაზი	43	ეკა ბუჯიაშვილი მზრდელად სამშობლოს სიყვარულისა (თინათინ ელბაქიძის ერთი მსახიობის თეატრი გორში)
კრიტიკა	45	ზურაბ ლავრელაშვილი როგორ იცერება ლიტერატურის ისტორია („მითების სიბრძნე“)
ლიტერატურული ცხრარება	48	ნინო დეკანიძე სიტყვის მოსასმენად (გაბრიელ ჯაბუშანურის ერთტომეულის წარდგინება)
ასალი ციგები	49	მაია ჯალიაშვილი უკუთისის ნათელი სტუმარი (დოროთეა და ფრიდრიხ შლეგელების „ამბავი სასწაულთმოქმედი მერლინისა“)
რომორ ვეითხებოთ კლასიკას	51	პაატა ჩხეიძე აიძულეს! („ხევისპერი გოჩას“ ფინალი)
აროზის გერიდიანები	52	ინგებორგ ბახმანი თეთრი დღეები და სხვა ლექსები
უცხოერი ცოვალა	54	რუბენ დარიო სააღდგომო ზღაპარი
საორგო	58	ნოდარ ებრალიძე ცხენები რიონის გადმოვლენი
დღიურის ფურცლებისა	60	თათია ჯგუშია ღიად დაცურული ჩარათები
დაკვირვები	61	მაცვილისიტყვაობის ნიმუშები
მოზაიკა	63	დევოან შიდილი გააგებინენა

ორკვირეული ჟურნალი
დამფუძნებელი „ილიონი“
მისამართი: თბილისი,
ჩრდინაშვილის №41
რედაქცია — (995 32) 96_20_62
რეკლამა — (995 93) 65_93_68
გაფრცელება — (995 77) 11_24_30
ფაქსი: (995 32) 96_20_62
E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი — როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი — ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი — მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი — თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი — კარლო ფაჩულია დიზაინერი — მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი — ნინო დეკანიძე დაკაბადონება — თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი — თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი — ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური — ლევან კიკნაძე
გარეკანზე: იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმის ეზო ვარიანში
ბაბუა ალუდაურის ფოტოეტიუდი

„ჩვენი მნერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 29 ოქტომბერს



ლუკა ბაქანიძე

გვითხველი — XXI

ყველა დრო თუ ეპოქა მოითხოვს ცვლილებებს და ამ ცვლილების ავ-კარგს, როგორც წესი, შემდეგ ისტორია განსჯის.

XXI საუკუნეშიც, როდესაც ტექნოლოგიური მიღწევები ჩენს თვალინ ისეთი ელექტრული სისტემითი ცვლიან ერთომეორებს, — ერთ რომელიმე მოხმარების საგანთან ხერიანად მიჩვევას ვერ მოასწორე კაცი, რომ ის უკვე მოძველებულად, უცვრისად ითვლება და მის ადგილს სხვა საგანი იყავებს, რომელიც ასეთივე ტექნიკით უთმობს ადგილს მომდევნო, უცვრო გაუმჯობესებული მოდელის ტექნოლოგიას, და მთელ ამ ორომტრიალში, ამ ისტერიულ ფერზეულში უწევს ჩაბმა საბრალო, თვისოვე ნამოქმედარით დაბრულ ადამიანს — გასაკვირი არაა, რომ თვით ადამიანსაც მოუწია, საკუთარი თავის, ასე ვთქვათ, ახლიდან „ჩატვირთვა“.

ადამიანის შესაძლებლებებთან ერთად, შეიცვალა მისი მოთხოვნილებანიც, ფასეულობები. შეიცვალა ადამიანებს შორის დამოკიდებულება, ადამიანის დამოკიდებულება სამყაროსთან...

შეიცვალა მკითხველიც.

წიგნი-მექანიზმელის საკრალური, ეგზისტენციური წყვილი წელ-წელა ჩანაცვლა კომპიუტერი-მექანიზმელის წყვილი. შესაბამისად, შეიცვალა შემეცნების ფორმაც (წნორედაც რომ — ფორმა, ვინაიდან წიგნი, როგორც ასეთი, თავისი მკითხველისთვის ყოველთვის იყო, და ჯერჯერობითაც არის, საგანზე აღმატებული გაგების, უკონტურო, სამყაროში გასული ცნება). წიგნმა ადამიანთან ერთად საუკუნები გამოიარა და მესამელო იღებულ ადამიანის სულს, გენს (არსა) მორგებოდა და შენივთებოდა. კომპიუტერს რაც შეეხება, მოუხედავად მისი ფართო ვირტუალური შესაძლებლებებისა, ჯერჯერობითი მინც, უბრალოდ ყუთია და მას ადამიანი მინაგანად, ქეცხობირად, მინც უფრისის, ეჭვით უყურებს).

კარგად მახსოვე (და მიყეარს) უახლოეს წარსულში, 80-იანებამდე, და უცვრო აქტეაც მოტანებული ქართული მწერლობა (ნამდვილ მწერლობას ვგულისხმობ). ვულდასმით, ფრთხოლად და აუჩქარებლად ნალოლიავებ-გამალაშინებული წინადადება, სიტყვა, აზრი... ასეთი ნანერი დღევანდელ, ჰაიპერინტელ, ჰაი-ტექშემდებარება, მართლა ესუმრება მკითხველს გულუბრყვილოდ, სასაცილოდაც კი მოეწვენება. მომავლის მკითხველი არასოდეს გაბატიებს, ვთქვათ, ფოლენერის სულ ლიტერატურულ „თამაშს“, რომელიც ასე ნებისად — გეგინება, მართლა ესუმრება მკითხველს გადადას ერთი ამბიდან მეორეში, მეორიდან მესამეში და შემდეგ აღმოჩნდება, რომ ეს ამბები სინამდვილეში სულ სხვა, ერთი ამბავი ყოფილა — თავისი განუმეორებელი წინადადებით — ასეთი გენალურ „კაიფს“ მომავლის მკითხველი გვერდით გადადებს, მას უბრალოდ, აღარ ეცლება მის გასაგებად...

სხვათაშორის, ერთ მშვენიერ დღეს ინტერნეტში შევდებორი რამდენიმე „კო-

მპიუტერამდელი“ ნანარმოების მოსაძიებლად და მათი კითხვისას ერთი საინტერესო რამ აღმოვაჩინება: ეკითხულობ ეკრანზე ტექსტი და, ერთი შეხედვით, ყველაფერი ისეა, როგორც წიგნში — იგივეა სიტყვა, წინადადება თუ აბზაცი, მაგრამ მაინც რალაც აკლამი თითქოს... თითქოს იმ „რაღაცას“ ეკრანი, შეშა არ უშვებს შენამდე. აღბათ იმ სიმყუდროვის, დაყურსულობის შეგრძება ეს, რომელიც წიგნის კითხვას ახლვს თან (და რასც, სხვათაშორის, ყდის, ფურცლის გადმლის მომენტი, შრიალი აძლიერებს განსაკუთრებით).

ეს ჩემი მსჯელობა, ბევრს რა თქმა უნდა სენტიმენტალურად მოეწვენება, მაგრამ, იმედია, წიგნის ნამდვილი მკითხველი გამიგებს... მოკლედ იმის თქმა მინდა, რომ არ-სებობს უამრავი ლიტერატურა, რომელსაც სწორედ წიგნიდან წაკითხვისას აქვს ფასი, და ასევე ლიტერატურა, განსაკუთრებით თანამედროვე, რომელიც ინტერნეტსივრცისთვისაა შექმნილი და ეკრანზეც მშვენივრად იკითხება, ყოველგვარი უხერხეულობის განცდის გარეშე.

წიგნისმერერი და ინტერნეტლიტერატურის ამგვარად გამიჯნა და ამაზე მსჯელობა, აღბათ, ჩემზე გაცილებით კომპიუტერული ადამიანების პრეროგატივაა და მეც ამ საკითხზე ფიქრისას მხოლოდ და მხოლოდ პოტის ალლოს ვაშველიებ, მაგრამ ღრმად მნამს, რომ ადამიანური განვითარებისთვის პირველიც ისეთივე მნიშვნელოვანია (წიგნი), როგორც მეორე (კომპიუტერი). პირველის მეორით ჩანაცვლება, ლიტერატურის მთლიანი კომპიუტერზარიცია საზიანოა პირველ რიგში სწორედ მკითხველისთვის, რომელიც, როგორც მკითხველი, ისედაც საკმარისადაა „დაზიანებული“, რადგანაც ინტერნეტისივრცები თითქმის შეუძლებელია მდარე ხარისხის ლიტეროდულციის ნაკადის ფილტრაცია, გაკონტროლება.

დღევანდელი ცხოვრების ტემპიდან გამომდინარე, რომელმაც ადამიანი თითქმის მოსწყვიტა საკუთარ არსა და ზურგსუკან ჩამოატოვებინა ისეთი მნიშვნელოვანი ფასულობა-უნარები, როგორებიცა, თავისი სულს, გენს არსა და ამ დანაკარგის შესაძლებლებებისა, ჯერჯერობითი მაინც, უბრალოდ ყუთია და მას ადამიანი მინაგანად, ქეცხობირად, მინც უფრისის, ეჭვით უყურებს.

ადამიანს, ამ შემთხვევაში კონკრეტულად — მკითხველს, თავისუფლად შეგიძლია შეაჩერი (ზოგ-ზოგიერთი ფსევდო-რედაქტორების თუ კინტიკოს-გამომცემულების მეც ზურგიობითაც) მდარე ლიტერატურა, პროზა თუ პოეზია, სადაც რომელიც ლელარჭნილ, მყვირალა მეტაფორაში ისეთივე ნარმატებით შეიძლება სიყალის მიჩემალვა, როგორც ნაძალადევი ბუნებრიობით აღძეჭდილ სტრიქონში. შემდგომ ცოტა წინაგაბაზო, ტელეკარანტებზეც გამოიბრნებინ (წებისმიერ ამპლუაცი) და დაფნის გვირგვინიც კინკრიბოზე იღულვო...

ახლა ისე, როგორც არასდროს, სჭირდება ქვეყანას კარგი რედაქტორები, კრიტიკოსები თუ მთარგმნელები. ახლაა ყველაზე საჭირო ქვეყანაში მიმდინარე ლიტერატურული პროცესების სათანადოდ გაშუქება. ტრაგედიაა, როდესაც საზოგადოებას წარმოდგენა კი არა აქვს საკუთარი ქვეყნის ლიტერატურულ ცხოვრებაზე. ტრაგედიაა, პირველ რიგში, სწორედ საზოგადოებისთვის, რადგან: ლიტე-

სამშაბათს, 19 ოქტომბერს
ურნალ „ჩემზე მნერლობის“
დარბაზში გაიმართება
განხილვა

კატო ჯავახიშვილის
პოეტური კრებულისა
„გარცხენილი“

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

ნანა კუცია

ადგილისა და დროის მისტერია

რამალა არ არის ადგილი. ის დროა.

„ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.“
 სახსოვარი — ხსნა, მშვერელი, გადამ-
 რჩენელი ვიზიონი, სურნელი, სიტყვა, იქ-
 ნებ სულაც ლელვის ხე, კრიალა აღმოსავ-
 ლური ეზოს მაჩრდილობელი, თაობათა
 ხე, სულ რომ ჩრდილავდა სამკვიდროს და
 უჩრდილავდა მამათა, შეილთა, შეილიშ-
 ვილთა დალალულ სულს („ფრთათა საგ-
 რილთა შენთასა ვესვიდე“).

„როგორ აღწერო გარემოებები, რო-
 მეშიც აღმოვჩნდა? როგორ გამოვყო,
 ერთი მხრივ, დიალოგები, კონფლიქტური
 მოსაზრებები და პოლიტიკური თეორიები
 და, მეორე მხრივ, ას, ეს ლელვი, სახლის
 გვერდით მდებარე ბორცვის ერთ მესა-
 მედს რომ ფარავს?!“ — რიტორიკულ
 კითხვას დასვამს პალესტინელი პოეტი
 მურიდ ალ-ბარლუთი („მე ვნახე რამალა“, 2009, მთარგმ-
 ნელი ნინო დოლიძე, რედაქტორი — როსტომ ჩხეიძე).

სად დგას ეს ლელვი, უამიერ შიდა ეზოში, თუ ნარმოსახ-
 ვის მაღალ, მოუწყვლად ტალანში, ვერანაირი ოკუპაცია
 რომ ვერ ამოძირებავს?!

მეხსიერება ინახავს საიმედოს, ხელჩასაჭიდს: „ეზოს
 შუაგულში ლელვის უზარმაზარი ხეა, რომლის უგემრიელე-
 სი ნაყოფიც ჩვენს მამა-პაპებს გაუსინჯავთ.“

ეს — მეხსიერებაში. სულის უღრმეს, საიმედო ტალანებში.

მაგრამ რეალობა სხვაცა. „დროთა კავშირი დაირღვა.“

ოკუპირებულ დირ-დასანაში (რამალას მახლობელ სო-
 ფელში) ლელვის ხის ალაგას ახლა ცემენტის ბლოკი ძევს.

ლელვი ებრაელ ჯარისკაცებს არ მოუჭრიათ. უზარმა-
 ზარი, მიტოვებული სახლის ერთადერთმა მკვიდრმა, მო-
 ხუცმა ბიცოლა უზ ტალალმა მოაჭრევინა, ოცდათი წლის
 შემდეგ ორიოდ კვირით დაბრუნებულ მკვიდრს, მურიდ ალ-
 ბარლუთის კი განუმარტა:

„დაგბერდი და დაგსუსტდი. ხალხი სხვაგან გადასახლ-
 და. ზოგი ამქვეყნად აღარც არის. ლელვი ვიღასთვის მინ-
 და, შვილო?“

არავინ კრეფს ხილს და არავინ ჭამს. ლელვიც გახმო-
 ბამდე ეკიდა ხეზე და მერე მთელ ეზოს ანაგვიანებდა. ძა-
 ლიან დამდალა. ამიტომაც მოვჭერი. აინ ად-დერი დაიქცა,
 შეილო, მაყვლის ბუჩქებით დაიფარა. ტურები თავისუფ-
 ლად დასეირნობები იქ“.

ფაქტთა მშრალი კონსტატირება გაუსაძლის ტკივილს
 დაიმარხავს.

ფუძეზე დარჩენილი მოხუცისათვის დრო დგას. მისი
 დრო ადგილს სავსებით ემთხვევა. საყრდენი წანაცვლებუ-
 ლი არაა. ოლონდ ამ დროს აქვს მხოლოდ წარსულისა და ან-
 მყოს პაპოსტასი, მომავლისა — აღარ. შთამომავლობა წა-
 სულა ამ სახლიდან, ნებით არა, მაგრამ წასულა.

ორი კვირით დაბრუნებისას სახსოვარს მოიძიებს სუ-
 ლი, განშორების დრომ და მანძილმა რომ არ გასრიოს.

სამკვიდრო „არ არის ადგილი. ის დროა. გალვიდებისა
 და ადრეული ლოცვების დრო. განთიადის შუზე ხიდან
 ლელვის მოწყვეტის, დაგემოვნების დრო. ცვრით დანამუ-
 ლი, ენერგიული ჩიტების მიერ ჩანს კარტებული ლელვი“.

უცნაურად იგივება ლელვის ხისა და სამშობლოს პა-
 რადიგმები.

ნარმოსახვის იდუმალ სამყაროში, გან-
 სხვაებით რეალურისან, ჰარმონია —
 აქ ლელვი თავის ალაგასაა. სულ აქ იქნება,
 რადგან წარმოსახვა რეალობას აღემატე-
 ბა — უფრო საიმედოა.

წარმოსახვაში ლელვი ისევ ფარავს ში-
 და ეზოს, ქარვისფერი ნაყოფის სიტყბო,
 ალბათ, ფუტკრებსაც იტყუებს და პატიო-
 ში ისეთი მომთენთავი, დამამშვიდებელი
 ზუზნია...

ადგილია მიტევებაც: „უმ ტალალი ჩემ-
 ზე მეტად იყო დამოკიდებული ლელვის ხე-
 ზე. რაღაც მომენტში მისი მოქრა ძალიან
 აუცილებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მე
 ეს არ ვიცი და არ მესმის, რადგან მე იქ ვი-
 ყავი, ის კი აქ იყო. მე რომ აქ მეცხოვრა, შე-
 საძლოა, თავად დამენგრია, ან ამეშენებინა,
 დამერგო ან მოშეჭრა... ვინ იცის... მათ აქ გაატარეს თავისი
 ნელები, მე — იქ. შეიძლება ორი დრო ერთმანეთს მიაპა!?”

ეს არ არის პასაუები მხატვრული, გამოგონილი ტექსტის.
 ეს რეალობაა, ტრაგიკული, მწუხარე სინამდვილე ახლო აღმო-
 სავლეთის (და არა მხოლოდ — ტოპონიმები, რეალურ პერსო-
 ნაჟთა სახელები) რომ ქართულით ჩანაცვლო, ეს იგივ ქართუ-
 ლი რეალობაა, ტრაგიკული, მწუხარე სინამდვილე დანაკუნე-
 ბული, გასხვისებული, ოკუპირებული საქართველოსი).

მურიდ ალ-ბარლუთი უცნაური სიმშვიდით ჰყვება სა-
 ზარს, ტრაგიკულს — დიდი სასონარკვეთის დიდი სიმშვი-
 დით. დიდი ტაქტითაც. სიძულვილის და შურისძიების გან-
 ცდის გარეშე.


ფესვებდაჭრილი კულტურული ადამიანის სასონარკვე-
 თით, სიმშვიდით, ტაქტით.

„კულტურული ადამიანი მკვდარი ადამიანია. ყველაფ-
 რის მიღება მისი შედგომის წინაპირობაა“ (მაკა გოგუაძე).

თითქოს იდუმალ ფრთხილობს კიდეც ალ-ბარლუთი,
 ეჭვიც დასძლევს წამით — ვის ააღელვებს ამ კაენურ უამს
 მისი სულის ნაღვლიანი საგა, სახეების, სახსოვრის, სიტყ-
 ვების მწუხარე კორიანტელი?

საგა გრძელია — ოცდათი გრძელი წლის რეფლექსა,
 უსამშობლობის, ფესვთაგან მოწყვეტის, ამოძირევის გრძე-
 ლი ამბავი — რაც უფრო ხანგრძლივი, მით მეტად დაბლაგ-
 ვებული, მიყუჩებული თუ მიჩუმათბული დაბადამბლავე-
 ბელი ტკივილი.

მეტაფორებისაგან, ეპითეტებისაგან სრულიად განძარ-
 ცული ტექსტი თითქოს დღიურის უბრალობას ირეკლავს



— არსად ფრაზით კეკლუცობა, ფერადოვანი სიტყვების განგებ მოძიება. ესეც პოეტის დიდი შინაგანი ტაქტის წარმომჩენია — ვარამი ვერ ითანხმიერებს ვარაყს...

აქ არ არის მხოლოდ ტრაგიკულ ფაქტთა კონსტატირება, არც მათი ყალბად გულისამარტუყებული ანალიზი. „მე ვნახე რამალა“ რაღაც სხვა — მიზეზთა არსის, ტრაგედიის დვრიტის წვდომა, ფიქრი პალესტინელთა მარადიულ, „წყველაკრულვიან საკითხავზე“ — „სრულ ჩვენ რადა ვართ ტანჯვაში?!“

ერისა და პიროვნების ბედისწერის საკრალური ჯუფოთობა უცნაური გამჭვირვალებით ცნაურდება დიდი მწუხარების დამმარცხელ პატარა წიგნში.

პოეტისეული წვდომა არსისა მიდენად ზუსტია, პირუთვნელი და ტრაგიკული, ზემოთქმულის დასტურად მთელი წიგნის ციტირება იქნებოდა უცრიანი.

დავიდასტურებთ ვრცელ ამონარიდას: „ადგილები, რომელიც ჩვენს სურვილებშია, დროა. მაგრამ მთავარი კონფლიქტი ყოველთვის ადგილებს ეხება. კონფლიქტი ხელს გიშლის, გერინდეს ეს ადგილები და მათთან ერთად მიაქვთ შენი ცხოვრების ნანილი [თუ მთელი ცხოვრება არა — ნ. კ.]. საქმის ვითარებამ სულ სხვადასხვა ვითარებაში გვაცხოვრა. იძულებულნი ვიყავით, ხშირად დაგვეტოვებინა ადგილები და მათ დაკარგეს ჩვენთვის მნიშვნელობა და კონკრეტულობა.“

უცხოს [ამ ცნება-ტერმინით იხსენიებს ალ-ბარლუთი მთელს მსოფლიოში იძულებით მიმოვანტულ პალესტინელ თაბამებსმულება — ნ. კ.] ყოველთვის მყიფე ურთიერთობის დამყარება ურჩევნია, ღიზანდება, როდესაც რომელიმე საცხოვრისის მიმართ მისი ვრძნებები ძლიერდება. მოხტიალე კაცი არაცერს ეჭიდება. ცხოვრება უფლებას არ გვაძლევს, ტრაგიკულ მოვლენად აღვიჯვათ არაერთხელ განმეორებული ამონიკვა, რადგან ვიცით, რომ ეს ყოველივე ფარსია... ცხოვრების საქანელასაც ორ უკიდურესობაზე მორს არ მიყავხარ — ესაა ფარსი და ტრაგედია. სამყარო აგრძელებს ქანობას. სინათლის ბურუსშია გახვეული ირივე ჰორიზონტი“.

თხრობის მშვიდი, დანურული, ცეცხლში ოქროდ ნაწრთობი ტკივილის დამმარცხელი ტონი პოეზიის ბურუსს მოისთავს, ყოფის დელგმაში მაინც გაუზონავს მეტაფორა — სინათლის ბურუსში გახვეული ჰორიზონტის უნაპირობის, ყოფიერების საქანელას არასანდობის.

დიდი სასონარკევეთის დიდი სიძმივიდე უამიერ საყრდენ-სახსოვარს მოაძიებინებს პოეტს — მშობლიური სოფლის, დირ-ლასანას საკრალური ლევის დამკარგავი წითელ ნემ-სინვერებს გაახარებს ქაიროს, ამანის, ბუდაებეტის უცხო, ვერგაშინაურებულ აივნებზე, მორიგი დეპორტაციისას კი (კონკრეტულ ქვეყანაში ცხოვრების „ვადა“ რომ გაუვა), ჩუმად გულდანვეტილა, ქოთნის ყვაილებს უამიერ სამკვიდრებელ ქალაქ-სადგურებში შეძენილ მეგობრებს უსახსოვრებს...

ამ ყვავილებმა ქოთნის მინის საზღვარი მაინც უწყიან, როგორც ტყვე ჩიტებმა — გალიის საზღვარი, განსხვავებით ალ-ბარლუთისაგან, პალესტინელისაგან, პალესტინელებისაგან...

პალესტინა ალ-ბარლუთისათვის ლეგენდების და „ლექ-სების მიწა“ („როგორ ვიმღერო უფლის სიმღერა უცხო მინაზე?“! (ფს. 136) — ეს უღრმესი ტკივილი „საქანელას მეორე მხარეზეც“ განუცდიათ — ყველ კონფლიქტს ხომ ყოველთვის აქვს (თუ ჟყავს) „მეორე მხარე“).

ჭირისუფლის სატკივარს ვერ დაიმარხავს „გარეგანი ფრინველის“ „ტკბილი ხმები.“

ქვეყნის ბედზე მონალელე გარდაუცლად ჩაეკითხება საკუთარ სულსა და უფალს: „ჩემი დამოკიდებულება სამშობლის მიმართ ისეთივე ამალებულია, როგორც ეს მასზე დანერილ სიმღერებში ჩანს?!“

ჭირისუფლის კითხვას, განდევნილი პატრონის.

ოცდაათ ნელიწადას უდაბნოში უნდა ეხეტიალა „დევნილად“, „ლტოლვილად“, „უცხოდ“, „უადგილოდ“ (სახელთა რა ტრაგიკული ნაირგარაობა) სახელდებულს, მშობლიურ რამალასა და დირ ლასანაში უცხოს ნებართვით ორიოდ კვირით დაბრუნებულს, ოუპირებულ ტერიტორიაზე ადრევე დაბრუნებული თანამემამულისაგან რომ მოესმინა ტრაგიკული სიმართლე იუპირებული პალესტინის დაბრუნების არცთუ უსაფრთხო, მაგრამ ერთადერთი გზის შესახებ: „თუ ეკინგეს შეუძლია დაბრუნება და აქ ცხოვრება [ისრაელი მხოლოდ ასაკოვანთ რთავს ნებას, დაბრუნდნენ სამშობლიში — ნ. კ.], დაუყოვნებლივ უნდა ჩამოვიდეს. განა რუსებს და ბრუკლინელ ებრაელებს უნდა დაგვუტოვოთ აქაურობა? თუ კოლონისტებს? ყველა უნდა დაბრუნდეს, ვისაც შეუძლია — აღდგენილი უფლებით, სამსახურით. ნებისმიერი საშუალებით. ააშენეთ სახლები თქვენს სოფლებში, თუ შეგიძლიათ. პალესტინური დასახლებები ავაშენოთ პალესტინაში.“

[იქნებ, სულაც ეს იყოს აფხაზებითში, მშობლიურ ფუძეზე ქართველთა დაბრუნების ერთი, საშიში, მაგრამ ერთადერთი გზაც?!].

ნიშნავს თუ არა ოკუპირებულ ტერიატორიაზე, პალესტინის სუროგატულ ნაგლეზზე დაბრუნება პალესტინაში დაბრუნებას?! ეს ის „წყევლა-კრულვიანი საკითხავია“, ყოველ პალესტინელს რომ ახამებს, გონის თუ არა, გენის დონეზე მაინც.

«Тут я не нужна, там я невозможна», — ემიგრანტის, დევნილის უმზეო ყოფის უზუსტეს დეფინიციას იპოვის მარინა (ცვეტაევა).

რა სჯობს, არ სჭირდებოდეთ და მაინც იყო მამულში (რომელიც გასხვისდა), თუ იყო „შეუძლებელი“ სხვაგან, სხვათა „მუდმივა სამშობლოებში“ (გვ. 184), რომელთა ბედნიერ მკვიდრთა სახელებსაც შემაძრუნებელ ეპითეტებად, მეტასტაზებად არ შესცოცებია დამამცირებელი გაარსებითებული ეპითეტები: „ლტოლვილი“, „დევნილი“, „უცხო“, „უადგილო“...

ალ-ბარლუთი, ერთი შეხედვით, განსხვავებულია მირა-ადი თანამემამულისაგან — ის არაა „სხვაგან შეუძლებელი“ (ანუ შეუმდგარი) პერსონა, პირიქით, პოეტია, არბულ სამყაროსა თუ დასავლეთ ევროპისა და ამერიკის კულტურულ-ინტელექტუალურ წრეებში პატივდებული, დაფასებული კაცი (სხვათა შორის, ისევე, როგორც მისი მეუღლე, ეგვაპტელი რომანისტი, გრანადის ტრილოგიის „ავტორი, რადვა აშური და „პოეტთა უფლისწულის“ ტიტულის მფლობელი ვაჟი — თამიმი). მისა ხვედრი არაა, როგორც თვითონ ამბობს ტკივილიანი სარკაზმით, ფეხსაცმლის მწმენდავობა ან მენაგვეობა (როგორც პალესტინელთა სრული უმრავლესობასა), მაგრამ პალესტინური ფესვები ქოთნის მიწას ვერ იგუებს, სხვათა მდიდრული აეროპორტების, კრისტალის, ფირის, ფირის ფირის სასტუმროების ყალბად ზეიმურ ინტერიერში ვერ გაიხარებს.

პალესტინელ პოეტსა და ინგლისური ლიტერატურის სპეციალისტს, მურიდ ალ-ბარლუთის უცილობლად გაცნობიერებული აქვს ტომას ელიოტის („დაბრუნების არ მაქვს იმდინ“, ტომას ვულფის („ვერასოდეს დაბრუნდები“) სტრიქონების ტრაგიზმი — ოთხმოცდათიანი წლების რამალა (რომელშიც ორიოდ კვირით დაბრუნდა) არ შეიძლება ჰავავდეს სამოციანი წლებისას (საიდანაც გააძევეს). უნუგეშოდ ჩავლილია რამალაში გასატარებელი და არგატარებული წლები, ათწლეულები.

„ჩვენ მივეჩვიეთ გასვენებებში სიარულს, მოწოდებებითა და ხმაურით გარდაცვლილების გაცილებას მეტაფორული მიზნისებ — პალესტინისებ — და ფაქტიური მიზნისებ — სამარისაცებ“ — სამწუხაროდ, ეს ტრაგიული სტრიქონები პოეტური ვიზიონი არაა, არც ჰიპერბოლა.

ეს პალესტინელთა (და ქართველთა!) ყოფის რეფლექსია.

ასეთი ვიზიონები გარითმულ ლექსად ვერ ჩამოინაკვთება, მხოლოდ ვერლიბრის მკაცრი უბრალობა თუ დაიმარხავს. კიდევ — დღიური, „მე ვანხე რამალა“ — დოკუმენტური პროზის ერთი შეხედვით (ცივი, პირუთვნელი ქსოვილი).

მაგრამ უამით-უამ „დოკუმენტურ პროზაში“ გაკრთება მარად ახალგაზრდად დარჩენილ მიცვალებულთა პორტრეტები („ცოცხლები ბერდებიან, მიცვალებულები — არა“), შიდა ეზოს შუაგულში გაბარჯლული ლელვის, პაპის კარიბჭეთან მიბმული აქლემის (თითქოს რობაქიძისეული ბესანის ტრაგიულ სილუეტად გარდასახულის), რამალა ყუჩი ბიბლიოთეკის სილუეტები.

მერქელობა იქნება სამშობლოზე იფიქრო, „მქონდა იგი თუ მომაგონდაო...“

ალ-ბარლუთს ჰქონდა და აქვს პალესტინა — ის მის წარმოსახვაში ცოცხლობს, დროის სამივე ჰიპოსტასში ჩაღვრილი, ჩაკრიული, „დამარტეული.“

პალესტინა ბებია უმ ატაა, ორი შეილი რომ უქმროდ გაზარდა, ციც წლის ასაკში დაქრივებულმა, მშვიდი, მუდამ განწონასწორებული მამა პოეტისა, მწვანეთვალება დედა, ყვავილების გამარჯებელი, არაფრით რომ ჰეგას „პოლიტიკას მიკედლებულ, აქტიურ ქალებს“, სამი ძმა — პარიზში პალესტინელობის გამო მოკლული მუნიფი და ორიც უმცროსი...

პალესტინელობა (ქართველობასავით) განაჩენია.

„არსებობენ ბედნიერი ერები, სამშობლოს თავისუფლება, ერთიანობა რომ არ ეოცნებებათ“ (თოარ ჭილაძე).

„ოდიდოსს სულაც არ შეუძლია, კატასტროფა კარნავალად და ფესტივალად გადააქციოს. შექსპირს ტრაგედიის დაწერა თუ უნდოდა, ტრაგედიას წერდა, ჩვენ კი, არაბები, კომედიისა და ტრაგედიის ერთსა და იმავე გვერდზე კითხვას მივეჩვიეთ“ — კვლავაც უემოციოდ კონსტატირდება ტრაგიული.

ქართველებიც უცნაურად მივეჩვიეთ კომიკურისა და ტრაგიულის „ერთსა და იმავე გვერდზე კითხვას.“

კომედიაა, ტრაგედია თუ ფარსი, შენევაში მიმავალი სანათესავ „პასპორტთა კოქტეილით“ რომ განაცვიფრებს შვეიცარიელ მებაჟეს — „თითოეულის გვარი ალ-ბარლუთი იყო, მაგრამ პასპორტები — ოორდანის, სირიის, ამერიკის, ალჟირის, ბრიტანეთის, საფრანგეთის, ეგვიპტის, ისრაელის (ისრაელისაც კი!)... და ტრაგიული დასკენი: „ჩვენი ყველას ერთად მგზავრობა სირცხვილია“ ის, რაც ასე ბუნებრივია, ადამიანური — ნათესავთა შეკრება, სითბოსა და სიყვარულის ურთიერთგაზიარება, ტრაგიულ იერს იძენს,

უარესი — კომედიური ელფერით იფერება. ალ-ბარლუთის მახვილი თვალი იჭერს ტრაგიულ-კომიკურის საბედისნერო ჯუფთობას.

და მაინც, ვისია წმიდა მიწა, ზეციური იერუსალიმის სახელით კვართივით გადანაწილებული, მიწა რამალასი — იერუსალიმის ზურმუხტოვნი გარეუბნისა, სადაც ისრაელ-პალესტინის კონფლიქტამდის მონაზონი და მუედინი ერთად მკვიდრობდნენ, „გერც ამჩნევდნენ დიდებული ქალაქის სინმინდეს — ქალაქი მათში იყო, ისინი — მასში“.

ტრაგიზმითა გაჯერებული იერუსალიმიდან განდევნილი პალესტინელის ფიქრი (კვლავ ვრცელ ამონარიდა დავიდასტურებთ, უზუსტესად რომ ირეკლამს ყოველი კონფლიქტის ტრაგიზმს და აბსურდულობას): „მთელი მსოფლიო იცნობს იერუსალიმს, როგორც სიმბოლოს ძლევამოსილებას. იერუსალიმს თვალი ისე ხდავს, როგორც კლდის წერს და კამაყოფილია. მსოფლიოსათვის ის რელიგიების, პოლიტიკის და კონფლიქტების ქალაქია, ასე რომ, დიდად არ ანაღვლებს ჩვენი — ხალხის იერუსალიმი — სახლების, მოკირნელული ქუჩების, სუნელების მაღაზიების, არაბული კოლეჯის, ანტიკარის და სადაფის, ქუჯუტის ნამცხვრის გამყიდველების, ქუჩაში გატოტვილი პალმების, შინ გახარებული მცენარეების, ქვაფენილიანი ხეივნების, ვინრ შესახვებების, სარეცხის თოკების იერუსალიმი, ჩვენი გრძნობების, ჩვენი პავშვობის იერუსალიმი. ალდეომის შაბათს ქრისტიანებთან ერთად ვიზიარებდით წმინდა ტაძრის სიბერელეს და მათთან ერთად ვწევდით ერთიანად ანთებულ თეთრ სანთლებს. ეს ჩვეულებრივი იერუსალიმია, ქალაქი ჩვენი პატარ-პატარა, უმნიშვნელო შემთხვევებისა, რომელებიც მაღე გვაგინებდება, რადგანაც ჩვეულებრივია ისე, როგორც წყალი წყალია და ელვა — ელვა, ხოლო, როცა ხელიდან გვისხლება ცისკენ მიიწევს, სიმბოლოდ რომ იქცეს.

ყველა კონფლიქტს სიმბოლოები ურჩევნია. იერუსალიმი ახლა თეოლოგიის იერუსალიმია. მსოფლიოს მისი „სტატუსი“ ეხება, მისი იდეა და მითი, მაგრამ — არა ჩვენი ცხოვრება იერუსალიმში და არა იერუსალიმი ჩვენს ცხოვრებაში. ცის იერუსალიმი ყოველთვის იცოცხლებს, მაგრამ ჩვენს ცხოვრებას მასში გაქრობა ემუქრება“.

მურიდ ალ-ბარლუთი ეხება საკრალურს, ეხება ფრთხილად, პატრონის, მკვიდრის სიფაქიზითა და ტატეტით, ტკივილით, ასე უცნაურად რომ ეხმაურება ქართულ-აფხაზურ ტრაგედიას: „არაფრით შემიძლია დავუშვება ორი თანაბარი უფლება მინაზე, ვერ აღვიკეამ დავთაებრივს მიწიერი პოლიტიკური ცხოვრების უმაღლეს ეშელონებში. სერიოზულად არასოდეს დავინიტერესებულვარ თეორიული დისკუსიებით მისი თაობაზე, თუ ვის აქვს უფლება პალესტინაზე, რადგან ჩვენ მინა დებატებში არ დაგვიკარგავს. ის ძალის გამოყენებით დაგვაკარგვინეს...“

როცა პალესტინა პალესტინა იყო, არ გვეშინდა ებრაელებსა, არც გვძულდა, არც მტრებად გვყვდა ნარმოსახული. შეა საუკუნეების ევროპას სძულდა ისინი და არა ჩვენ. ფერდინანდი და იზაბელა ვერ იტანდნენ მათ და არა ჩვენ, პიტლერს ეზიზლებოდა და არა ჩვენ, მაგრამ, როდესაც ჩვენი ტერიტორია დაიკავეს და იქიდან გაგვასახლეს, ორივენი — ჩვენც და ისინიც — თანასწორი უფლებების მიღმა ალმოწნდით. ისინი გახდნენ მტრები და გაძლიერდნენ, ჩვენ გავხდით იძულებით გადაადგილებულები და სუსტები. მათ

ერი და პედისცერა

გეოგრაფიითა და ნარმოსახვებით, **სინმინდის ძალითა და ძალის სინმინდით დაიკავეს ჩევნი ტრიტორია**".

საცნაურია და ტრაგიკული ფრაზა: „**არაფრით შემიძლია დაფუშვა ორი თანაბარი უფლება მინაზე**.“

ეს ის შემთხვევა არაა, ცვეტაევა რომ წერს დაპყრობილი მიწების ფლობით განებივრებული ერის შვილის პოზიციიდან:

«И скоро под землей уснем мы все, кто на земле не давали уснуть друг другу». Уფრом исл ტრაგიკული მსოფლგანცდაა, იმავე ცვეტაევას რომ დევნილობისას ამოაკვნესებს: «**Всяк дом мне чужд, всякий храм мне пуст, И все — равно, и все — едино, Но, если по дороге — куст Встает, особенно — рябина...**»

პოეტისეული მრავალნერტილი აქ შემთხვევითი სულაც არაა. კამიუ იტყოდა, „**მნერლისათვის უმჯობესია, არაფერი თქვას, ვიდრე თქვას ზედმეტიო.**“

ცვეტაევასეული ცირცელი (რაბინა), ალ-ბარლუთისეული ლელვის ხე ის სახსოვარია, სასოდ რომ აქვთ, ნუგეშად — სატელეფონი ზარების მისტიკური მუსიკით შეძრნუნდულთ. ვისთვის რეკს ზარი, ან რისთვის რეკს? იმისთვის, რომ სამყაროს მირიად კუნძულში მიმოფანტულებს ახლობლის გარდაცვალება აუწყოს... უიშვათესად — სადღაც, გადაკარგულში — ქორნილი და... (გავიჩორებთ ზემოთქმულს) ალ-ბარლუთების დიდი გვარი ისრაელის, ბრაზილიის, ევვიპტის, სრიის, იორდანიის, აშშ-ს, ბრიტანეთის „პასპორტების კოქტეილით“ ბოშათა ბანაკივით დაიძრას საკუთარი სისხლისა და ხორცის ბედნიერების გასაზარებლად, მებაჟეთა საქილიკოდ, ისიც — იმ ბედნიერ შემთხვევაში, დროებითმა სამკვიდრო ქვეყანამ თუ ინება „უადგილოთა“ მიღება...

ფესვდაჭრილ პალესტინელთა იმედებისა და სასოწარკვეთის დამმარხველი მთავარი ფრაზა უცნაური ტრაგიკულობით ემთხვევა ქართველ ლტოლვილთა სევდიან ფიქრს: „**სანაბ ყველაფერი გაირკვევა**“...

ისევე, როგორც ალენბის, თუ მეფე ჰუსეინის, თუ დაბრუნების ხიდის პარადიგმა — ასეთი ხიდი არსადაა მსოფლიოში, იტყვის ალ-ბარლუთი.

არის ასეთივე ხიდი და ეს ენგურის ხიდია.

1948 წელს პალესტინის დასავლეთის სანაპირო რომ აპყარა ისრაელმა, იძულებით გადაადგილებულთ საკუთარ ქვეყანაში „**ლტოლვილებად**“ ვისხენიერდითო, წერს ალ-ბარლუთი, ბავშვები ეგრე ვეძახდით, არც უფროსებს შეუსწორებით რამ ჩვენთვისო...

კონტექსტი იტექს ბარლუთის მთავარ სათქმელს — ეს განურჩევლობა „**დასავლეთის სანაპიროსადმი**“ ამზადებდა 1967 წლის ტრაგედიას — ოკუპაციის გარდუვალობას.

თუ 1948 წელს დასავლეთის სანაპიროს დანარჩუნებდნენ ებრაელნი, პალესტინელთა განურჩევლობით გულმიცემულნი, რად ვეღარ დაისაკუთრებდნენ სულ რაღაც ოციოდ წელიწადმი, 1967 წელს, მთელ პალესტინასაც?

ღმრთმა ნუ ქნას, „**დასავლეთის სანაპიროს**“ (აფხაზეთს) დანარჩენი საქართველოც მიაყოლოს „**აფხაზთა (და ოსთა) ბერძე მონაღლე**“ იმპერიამ...

ალ-ბარლუთის ნიგნის კითხვისას ოთხმოცდაცამეტის სექტემბერში სოხუმის სანაპიროზე პატრონისაგან მიტოვებული ძალით ნამომაგონდა, ტალღებს რომ აწყდებოდა განბილებული და დაბნეული (ამ კადრს 27 სექტემბერს იმე-

ორებენ ხოლმე ტელევიზიები, სოხუმის დაცემის მორიგ წლისთავზე, სანფორმაციო გამოშვებების ორწუთიან რეპორტაჟებში, რეკლამასა და რეკლამას შორის):

„**ნარსული ისევ იქ იყო, სოფლის მოედანზე, მზის გულზე გაედგა ფესვი და იჯდა პატრონის მიერ მიტოვებული და მივაწყებული ძალივით. მომინდა, ხელი ჩამევლო მისთვის, ნინ გამევლო თავისი მომავალი დღეებისაკენ, უკეთესი მომავლისაკენ და მეთქვა: გაიქცი!**“

„**სანაბ ყველაფერი გაირკვევა**“, იზრდებიან თაობები უცხო ქალაქებში, უცხო ქვეყნებში, უცხო ალაგთა სიყვარულით, სხევანაირი მოგონებებით, სხვათა სასტუმროებში, არაფრით რომ პეტ მყავს მყუდრო სახლს («**В дом, и не знающий, что — мой, как госпиталь, или казарма**» — კვლავ ცვეტაევა).

„**ემშობლიურებათ კი მათ ოდესმე რამალა, ან სოხუმი, ან ცხინვალი?**“

„**ოუშაბაციის ხანგრძლივმა პროცესმა შექმნა ისრაელის მთელი თაობები, რომლებმაც არ იციან სხვა „სამშობლო“ და, იმავე დროს, პალესტინელთა მთელი თაობები, რომელიც უცხონი არიან პალესტინისათვისის**“.

ტრაგიკულია, ეგზისტენციური ვარამითა გაჯერებული ერთი შეხედვით უბრალო კონსტატირება ფაქტისა.

მაგრამ იმედიც აქვეა, მურიდ ალ-ბარლუთის ტრაგიკულ, უნათლეს ნიგნში — ყოყმანის, დაეჭვების გამომრიცხავი:

„**მოვა დრო და თამიმი აქ იცხოვრებს**“.

თუ თვითონ პოტი, მამა თუ ვერა, ალ-ბარლუთის შვილი — თამიმი მაინც — რადგან სამშობლო დროა და არა მხოლოდ ადგილი.

ალბათ, დადგება დრო, როდესაც „**ყველაფერი გაირკვევა**“ — უფლის მაღალი ნებით...

მამამ ნახა რამალა. შვილი დაბრუნდება რამალაში...

ალ-ბარლუთისგან ნაკარნახევი, ყოყმანისა და ეჭვის გამომრიცხავი იმედი, უკვე — აფხაზეთსა და სამაჩაბლოს-თან დაკავშირებით: „**მოვა დრო და ქართველი აქ იცხოვებს**“.

P.S. სევდით ნაქსოვი ნიგნი მურიდ ალ-ბარლუთისა დარჩებოდა „**მტილად დახშულად, წყაროდ დაბეჭდულად**“ არაბულის არმცოდნეთათვის, რომ არა ნინო დოლიძის ზნეობრივი (ხაზგასმით ვამბობთ) არჩევანი — ეთარგმნა პალესტინური სანუხარის რეფლექსია, უზუსტესად რომ ეხმანება ქართულს.

ნიგნის თარგმანი დროის სატკივარს, ქართული ცნობიერების ლია ქორლობას ირეკლავს და ეთანხმიერება. ლირ-სეული მთარგმნელი (რომლის სწორი ეროვნული პოზიციაც ნათლადადა ნარმოჩნილი ნიგნის ბოლოსიტყვაობაში) ალ-ბარლუთის დარდიან ტონს ქართველი სიტყვის ქსოვილით ალადგენს, პალესტინურ ტკივილს ქართულ სიტყვად, ქართულ სევდად ჩამოქნის.

უზუსტესია კარლი ფაჩულიასეული დიზაინიც ნიგნისა — თეთრი, აღმოსავლური სახლებით დაჩრდილებული ქუჩის პერსპექტივა, ზურმუხტოვანი ხეები (იქნებ სულაც ლელვისა) (სოხუმიც ასეთივე ქათქათა და ზურმუხტოვანი ქალაქია. იყო...).

და შორს, ნიგნის ყდის კიდეზე, ოცნების დასალიერში — ცა, ყოველი მინიერი სამშობლოს უნათლესი არქეტიპი...

იოსებ ჭუმბურიძე

„პედიარებას აქვს ცუთები და არა საზოგადოები“

- თქვენი აზრით რა არის უკიდურესი გაჭირვება?
- საყვარელ ადამიანთან გამოთხოვება.
- სად ისურვებდით ცხოვრებას?
- მცირე ხნით, პარიზში.
- რა არსა უმაღლესი ბედნიერება?
- ვფიქრობ, ბედნიერებას საფეხურები არა აქვს, წუთები აქვს.
- თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?
- ოთარაანთ ქვრივის გიორგი, კონსტანტინე არსაკიძე.
- თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?
- მცირე თამარი.
- თქვენი საყვარელი მხატვარი?
- ფიროსმანი, იანქოშვილი.
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?
- ფალიაშვილი, ლალიძე, კვერნაძე, მოცარტი.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?
- უშიშრობას, ოლონდ, ეს სულის თვისებაა და არა ფიზიკის.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?
- არგაიაფებას („ოდეს ტურფა...“).
- რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომზიდლველი?
- გულწრფელობა.
- თქვენის საყვარელი საქმიანობა?
- ურნალისტიკა — ეს მთავარი! კარგი ლექსის ან სიმღერის მოსმენა, კარგ სპექტაკლზე დასწრება.
- თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?
- ასე მგონია, ეს პრუსტის შეკითხვა არ არის, სხვის-გან ჩამატებულს ჰგავს.
- თქვენი ხასიათის მთავარ თვისება...
- პროფესიის სიყვარული.
- რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?
- „ზურგს უკან“ მდუმარებას.
- თქვენი ხასიათის მთავარი ნაკლი?
- ემოციურობა.
- თქვენი ნარმოდგვნა ბედნიერებაზე?
- ვფიქრობ, პრუსტი არც ამ შეკითხვას გაიმეორებდა.
- რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?
- ჩემი შვილისთვის რომ ეთქვათ, მამაშენი ულირსად მოიქცაო.
- როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?
- მუსიკალური.
- თქვენი საყვარელი ფერი?
- დაბინდული ქლიავის ფერი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე ძალიან გიყვართ?

— ია, რადგან ვაჟა-ფშაველას მასხენებს.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— შაშვი. ამას წინათ მითხვეს, მხოლოდ საქართველოში გაღობსო, ყოველ შემთხვევაში, რუსეთში — ნამდვილად არაო. ეტყობა, შემთხვევით არ იწყება ქართული ზღაპარი ასე: „...იყო შაშვი მგალობელი“...

— თქვენი საყვარელი მნერალი?

— ალბათ, პრუსტი პროზაიკოსს გულისხმობდა: ილია, დავით კლდიაშვილი, სერვანტესი.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— ბარათაშვილი, ილია, გალაკტიონი, ანა.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ოთარაანთ ქვრივი.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ალექსანდრე ბატონიშვილი, ქაქუცა ჩილოყაშვილი.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ქეთევან წამებული.

— საყვარელი სახელები?

— თევლა, სიდონია, თორნიკე, ბაჩანა, ლუკა.

— რას ვერ იტან ყველაზე მეტად?

— ფარისევლობას.

ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზ-ლი დაიმსახურა?

— სტალინი, სერგო ორჯონიგიძე.

— საომარი მოქმედება თქვენი აზრით, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— ძლევად საკვირველი.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— ჩემი რეფორმატორების (მაგალითად, ბენდუქიძის) შემყურებას, მძაგს სიტყვა „რეფორმა“.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— ჰიანისტის ნიჭი.

— როგორ გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— მშვიდი, ანუ მართალი.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— სამშობლოს ბედით შემფოთებული.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ნებისმიერი ქმედება, რაც ჩადენილი არ არის ავიგანზრახვით.

— თქვენი დევიზი?

— ძალიან მომწონს ჩეხოვის ცნობილი შეგონება და ვცდილობ, სუფთად ვატარო სხეული, სამოსი და ფიქრები.

— თუკი ოდესმე შეხვდებით ღმერთს, რას ისურვებით რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— პრუსტი რომ არა, ამაზე ფიქრსაც ვერ გავბედავდი. რაკი მაქეზებს, ვიტყვი: იქ შეხვდები ყველას, ვინც აქ გიყვარდა.



თამაზ ნატროშვილი

ნაპურმარილები იყვანებო

„ბრწყინვალე დამარცხება“ — ასე უწინდა დაუკინკარ მარაბდის ომს ჩვენი ნარსულის დიდებულმა მკლევარმა და დამოუკიდებელი საქართველოსათვის მაშვრალმა დიპლომატმა, ლირსეულმა მეგვილდრემ სულხან-საბასი, იურისპრუდენციის პროფესიონამ ზურად ავალიშვილმა.

„პიროსის გამარჯვება“, ცხადია, ყველას გსმენიათ და მისი მნიშვნელობაც მოგეხსენებათ, მაგრამ ვეჭვობ, „ბრწყინვალე დამარცხება“ სადმე შეგხევდროდეთ. მე ნამდვილად არ ნავწყდომივარ და პირველად რომ მომხვდა თვალში, ცოტა არ იყოს, შეკუნძული. მერე კი, იცოცხლეთ, ვიგრძენი მისი სილრმე და ეშის. ბრწყინვალე დამარცხება, არც ვატელოროზე უთვევამთ ფრანგებს, არც ბოროლინზე — უავებს, რაც სტალინგრადი — გერმანებებს და არც თერმობილი, მიუხედავად დიდი ქება-დიდებისა, არ მოუნათლავთ ასე ხატოვნად.

„ბრწყინვალე დამარცხება“ მართლაც ზუსტად მორგებია და ლაკონიურად ახასიათებს 1625 წლის მცხუნვარე ზაფხულში მარაბდის ველზე გადახდილ ომს. ენა ვერ მოგიბრუნდება, რომ ამგვარ გამოიქმა მოუსადაც გარნის (1225 წ.). ან კრანის (1795 წ.); ერთიც და მეორეც ჩვენი ტკივილია, პირველი — დასახუისი დასასარულისა და მეორე — დასასარულ დასასარულისა. მოუშუშებელ ჭრილობად და ნარუშლელ დალად გამოიჟოლია ქვეყნის სხეულს, მაგრამ ბრწყინვალებისა რა მოგახსენოთ.

მარაბდის ომი კი ერთ-ერთი ყველაზე სახელმოვანი ფურცელია ჩვენი ნარსულისა, იმ ნარსულისა, რომელიც, მკრეხელობად თუ არ ჩამომართომევთ, უდავოდ, უტოლდება „ვია დოლორზას“.

„...თორემ მტრებს ისიც კი შეაშინებს, ერთხელ ხმამაღლა რომ ვთქვათ — მარაბდა!“ — ჩვეული მგზნებარებით წერდა თავის ერთ ლექსში ჩვენან ულროვდ ნასული ლადო ასათიანი, მარაბდიულ ჭაბუკად რომ დარჩენილა ქართველი ხალხის გულში. თავმოსანონად მაინცდამაინც მარაბდა გამოარჩია საქართველოს ისტორიის ელვარე ტოპონიმთაგან. ასე სჯეროდა და სხვებსაც აჯერებდა. სამოცდაათი წელიწადი გასულა მას შემდეგ და კიდევ სამოცდაათი წლით დავშორებივარი მარაბდას. დღეს ერთხელ კი არა, ჩვენდა სავალალოდ, თუნდაც ათასჯერ რომ ნამოვიდახოთ — მარაბდაო და ზედ დიდგორ-ბასიანიც დავაყოლოთ, კაპიკის ფასი ექნება. ამაზე დიდი ტრაგედია რა უნდა იყოს სულიერებისათვის, რომ მოღალი და წრფელი პათეტიკით წარმოთქმულს იაფფასიანი ირმანის ხავის მოსდებია.

და მთარე ფიქრი შემოგეპარება, ნუვთ განნირული ვართ საიმისიდა, რომ მხოლოდ სხვის დროშებქვეშ გვენეროს გამარჯებება, რომ ჰულაგუ-ყანის მთავარსარდლობით უნდა ვიღებდეთ აულებელ ალამუთს, შაპ-აბასის მთავარსარდლობით — მაპმადიანური სამყაროს ჭიპად შერაცხულ ბალდადს და სტალინის მთავარსარდლობით — მთელს ევროპაზე აღზევებულ — აფხორილ ბერლინს. და კიდევ უფრო მნარე ფიქრი: ვინ იცის, ეგებ ასეც სჯობდეს, ვიღრე საკუთარ უთაობითა და უნიათობით, ბალდადი და ბერლინი რა მოსატანია, უკან გვრჩებოდეს პანანკინტელა სოლუები, საქართველოს რუკაზე რომ არც ალუნიშნავთ და მათი სახელი, ადგილობრივ მკვიდრთა გარდა, ალბათ, არავის სმენია.

მარაბდა კი ჰქონია იმ გაუგონარ თავგანნირვას, რასაც მოსდევს ცხრა ათასი ქართველი ვაჟეკაცის დალუპვა იმისათვის, რომ ცხრასი ათასი კაცი და ქალი, ბავშვი და მოხუცი,

ლალად სურთქავდეს და დამთრგუნველი შიში გადამთიელისა გულიდან ამოირეცხოს.

მარაბდა ოპტიმისტური ტრაგედია და ჩვენს კომიკურ ხანში რელიტადაც ალარ შემოგვრჩენია.

მარაბდის დამორცხება დიასაც უდრიდა პოლიტიკურ გამარჯვებას, ვინაიდან ნებალიბით, დიდი სისხლის ფასად, სული მოთქვა სულთმობრძავმა ქვეყანამ — შაპ-აბასმა ხელი აიღო საქართველოს გათათორებაზე და როდესაც, მისი სიკვდილის შემდეგ, სეფანითა ირანის მზეც ჩაცხრა, მარაბდის განმეორება საჭირო აღარ გამხდარა და ვედარც განმეორდებოდა, კიდევ ერთხელ რომ გადაერჩინა ბედი ქართლისა. პატარა ქვეყნის ძალილნე ამოუწურუა როდები. ბარე სამი-ოთხი საუკუნის მძნილზე მხოლოდ ერთხელ თუ შეიძლება მოხდეს მარაბდისნაირი ამობრნინება. ბუნებრივია, რომ მარაბდა დაუზურდავდა წვრილ-წვრილ შვილობილებად და, დასასარულ, კრანისაც მოგვევლინა.

შემდგომი ისტორია კი მშვენივრად უწყით: ვერ გუბერნიები, მერე სამწლიანი ტამ-აუტი (ანტრე, ბატონო, ანტრე-ჭიაურელის, „უკანასკნელი მასკარადი“ არ გინახავთ?), მერე — სვებედნიერი მოკავშირ რესპუბლიკა და ბოლოს — XXI საუკუნის ინილ-ბინილ, პინგ-პონგის ბურთულასავით რომ გვაბზრიალებენ ორი გიგანტის უსისხლო დუელში და ყოფნა ლამის არყოფნად მოგვეჩენოს.

ესანებ 306 ჩამოიარა?

ცხრა ათასი ძალგულოვანი ვაჟკაცის დაღუპვა (ერთ დღეში!), რა თქმა უნდა, აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო საქართველოსათვის, მაგრამ არც ირანისათვის იქნებოდა იოლად მოსანელებელი თოთხმეტი ათასი გამონგროთნილი მეომრის აღასასრული (რაგინდ გაზვიადებული იყოს ეს ციფრები, „ქართლის ცხოვრებაში“ რომ არის მოცემული, მეტანაკლებად მაინც ასახას სინამდვილეს და მცდელობა მაინცდამაინც მისხალ-მისხალ დაზუსტებისა არ ეგების და ვერც მოხერხდება. ოთხი საუკუნის ნინანდელს ვინ ჩივის, აგერ გუშინდელი ვერ დაგვიდგენია).

თოთხმეტი ათასის ნახევრის ნახევარიც ხომ მარტყოფში დაიღუპებოდა იმავე წლის გაზაფხულზე, მაგრამ სეფანთა ხელმიწიეს ამაზე არანაკლებ სტენდა გულს ის ფაქტი, რომ 1625 წლის საქართველოში წუთისოუელს გამოასალმეს რჩეულთაგან რჩეულნი, სახელდობრ: ყარჩილა-ხანი, სეფანთა ირანის მთელი ლაშქრის სპასალარი და უპირველესი ფავორიტი შაპ-აბასისა; იუსუფ-ხანი, გამოცდილი ბეგლარბეგი შირვანისა; და მათვე უნდა მიერათვალოთ ამირგუნე-ხანიც, ბეგლარბეგი ერევნისა, სახელგანთქმული სარდალი, დაჯილდოებული „სარუ ასდანის“ („ყვითელი ჯიქი“) საპატიო მეტასხელით, რომელსაც მარაბდაში მიღებულმა ჭრილობამ იმავე წლის დამლევს მოულობილი.

სპარსელი ისტორიები ისეკანდერ მუნში, მემატიანე და მეხოტებე შაპ-აბასისა, 1625 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში საქართველოში დატრიალებულ მოვლენებს ამგვარ რეზიუმეს უკეთებს: „როცა ხსენებულ მოურავისაგან მოხდა აქ აღნერილი ბევრი საშინელი და ტყუილი ხმა გავრცელდა საზღვრისპირის ქვეყნებში და ყველა მიერათვალოთ ამირგუნე-ხანიც, ბეგლარბეგი ერევნისა, სახელგანთქმული სარდალი, დაჯილდოებული „სარუ ასდანის“ („ყვითელი ჯიქი“) საპატიო მეტასხელით, რომელსაც მარაბდაში მიღებულმა ჭრილობამ იმავე წლის დამლევს მოულობილი.

უჩვეულო რაკურსით

რის, უცხოური წყაროს ასეთი საუცხოო თარგმანი ბევრი არ მოგვეპოვება).

ხალხში თურმე მითქმა-მოთქმა გავრცელებულა, ყიზილბაშთა ლაშქარი საქართველოში დამარცხდა. ოსმალებს უფიქრიათ, მოდა, ბაღდადისკენ დავიძრათ, ირანის ხელმწიფე „სასტიკად არის დაკავებული საქართველოს ამბებით“, ბაღდადს დამარცხას ვერ გაუნევს, ხოლო ბაღდადში მყოფი ყიზილბაშები, როგორც კი ოსმალთა ჯარის მოაბლოებას შეიტყობენ, იქაურობას მყისვე მიატოვებენ და ბაღდადს იოლად ჩავიგდებთ ხელში (ყველაფერი ეს, რასაკვირველია, კარგად მოეხსენებოდა ზურაბ ავალიშვილს და მის ლექსიკონში გაელვებული „ბრძნინვალე დამარცხება“, ერთი შეხედვით, პეტრურ პარადოქსად რომ გამოიყურება, მეყვლეარის ღრმა ანალიზისა და განსკის ნაყოფი გახლავთ).

თოთხმეტი ათასი კაცი ჯერ ხეირიანად არ გამოუტირებიათ, გურჯისტანი ხელიდან ეცლებათ, იქით ბაღდადის დაკარგვა ემუქრებათ და, რაც მთავარია, პრესტიჟი ხომ შეელახათ და შეელახათ მთელი აღმოსავლეთის თვალში (დასავლეთაც ფინიზლად ეჭირა თვალი ლამის ნახევარი ევროპის მპყრიბელ ისმალთა წინააღმდეგ თვალის პოტენციური მოკავშირის ავ-კარგზე).

და უცრად იგეგმება გასაოცარი ავნტიურა — თორმეტი ათას კაცი-აზი ჯარის გალაშქრება ყარაყალხანის მხარეს (ანუ არაგვის ხეობაში) არშის ციხის ასალებად (ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, „ციხე არშისა, თვინიერ კაცთა ხელთაგან ქმნული, მაღალსა კლდესა ზედა, მოზღუდვილ კლდითავე და შეუვალი კაცთა, მყინვარის კალთასა ზედა“).

და ეს ხდება, არც მეტი და არც ნაკლები, ერთი ქალის, ერთადერთი ქალის გულისათვის! იგი ქართველებს შეუპყრიათ და არშის ციხეში ჰყოლიათ გამოკეტილი.

ვინ იყო ეს ქალი, ესოდენ ძვირფასი, ვისი გულისთვისაც მარადის ომგადახდილი ყიზილბაშები თოთხმეტი ათასი კაცის დაკარგვას არ ეპურებიან და ისევ საფრთხეში იგდებენ თავს; იქით მიეშურებიან, სადაც მათ მოდგმას აქამდე არასოდეს დაუდგამს ფეხი და სადაც შურისძიების წყურვილით აღსლულ ქართველებს ძალუქტ მახეში გააბან.

ვინ იყო ეს ქალი, ესოდენ ძვირფასი, ესოდენ ცისფერი?

ერთი რამ უეჭველად ვიცით — ის იყო მეუღლე ქართველი თავადის ანდუყაფად ამილახორისა, რომელსაც ამ არეულ-დარეულ დროში ყიზილბაშთა მხარე ეჭირა და, მარტყოფ-მარაბდის მიუხედავად, თითქმის საყოველთაო ფეხისხმას არ აპყოლია; როგორც იტყვიან, თავის პრინციპებს არ ღალატობდა. ანკი სხვაგვარად როგორ უნდა მოქცეულიყო, თუკი განგებამ იმით გაბეჭდიერა, რომ XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსის, ენაწყლიანი ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, „ყაფარ ამილახორის დაი თამარი შაჰაბას ყაენს ცოლათ ჰერანდა და ნამეტნავად უყვარდა“.

მაგრამ საფიქრებელია, რომ შაჰ-აბასის საყვარელი ცოლის დვიძლი მის ცოლობა საკარისი არ იქნებოდა არშის ციხეზე სარისკო ლაშქრობის მოსაწყობად.

არა, ძალის თავი სხვაგან უნდა იყოს დამარცხული. დიახაც, თავად ცოლი ანდუყაფარ ამილახორისა იქნებოდა იმდენად ფასდაუდებელი არსება, რომ მის დასახსნელდა ქართველთა ტყვეობიდან, ცხადა, სეფიანთა ხელმწიფის ბრძანებით, თორმეტი ათასი კაცი დაიძრა.

ქართული წყაროების (არჩილ მეფე, იოსებ ტფილელი, ბერი ეგნატაშვილი) მიხედვით, ეს ქალი იყო თვით შაჰ-აბასის შვილმემილი, რომელიც, არჩილ მეფის სიტყვით, „ურჩევნია თავის ძებსა“, იოსებ ტფილელი კი ასე ამბობს: „თვალად ტურფა და კეკლუცი, თმა მოგრძო, ამბარ ხშირია“.

მაგრამ ისქანდერ მუნშის ცნობით, ანდუყაფარ ამილახორის ცოლი, დატყვევებული არშის ციხეში, იყო ასული იმაბყული-ხან უნდილაძისა, შირაზის ხანად რომ იჯდა და, ევროპელ ავტორთა მტკიცებით, „მეორე მეფედ“ ითვლებოდა სეფიანთა ირანში.

ამსვე გვაუწყებს ზემოხსენებული ფარსადნ გორგიჯანიძე: „იმანყული ხანის ქალი ანუ ყაფარ ამილახორის ჯალაბი არშის ციხეში იყო. ყაენის ბძნება მოუვიდა, საერისომშე შედითო და იმანყული ხანის ქალი ნამოიყვანეთო და ჩვენთან გამოგზავნეთ“. ამ შემთხვევაში უპირატესობა, ალბათ, უნდა მივანიჭოთ სპარსელ ისტორიკოსსა და მასზე დიდად დამოკიდებულ გორგიჯანიძეს. აბა საიდან დაესიმრებოდათ შირაზის ხანის ასული, თუკი შაჰ-აბასის შვილმემილი იყო

არშის ციხეში, როგორც ქართველი ისტორიკოსები გვარწმუნებენ. ამგვარი შეცდომის ახსა ძალზე რთულია და თითქმის ნარმოუდგენელი. ხოლო ქართული წყაროების შესაძლებელ შეცდომას უფრო იოლად მოევლება. საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოში იმხანად მართლაც იმყოფებოდა ხელმწიფის შვილიშვილი (ჯაპანბანუ ბეგუმ), ცოლი გამაპმადიანებული ქართლის მეფის სკიმონისა. მას, ხუთი წლის შემდეგ, ქმარს მოუკლავენ და ლტოლვილის ხვედრს იწვევეს. ადვილი დასაშვებია, რომ გვანდელი პერიოდის ქართველ ავტორებს არშის ციხეში გამომწყვდებული ქალი ზემოხსენებულ შვილიშვილთან გაეგივებინათ ანდა, არც ესაა გამორიცხული, ასე ქვირად შეფასებული ტყვე ქალი შაპის შვილშვილი ჰყონებოდათ (ჯაპანბანუ ბეგუმის ანალოგით).

ასეა თუ ისე, ამ ქალის ნარმომავლობის გარკევეა, არსებითად, მეორეხარისხს საკითხია. ხელმწიფის შვილიშვილი იქნება თუ მისი უახლოესი დიდმოხელის ასული, ფასი იოტის ოდენადაც არ შეეცვლება.

მაშ ეს გამოცანა ამოუხსნელად დავტოვოთ და ყიზილბაშთა ლაშქარს გავყვეთ არშის ციხისეკ მიმავალ გზაზე.

ქართულ წყაროთა ერთობლივი მოწმობით, ისა-ხან ყორჩიბაშმა, ყიზილბაშთა ლაშქრის მთავარსარდალი რომ იყო მარაბდის ოში, იქაურობის ბატონ-პატრონს, ზურაბ



არაგვის ერისთავს შეუთვალა: გზა მომეცი, ჯარს გავგზავნი, ფიცს გაძლევ, შენს მამულს არა ვაწყინო რამეო, იმ ქალს გამოვიყვან და უკან გამოვპრუნდები; ოლონდ თქვენც შემომფიცეთ, რომ ჩემს ლაშქარს თქვენს მამულში თქვენგან არაფერი ევნოსო. ზურაბ ერისთავმა ყორჩიბაშს საფიცარი მისცა: გზას დაგანებებ და არას დაგიმარცხებო, შევლით ჩემს მამულზე შეარეთ და ჩამოვლით ქსანზე წამოდითო, რომ ჩემი საბრძანებელი არ აიხრდესო.

ყორჩიბაშმა არშის ციხის ექსპედიციას სათავეში ჩაუყენა ქართლის ბაგრატიონთა ნაშიერი ხოსრო მირზა (ანუ როსტომი, მომავალი მეფე ქართლისა), „ნარვიდენ, შევლეს და გამოვიყვანეს და გარდმოვლეს ლომისა და ენებათ ქსანზე ჩამოვლა“.

ამასობაში გიორგი სააკაძემ, იესე ქსნის ერისთავმა და ზურაბ ერისთავის ძმიამ გიორგიმ პირობა დადას, გზები შეერათ ქსანზე და თავს დასხმოდნენ მტერს.

ყიზილაბეგი ლომისას რომ გამოსცდნენ, გიორგი ერისთავი უკან დაედევნათ. სააკაძე და იესე ერისთავი „ნინ დაუსვედენ გამოქცეულთ, ანყვეინეს მათ მშობელი“. მეფე-პოეტი არჩილი ამბობს ამას და დასხენს: „სისხლთა მათთა მონადენთა სამ დღე ქსანი შეეღება“. იოსებ ტფილელიც გვამცნობს: ქსანი შეიქნა იორ კვირას სრულიად სისხლის ფერადო... და ხევები მძმორით ავსებულა.

ქსანზე დაიღუპა აზერბაიჯანის ანუ თავრიზის ბეგლარ-ბეგი შაპბენდე-ხანი, ვისაც მარაპდის იმდი გმირი უნდა ვუნიდოთ, ვინაიდან სნორედ მან გადაწყვიტა ომის ბედი, როდესაც დასვენებულ ჯარი (ჩასაფრენული თუ გვაინ მოსული) მიაშველა დასამარცხებლად განწირულ ყიზილაბეგის.

ზურაბ ერისთავი, თავისი საფიცარის გამო, ქსნის ხეობაში არა ყოფილა. სულითა და გულით იქ იქნებოდა, მაგრამ სიტყვა არ გაუტეხია და პირხათელი დარჩა ლვთისა და სეფიანთა ხელმწიფის წინაშეც.

ის ქალი სადღარა, ესოდენ ძვირფასი?

„ქართლის ცხოვრება“ ასე გვპასუხობს: „და მაშინ კარგად იყო ხოსრო-მირზა; ხოლო ქალი ვერ ნაართვეს, სხვანი ჯარნი და სპანი ამოსწყიოტნეს და სულად ნაართვეს სალარო და ბარგი. მოვიდა ხოსრო-მირზა და მოიყვანა ქალი ყორჩიბაშთანა“. და კიდევ ერთი საყურადღებო ცნობა:

გიორგი სააკაძე, იოსებ ტფილელის პირით, გვაუწყებს: „ყაზახის ხანი შევიყარ, არ მოვკალ, იქ დაგაბია“ და ფარსადან გორგიჯანიძე ადასტურებს: „შაპბანდა ხანი მოკლეს და ყაზახან შირვანის ბატონი ცოცხალი დაირჩინეს“. მორივე ცნობაში, რასაკვირველია, იგულისხმება ერთი და იგრევ პირვენება, სახელდღობრ — მარტყოფში დაღუპული იუსუფ-ხანის ნაცვლად შირვანის ბეგლარბეგად დანიშნული ყაზახ-ხანი, ნარმოშიბით ჩერქეზი, მონაწილე მარაბდის ომისა.

პრეიინვალე სამეული

ისქანდერ მუნშის „შესანიშნავ და საუცხოო თხზულება-ში“ (როგორც ახასიათებდა ივანე ჯავახიშვილი) საქართველოს შესახებ დამოწმებულ აურაცხელ ცნობებს მორის მიმალულა ერთი უაღრესად საინტერესო და მრავლისმთქმელი ცნობა, რომელიც ლაშქრობათა და ბრძოლათა ფეხდა-ფეხ გაყოლისა და გულის აყოლის გამო შეიძლება გამოგრ-

ჩეს კიდეც, როგორც ბობოქარ თავგადასავალთა ბალნარის კუნძულში მიყუჟული შეუხედავი ჩირგვი.

სპარსელი ისტორიკოსი მოვითხოვთ: „დიდებული ხანები და ძლევამოსილი მეომრები დანიშნულ ადგილს გაეჩქარებ ძნელი გზით, ციხის ძირს მივიდნენ და გარს შემოადგნენ. მეციხოვნეთა როცხვი უმნიშვნელო იყო. ისინი დათანხმდნენ, რომ აბდულ-ალაფარის ჯალაბობა გადმოეცათ და ყიზილბაშების ძლევამოსილი ჯარი გაბრუნებულიყო და არაფერი ევნოთ ციხისათვის“.

და აი, მოჰყვათ ანდუყაფარ ამილახორის ცოლი და გულარხენად მოჰყვებიან გზის თბილისისაკენ.

ისქანდერ მუნში კრინტსაც არა ძრავს ყორჩიბაშისა და ზურაბ ერისთავის ფიცზე, ერთიმეორეს არაფერს ვერჩითო, სამაგიეროდ დაზრილებით აღწერს ქსანზე გამართული ბრძოლის პერიპეტიტებს და ამ აღწერილობიდან ჩევნოთვის ყველაზე საგულისხმო ის არის, რომ შაპბენდე-ხანს „თანადგომისა და ამხანაგბის წესების“ შესრულება საჭიროდ არ უცნია და მიუტოვებია საფრთხეში ჩავარდნილი „მამაცი და გამოუცდელი“ ყაზახ-ხანი, რომელიც ქართველებს ტყვედ ჩაუგდიათ.

ჰოდა, იმ მიყუჟულ ჩირგვასაც მივადექით:

„ყაზახ-ხანი ქართველებმა ცოცხალი წაიყვანეს. თეიმურაზმა, მოურავმა და ზურაბ-ბეგმა, რომელნიც მასთან ნაპურმარილევი იყენენ, შპეს კარზე ყოფნის დროს, არ ისურვეს მისი მოკველა და მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ“.

აი, ასეთი უნიკალური ცნობა შემოუნახავს სპარსელი ისტორიკოსის თხზულებას ჩევნი წარსულის ერთი უპრეცედენტო მოვლენის შესახებ.

რომელი ერთი დავარქვათ: გასაკვირი... საოცარი... უჩვეულო... გაუგონარი... განებერებელი?

ათაში ერთია და სწორედ ეს ანიჭებს თავისებურ ხიბლს და, თავისი რეზონაშით, უთუოდ, აღემატება სტერეოტიპებს, თუნდაც უფრო პოპულარულსა და მნიშვნელოვანს ქვეყნის ბედ-იღბლისათვის.

ისტორიის ავანსცენაზე უბრალო ადამიანური გრძნობები გამოსულან დიდი და წმიდათანმიდა ცნებების გარემოცვაში.

და ვინ არიან ამ მოვლენის შემოქმედნი? ვინა და „პრეწინვალე სამეული“ — თეიმურაზ პირველი, გიორგი სააკაძე, ზურაბ არაგვის ერისთავი — წილად რომ ხვდათ ყოფნა და გარჯა ჩევნი წარსულის, შეიძლება ითქვას, ყველაზე ტრაგიულ მონაკვეთში.

როდესაც კითხულობ ამ მოულოდნელ ამბავს, ჯერ უნდა წარმოიდგინონ დასახელებულ პერსონაჟთა ასავალ-დასავალი, მათი ფიცები, მათი გულისხმები თვალისწილები. ერთი სიტყვით, იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდე, როგორც გვმოძლვრავდა ილია, და იმდროინდელი ადათ-წესებით განიკითხო იმ დროების შვილნიცა.

და კურთხეულ სამყაროში, სადაც ყველაზე საჭირობო-ტო საქმენი წყდება, სადაც უფლის თვალი ზომავს ყველ სიტყვასა და ყოველ ნაბიჯს, სადაც ღრუბლები რაღაც მიუწვდომელ ჩურჩულებებს და ქარიც მხოლოდ განმენდილ განცდებს ელოლიავება, უეცრად შემოქრილა ეს უბრალო, მიწიერი და უაღრესად ადამიანური მოტივი — ნაპურმარილევი იყვნენ. თითქოს უბრუნდებიან პირველქმნილ უმანკოებას, თითქოს ეს-ესაა აიდგეს ფეხი, პირველად გაიარ-გამოიარეს ბალაზე, პირველად შეავლეს თვალი მზეს და ვარსკვლავებს.

სასიკვდილოდ როგორ გაიმეტებენ კაცს, ვისთანაც ერთად გუშინ და გუშინ სუშინინ სუფრას უსხდნენ, სადლეგრძელო-

უჩვეულო რაკურსით

ებით ამკობდნენ ერთმანეთს, განა ყალბი იყო ის სადლეგრ-ძელოები, განა აზვიადებდნენ ურთიერთგაგებას, ანაზდად რომ იბადება ხოლმე, „როდესაც ძლიერს ხვდება ძლიერი“. გახსენება სუფრისა, თავისი მომაჯადოებელი პარმონის გამოისობით რომ ჩატეჭდილა მესხიერებაში, ყველას-თვის მომხიბლავი თავშექცევა, მაგრამ ქართველი კაცი-სათვის, ეროვნულ თავისებურებათა შესაბამისად, სხვგბზე ცოტათი უფრო მომხიბლავი.

სადლეგრძელოში ნათქვაში ძმობა სხვაგვარად როგორ უნდა დაემტეაცებინათ?

დღისაც გასაოცარია ქსნის ხეობაში იმ მეგობრული კვანძების გახსენება, ისპაანში რომ გაუბამთ და ასე მარტივად ევრ განვდებოდა, თუნდაც ზურგსუკან სისხლისმღვრელი ომის ურუანტელი ტრიალებდეს. ორმოცი დღეც არ გასულა და ბრძოლის ველი, ალბათ, დაუმარხავი ცხედრებით არის მოფენილი.

და განა უზენასი წეტარების წუთი არ დგება, როდესაც სიცოცხლეს აჩუქებ ტყვედრაგარდნილ მტერს? განა არის ამქვეყნად იმაზე დიდი ბედნიერება, რომ გადაივიწყო წარმაგვალ გრძნობათა სისასტიკე, დაამსხვრიო შეუწყნარებლობის ბორკილები და იშვიათი დიდსულოვნების ნიმუშად დარჩე მატიანის ფურცლებზე, მომავალ თაობათა სახელმძღვანელოდ ამეტყველდე?

ბრწყინვალე სამეული...

ეს ის გმირება, რომელთა საქმებს არ შეიძლება შაბლონური საზომით მიუდევ და გულცივი განსჯის ჩეირკე-დელაბას მიჰყო ხელი. ისინი იმდენად დიდებული არიან, სხვათაგან იმდენად გამორჩეულნი, რომ ცოდვებიც მიეტევებათ და შეცდომებიც (ან კი ვინ არის ამქვეყნად უცოდველი და უცდომელი?); და, არჩოლ მეფისა არ იყოს, „არ არის ცოდვა ასეთი, წყალობას სძლევდეს უფლისას“.

მერე-რა, რომ ამ ამბიდან ცოტა ხნის შემდეგ ზურაბ ერისთავი თავის ძმას, ზემოხსენებულ გიორგის, თვალებს დათხრის (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით), ვინაიდან დაასმინეს, თავად ნებავს ერისთაობა, მოკვლას გიპირებსო. ზურაბმა, უნდა დავისაწროო, „შეიძყრა გიორგი და აღმოხადნა თვალინი“.

მერე-რა, რომ მომდევნო წელს გიორგი სააკადე ბაზალეთის ამის შემოქმედად მოგვევლინება და ისმალებს მოინკვევს თეიმურაზ მეფის დასამხობად, მაგრამ თვითონვე დაემსობა ძმათამკვლელ ომში.

მერე-რა, რომ მერე ზურაბი აუჯანყდება თავის სიმარს, იმავე თეიმურაზს. ჩანს, თავისი სიძისგან, სააკადის-გან, ბაზალეთში თავპედი რომ აწყევლინა, გადასდებია „უგვირგვინო მეფობის“ წყურვილი.

მერე-რა, რომ ამის შემდეგ თეიმურაზი განწირავს შემორიგებულ ზურაბს, აღარც მისი ნამსახურობა გაახსენდება, აღარც მოყვრობა და მუხანათურად მოაკვლევინებს სუფრაზე, საფურცლები.

იტყვით, განა ერთმანეთთან ნაპურმარილევი არ იყვნენ? იყვნენ და მერე რამდენჯერ!

რას იზამ, სე ლა ვი, როგორც ამბობენ ენაგონებამახვილი ფრანგები.

ცხოვრება ჩვენი სუსხიან ზამთარს უფრო ჰგავს, ციმბირში რომ იცის, ვიდრე ტროპიკულ სამოთხეს და მართლაც ოქროს ფასი აქვს იმ წუთებს, მზე რომ გამოკრთება მოყინულ ცაში და სულს გაგითბობს. კაცობრიობის ისტო-

რიაში ამგვარ წუთებს უწოდებენ ვარსკვლავიანს. გნებავთ კაშკაშა თქვით, თვალისმომჭრელი და იშვიათი.

იმ წუთებს უნდა დავუკევირდეთ, ის ხანმოკლე ქამი უნდა შევაქოთ, როდესაც ისინი ერთად იყვნენ, ერთმანეთს მხარს უმშვენებდნენ, ერთი ყველაზე დიდებული მიზნისათვის იბრძოდნენ: მარტყოფიდნ — მარაბდამდე, მარაბდიდან — მანამდე, ვიდრე ბაზალეთი დადგებოდა, ანუ 1625 წლის გაზაფხულიდან 1626 წლის შემოდგომამდე.

განა ცოტა წელიწადნახევრის სიამტკბილობა?!?

განა კალენდრის კანის ემორჩილება ეს ბრწყინვალე წუთები, ულიმლამ წლებს რომ სძლევს და აქარნყლებს. ბრწყინვალე წუთები ბრწყინვალე სამეულისა და თვალნარმტაცი პერსეპტივები, რომელთაც ასრულება არ უწერიათ, რადგანაც „უჩემოთ ვინ იმდერეთა?“ ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი — ერთსაც, მეორესაც, მესამესაც... ჭეშმარიტი ქართველები არიან.

3აზკაცობისას ამბობენ

ნაპურმარილევი იყვნენო... აქ შეუძლებელია, არ გაგახ-სენდეს ვაჟასეული „ვაჟაცაცობისას ამბობენ, ერთურთის დანდობისასაც“.

ბრწყინვალე სამეულიდან არც ერთს არ ესანავლებოდა ვაჟაცაცობა. არაერთხელ დაუმტკიცებიათ სისხლისმღვ-რელ ბრძოლებში.

მარაბდამდე ათიოდე წლით ადრე, ფარსადან გორგიჯანიდის სიტყვით, „ალიყული-ხანს მოახსენეს: ბატონს თეიმუ-რაზს უბრძანებია, ხვალ ხრმლით ვავივლიო“. შეუსრულება დანაპირები და ჩვენში „სპარსოფილად“ მონათლული ფარ-სადანი აღტაცებით წარმოოქმნას; რა კვეყნა დაარსებულა, ქართველთ ამის უკეთესი გამარჯვება არ უქნიათ.

ან კი ამაზე დიდი ვაჟაცაცობა ვის დასიზმრებია, როდესაც მარაბდის ველზე დიდი მოურავი უმუზარადოდ გადის საომ-რად — ყიზილბაში მაცნობებს და თაგზარი დაეცემათ.

სწორედ ვაჟაცაცობა ზურაბ ერისთავისა იყო იმის მიზე-ზი, რომ სამკედლო-სასიცოცხლოდ გადამტერებულ ფშავ-ხევსურეთში ასე ამკობდნენ: სადაც კი წახვედ საომრად, სუყველება გაიმარჯვეო. და როცა დაიღუპება, საყვარელი გმირივით დაიტირებენ.

არასოდეს აგონიდებოდათ დავით ლაშას ძის (მონღოლებ-მა ულუ-დავითი რომ უნდოებს) ამაყი დევიზი: „არა არს წესი ჩვენ ქართველთა, უკეთუ ვიხილოთ მტერი ჩვენ ერთ მომა-ვალი, შეუბმელად ზურგი შემოვაქციოთ, დალათუ იყოს სიკვ-დილი“.

ოდესლაც ასეთი პქონდათ ბუნება — სიკვდილი ერჩივ-ნათ შერცევენას.

ამას ვაჟაცაცობა ჰქვია, ხანდახან უანგარიშოც რომ იყო, გაუმართლებელი, არაფრის მომტანი.

ამასაც ვაჟაცაცობა ჰქვია — ცოცხლად დატოვება ტყვედ ჩავარდნილი მტრისა, რომელსაც გუშინ ერკონ-ბოდნენ მარაბდის ველზე და მწარე დამარცხება იგმენს.

რა ადვილი იყო, ახლა გაესწორებინათ ანგარიში. ამას არავითარი ძალისხმევა არ სჭირდებოდა. უიარაღო, უმწეო მტერი ჰყავდათ ხელთ და შეეძლოთ, რომ ყიზილბაშთა და-უცხრომელი ჯავრი ეყარათ ერთ კაცზე, ერთ-ერთი რჩეულ სარდალთაგანი რომ იყო საძულველი მტრისა. მაგრამ, რა-

საკვირველია, ამგვარი შურისგება ფიქრშიც არ გაუვლიათ.

ნამდვილად გაგახსენდება ჯოყოლა და ზეითადაური, ვაჟაუაცობისა და ერთურთის დაწყობის ამბავს რომ ამბობენ. ოღონდ განსხვავება ისაა, რომ ვაჟა-ზეაველას გმირები, ამ ეპიზოდში იმქვეყნიდან მოვლენილი ფარ-ხმალიანი აჩრდილები არიან, ხოლო ბრწყინვალე სამეული და ყაზაყ-ხანი — ამქვეყნად მყოფნი, ცოცხალნი და სალ-სალამათი.

და კიდევ ერთი, უფრო თვალსაჩინო განსხვავება: ჯო-
ყოლა და ზვიადაური, როგორც თვით ვაჟა გვაუწყებს, მის
მიერ შეტბზული პერსონაჟები არიან, რომლებიც განასახი-
ერებენ პოეტის სულში აღმოცენებულ ოცნებას, ვაჟაცო-
ბისა და ერთურთის დანდობის შესაბურ აპოთეოზს. ეს ვა-
ჟას შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფია, ოცნება არნა-
სულსა და არარსებულზე, სიზმარივით აუზდენელი ოცნე-
ბა. რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, რომ ამგვარი
რამ სინამდვილეშიც მომზდარიყო, ეგებ შორეულ ნარსულ-
ში მაინც, მაგრამ ულმობელი ფაქტი ისაა, რომ ვაჟა მხო-
ლოდ შურისძიების რიტუალსა და ზვიადაურის შეუდრე-
კელ სიმამაცეს უთითებს თავისი შთაგონების, თავისი პოე-
მის დაბადების წყაროდ. და ორიოდე სიტყვით გადმოგვ-
ცემს იმას, რაზედაც აუშენებია „სტუმარ-მასპინძელი“.

ხოლო ჯოყოლა, აღაზა, გლოვა ზეფადაურისა და სსვანი და სსვნი — „ყველა ეს ავტორის ბრალია, მისი ფანტაზიის ნაკოდებითარი“.

რა გასაკვირია, თავის უბადლო ნაწერზე „ნაცოდვილარი“ ეთქვა იმ კაცს, რომელიც გვარშმუნებს: „პოეტად ვიხსენიება, თუმცა ხარი ვარ ლაპაო, ჩემისთანები ბაგებზე ასი, ათასი აბაო“.

და რაც ვაჟას ენატრებოდა, ეოცნებებით და, ეზმანებოდა, აუზდებელ სიზმრად ევლინებოდა — აი, აგერ მიჩქმა-ლულა სპარსელი ისტორიკოსის თხზულებაში. თურმე სი-ნამდვილეში არსებობდნენ ისნი — ჯოყოლას და ზვალა-ურის ჭეშმარიტი პროტოტიპები. ალბათ იტყვილნენ კიდეც სადღეგრძელოებად, ქსნის ხეობაში, ვაჟებაცობისა და ერთურთის დანდობას, როგორც მანამდე არაერთხელ უთქ-ვამთ ისპანები. ნაპურმარილევი იყვნებო — მაშ მხოლოდ ჭამა-სქამას ხომ არ ნიშნავს!

ასე რომ, „სტუმარ-მასპინძელი“ მარტოოდენ, „მისი ფანტაზის ნაცოდვილარი“ როდი გახლავთ. ეგებ ჩვენთვის მიუწვდომელი წვდომაა დიდებული პოეტისა, წარსულის წყვდიადში ჩაკარგული მარგალიტი რომ ელანდება. სხვას რომ თავი დავანანდოთ, ვაჟა ხომ ჩვენზე ერთი საუკუნით ადრე ცხოვრობდა და ჩვენზე მეტად ჰქონდა გაბმული დროთა კავშირის ძალები იღებალებით მოკულ წარსულთან.

P.S. ისქანდერ მუნში გვამცნობს ყაზაყ-ხანის შემდგომ ხევდებაც: „რამდენიმე ხის შემდეგ დრო იხელთა, რამდენიმე მცველა მოისყიდა, მათი დახმარებით გათავისუფლდა და ყიზილაბაშებთან მიივიდა. ამჟამად შირვანის ბეგლარბეგი არის ისევ“ (დახეთ, მტრის ტყვეობაში ნამყოფი სარდალი ერთი ბენზინურ თასასაცაო!).

აქვთ უნდა დაგემობროლო ფარსადან გორგიჯანიძე, რომელიც აღნიშვნას, რომ ცოცხლად დარჩენილი ყაზაყ-ხანი „ამავე ანის თროს ააპარეს“.

დაუკვირდით, განა ამბობს, გაიპარაო, არამედ — გააპარე-სო. ვითომმ მოსყიდულმა მცველებმა გააპარეს? ეგებ ისევ ისინი გაისარჯენ, მასთან ნაპურმარილევი რომ იყვნენ ანუ ბრწყინ-ვალი სამეულო „სისხლის წაიმძალ“ მონათლობილი ყაქისა.

ନୀତ୍ୟାମଳା, ମାଫଲ୍ ମାରିଗଲୋ ଉନ୍ନଦ୍ଵା ମିମ୍ବାରାର୍ଥା ଏବଂ ମରାପୁରିଅଣ୍ଟର୍‌ସିଙ୍ଗାରେ କିମ୍ବା ନୀତ୍ୟାମଳାର ଅଧିକାରୀ ଶୈଖରକାରୀଙ୍କ ଦେଇଲେ ହେଉଛି ।

ელგუჯა ბერძენიშვილი

ՅԵՒՆԱՆՑՈՐԾ „ՀԱՅՈՏՈ“

ადამიანის ცხოვრება დასაზღვრულია დაბადებასა და სიკედილს შორის მოქცეული დროით. ეს ჩვენი საკუთარი დროა. ამის იქით ვერ გავაღწევთ, მაგრამ ხელოვნება აფართოებს ამ დადგენილ სამანს, მას ყველა ოდესალაც არსებულ დროში გაცემართ, ნარსულში გვამოგზაურებს და ხსნის დასაზღვრული უამით შეზღუდულობას.

* * *

ჩვენი მეგობრის გენო გელაშვილის სახელოსნოში ხშირად ვიკრინბობდით მხატვრები, ფერმწერნი, გრაფიკოსნი, მოქანდაკენი და ხელოვანების მოსახურობები.

ზო, ორეადაცაქები და თელოვთების სოფერაულით.
სახელისნოს კედლები მოფენილი იყო უამრავი რეპრო-
დუქციით, ყოველ მისვლაზე თვალს ვერ ვწყვეტდი ვეროკიოს
„დაგითს“, ნინალუდვომელი ძალით მიზიდავდა შავთეთის,
საუცხოოდ დაღუჭებილი რეპროდუქცია, საკმაოდ დიდი ზომი-
სა და თვალსაჩინო ადგილას გამოფენილი. ეს იყო ბიძლიური
დავითი, მამაცი ჭაბუკი, მოკვეთილ თავთან რომ იდგა. მუდამ
მონუსებული ვუმზერდი ამ ქმნილებას და აი ერთ დღეს მთელი
არსებით ვიგრძენი, რომ ეს ჭაბუკი, მოხდენილად რომ იდგა,
გრაციოზულად დოინჯშემოდგმული, ვეროკიოს ულამაზესი
და უნიჭიერესი შეგვირდი ლეონარდო და ვინჩი უნდა ყოფილი-
ყო. ეს ვიგრძენი ღრმად, მთელი არსებით, ვიცანი ნაკვთად
მშვენიერი ჭაბუკი, მისი ღიმილიც მეცნო, მისი ტკბილი ხმაც
კი მომესმა, გაოგნებული შეუცემროდი თვალებში ჭაბუკს.

ରୂ ତକ୍ଷମା ଜୁନ୍ଦା ହିୟମି ମିଳିଗୁଣ୍ଡବା ଏବଂ ଗାନ୍ଧିନ୍ଦିତକୁବାଙ୍ଗେବାଳୀ. ଏହି ରାମଦିନ କଥାମାଲାରେ ମେତ୍ରକ୍ଷା, ଗ୍ରୀକ୍ ହାତବୁଲିଙ୍ଗନ୍ବନ୍ଦରେ ରିଣୀ ଗ୍ରିନ୍ଦନ୍ଦରେ ଆମିଲୀ ଫାମିଲିକ୍ରିପ୍ଶନ୍ଦା? ମେ ପର୍ଯ୍ୟନ୍ତରେ ମେ ବିପ୍ରାନ୍ତରେ ଏହି ସାହିତ୍ୟମାଲା.

წარმოსახვით ხშირად ვხედავდი ძველ ფლორენციას, „ფირენცას“ რომ უწოდებენ იტალიელები. თვალინინ მი-კოკხლიბობა ერთი სურათი. ეს იყო ანდრეა ვეროკიოს

სახელოსნო. ამ დიდ მოქანდაკესა და ფერმწერს უამრავი მონაფები ჰყავდა, მრავალთა შორის იყვნენ სანდრო ბოტიჩელი და ლეონარდო და ვინჩი.

ვეროკიოს სახელოსნო თბილი და კეთილი ოჯახი იყო. აქ ჭერში ეკიდა კაბლათი, რომლშიც საერთო ფული ინახებოდა, ვისაც დასჭირდებოდა, ყველას შეეძლო ამოელო ფული და მოქმარა, მაგრამ უავანვე აუცილებლად უნდა დაებრუნებინა (წარმოგიდგენიათ, ჩვენს დროში რომ ყოფილიყო, ცარიელ კალათასაც კი არ დატოვებდნენ).

ერთხელ ვეროკიოს ესტუმრნენ ხელოვნების ქომაგნი, ესენი იყვნენ თავის ქალაქზე მზრუნველი ადამიანები, მათი წყალობით იყო ფლორენცია ქალაქთა შორის ულამაზესი, თავისი პალაცობით, ტაძრებით. მდინარე არნოზე თაღოვანი ხიდებით და ქანდაკებებით რომ ხიბლავდა არა მხოლოდ უცხოელებს, არამედ იტალიის სხვა ქალაქთა მკვიდრთაც.

ამ სახელოვანმა მოქალაქეებმა მოიკითხეს დიდი მოქანდაკე და ბიბლიური „დავითის“ ქანდაკება შეუკვეთეს; ჭაბუკისა, რომელმაც ორთაბრძოლაში დაამარცხა გოლიათი, შურდულით მოკლა და თავიც მოკვეთა.

მე ვხედავ, როგორ ზის მარტო ოსტატი, ღმადა ჩაფიქრებული და გონების თვალით დაეძებს დავითისა სახებას.

აი თვალს მოავლებს შეგირდებს და უცწრად შენიშნავს ულამაზეს ჭაბუკს და მშვენიერებით გულშერული თავისთვის ამბობს: „აი ვინ იქნება ჩემი დავითი!“

ჭაბუკი ილიმოდა.

დიახ, მშვენიერება დაამარცხებს ბოროტებას!



ვეროკიო

დავითი

რაც მეტი დრო გადიოდა, მით უფრო მჯეროდა ჩემი ხილვის სიმართლე. ჩვენი ტკბილი მეგობრის სახელოსნოში ხშირად ვიკრიბებოდით მეგობრები, განოს კარგი წიგნები ჭერნდა, ძვირფასი გამოცემები, რაც იშვიათობა იყო იმ უზიგნურ დროში. ამ საუცხოო გამოცემებს რომ გვათვალიერებინებდა, წინასწარ საპნით გვაბანინებდა ხელებს. ერთხელ სიტყვა ჩამოვარდა ვეროკიოს „დავითიზ“, რომლის შავ-თეთრი რეპროდუქცია თვალშისაცემ ადგილას ეკიდა სახელოსნოს კედელზე. ყველანი აღტაცებით ლაპარაკობდნენ ვეროკიოსა და დონატელოზე, მერე შეკამათდნენ. ამ დროს კი მე გულში ვამბობდი: თქვენ რა იცით ვეროკიოს საიდუმლომეთქი, — და როცა კამათი დამთავრდა და სიჩუმე ჩამოვარდა ხმამაღლა განვაცხადე: ვეროკიოს „დავითი“ ლეონარდო და ვინჩია!

ყველამ გავეირვებით შემომხედა, მერე ვეროკიოს „დავითის“ რეპროდუქციას მაჩერდნენ, როგორც ცხვრები ახალგადალებილ ჭიშკარს.

შევამჩნიე, სიცილს ძლივს იკავებდნენ, მერე მკითხეს: რა იცი?

* * *

ხომ ცნობილია რომ ლეონარდო და ვინჩი, ყველა სიკეთესთან ერთად, ასე უხვად რომ მიენიჭებინა მისთვის ბუნებას, მთელს იტალიაში ულამაზეს კაცადაც იყო მიჩნეული, განცვიფრებაში მოდიოდნენ მისი მხილველნი, როცა ძვირფას სამოსელში გამოწყობილსა და ბედაურზე ამხედრებულს დაინახავდნენ — ასე დავიწყე თხრობა და მღელვარებით განვაგრძე:

— შეხედეთ ამ ჭაბუკს! ვის შეეძლო ასე დამდგარიყო? ასე მოხდენილად და გრაციოზულად? რა ლამაზად შემოუდგამს დონჯი და ყველა თითებისგან განსხვავებით ოდნავ მაღლა ანეული ნეკი ნატიფ მშვინირებას მატებს ამ დახვეწილ ქანდაკებას, ანდა ნახეთ მისი სინორჩით აყვავებულ, სისხლჭარბი სიცოცხლით სავსე სახის ირგვლივ როგორ ეშვება შუბლზე გაყოფილი, ჩამოვარცხნილი თმა, ოქროს ზოდებივით მძიმე და მრგვალი კულულებით რომ მთავრდება და ყურებს ქვემით გარს ევლება მის ჭაბუკურ კისერს. ანდა სახის ნაკვთებს დააკვირდით, ანდა თვალის უპეებს, ქუთუთოებს, ნატებს ქვემოთ რა საყარლად აქვს ნაზი კანი შესიებული, ვინ იქნებოდა ფლორენციელ ჭაბუკთა შორის ულამაზესი და მომხიბელელი, თუ არა ლეონარდო, იმიტომ, ჩემო მეგობრებო, რომ თუ მთელს იტალიაში ულამაზეს კაცად იყო მიჩნეული, სიყრმისას რაღა იქნებოდა?

— აი ასეთი იქნებოდა! — ვთქვი და საჩვენებილი თითო გავიშვირე ვეროკიოს „დავითისკენ“.

— ვთქვათ, ეგ ყველაფერი სიმართლეა რასაც ამბობ, მაგრამ რა შუბია აქ ლეონარდო და ვინჩი, — ჩაიცინეს ჩემმა მეგობრებმა, — საიდან მოიტანე ეგ ზლაპარი?

* * *

აი აქედან — ვთქვი და გულზე ხელი დავიდე. — დააკვირდით ამ ავტოპორტრეტს. ეს მოხუცი ლეონარდოა, მეთითი მივადე სანგინით გენიალურად დახატულ ლეონარდოს ტურინისეულ ავტოპორტრეტს; ახლა ვეროკიოს დავითს შეხედეთ, ახლა წარმოსახვით ეს ბრძენი მოხუცი, რომელსაც ღრმად შეუცვნია წუთისოფლის ამაოება, გაახალგაზრდავეთ, განა ვეროკიოს ჭაბუკ „დავითი“ არ მივიღებით?

— არ შეიძლება, თავში რაც მოგვივა, ყველაფერი თქვა, რასაც შენ ამბობ, ეს ხომ მტკიცება არ არის. ყველაფერი ეს შენი სიზმარია და მხოლოდ შენთვისაა გასაგები. ეს შენი შინაგანი წარმოსახვებია და მეტი არაფერი, ფანტაზიის უნაყოფო ჩვენებანი.

მივხედი, რომ ენა ვერ გამოთქვამდა ჩემს ნაგრძნობს, ისინი ღიმილით შემომცეკვროდნენ.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა ეს ხომ მეცნიერული მიდგომა არ არის, მეგონა მხატვრებთან მქონდა საქმე და თურმე მეცნიერები ყოფილხართ. არა, თქვენ არასოდეს გიხილავთ ფლორენციის ქუჩაში მომავალი, მხიარულად აუდურტუნებული ვეროკიოს შეგირდები და მათ შორის ლამაზი ყრმა, გამორჩევით მშვენიერი ლეონარდო.

* * *

გავიდა დრო და ჩვენი ცხოვრება შეიცვალა, ჩვენ დროს ყოველი ახალი წიგნის გამოჩენაზე დიდ მოვლენად იყო მიჩნეული, ახლა უძვირფასესი გამოცემები დახმარებომ აღარ ეტევა, ასფალტზე ყრია და ისეთი ფასი ადევთ, რომ ვერასოდეს ვერ შევიძინო მხატვრები. შემოვიდა და გამრავლდა უცხოური უურნალ-გაზეთები. ჩვენი ინფორმატორი ისევ გენო იყო. და აი ერთხელ გენოს მივაკითხე სახელოსნოში, დიდიხანია არ მენახა და ვინახულებ-მეთქი. კარი გამიღო და ვხედავ, რა-დაც უცნაურად თუ ორაზროვნად იცინის უხმოდ.

— კარგ დროს მოხვედ, — თქვა გენომ, — სწორედ შენზე ვფიქრობდი.

მე თვალი მოვკარი მაგიდაზე გადაშლილ უცხოურ გა-ზეთს, ამას იმით მივხვდი, რომ სათაურები მწვანედ იყო დაბეჭდილი. დავხედე გაზეთის გაშლილ ფურცლებს და დაინიახე: ერთმანეთის გვერდიგვერდ დაბეჭდილი ვეროკიოს „ნმინდა გიორგი“, „ნათლისლება“ (ამ ფერნერულ სურათში ერთ-ერთი ანგელოზი ყრმა ლეონარდოს მიერ არის შესრულებული, ერთხელ როდესაც ვეროკიოს საქ-მეზე უხმეს, ოსტატმა ფუუნჯი გადასცა თავის ნიჭიერ მო-ნაფეს, ყრმა ლეონარდოს და უბრძანა, მცირე მონაკვეთი ფრთხილად შეევსო უკვე გამზადებული სალებავით, ისე, რომ მონიშნულ ზღვარს არ გადასცდენოდა. დაბრუნდა ვეროკიო და გაოცდა, უზადო ისტატობით შესრულებული ანგელოზის ფრაგმენტი დახვდა სრულიად დამთავრებული). გული შემიქანდა, როცა ვეროკიოს „დავითს“ მოვ-კარი თვალი. მის გვერდით დაბეჭდილი იყო ლეონარდოს ტურინისეული ავტოპორტრეტი... ეს რომ დავინახე და გე-ნოს ხმადაბლა სიცილი შემომესმა, უმალვე მივხვდი: ვი-ლაც მეცნიერები ადასტურებდნენ ჩემს უშუალო წვდო-მას! სახაზებით, ფარგლებით, რენდგენით, ულტრაის-ფერ სხივებით, მეტრებით, სანტიმეტრებით, მილიმეტრე-ბით იკვლევდნენ ალბათ ფერის, ლაკების ტექნოლოგიას, ადგენზენ მოდუსებს...

მე არ ვიცოდი, რა ენაზე იყო დაბეჭდილი გაზეთი და არც ახლა ვიცი. არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა ჩემთვის, რა ენერა, რას ამტკიცებდნენ, მე ვიცოდი, რომ ვეროკიომ თავისი „დავით“ ჭაბუკ ლეონარდოსაგან გამოძერნა.

გენომ ჩამოხსნა კედლიდან ვეროკიოს „დავითის“ რეპ-როდუქცია და მაჩუქა.

ახლა ეს საუცხოო რეპროდუქცია მე მეკუთვნის, ჩემს სახელოსნოში კიდია ჩარჩოში ჩასმული. ვეროკიოს ქმნილებას რომ ვუცეკრი, მესმის ჭაბუკ ლეონარდოს ნორჩი გულისცემა. მისი სუნთქვა, ვგრძნობ მის მარჯვენაში სის-ხლის ჩეფას, მესმის მისი ტკბილხმოვანი, ოდნავ წამლე-რებით რომ ხმიანობს, მშვენიერი იტალიური ენა...

ნელ-ნელა ვწყდები რეალურ დროს და გადავდივარ ვეროკიოს ხანაში... ფლორენცია — უმშვენიერესი ქალა-ქი. ხელოვნების ქალაქი (მარტო ერთ მოედანზე დგას მი-

ქელანჯელოს, დონატელოს, ბანჩინელისა და ბენვენუტო ჩელინის ქმნილებაზი...)

ფლორენციელ ხელოვანთ წესად ჰქონდათ, ვიდრე ქმნილების შექმნას დაიწყებდნენ, ნინასწარ უნდა გამოეფინათ ესკიზები, შეიკრიბებოდნენ მოედანზე ფლორენციის მოქალაქენი და მსჯელობდნენ, კამათობდნენ გამოფენილი ესკიზის გამო. ავტორს ხერილებს უტოვებდნენ, სოხეტებს უძლვიდნენ, ხელოვნებით სუნთქვადნენ და ცხოვრობდნენ ფლორენციელი (ერთხელ ლეონარდო და ვინჩიმაც გამოფინა, „ნმინდა ანას“ კარტონი. ტემპერით, სანგინით და ცარცით შესრულებული (ის ახლა ლინდონის მუზეუმში ინახება). უამრავი ხალხი შეიკრიბა და გამართეს ცხარე კამათი. ვილაცამ ხმამაღლა განაცხადა: „გადაეცით ლეონარდოს, რომ მან ხატვა არ იცის!“ სიჩუმე ჩამოწვა და როცა კვლავ განახლდა კამათი, ვიღაც ახალგაზრდმაც, მშვენიერი ქალწული რომ ახლდა გვერდით, იგვე აზრი გამოთქვა, ლეონარდომ ხატვა არ იცისო. მაშინ მის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლდა იმ კაცმა, ვინც პირველად გამოთქვა ეს აზრი. ის მიუბრუნდა იმ ახალგაზრდას და მკვახედ მიახალა: „თქვენ რა იცით, რა არის ხასატი! ან რა ნება გაქვთ, ლეონარდოს შებე-დოთ. მე მაქს ნება ლეონარდოზე ჩემი აზრი გამოვთქვა, იმიტომ რომ მე მიქელანჯელო ვარ...“

აი რა დიალოგები იმართებოდა ფლორენციის მოედ-ნებზე.

ჩვენ ვეროკიოს შედევრს ვუტრიალებთ გარშემო და აღტაცებას ვერ ვმალავთ, ისევე, როგორც ამ ქანდაკების წინაშე თავშეყრილი ძველი ფლორენციელები.

* * *

ალბათ იდგნენ ფლორენციელი ვეროკიოს ქმნილების წინაშე და საუბრობდნენ ქანდაკების ხელოვნების სიდია-დეზე, მოქანდაკის გემოვნებასა და ისტატობაზე.

(მეც ხშირად ვდავავარ მათ შორის, ზოგიერთს ვიცნობდი კიდეც, პინტურიკიოს თუ ბოტიჩელის ფრესკებიდან მდუ-მარედ რომ მესალმებიდნენ. ო, როგორ მახარებდა მათთან შეხვედრა, როცა ფურცლებს ვშლიდი და თვალს მოვკავ-დი მათ კეთილმიტილურ სახეებს. ახლაც ძალიან ხშირად ვევდები მათ და მდუმარედ ვესალმებით ერთმანეთს).

იდგნენ და კამათობდნენ ხელოვნების არსზე. როცა ვერო-კიოს „დავითს“ შეპურებდნენ, იქ არავინ იტყოდა, რომ ასეთი დახვენილი ყმაცილი ვერ შეძლებდა გოლიათის დამრცხებას.

მათთვის უმთავრესი იყო ქმნილება! ხელოვნება! მო-ქანდაკის ისტატობა.

ფლორენციაში ცოცხლობდა რენესანსული სული. ფლორენციული ნეოპლატონიზმი.

უმთავრესი იყო მშვენიერება!

* * *

ფლორენციელები განაგრძობდნენ ხელოვნებაზე საუ-ბარს.

— რა ლამაზი ყმაწილია, — ამბობს მოხუცი მოქალა-ქე, — მარტო ამისთვისაა ვეროკიო დიდი მოქანდაკე, ასე-თი ბიჭი რომ აირჩია „დავითისათვის“. ვინ არის ეს დავი-თი? თითქოს მინახავს თითქოს თვალი მომიკრავს სადღაც ქუჩაში.

პროზა

— ის ვეროკიოს შეგირდია. აი იმ ქალის ბიჭია, მარტო-ხელა, მიტოვებული რომ ცხოვრობს და შვილის სანახავად ჩამოდის ხოლმე ქალაქში.

— ბიჭი დიდებული მამის შვილი ყოფილა!

— რა ლამაზი ბიჭია.

— მაგ მშვენიერ ჭაბუკს ლეონარდოს ეძახიან.

— ერთხელ ვნახე, ვეროკიოს შეგირდები ერთად მოდიოდნენ ქუჩაში, იცინოდნენ მხიარულად, ხალისიანად, მერცხლებივთ ჭაბუკებდნენ. უეცრად დადუმდნენ. აი ეს „დავითი“ ახლა ვიცანი. ახლა მომაგრინდა, ის უეცრად მოწყდა ადგილს და ქუჩის კუთხეს ამოფარებული ქალისკენ გაიქცა. ისინი გადა-ეხვივნენ ერთმანეთი. ქალი კოცნიდა, გულში იკრავდა, ეს „და-ვითი“ კი ცრომლებს აფრქვევდა ეფერებოდა ქალს, ხელებს უკოცნიდა ტირილით. ამბობდა დედა, დედა, მე არასოდეს არ დაგივიწყებ, დედა. ქალი ულიმდა შვილს, რომელიც უკვე გარბოდა მეგობრების დასაწევად და თან მოჰკონდა დედის დაუვიწყარი ღიმილი. იდუმალი და დღემდის შეუცნობელი.

* * *

ბინდდება. ოქროსფერ ზეცაში ხმიანობს მწუხრის ზა-რები. ფლორენციელი მოქალაქენი ნელ-ნელა ტოვებენ.

მოედანს, მშვიდად მისაუბრობენ. სახლ-კარს უბრუნდებიან. მეც ვუბრუნდები ჩემს დროს. შევცქერი გენოს ნაჩუ-ქარ რეპროდუქციას და გულში მდუმარედ ვეკითხები ვე-როკიოს ქნილებას:

შენ მოქანდაკის მარჯვენამ ხელოვნების უკვდავ ქმნი-ლებად გაქცია, მაგრამ განა შენ გაქრი და მივიწყებას მიე-ცა? ვინ არის შენზე დაიდი და უკვდავი. მე ვფიქრობ, რომ ვეროკიოს დაგითი შენ ხარ, როცა პატარა იყავი და მასთან განისაზღვრებოდი. ოსტატმა შენ დაგადგა თვალი. მე ეს ვიგ-რძენი გულით, მთელი არსებით. ჩემი მეგობრები იცინოდ-ნენ, რა ზღაპრებს ჩმახავით, მათ ავანგრძებათ გული. ინტუ-იცია, ისინ აღარ უკრავენ სანთლების შექმენების კლავისისნა, არც როიალზე. ახლა სულ სხვა კლავიშებზე უკაკუნებენ თითებს. გეშმით კომპიუტერის ჩხაკუნ მელოდია? მე ვე-დარ ვხედავ სათონ და კეთილშობილურ სახეებს.

მივხედე ვეროკიოს „დავითს“ და მდუმარედ ვეკითხე-ბი: ჭაბუკო, ვინ ხარ შენ? — და გოლიათის მოკვეთილ თავთან მოხდენილად დოინჯშემორტყმული ჭაბუკი, ორ-ლესული მახვილით ხელში, მდუმარედ მპასუხობს ბაგეთა შეუძრელად, ოდენ მდვივანი გულით: მე ვიყავი ვეროკი-ოს დავითი, მე ლეონარდო, ლეონარდო და ვინჩი.

პრეზი

დაიბადა 1986 წლის 21 აგვისტოს, მოსკოვში. სკოლა იქვე დაამთავრა. შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შურნალისტიკა-პრესის ფაკულტეტზე. 1996 წლიდან აქვეყნებს ლექსებს სხვადასხვა შურნალ-გაზეთებში: „ლიტერატურული საქართველო“, „მზეაბანი“, „პოსტფაქტუმი“...

ის უკვე ოსტატია, ლირიკული ლექსის ოსტატი. მის ლექსში ყველაფერი იმდენად საწილო და ნამდ-ვილია, რომ ადგილიც კი არ ჩერება ილუზიებისა და სუბიექტური ცოორილებებისათვის. აქ ყველაფერი ისეა, როგორც ბუნებაში – რაც არის, არის უშუალო, თვითკმარი, თავისთავალი. ამიტომ გვჯერა, რომ ნამდვილია ეს პოეტური მდგომარეობა, ეს ფიქრი, აზრი, სევდა, წუხილი, ტკივილი, ოცნება.

თეკლა არშბა არშბა კონვენციური ლექსის მეტრული საიდუმლოებები არათუ იცის, არამედ ფლობს, როგორც მხატვრულ ინსტრუმენტს, როგორც პოეტურ ტექნიკას. ნიჭი და ცოდნა – აი, ორი კლასი-კური პირობა, რამაც შექმნა მისი ლექსი თავისი დახვენილი კომპოზიციით, ბუნებრივი ტონალო-ბებით, თანაბარზომიერი რიტმით, ჭკვიანი რითმებით და საერთოდ იმ მოუხელთებელი ლირიკული პათოსით, რისთვისაც გვიყვარს პოეზია.

თეკლა არშბა

საცუთო

საწუთოვ, გეყოს ცრემლები ხარებად, საკუთარ თავთან მარტოდ დამტოვე, ჩემულ ღიმილს, ნაღველი ახლავს, მაგრამ ფიქრები არ მღალატობებ, მე მათი ძეველი მეგობარი ვარ, მარტი გავიდა, ისევ დარია... ზეცამ ჩაყლაპა, შავი ღრუბელი, მითხარი, გულო, რა გიხარია? რით მოგირჩინო თვალებზე ცრემლი? მე ხომ „გრძნობათა ნასუფრალი ვარ“, მარტი დაპირდა ხეებს ყვავილებს, და რა იხილეს დილით თვალებმ, ტყემლებს და ატმებს, ვით ქალიშვილებს, ბაგეს უწვავდა მზის მხურვალება. წავა, დამტოვებს ეს გაზაფხულიც

სითეთრეს წაშლის ბრზა მოგონება, და ჩაუქრებათ თვალებს აღმური,

შენი სახელიც არ მეხსომება... „მე უშენობით, ცოცხალ-მკვდარი ვარ“.

მე, შენ და პიკასო

მე შენზე ვფიქრობდი
ღამე კი ტიროდა,
და ღალატს ხატავდა
უგონოდ ბიკასო,
მრუმე ცის ეტრატიც
შენს სახელს ხატავდა...
მე არ ვფერადობდი
ტილოზე, ძვირფასო,
და შთანთქა ყოველი
ნათელმა წამიერ,
გუაშმა დაწინწკლა

კრისტალად ცრემლები
ო, ღმერთო, დედისა
ამიხდა აღთქმა.
დამსხვრეულ ალმასებს
სათუთად ვევლები.
და ახლა მწუხრისას
შევიცან სრულიად,
რომ შენში დავკარგე
რამდენი ნატვრანი....
მე შენი გულისთქმის
ვაჟა მწყურია,
ცრემლი ვარ პიკასოს
ეტრატზე დამდნარი.

უცხო ხელი

დამის გაცვეთილ სალამურს
დილის დანამავს ცრემლები...
თვალებს გაახვევ და ფიქრით
სხვა ვინმეს მიერმდევლები.
შეგებრალება ტუჩები
ცრემლები დაგენანება...
ერთხელაც გამოიტირებ
ამ ღამის გარდაცვალებას.
და თაფლისფერი თვალების
ვერ გაიხსენებ ღიმილეთს...
ყელში ჩაგრძელება სურვილი
და ჩუმად გაიტკივილებ.

ნავიდა

მე ვიცი წავალ, მე ვიცი
წავალ...
რადგანაც სენი ბობოქრობს
ჩემში,
და ქარის წაცვლად და
წვიმის თქეშის,
მე მონატრებას დავტოვებ
შენშიც,
ან შემოდგომა იქნება
ირგვლივ,
ანაც მარტისთვის სადარი
სუსხი,
შენ წუ დაიწყებ მოთქმას
და ტირილს,
რადგან ეული, სიხარულს
უცდი.
ის მოვა შენთან დაგაფენს
დალალს,
და აგვისტოებს გაათევთ
ერთად.
შენი დღეები თეთრ-თეთრად
წავა,
და ალბათ შვილსაც დაარქმევ

„თეკლას“,
და მერე როცა ჩათვლიმავს
სახლი,
შევაღებ სარკმელს და შენთან
მოვალ,
მე ვერ გავუძლებ აპრილში
ჩუმი
და სევდიანი წუშების
თოვას...
რატომძაც კრთება
მთვლებარე ღამე,
ო, ალბათ დილამ
ჩვენ გვნახა ერთად,
და როგორც ადრე,
ჩემს ბოლო წამებს,
მოგიძლვნი ჩემგან შერაცხულს
ღმერთად.
ო, შენთა თვალთა, სითბო
და ფერი...
მე მიმაცილებს საყდართან
ფარდად...
შემინდე რადგან სიცოცხლე
ჩემი
აგვისტოს დარებს სულაც
არ ჰგავდა.
.....
წუხელ წვეთა წვიმა,
სევდა და ქარი...
დარდს მიამძიმებ წუთად
და წამად...
და ალბათ მიხვდი, რომ
მე ვარ ქალი,
რომელიც ადრე შენ ასე
გნამდა.

ძოხი

გათელილია ტყვეობის ქოხი
და განშორების ფოთლები ყრია,
ბოლო მოელო უღირსთა ლოდინს,
და სულს გონს მოსვლის
ფიქრები ცვლიან.
მე მოგონება მიცოცხლებს სურვილს,
შენ დაგაჩოქო ადრე თუ გვიან,
ჩემს მონატრებას ასე თუ ისე
მაინც წარსულის ტკივილი ჰქვია.





დაიბადა 1960 წლის 10 ოქტომბერს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. პროფესიით ექიმი-კარდიოლოგია. ლექსეპს წერს ბავშვობიდან. პირველი ლექსი დაიბეჭდა 1975 წელს. ინტენსიურად კი 2007 წლიდან აქვეყნებს ჟურნალებში: „ლიტერატურული პალიტრა“ და „ხელეური“. აგრეთვე „ლიტერატურულ გაზეთში“. 2010 წელს ჟურნალ „ხელეურის“ ლიტერატურულ კონკურსში „მცირე პროზა“ მისა მინიატურამ „პარდიოგრაფით ჩანერილი ამბები“ დამსახურა ფიურის სპეციალური პრიზი. გამოსაცემად ამზადებს პირველ პოეტურ კრებულს. ახლა-სან გამოვიდა წიგნი „ქართველი ექიმების პოზია“, სადაც შეტანილია მისი ლექსებიც.

ნინო ქოქოსაძის ლექსებში იკითხება ავტორის პიროვნული ხასიათი და ცხოვრებისეული მოტივები, მაგრამ ამას ბიოგრაფიულ წარადს მაინც ვერ დავარქმევთ, რადგან აქ უფრო მნიშვნელოვანია გარესამყაროსთან ურთიერთობის წესი, რომელიც დიალოგის ფორმით ვლინდება.

პოეტს უნივერტი დიალოგი აქვს ბუნებასთან, ადამიანებთან, საუთარ თავთან, საგნებთან, სივრცეს-თან, დროსთან, სიჩუმესთან, მარტოობასთან. ერთი შეხედვით, ეს თამაშია, რაღაც თვითმიზური გატაცების მსგავსი, მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა რეალობასთან გვაქვს საქმე – ჩვენ ნინაშეა ფორმა, პოეტური ხასიათის გამოვლინება, თვითგამოხატვის საშუალება, რომელსაც უბრალოდ სტილს უწოდებენ.

ნინო ქოქოსაძე

* * *

ზამთრის სეზონურ დეპრესიას
ოთახში ვატევთ.
ვანთებ ბუხარს — ასე ვერთობი.
ჯოხით ნაცარზე მიგახატე,
დამე ერთად რომ გაგვეთია....
რა დარდიანი შეყვარებული
ყოფილა თურმე-
ნაცარქექია...

* * *

ახლა რომ ჩავწევე გაზაფხულამდე
და ლოყის ქვეშ თათებივით
ლექსი დაგიდო,
ჩემი ქოთნის ყვავილები,
მე რომ ვუვლიდი
თუ მომივლიან?

„მარინა“ – ზღვის პეიზაზი

მარინა, წუ ენდობი ბრიუსს,
ბრიუსი მხატვარია,
ის შენს „ნიუს“
გამოფენაზე გაიტანს,
სიცისფრეს ააფარებს....
შენ კი, „მა ჩერი“
როგორ გინდა დააჯერო პატარა ბიჭი,
რომ მამა – მისი,
ზეცაში ცხოვრობს
და შენ, ბრიუსთან
მხოლოდ მუშაობ...
ის უავე იცნებობს გახდეს მხატვარი,
და ტალღაზე უფრო ლურჯი
და ტალღაზე უფრო ქაფიანი,
ბრიუსის პეიზაჟი
სანაპიროს გასწვრივ გამოკიდოს
კიდეზე
წითელი წარწერით:
„მარინა“

ეჭვი

ჩემი მეტოქე —
იასამანი სასაფლაოზე.

თავზე დაგხარის,
ფესვებით გეხვევა.
ერთხელაც მოვალ, გაუფრთხილებლად,
ჩაგინვებით...

* * *

აგარაკზეა ჩემი პატარა.

.....
ამ ცხელ ქალაქში,
წუხელის მისი დათუნია
მეწვა კალთაში.

* * *

ლიკას

მე აქ დაგიცდი —
ალაყაფთან.
ვიცი, მარტო მისვლა გწყურია.
საფლავზე ყრია
შენი წონა — ცრემლის მარილი
და ფრთხილად —
მაინც მოყინულია.

ყაყაჩობი

გამარჯობა, ჰენ!
შენ, ცხადია, ვერ გამიხსენებ.
მე ვიყავი შენი „გადია“
და მთელი ცხრა თვე
საკუთარი სისხლით გკვებავდი.
ჰენ!
მე დამარწმუნეს რომ ჩვენ,
ალარაფერი გვექნებოდა საერთო,
შენი ჩემგან გამოსვლის მერე.
მაგრამ, ჰენ, სიზმარში გხედავ
ვითომ ხელი გაგეჭრა და
სიეტლის თოვლზე
ჩვენებური ყაყაჩობი გაიშალნენ...

გადატანის ცესები

ასე.
გაგიჭირდება —
მაგრამ თუ დაივიწყებ,
რომ ცოცხალს ვერ მიუსწარი.
რომ ბოლო შეხვედრისას,
მოგეჩვენა მხრებში მოხრილი.
მოიხდი ვალს.
შეასრულებ რიტუალებს,
რაც მას — აღარ,
ცოცხლად დარჩენილებს უფრო სტირდება
და
გამოგონილ საზრუნავებში,
გადაიტან მა-
მას.
მას — ვისაც არასდროს უთქვამს:
“ქმარი ხეებს ფოთლად ასხია”,
რომ ჯერ მამაა,
მერე-ქმარი,
რომელსაც დაფუშვნი
მარცვალ-მარცვალ,
მუხლებებ გაიფენ
და ამგვარად თუ გადაიტან...
შეხედე, დე!
აი, ერთ მარცვალში ჩაგსვი.
დარჩი!

განდეგილი

შენ მზისფერი ტალავარი უნდა გეტარებინა
და ფშავის ზეცა — ლურჯი თოლებით.
მე, ლექსისქალას,
ტოლებიდან ამომარჩევდი,
ცხენზე შემსვამდი,
ბორბალოსკენ გამაქანებდი.
გადაგვიხდიდნენ მთაში ქორწილს
და იქნებ კიდეც,
დაიაური ყოფილიყო ხელისმომკიდე,
მაყრად დევები...
მაგრამ შენ სად ხარ?
სად შეერი სხვა უდელს, ჩემო,
სად გისველდება მტკივან მკლავზე
ბერის სახელო.
ნუთუ ჩემს სახელს
იხსენიებ მხოლოდ მნუხრზე
ანდა ცისკრისას...

ნიუანსის მინია

არ არსებობენ ნიუანსები.
დღეს დილით,
პარეში აკრეფილი ხმელი ფოთლები,
საქმიანი ვიზიტების დღიურში ჩავდე.
...და თითქმის ყველა შეხვედრაზე დამაგვიანდა.

მეორე შვილი

-ჯერ არ გვილხინსო,
გაგეხარა უარი ტესტის..
.....
და მე,
პირველად დამწყდა გული,
შენს სიხარულზე.

“თავსაფრიანი...”
ვერ დააბრუნებ!
გული, შენი ბავშვობის ბურთია-
გასყდა!
ხვალ აუნთებს
ღვთისმშობელს სანთელს
და მნუხრის მერე,
მიიძინებს სადმე...ჭიშკართან.
.....
-თაან?
-არაფერი.
თავსაფარი გაიყოლია.

დილი

ნუ საყველურობ იადონებს-
იგალობონ.
დედისეულ ბეგონიას —
უფრო ხმამალლა მიეფერე,
სმენა დააკლდა...
როგორ ახერხებ?
ისე დგება ყავის სურნელი,
მცირე ჩქამსაც
არ გამოსცემს სამზარეულო...
და სწორედ ახლა —
მოვარდისფრო დილის ხალათით,
აწერილი კულულებით,
ბუნებრივი —
ხელშეუვლები —
როცა გგონია —
არავინ გხედავს
და დაჰფარფატებ-ჩემს სიმშვიდეს...
ისე მიყვარხარ!
რა ხანია გავიღოიძე —
და ვიტყუები.

მინია

მშვიდობით!
ხიდს გალმა აერო
პორტია,
რეისი: “თბილისი? აირო”.
შენ ალბათ, გადაფრენაც მერცხლებმა გასწავლეს,
მაგრამ დაბრუნება,
ვაი, რომ...

სოფიო ჯაფარიძე

ნიგნი, რომელიც ყველამ უდა ნაიკითხოს

ძალზე ძნელია ბედნიერებისა და სიამაყის ცრემლებს სათანადო სიტყვები შეუნაცვლო და აზრი ჩამოქნა. ასეთ დროს ადვილად დაეთანხმები ერთ კარგ რუს პოეტს, რომ ფიქროთა მდინარებას გამოღნეული, ბაგეს დასხლეტილი სიტყვა უკვე სიცრუეა, რადგან მას აღარ გამოსდევს ინტროსპექციული სიხალასე და უბინოება...

მაგრამ არის დრო, დუმილი რომ არც ეგების და არც ძალგიძს, გინდა შენი განცდები ქვეყნიერებას მოჰყინო, მთა და ბარი შეაჯერო. ასეთმა სურვილმა შემიყრო, როცა მე-20 საუკუნეში ხორცშესხმული, ჭეშმარიტად რუსთველურ მეგობრობის დამტევი და წარმომჩენი, ციცინო ჯერვალიძის წიგნი „პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით“ წავიკითხე.

მეტყველ და მომნუსხველ სადა სათაურში პარიზიცა და ვაშინგტონიც რუსთველურ, პირობით ინდოეთ-არაბეთად შეგიძლიათ დასახოთ. ქაჯეთიდან ნესტან-დარეჯანის დახსნაა მის გმირთა ერთადერთი უპირობო და ურყევი მიზანიც. წიგნი ორი ქართველი ემიგრანტის — პარიზში მიღვანე ლევან ზურაბიშვილისა და ვაშინგტონში მცხოვრები პეტრე ხვედელიძის უმაგალითო მეგობრობა-სა და სამშობლოს სიყვარულზეა.

საქართველოს ეკლესისა ვატოკეფალიძისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის შემსრუ ლევან ზურაბიშვილი, დროის საოცარი მანქანებით, სამშობლოს დამარცხების მოწმეც შეიქნა და ოჯახთან ერთად ხიზნადაც იქცა. „შეუცნობელია გზანი უფლისანი...“ ამგვარი მოღვანე განსაცდელი ჩავარდნილ ქვეყანას, ალბათ, მის ფარგლებს მიღმა მეტად ეჭირვებოდა. ლევან ზურაბიშვილმა არც მამულს უმტყუნა და არც თანამემამულეთ — ქართველი ემიგრაციის მეორე თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ქართველ ემიგრანტთა უდრეკ მაფხიზლებლად და ბაირახტრად იქცა.

საფრანგეთში დამკაიდრებიდან, მას უსამშობლოდ ერთი დღეც არ უცხოვრია: წმიდა ნინოს ქართული მართლმადიდებელი ეკლესის დამარსებელი პარიზში, წმიდა ქეთევანის ორთოდოქსული ძმობის წევრი, ქართველ უმუშევართა დამხმარე კომიტეტის მდივანი, ქართველ ახალგაზრდათა წრისა და „თავისუფალ ქართველთა კავშირის“ თავმჯდომარე, საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა საოცისტომოს ორგზის არჩეული და სიკვდილამდე

უცვლელი თავმჯდომარე, აბონდანის მოხუცთა თავშესაფრის დამარსებელი, საბჭოთა კავშირის ტყველობაში მყოფ ერთა საერთაშორისო ორგანიზაციის აქტიური თანამშრომელი, ქართული სათვისტომოს ყოველწლიური ორგანოს — „ცნობის ფურცელი“ — რედაქტორ-გამომცემელი, „თავისუფლების ტრიბუნის“ სარედაქციო კოლეგის წევრი, ფრანგულად საქართველოს ისტორიის მოკლე წიგნისა და ქართულ თუ უცხოურ უურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი უამრავი პუბლიკაციის ავტორი — ერთი ადამიანისთვის თითქმის შეუძლებელი და შეუთავსებელი ეს საქმიანობანი ლევან ზურაბიშვილის სახელს უკავშირდება. საანდერძოდ და სამაგალითოდ კი უკანასკნელი სურვილი: „არც თავიული, არც გვირგვინი... ვისაც ამის სურვილი აქვს, საბოძვარი გადაუზავნოს წმიდა ნინოს სამრევლოს...“

თავს კვლავ „ვეფხისტყაოსანი“ მახსენებს და ვგრძნობ, ვერც დავეხსნები რუსთველისეულ გმირთა გენიალურ ხატებებს, მით უფრო, როდესაც იმგვარადვე ამაღლებულ ვითარებას ვეხები. უტყუარია, ტარიელს მწედ ავთანდილი რომ არ მოვლენოდა, ვერც იგი ილომებდა და ვერც ავთანდილი იავთანდილებდა... ერთურთში გარდამტყდარი ეს ორი სხივი თითქმის გარდუვალი აუცილებლობა იყო ერთობლივი მძლავრი ნათებისათვის. ვაშინგტონში დამტკიცებულ პეტრე ხვედელიძეს სათანადო, საფერი ერთგულება რომ არ გაეწია ლევან ზურაბიშვილისთვის, ვინ იცის, რამდენი რამ დაკალდებოდა საერთო ქართულ ემიგრანტულ ყოფა-ცხოვრებას?!

რაოდენ წიმნეულია ისიც, რომ თანამედროვე ავთანდილის, ამჟამად 92 წლის პეტრე ხვედელიძის პიროვნებას, ლევან ზურაბიშვილის ბარათებიდან ვეცნობით მხოლოდ. ესეც ამ უჩინრად მოსაგრე, უზომოდ მოკრძალებული ადამიანის ხვედრია. როგორც ლევან ზურაბიშვილის მრავალგზის თხოვნებიდან იკვევა, ბ-ნი პეტრე საკუთარ შეჭირვება-დალხინებაზე საუბრით არ ამძიმებდა სხვათა პრობლემებით გადატვირთულ წერილებს, მეგობარი კი ჯიუტად საყვედურობდა: „ — ძალიან მინიმალურად გვაწვდი შენი პირად ცხოვრების დეტალებს: ჯანმრთელობა — მუმაობა — დროს ტარება — განცდები — ფლირტი... ყველაფერი რაც შენ გეხება, ჩვენთვის ხომ ძვირფასია და ყველა შენ (მარვალრიცხოვან) მეგობრებს გულთან ახლო აქვთ...“ იქვე დაუმადლის — „დმრთმა და-გაჯილდოვა კაცომოყვარეობის სულითო...“

სწორედ ეს „კაცომოყვარე სული“ განაგებდა პეტრე ხვედელიძის მთელ არსებას და მის ემიგრანტულ ყოფას. სამწუხაროდ, ავთანდილივით ფასდაუდები საუნჯენი და სალარონი არასოდეს ჰქონია, მისი უდრტვინველი ჯაფითა და გარვით მონაგები კი შეჭირვებისას მრავალთ უგემიათ საფრანგეთსა და ამერიკაში.

როცა ბ-ნი პეტრე ავთანდილურად მტკიცედ განაცხადებდა: „მიეც ზოგი ხანაგათა, ზოგი ხიდთა ასაგებლადო,“ ლევან ზურაბიშვილი, უფროსი მეგობრისა და მამობრივი მზრუნველობით აღძრული, კვლავ ევედრებოდა: „მეტის-



მეტს ფულს ახარჯავ ყველა შენთან მოსულ ქართველს (ფულიანს თუ უფულოს) და საჩუქრებს „აფრევევ...“ „ცოტა ხელი მოუჭირე ამ ფინანსებს და ყველა ევროპიდან ჩამოსულს ნუ „აყრი“ ამდენ მსახურებას და მოვლას. დრო დადგა, როდესაც შენ თავზე სერიოზულად უნდა იზრუნო. ნუ გავიწყდება, რომ ხვალ შეიძლება კიდევ უფრო საჭირო იყვე იმ იდეალისთვის და კეთილ საქმისთვის, რომელსაც შენ ასე თავაგამოდებულად ემსახურები დღეს...“

ამ სანიმუშო ერთგულებით ემსახურა ბ-ნი პეტრე „ამერიკის ხმის“ მსმენელსაც 18 წლის მანძილზე. სამსახურებრივ დანინაურებაზე უმთავრესი მისთვის სამშობლოსთან უხილავი ძაფებით დაკავშირება და რადიოეტერის საშუალებით კომუნისტურ რეჟიმთან უწყვეტი ბრძოლა იყო. ვერც „ამერიკის ხმის“ ჩაბმობის მოსურნეთ შეძლეს ქართული სიტყვისა და დაუმორჩილებელი ქართული სულის „დადუმება და დაძალვა“. აკი მორწმუნე მშობლებმაც მაცხოვრის ერთგული და საყვარელი მოწაფის სახელის დარქმევით მრავალწლიანი სიმტკიცისთვის შეამზადეს ბ-ნი პეტრე. უანგარობისა და ერთგულების საზღაურია მასზე მოწევნილი უფლის მადლი — ცხრა ათეული წლითა და სპეცაკი სითერით რომ შეიცნობა. ღმერთმა დიდი ხნის სიცოცხლე მისცეს ბ-ნ პეტრეს კვლავაც მრავალ თაობათა სამაგალითოდ.

გამოცემის მთავარი რედაქტორი სოფიკო ჯერვალიძე შესავალში აღნიშნავს კიდევ, რომ სხვა სიკეთებთან ერთად, ამ წიგნით „უდიდესი სულიერი საზრდო ეძლევათ პედაგოგებსაც“, მომავალი თაობის სულის მეგანძურთა და გზამკვლევთ. მე კი მთელი შეგნებით დავამატებდი: ამ ეპისტოლური მასალიდან რამდენიმე მიძღვნას სასკოლო პროგრამაშიც თამამად ჩავრთავდი, თუნდ იმის დასტურად, რომ „ვეფხისტყაოსნით“ ნაქადაგები მეგობრობა თუ სიყვარული არც უტორია და არც ავტორისეული ეგზალტაციის ნაყოფი, ისინი ცხრა საუკუნის შემდეგაც ხელშესახები და ხორცისმულია.

ჩვენი უშურველი ხოტბა კი ამ ფასდაუდები წიგნის ავტორს, ქ-ნ ციცინ ჯერვალიძეს — თავად ნაღდ მამულიშვილსა და მოღვაწეს. მისი თავდადების გარეშე არც ეს წიგნი შედგებოდა და შესაძლოა ვერც ამ უნიკალურ ეპოქასურ წერილებს ეხილათ სამზეო.

შემთხვევითობა რომ არ არსებობს და ყველაფერი ღვთიურ განგებულებას ემორჩილება, ამაში როგორც ლევან ზურაბიშვილისა და პეტრე ხვედელიძის მეგობრობა, ასევე ქ-ნი ციცინისა და ბ-ნი პეტრეს შეხედრაც გვარჩმუნებს — „რაცა ღმერთსა არ სწადდეს, არა საქმე არ იქმნებისო“ და არც მსხვერპლშენირვის გარეშე შეიქმნების რაიმე ლირებული ამ ცისქვემეთში: „უდიდესი სიხარული მსხვერპლის გაღებიდან მომდინარეობს, მხოლოდ ეს აერთიანებს ადამიანს ქრისტესთან“, ამგვარია ჩმინდა მამათა შეგონება, ასე სწამდა ლევან ზურაბიშვილსაც, რომ „კაცთმოყვარეობა შეადგენდა ქრისტიანობის უღრმეს დებულებას“, აკი ამ გრძნობით დაიფერცლა მიწყივ საქართველოზე მეოცნებე მისი გული.

ამავე განცდით აგრძელებს ლირსეულ სიცოცხლეს ჭარმაგი, მაგრამ უტეხი ბ-ნი პეტრე ხვედელიძე. მისი კაცთმოყვარე სული ვერ ჩაკლა დროის უკეთურებამ, ვერ დაძაბუნა სამშობლის ნატვრამ. თავისი უფროისი მეგობრისიგან განსხვავებით, 65-წლიანი განშორების შემდეგ, ელირსა კიდევ საქართველოში ჩამოსვლა და სამშობლოზე უწყვეტი ფიქრითვე დაუბრუნდა ამერიკას, სადაც ჯერ კიდევ მრავალი ელიან გულლია მასპინძლის მადლისა და მზრუნველობას, მაგრამ მისივე მტკიცე გადაწყვეტილებით, საქართველო იქნება ვალმოხდილი ემიგრანტის ერთადერთი და უცვლელი სავანე.

„პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით“, — ასე ჰქვია წიგნს, რომელიც უკლებლივ ყველა უნდა წიაკითხოს!..

მოპამად თოლუი

ქორწინება

შაპს სორაია პირველივე ნახვისთანავე უყვარდება და წამითაც არ ყოყმანობს მის თანამეცხედრედ არჩევაში.

სორაია მისი უდიდებულესობა შამსის¹ თანხლებით დედა-დედოფლის წვეულებაზე ცხადებება. მინვეულთა შორის არიან მისი მამა — ხალილ ესფანდიარი და მამიდა — ფორულ ზაფარი. თაჯ-ოლ-მოლუქეთინ² სტუმრობისა და შპერთან პირველი შევედრის თაობაზე სორაიას მემუარებში ვკითხულობთ:

დედა-დედოფალი, ტანმორჩილი და არცთუდიდად ლამაზი ქალი, მეგებება და მკოცნის. მისი თანხლებით შევდივართ დიდ სალოონში, რომლის კედლებსაც სამეფო ოჯახის წევრთა სურათები და ფოტოები ამშვენებს. მათ შორის ყველაზე თვალსაჩინო და დიდია კაზაკთა ოფიცრის — რეზბა-შაპისა, რომელმაც გადატრიალების შედეგად ყაჯართა ასორმოცდაათწლიანი მმართველობა დაამხო და თავი ირანის მეფედ გამოაცხადა. შაპის დიდი ფოტო მამის გვერდით ჰყიდია.

სალოონში შაპის და-ძმები მელოდებიან — ყველანი სტუმრად არიან მინვეულნი. ერთადერთი ადამიანი აკლია — ფათემე ფატლევი,³ რომელიც სამეფო კარიდან მოკვეთილია და რომელთანაც პარიზში ხანმოკლე შეხვედრა მქონდა.

ამრაფი, შაპის ტყუბისცალი და, ყველაზე უნინ მეგებება და მკოცნის. წინააღმდეგ იმ არასასიამოვნო ხარმოდებენისა, რომელიც დამ შემიქმნა მასზე, ძალიან თბილი და კეთილი მეჩვენება. შესაძლოა, როგორც ეს შამსმა მითხრა, ჩემი გულის მოგება უნდა და სურს, დას აჯობოს. ნუთუ უნდა მოვერიდო?

თაჯ-ოლ-მოლუქე გვერდით მისვამს და საუბარს ინყებს. დედ-მამაზე, საზღვარგარეთ სწავლაზე მეკითხება და ჩემს პასუხებს ინტერესითა და ხალისით ისმენს. მამიდაჩემ ფორულს იხმობს და ეუბნება: „ყოჩალ! მართლაც რომ ლირსეული ქალიშვილია!“

უეცრად მსახური შემოდის და ამბობს: „მის უდიდებულესობა მობრძანდა!“

ყველანი — შაპის დედაც კი ფეხზე დგებიან. შემოდის ირანის საპარერო ძალთა გენერლის

* წიგნიდან „ეული მშვენიერება“ — შაპის პირველი და უკანასკნელი სიყვარულის — სორაიას სევდიანი თავგადასავალი.

უცხოათის ცხოვრებიდან

უნიფორმაში გამოწყობილი ჰაპი, რომელიც ამ სამოსში ერთობ იმპოზანტურია. მოგვიანებით გვაიგე, რომ ირანის საპარო ძალთა გენერლის უნიფორმა მისი საყვარელი ტანსაცმელია.

შაპი ჯერ დედისკენ გაემართა და გადაეცვია. თაჯ-ოლ-მოლუქება, რომლის გვერდითაც ვიდეტ, შაპი ჩემი თავი წარუდგინა. მეც, როვორც ნინდანინვე მქონდა ნასნავლი შამსისაგან, მას რევერანსით კუპასუხე. შამსმა მოგვიანებით მითხრა, ძალიან ცოტაზე დაიხსარეო. შაპმა წამით თვალებში ჩამხედა და გამიღომა. მეც ლიმილით კუპასუხე.

შაჰს ყველა და-ძმა თავს უკრავდა და თაყვანს სცემდა. ისინი ძმას „თქვენო უდიდებულესობავ“-ით მიმართავდნენ, შაჰი კი დედასა და დებთან საუბრისას მხოლოდ „თქვენ“-ს იყენებდა. ცოტა მექნელებოდა „თქვენო უდიდებულესობავ“ -ის ნარმოთქმა და, ამდენად, შაჰთან საუბრისას ვცდილობდი მისთვის უშუალოდ არ მიმეგართა, ერთი-ორჯერ კი საუბრისას „თქვენ“ ნამომცდა.

თუ უმეტეს კაც ზე გაშლილ ვახ-
შმის სუფრასთან შაპმა გვერდით
დამსვა, ვახშმობისას მეტწილად
მე მეღლაპარაკებოდა, რამდენ-
ჯერმე დედასაც მიმართა. მისი
კითხვები ძირითადად ეხებოდა
ევროპაში ჩემს სწავლა-განათლე-
ბას, ჩემ მიერ მონახულებულ ად-
გილებს, ნაკითხულ ნიგნებს. სა-
უბრისას მზერით მეღლაპარაკებო-
და და ამ მზერის მნიშვნელობას
კარგად ვჩვენო.

თაჯ-ოლ-ბოლუქის ნვეულება დაახლოებით დამის თერთმეტ საათზე დამთავრდა. ნვეულების დასრულებამდე შპაჰმა მამაჩრიმი გვერდზე გაიხმო და რამდენიმე ნუთი ეწურჩულებოდა. როცა ამ მძრალი და ცერემონიული ნვეულებიდან დაიღიოლ-დაქანკულები დავბრუნდით შინ, მამამ მეტათა:

— სორათ, რას ფიქრობ?

— ჯერჯერობით მინდა დავიძინო. ხვალ დავილაპარა-
კორთ...

— არა, შაჰს მოეწონე და შენს აზრი

- ახლავე უნდა კუთხრა პასუხი?
- დია... შაჰმა მითხრა, რომ სურს, ხვალ ნიშნობის ფორმაციას.

ადგილზე გავტმდი, არ ვიცოდი, რა მეთქვა. მამამ ჩე-
მი ყოველანი თა შეიძლება რომ თანხას ა თავიდოს.

— თუ თანახმა არ ხარ, ნე მოგერიდება. რასაც დაგ-პირდი, შევასრულებ. თუ არ გსურს, შაჲპის მეუღლე გახდე, როცა დავპრუნდებით, ამერიკაში გაგაგ ზავნი. მაგრამ თუკი გადაწყვეტ, მერე ამ გადაწყვეტილებას ვეღარ შეც-ვლი. ასეა თუ ისე, შაჲპი შეს პასუხს უოდება.

სორაია დილემის წინაშე დგას: კინოვარსკვლავობა თუ ირანის დედოფლობა? მეორე უფრო ნაოდია.

— მამა, უთხარი შაჰს, რომ თანახმა ვარ.

* * *

ଅର୍ପ ବୋରାଇଲା ଦ୍ୱା ଅର୍ପ ମାଥାମିଳିଲା ଏକ ଶୁଫଳିକ୍ରିଯାତ, ରଖି ମୋତ୍ତ
ଲେନ୍ଗେଣ୍ଡା ଆଶ ବ୍ସନ୍ତାଷ୍ଟାଦ ଗାନ୍ଧିତାରଦ୍ୱାରାବ୍ଦା. ମେଲାର୍ଜ ଡଲ୍ସ କ୍ଵେପ୍-
ନ୍ଦ୍ରେଙ୍କା ସାମ୍ରାଜ୍ୟ କାରିଲା ଗାନ୍ଧିଚନ୍ଦ୍ରେଙ୍କା ଶାକିଲା ଦ୍ୱା ବୋରାଇଲା ନିଶ୍ଚି-
ନ୍ଦ୍ରେଙ୍କା ତାନ୍ଦାଖୀ. ଏକମୁଦ୍ରାର୍ଥା ବାତାଳି ଶ୍ରେଷ୍ଠଦ୍ୱାରା ମୁଦ୍ରଣିଲା
ମତେଲା ପର୍ଶ୍ଵରୀ ଦ୍ୱା ବାନିନ୍ଦନରମାତ୍ରିକା ବାନ୍ଦୁଲ୍ଲାଙ୍କରେବାନି ଏହି ଫାଇକ୍ରିଃ
ପିଣ୍ଡପ୍ରେସିନାନ୍. ଏରତି ଶ୍ରେଷ୍ଠନ୍ଦ୍ରେଙ୍କା ଗ୍ରଂଥକା ମୁଦ୍ରଣିଲା ପର୍ମିଲୋରନ-
ଦାଶ ନିଶ୍ଚିକ୍ରିଃ. ମନମଧ୍ୟରେ କ୍ଵାରିକ୍ରେବିଲ୍ ଗାନ୍ଧିଚନ୍ଦ୍ରେଙ୍କା ବୋରାଇଲା
ଆଶାଲ-ଆଶାଲି ଦ୍ୱା ନାଇର-ନାଇର ଫ୍ରାନ୍ଟର-
ଏବି ମୁଦ୍ରଣିଲା ପ୍ରିନ୍ଟନ୍ଦିଲ ଦ୍ୱା ମରା-
ବାଲ୍ଟିରାଶ୍ରାବନ ଶ୍ରୀରଞ୍ଜାଲତା ଗାନ୍ଧିକାନ-
ଚ୍ଛ ନିଶ୍ଚିକ୍ରିଃ. ବୋରାଇଲା ଦେଇଲା ଏହା
କିମାତକା ବିଶିଳିତ ବ୍ୟୁତିକି ଦ୍ୱା ପିରିବ୍-
ଲୀଓପି ର୍ଜିସିଟ ରିଫାଲି ତୈରିବାନଶୀ.

სამ დღეში სამეფო სასახლეში
მოკრძალებული ნიშნობა იმართე-
ბა. ამ ღონისძიებას სამეფო ოჯა-
ხის, სორაასა მშობლებისა და ზო-
გიერთი ახლო ნათესავის გარდა
მხოლოდ რამდენიმე ოფიციალური
პირი — პრემიერ-მინისტრი და
პარლამენტის პალატების თავმჯ-
დომარეები — ესწრება. ამ ცერე-
მონიაღზე სორაა პირველად
ხვდება გენერალ ჰაჯი-ალი რაზმა-
რას.⁴ — ირანის მაშინდელ პრემი-
ერ-მინისტრს...

ევას — სორაიას დედას — თან უხარია და თან ლელავს, რომ მალე მისი ქალშვილი ორანის დედოფალი გახდება. მისი სიხარულის მიზეზი გასაგებია, ლელვის საფუძვლებს კი ქმნის ჭორები, იმ დღეებში ევროპის პრესაში რომ გავრცელდა და შაპის მექალთანერიბასა და მის მრავალრიცხოვან საყვარლებს ეხებოდა. იქნება კი შაპი ერთგული მეუღლე მისი ქალიშვილისთვის? მოითმენს მისი ქალიშვილი შაპის ლალატსა და მის კავშირს სხვა ქალებთან? ხანგრძლივი იქნება ეს ქორწინება? გარევეული ხნის მერე შაპს სორაია ხომ არ მოყირჭდება და გაეყრება, როგორც თავის ლამაზ პირველ ცოლს ფუზიეს? ქორწილის თარიღად 1950 წლის 27 დეკემბერი განისაზღვრა. ესეც ერთ-ერთი მიზეზი იყო სორაიას დედის ლელვისა. ნიშნობის ხანა ტებილი კია, მაგრამ ნიშნობის ტრადიცია ახალგაზრდებს უფრო შეეფერებათ. მართალია სორაია ეს-ესაა მეთვრამეტე ნელინადში გადადგა, მაგრამ შაპი ოცდაორმეტისაა და ეს ასაკობრივი სხვაობაც სორაიას დედის შფოთვის ერთ-ერთი საფუძველია. ამ ორთვენახევარში რამე ხომ არ მოხდება? და თუ რაიმე მიზეზით ქორწილი ჩაიშლება, გადაიტანს კი სორაია ამით გამონვეულ სულიერ დარტყმას?

დედის ღელობის მიუხედავად, სორაია შაჲთან ნიშნობის სანაც ცხოვრების საუკეთესო და ყველაზე ტკბილ ხანად მიიჩნევს. სორაია თავის მემუარებში აღნიშნავს რა დედის წითილის შესახებ, წარს:



ირანის უკანასკნელი დედოფლის სორაია

დედამიწი, როგორც ყველა დედა, საკუთარი ქალიშვილის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან უამს (როგორიცაა ქორწინება — მამაკაცთან, რომელსაც არ იცნობს) ღელავდა გაურკვეველი მომავლის გამო. ერთი მხრივ, უხაროდა, რომ მისი ქალიშვილი მაღლ დიდი და უძველესი ქვეყნის დედოფალი ხდებოდა, მეორე მხრივ კი ამ მდგომარეობის ხანგრძლივობა რამდენადმე აეჭვებდა. ზოგჯერ თავს ეკითხებოდა: ვარ კი მზად იმ მძიმე მოვალეობებისათვის, რომელიც მელის? მის თვალში ჯერ კიდევ პატარა ცელქი გოგონა ვიყავი, რომელიც სოლინათის გაკვეთილებისგან თავის დასაღწევებად ხეზე მიძრებოდა... მისი წუხილის გასაქარნებლად ვეუბნებოდი: „დედა, ბავშვი აღარა ვარ... ვანა შენ თვითონაც თექვსმეტი წლისა არ იყავი, მამას რომ მისთხოვდი? დედა მეუბნებოდა: „კი, მაგრამ ჩემი ქორწინება შენი ქორწინებისგან ძლიან განსხვავდება!“

სორაია მოგონებებში, რომლებიც ნიშნობის ხანას ეხება, ჰყვება შაჰპათან ყოველდღიურ შეხვედრებზე, პატარა ორადგილიანი თვითმფრინავით ფრენაზე, ქალაქში სეირნობაზე, ავტომობილით ქვეყნის ჩრდილოეთში მოგზაურობაზე, ცხენებით სეირნობაზე, ზღვაში ბანაობასა და სხვა ცნობილ ამბებზე. შაჰპი ამ შეხვედრებისა და მოგზაურობებისას გულს უშლის სორაიას, ესაუბრება წინა ქორწინების მნარე გამოცდილებაზე, და როცა სორაია ეტყვის: „მე რომ პატარა გოგონა ვიყავი, ფუზიეზე ვიყავი შეყვარებული. იგი ნამდვილად ლამაზი იყოო“, შაჰპი პასუხობს: „ჰო... ლამაზი იყო, მაგრამ ყინულის ვენერასავით... შენ კი მასზე გაცილებით ლამაზი ხარ...“

შაჰპი სორაიასთან ყოველდღიური შეხვედრებისას მამაზე — რეზა შაჰპი ბევრს უამბობდა, ჰიპერბოლიზებულად მოუთხრობდა იმ ღვანლზე, რომელიც მას ირანის წინაშე მიუქდოდა. სორაია იგონებს, როგორ უმტკიცებდა შაჰპი: „მამაჩემმა თექვსმეტ წელზე ნაკლები შმართველობისას გაცილებით მეტი შეძლო ირანისთვის, ვიდრე ყაჯარებმა ასორმოცდათათწლიანი მეფობისას; გზები გაიყვანა, ტრანსირანული რკინიგზა ააგო, ახალგაზრდა ირანელები საზღვარგარეთ გაგზავნა სასანავლებლად, მრავალი სკოლა და საავადმყოფო დააარსა, თეირანის უნივერსიტეტიც მისი დაანატოვარია...“ შაჰპი ამბობდა: „რეზა შაჰპამდე მთელს მსოფლიოში ირანს სპარსეთად იცნობდნენ, მაგრამ რეზა შაჰპმა აკრძალა უცხოელებთან ოფიციალურ მიმოწერაში ამ სახელნოდების გამოყენება და მისი მეფობის ხანაში მსოფლიო ირანს სწორედ ამ სახელით იხსენიებდა...“ სორაიამ სახელნოდების ასეთი ცვლილების მიზეზი რომ იკითხა, შაჰპმა უპასუხა: „ირანელები არიულ რასას მიეკუთვნებიან და „ირანიც“, „არიან“, იდან ანუ „არიელიდან“ მოდის.“

ნიშნობის ხანს, ისევე, როგორც შაჰპისა და სორაიას ნიშნობამდე, შაჰპი მის აჩრდილად იქცევა, დღე არ გავა, რომ რაიმე საბაბით არ მოინახულოს. შაჰპი თავის დას — აშრაფს წამდაუზუმ აუგად მოიხსენიებს და სორაიას აფრთხილებს, მოერიდოს მასთან სიახლოეს. აშრაფის ქედმალური საქციელიც შაჰპი წაქეზებას უფრო ამძაფებებს: აშრაფი არასოდეს მისულა მის სანახავად, პირიქით — ერთხელ შაჰპი სამეფო სასახლეს რომ ათვალიერებინებდა, თვითონ მიიყვანა აშრაფის სანახავად.

სორაიას პირველად უხდება საიდუმლოს შენახვა და ერთხელაც, როდესაც შაჰპი ახსენებს მის დებს შორის არსებულ უთანხმოებას, სორაია კრინტსაც არ ძრავს, რაც შაჰპისგან აშრაფზე გაუგონია. არც სამეფო ოჯახის სხვა წევრებთან დაკავშირებით იჩენს ცნობისმოყვარეობას. სამეფო ოჯახის თვისებათა გასაცნობად ზოგჯერ თვითონ შაჰპი მოუთხრობს სორაიას მათი პირადი ცხოვრებისა და ხასიათის შესახებ: ხუთი ძმიდან მხოლოდ ალირეზაა მისი ღვიძლი ძმა, სხვები რეზა შაჰპის დანარჩენი ორი ცოლისგან არიან. სამი დიდანაც მხოლოდ ორია (შაჰპი და აშრაფი) მისი ღვიძლი და, მესამე — ნახევარდაა. სორაიას უკვირს, რომ შაჰპი არ ასახულებს მესამე დას, მაგრამ ამის თაობაზე არაფერს ამპირს და არ ახსენებს თავის შეხვერას ფათემებსა და მის ამერიკელ ქმართან პარიზში.

ნიშნობის ხანაში სორაია სამეფო ოჯახის კიდევ ერთ წევრს გაიცნობს. ეს შაჰპის ქმარი მეპრდად ფაპლბოდია, რომელსაც სორაია კარგი გარეგნობისა და დახვეწილი მანერების ადამიანად იგონებს. შაჰპის შინაურულ წვეულებაზე სამეფო ოჯახის არცერთი წევრი არ არის მინვეული. შაჰპი დროს იხელთებს, რათა აშრაფთან დაკავშირებული საფრთხე კიდევ ახსენოს. მისი ქმარი, მეპრდად ფაპლბოდიც, სასწრაფოდ მხარს უბამს და უდასტურებს, რომ უმჯობესია, რაც შეიძლება, შორს იყოს აშრაფისგან. სორაია თავს აჩვენებს, რომ მათ შენიშვნებს ყურად იღებს, მაგრამ დაიღალა ამდენი აუგსიტყვაობისა და ჭორიქობისგან.

* * *

სორაიას დედა ნიშნობის ხანის გახანგრძლივებით ამაოდ არ ღელავდა: ნიშნობის მესამე კვირის ბოლოს, შაჰპათან ერთად ცხენებით სეირნობის შემდეგ დაბრუნებულ სორაიას სიცხე და ძლიერი ცხელება დაეწყო. ნამლებმა, თბილმა ლოგინმა და დასვენებამ სიცხე ვერ დაუუგდო. მეორე დღეს სიცხემ ორმოცდართ გრადუსს გადააჭარბა და სორაიამ გონება დაკარგა. შაჰპი მის მოსანახულებლად მივიდა. თეირანის საუკეთესო ექიმები მის სასტუმალთან შეიკრიბნენ, მაგრამ მკურნალობამ შედეგი ვერ გამოიღო, მდგომარეობა დღითიდე უარესდებოდა.

ქალაქში სორაიას ავადმყოფების შესახებ ხმა დაიირხა. ამასთან, გავრცელდა ჭორი — შაჰპის დამ, აშრაფმა, რომელსაც სხვა ქალიშვილი ჰყავდა შერჩეული შაჰპისათვის, სორაია მონამლაო.

უსაფუძვლო ჭორი იყო. ტელეფონით ამ ჭორის გაგონებაზე შეიკრებული აშრაფი შაჰპათან მივიდა და უთხრა: „ეს შაჰპის ნამოქმედარია... ეს ტყუილი მან გადაუგდო ხალხს საჭორაოდ, მე რომ დამლუპოს!“

შაჰპმა და დაამშვიდა და უთხრა: „ამ ქალაქში ყოველ-დღე ათობით ჭორი ვრცელდება. ესეც ერთ-ერთია. ამას გარდა, ამ ჭორებს შენი საქციელი და სორაიას მიმართ გამოჩენილი უყურადღებობა უწყობს ხელს.“

შაჰპმა აშრაფს მოთხოვა, ერთად ნასულიყვნენ სორაიას სანახავად, ამიერიდან ხელი აეღო ქედმალობაზე და მის მიმართ მეტი კეთილგანწყობა გამოეჩინა.

დოქტორმა აიადმა, შაჰპის ნდობით აღჭურვილმა პირადმა ექიმმა, სორაიას მუცლის ტიფი დაუდგინა. სწორი დიაგნოზი იყო და თვითონ დოქტორმა აიადმა იკისრა სორაიას მკურნალობა. დიეტამ, კარგმა დასვენებამ და ბა-

უცხოთის ცხოვრებიდან

ზარზე ახალგამოჩენლი ახალი ანტიბიოტიკის — ურომი-ცინის ინექციამ სორაია თანდათანობით გამოაკეთა. შაპი ყოველ დილა-სალამოს დადიოდა მის სანახავად და საწოლის გვერდით, მაგიდაზე, ყოველდღე ახალ საჩუქარს უტოვებდა. ზოგჯერ ყვავილთა თაიგულს სჯერდებოდა, თუმცა მისი საჩუქრების უმეტესობა ოქრო და ძვირფასე-ულობა იყო, მათ შორის, მაჯის ოქროს სათი.

ამ ავადმყოფის შესახებ, რომელმაც თვეზე მეტანს გასტანა, სორაია იგონებს:

ერთ დღეს, ჩემი მონახულებისას, შაპმა მითხრა, რომ შვიდი წლისას თვითონაც გადაუტანი მუცლის ტიფი და კინალამ მომკვდარა. იმხანად დღევანდები წამლები არ არსებობდა და ამ დაავადებისგან გამოჯანმრთელება ლა-მის სასწაულს უდრიდა... და მერე შაპმა ცნობილი ამბავი მიამბო, რომელიც თავის წიგნებსა და ინტერვიუებში აქვს გამეორებული: „მესიზმრა, ჩემს სასთუმალთან ერთი ნათლით მოსილი კაცი მოვიდა (ერთ-ერთ იმამზე უთი-თებდა) და ხელში ფიალა მომცა. დავლიერ ის სითხე, ფია-ლაში რომ იყო... როცა გამეღვიძა, სიცხე აღარ მქონდა. გამოჯანმრთელდი!“ შაპს უნდოდა ეთქვა, რომ ეს ღვთის წყალობა იყო და მასაც, კინც შაპისთვის ძვირფასია, ღმერთი გამოაჯანმრთელებს.

ერთ-ერთი იმათგანი, ვწც იმ დღეებში ხშირად დადის სორაიას მოსანახულებლად, აშრაფია. აშრაფი ხვდება, რომ მის ქმას სორაია უყვარს და ცდილობს, რაც შეიძლება, მეტად მოიგოს მისი გული. არც ის მიდის როდისმე ხელცა-რიელი. ყვავილი მიაქვს, ან — გულსაბნევი, ან — სხვა რამ შესაფერი საჩუქარი. სორაიას სულ უფრო მოსწონს იგი, სიამოვნებს მასთან საუბარი, რომელიც უფრო საინტერე-სოდ ეჩვენება, ვიდრე შამსის ერთი და იგივე ფრაზები. აშ-რაფი გამოწვლილვით უამბობს იძულებითი ქორნინების ამავს კაცთნ, რომელიც პირველივე დღიდან სტულდა და დამამშვიდებელი აბების გარეშე ერთხელაც ვერ შეძლო მასთან სარეცლის გაზიარება; უამბობს, რომ მოის დროს, როდესაც სამხრეთ აფრიკაში თავგადასავლებით ალსაცეს მოგზაურობის მერე ეგვიპტის გაელით ირანში დაბრუნდა, მეფე ფარუფი (ეგვიპტის მეფე და ირანის ყოფილი დედოფ-ლის ფუზიეს ქმა) გაუმიჯურდა და მასზე დაქორნინება სურდა. აშრაფი ამავე მოგზაურობისას ერთ ეგვიპტელს გაიცონდს და მას მიჰყება ცოლად.

სხვა ამბებიდან, რომელიც აშრაფმა წვრილად უამბო სორაიას, იყო მისი მოსკოვში მოგზაურობისა და სტალინ-თან შეხვედრის ამბავი, რომელიც იმხანად ცოცხალი გახლ-დათ და საბჭოთა კაშპირის ძლიერი და ერთპიროვნული დიქტატორი იყო. აშრაფსაც თავის მემუარებში სტალინთან შეხვედრის თაობაზე დეტალურად აქვს მოთხოვნილი. აი, რას წერს კრემლში მასთან პირველი ვიზიტის შესახებ:

„იგი სულაც არ პგავდა ჩემს ნარმოდგენილს. ველოდი, რომ ვნახავდი ადამიანს, რომელსაც დიდი ფიგურა აქვს და შიშის ზარს გცემს — ისევე, როგორც მისი სახელი. მაგრამ ჩემ წინაშე აღმოჩენდა ტანკორჩილი, ჩაფსკვილი კაცი, განიერი მხრებითა და ხშირი ულვაშით, რომელიც მშვიდი და ზომიერი ჩანდა — მეტალურად აქვაც კარისკაცი გეგო-

ნებოდა. მაგრამ თვალები პქონდა შავი, გამჭოლი და ძრწოლისმომგვრელი...“

აშრაფი სტალინთან შეხვედრის ამბის თხრობისას იგონებს, რომ სტალინმა მას ბენვის ქურქი აჩექა, და ირ-წმუნება, იმხანად საბჭოთა ჯარების მიერ ოკუპირებული აზრებიაჯანის საკითხის მოგვარებაში მნიშვნელოვანი როლი შევასრულეო, რაც, ცხადია, უსაფუძვლო განცხა-დებაა.

შამსი შენუხებულია სორაიასა და აშრაფის დახმოუ-ბით და ერთხელაც ეტყვის: „აშრაფი თავისი ენაჭარტა-ლობით ქანცს გაცლის. შაპს უთხარი, რომ შეზღუდოს მი-სი მისვლა-მოსვლა“. სორაია ეუბნება: „მე არ შემიძლია მისთვის ასეთი რამის თქმა.“

ეს პირველი შემთხვევაა, როცა სორაია შამსის თხოვ-ნას უარით პასუხობს.

დედა-დედოფალი, თაჯ-ოლ-მოლუქი, მხოლოდ ერ-თხელ მიდის სორაიას მოსანახულებლად და მისთვის ძვირფასი საჩუქარი მიაქვს: ზურმუხტითა და მარგალი-ტით მოოჭვილი თუთიყუშის ფორმის გულსაბნევი. რა თქმა უნდა, ყოველდღე ტელეფონით კითხულობს მის ამ-ბავს და ეუბნება, რომ სანახავად იმიტომ არ დადის, ამ-ჯობინებს, სორაამ დაისვენოს და, რაც შეიძლება, მალე მოემზადოს მოახლოებული ქორწინებისათვის.

* * *

1950 წლის 22 დეკემბერს სორაია ჯერ კიდევ არ არის სავსებით გამოჯანმრთელებული და ექიმი აიადი ამბობს, მას არ შეუძლია ქორწინების დღეს — 27 დეკემბერს მზად იყოს. შაპი აცხადებს, ქორწინების დღეს 15 დღით გა-დავწევთო. ექიმის წინადადებით, ქორწილი ერთი თვიდან თვე-ნახევრამდე უნდა გადასწიონ. მისი განმარტებით, ტიფუს სორაია მეტისმეტად დაასუსტა და სრული გამო-ჯანმრთელების მერეც, სულ ცოტა, ერთთვიანი დასვენე-ბა და საგანგებო დიეტა სჭირდება. შაპი შენუხებულია, მაგრამ იძულებულია დაყაბულდეს და ქორწინების ახალ თარიღად — თვე-ნახევრის შემდეგ — 1951 წლის 12 თე-ბერვალი განისაზღვრა.

სორაია იანვრის ბოლოს სრულიად გამოჯანმრთელ-დება, მაგრამ ქორწილად და ადრე ისევ ჩაწერა. შაპი უკვე აღარ აპირებს ქორწილის თარიღის გადაწევას. ექიმთა ძალისხმევით, სხვადასხვა ვიტამინებისა და ტრანკვილიზატორთა წყალობით, სორაია ქორწილისთ-ვის მზად არის, მაგრამ ჯერ კიდევ სრულად არ აღუდგე-ნია ჯანმრთელობა. საქორწინო კაბაში მისი სიფერმკრთა-ლე და გარეგნული სისუსტე არავის რჩება შეუმჩნევლო.

შაპმა და სორაიამ თოვლიან დღეს იქორწინეს. ექიმ აიადის რჩევთ, სორაიამ საქორწინო კაბის ქვეშ შალის ბლუზა ჩაიცვა და ქვედაბოლოს მაქმანებქვეშ თეთრი მა-დალყელიანი წინდები ამოიცვა. საქორწინო კაბა, რომელიც კრისტიან დ'ორის ცნობილ სამოდელო სახლში იყო შეძე-ნილი და შამსის ინიციატივითა და შეკვეთით, ზედ ათასო-ბით ხელოვნური აღმასი პქონდა დაკერებული, გრძელი შლეიფით, სორაიას მისუსტებულ სხეულზე მძმედ აწერა და სხვათა დაუხმარებლად კაბის ზიდვა არ შეეძლო.

„... შაპი სორაიასთან მისი ქორწინების ამბის თხრობისას ნიგნში — „სამშობლოს სამსახურში” — წერს:

„ირანის მაშინდელი მდგომარეობის გამო ჩვენი აყდისა და ქორწინების ცერემონიალი უაღრესად მოკრძალებულად ერთ დღეში ჩატარდა. ამ ცერემონიის დროს საბრალო ქალიშვილი ისე დასუსტებული და დაუძლურებული იყო, რომ საკუთარი საქორწინო კაბის კალთას ვერ სწევდა და შუა აყდის წერისას ლამის გული ნაუციდა...”

სორაიასა და შაპის ქორწილზე, რომელიც, შაპის თქმით, „უაღრესად მოკრძალებულად ჩატარდა”, ორი ათასი კაცი იყო მიპატიუებული. თვითონ სორაია ამის შესახებ წერს:

„შუბოსან ჯარისკაცთა თანხლებით მცირედი დაგვიანებით გამოვიარეთ დათოვლილი ქუჩები და მარმარილოს სასახლის გზას დავადეჭით. სასახლის ნინ კიდევ ერთხელ შევფერხდით. კიბესთან საპატარძლო კაბაში გამოწყობილი ოთხი მცირებულოვანი გოგონა იდგა. მანქანიდან გადმოსვლისთანავე მომეგებენენ, რათა ჩემი საპატარძლო კაბის შელიფი აეღოთ და მაღლა ამოეტანათ. მაგრამ კაბა იმდენად მძიმე გახლდათ, რომ ვერ მოერივნენ. სხვა გზა არ იყო — ორი მოსამსახურე ქალი მოვიდა და მათ კაბის ზიდვაში მიეხმარა. სასახლის უზარმაზარი დარბაზი დიდებულად მოერთოთ ათასობით ორქიდეით, ნითელი მიხაეთ, თეთრი იასამნითა და ბლის ორასი აყვავებული რტოთი. მათი სურნელი ადამიანს დაათორობდა. სტუმრებს შორის ყველაზე გამორჩეული ისმაილიტთა სექტის⁷ თავკაცი აყახანი და მისი მეუღლე ბიგამ აყახანი ჩანდნენ. მათი ფოტოები ადრე ევროპულ უურნალებში მენახა.

შაპი მუჟი ფერის უნიფორმით მომეგება, რომელიც ნაირ-ნაირი მედლებით, ბუზმენტებით, სამხრეებითა და სამეფო რეგალიებით იყო მოკაზული, გამიძღვა ოთახისკენ, სადაც აყდის სუფრა გაემალათ. ტახტზე დამხვა.

სამეფო ოჯახის ყველა ნევრო დედა-დედოფლისა და მის ქალიშვილთა მეთაურობით შეურებილები არიან. აყდის ცერემონიალს ატარებს შვეიცარიაში განათლებამილებული შედარებით ახალგაზრდა და სიმბათიური მოლა — თეორანის იმამ ჯომებების ირანში ასეთი წესია: აყდის დამწერი პატარძალს ეკითხება, თუ აქვს უფლება, რომ მისი რწმუნებით აყდის ფორმულები ნარმოთქვას. პატარძალი პირველ და მეორე ჯერზე არ პასუხობს, რათა საკუთარი კდემამოსილება, თავდაჭერილობა ან მოკრძალება და რიცი გამოაჩინოს, მაგრამ მესამედ დადებითად პასუხობს. ეს წესი ჩემთვის ნასწარი პერიოდისათვის მაგრამ არ ვიცი, იმ მდგომარეობაში მეტისმეტი მდელოვარებისაგან იყო თუ დაღლილობისაგან, პირველსავე კითხვაზე, „დიაბ-მეთქი”, ვთქვი და საზოგადოებაში ატყდა ერთი ურიამული და ჩოჩქოლი. პატარძლის თავზე ყანის გუნდის დატევის რიტუალი, რომელიც ცოლ-ქმრული ცხოვრების სიტყობებისთვის კეთდება, შაპის დედამ თაჯ-ოლ-მოლუქმა და მისმა ქალიშვილებმა შეასრულეს. პატარძლის თავზე ოქროს მონეტებისა და ნუდლის¹⁰ დაფრევევის რიტუალის აღსრულებაც თაჯ-ოლ-მოლუქმა ითავა. მოგვიანებით მითხრეს, რომ ამ ყველაფერს ჩვეულებრივ ის ქალები ასრუ-

ლებენ, ვისაც ბედნიერი ცოლქმრული ცხოვრება აქვს. თაჯ-ოლ-მოლუქს კი — ქალს, რომელსაც საკუთარ ქმართან სულ ომი და დავიდარაბა ჰქონდა, რეზა შაპმა კი მისი არსებობის პირობებში სხვა ქალი შეირთო ცოლად, ეს ფუნქცია საკუთარ თავზე არ უნდა აეღო. ამგვარი ქმედება, როგორც იტყვიან, კეთილ ნიშნად ვერ ჩაითვლებოდა.”

აყდის აღსრულების შემდეგ იწყება ხანგრძლივი პროცედურა, რომლის დროსაც დიპლომატიურ მისიათა ხელ-მძღვანელები ულოცავენ და საჩუქრებს გადასცემენ, ასევე ულოცავენ და საჩუქრებს უძღვნიან სამეცო ოჯახის წევრები, მთავრობის წარმომადგენლები და პატარძლის ნათესავები. საჩუქრების უდიდეს ნანილს ძვირფასეულობა შეადგენს, მაგრამ სხვაგვარი საჩუქრებიც, როგორიცაა: პანინო, ვერცხლის ქანდაკება საყვავილეთი და შანდლით — მეტნილად უცხოური მისიების მხრიდან მოდის. სორაია მემუარებში მათ უსარგებლო და ნაკლებად საჭირო ნივთებად მოიხსენიებს, რომელთა უმეტესობა სასახლის სარდაფში იქნა გადატანილი.

ამ პროცედურის შემდეგ სორაია ნეფესთან ერთად სტუმრებში უნდა გაერიოს და მიესალმოს მათ, მაგრამ მიმიერ საპატარძლო კაბის ზიდვის თავი არ აქვს. შაპი გამოსავალს მოიციქრებს და ამბობს, პატარძლის კაბას შელიფი მოაჭერითო. შაპის პრძანება დაუყოვნებლივ სრულდება. ქალები ჩურჩულებენ, ზოგიერთები ამას ცუდ ნიშნად მიიჩნევენ, მაგრამ სორაია შვებით ამოისუნთქავს და შაპთან ერთად, რომელსაც ამიერიდან მისი ქმარი ეწოდა, სტუმრების აღლუმს ჩაიბარებს.

ოფიციალურ ვახშმამდე, რომელიც გოლესთანის სასახლები იმართება, სორაია ერთ საათს ისვენებს და ვახშამზე უფრო ხალისიანი ჩანს. ღონისძიება შუალამედე გრძელდება. გოლესთანის სასახლიდან მათთვის განკუთვნილი სასახლისკენ მიმავალი სორაია აღტაცებულია, როცა დაინახავს ქუჩაში, ზამთრის სიცივეში, მათ გზაზე ჩამნკრივებულ ადამიანებს, ემოციებს რომ ვერ მალავენ.

სპარსულიდან თარგმნა თეა შურლაიამ

1. შამს ფეჰლევი — მოპამად-რეზა ფეჰლევის უფროსი და (1917-1996)

2. მოპამად-რეზა ფეჰლევის დედა (1896-1982)

3. მოპამად-რეზა ფეჰლევის ნახევარდა (1928-1987), რომელიც შაპმა მოიკვეთა მას შემდეგ, რაც ის ამერიკელ ვინსენტ ლი ჰილერს გაცემა ცოლადად.

4. მოკლეს ტერორისტული აქტის შედეგად 1951 წლის მარტში პრემიერ-მინისტრის პოსტი 1950 წლის ივნისში დაიკავა.

5. არაბ-სპ. „მეფობა, მმართველობა“. იგულისხმება ამ გვარის მქონე მასნავლებელი, რომელიც სორაიას ბავშვობაში სპარსულ ენას ასნავლიდა. ერთგვარ სიტყვათა თამაშია.

6. საქორწინო ხელშეკრულება; ცერემონია, რომლის დროსაც ქალი და მამაკაცი საქორწინო შეთანხმებას დებენ.

7. შიომური ისლამის ერთ-ერთი სექტა, რომელიც VIII საუკუნეში ნარმოიშვა.

8. სასულიერო პირი, რომელიც წარმართავს პარასკევის ლოცვასა და ხუტბას წარმოიქვამს.

9. დანმენდილი თეთრი შაქარი.

10. დაშაქრული ნუშის გული.

გოგი ოჩიაური

მიცუ

მუცუ მდინარის პირას მდგარი, კლდის ფერდაზე შეზრდილი მშრალი წყობის კოშკებია, რომლებიც ზემოდან კლდის მასივს ამთავრებენ. კლდე და სამოსახლო ძნელი გასარჩევია.

ყველა კოშკი ჩამონილია, მაგრამ მაინც მედგარ იქნას ინარჩუნებს, შეუძოვარი და ძალიან, ძალიან ამაყია. გაგიკვიდება, როგორ გადაადგილდებოდნენ სახლიდან, უფრო სწორად, კოშკიდან კოშკში.

მტრისაგან მის დამორჩილებაზე ფიქრიც ზედმეტია. ერთი კაცი შეაჩერებს მტრის ლაშქარს გინდა მშვილდისრით, გინდა ხმლით. თოფის დროს კიდევ ცხოვრობდა თუ არა სოფელი, არ ვიცი.

უკანასკნელი ქისტის ოჯახი 1930 წელს ექიმმა თევდორაძემ ნახა. სათონ ოჯახად იგონებს. ხევსურები და ქისტები ერთად ცხოვრობდნენ. აკლდამებიც ერთმანეთის გვერდზეა, ქისტური და ხევსურული.

მუცუ ალბათ ვაინახების აშენებულია, როგორც ბევრი სოფელი მთასიქითა ხევსურეთში. რატომ წავიდნენ ბარისკენ, როდის დატოვეს მუცუ-არდოტისა და შატილის ხეობები, გადმოცემითაც არავინ იცის. ერთია ცნობილი: ბრძოლით არავის დაუპყრია ეს სოფელ-ციხეებით გამაგრებული ხეობები. მეორე მსოფლიო ომამდეც კი შერეულ სოფლებში ცხოვრობდნენ მიღმაპყველები და ქისტები. ნათესაობაც პქონდათ ერთმანეთში. ერთმანეთისთვის სისხლძიების ანდრეზებიც არცთუ ისე შორეულია.

მუცუს მიცუსაც ეძახიან ადგილობრივები და მეც ეგრე უფრო მომწონს.

სამოციან წლებში ჩემმა მეგობარმა არქიტექტორმა ნახა და მერე ნაცნობს და უცნობს მიცუზე უამბობდა, უხატავდა, უხსნიდა.

იმ ზაფხულს გადაწყვიტა და მიცუს ძირს, მდინარის პირზე რომ მწვანე ფართობი ჰქონდა შეთვალიერებული, თბილისიდან იქ ბარგის გადატანაში დახმარება მთხოვა. შევთანხმდით, რომ ოცი დღის მერე ჩემი „ნივით“ გადავაკითხავდი და ორი მანქანით დავბრუნდებოდით თბილისში. ლერის ცოლიც და ამხანაგიც ჰყავდა წამოყვანილი.

მიცუს ფრიალო კლდეს დასავლეთით პატარა, კოჭს რომ ძლივს დაუფარავს კაცს, ნაკადული მოუდიოდა, რომელიც მდინარეს ლერის კარის გვერდზე ერთვოდა. ზემოთ სამასი მეტრის მანძილზე ჩანჩქერი, ლამაზი ჩანჩქერი, თეთრად გადმოდიოდა ვინრო შავ კლდეში და კრალა, სრულიად კამკამა წყალი, სუფთა ქვების მოზაიკაზე თამაშით მოდიოდა მი-

ცუს წყლამდე. საკალმახე ტარი მქონდა წალებული და ყველაფერი, რაც კალმახისთვის საჭიროა და ვიდრე ლერი კარვის ჩონჩხისთვის გაღმა ტყეში შესაფერის ხარისხს ამზადებდა, კალმახობა ვცადე.

ესეთ ნაკადულებზე თევზაობა გოგი თურმანაულმა მასწავლა, უფრო ლამაზა და კეთილშობილ კაცს იშვიათად შეხვდება კაცი. მე თბილისშივე ვიცოდი მისი მეკალმახეობის ამბავი და ერთხელ მანქანით აღმა, შუაფხოვისკენ მიმავალს ჩარგლის მიდამოებში შემხვდა. არაგვიდან გამოტობა ახალგაზრდა ამხანაგთან ერთად. გავაჩერერთ მანქანა. მოვიდა მუდამ მომლიმარე და მხარული. მაჩენა: გუშინ საღამოთი და დღეს დილით დავიჭირეო. დაუკერებელი იყო. როცა კალმახის გასინჯვა დავინცე, ნანემსკავარი იყო თუ არა, მაგრა გამხიარულდა. მეც ბევრი ვიცინე. მერე მასწავლა, როგორ იჭირდა. მისი გამოგონილი ხერხი იყო და სხვანაირად არ კალმახობდა.

ეხლა ამ მუცუს პირის წყალზე პირველად ვცდიდი გიორგის ხერხით დაჭირას. და დღესაც ყველა დაჭირილი კალმახი მახსოვეს. რამდენი ხანი, ოცდათი წელი მაინც გავავიდა. ცხრა კალმახი დავიჭირე და გაბრწყინებული დავბრუნდი კარავში. სწორედ ტრაპეზისთვის ემზადებოდნენ. ქურაც წამოელოთ თბილისიდან და კალმახი მოამზადეს. სასმელიც გექინდა.

კლდის ძირზე ვიღაც საწოლ-საჩრდილობელს უკეთებდა თავის მოხუც სიმამრს. გამოგვეცნურა. ბიძაშენი გარსიას მეორე ცოლის შვილი ვარო. დედაჩემი რომ შეირთო, დედმ მე აქ დამტოვა, ბიძაშვილებში, იქ დამეჩაგრებიოთ თვითონ არხოობში გავჭვა გარსიას.

ჩემი ახლადალმოჩენილი ნათესავი აქ მცხოვრები დასნეულებული სიმამრის მოსაკითხად ჩამოსულიყო და ეხლა საჩრდილობელს უკეთებდა. უკვე საღამო იყო. მივეახლე, გავიცანით ერთმანეთი. მოდი, რაღაცა სასმელიც გვიდგას და დავგვეწიეო. უარი მითხრა, — ავიკრძალეო სასმელი. მადლობა გადამიხადა. მე ჩემებთან დავბრუნდი. დიდხანს უუზიარებდით ერთმანეთს თავის სატკივარსა თუ სალხინს. ბოლოს თავ-თავის კარვებში დავიძინეთ.

დილაზე ადრე ავდექი, იქნებ კიდევ დამჭირა კალმახი. მამუკა ცულით რაღაცა ხებს ასუფთავებდა. მივესალმეთ ერთმანეთს.

— როგორ მინდოდა სწავლა, ამას სხვა ვერ გაიგებს. როგიყურებთ, მეც ხო შემეძლო, თუ ვისწავლიდი, ეგრე მეცხოვრა, როგორც თქვენ, გონებით, სუფთად, მარტო ცოდნითა და გონებით. ეხლა ბევრია ჩვენებენაც ნასწავლი, უმაღლესი განათლებითაც. მაგრამ მე ვარჩევ ნასწავლას და ნასწავლასაც. მე უხერხულობით სხვა თემაზე ვცადე საუბრის გადატანა და არ გამომივიდა.

გიორგი ჯაბუშანურის
ფოტოეტიუდი



შემეძლო მესწავლა დალიან მიყვარდა და დღესაც მიყვარდა კითხვის წიგნი, სხვას რაღაცა და დავგვიდგა კითხვის წიგნი. უარი მითხრა, — ავიკრძალეო სასმელი. მადლობა გადამიხადა. მე ჩემებთან დავბრუნდი. დიდხანს უუზიარებდით ერთმანეთს თავის სატკივარსა თუ სალხინს. ბოლოს თავ-თავის კარვებში დავიძინეთ.

მოგონებათა სპილეო

ტომ არ ისნავლე, რაბ შეგიძალა ხელიო? ზრდილობისთვის ვკითხე. ვატყობდი, რომ დილის კალმახობას ვეღარ მოვას-წრებდი, — გაიღვიძებდნენ ჩემი ნასწავლები...

— မასანောက ၁၂ အဲ မာဂျော်ဒွါး၊ ဂာနိုင်္ခုလ မာဇံ စူစေ ၆၆၈၏
၇၀၁၏ အား ရှေ့ပြော မာမိန်၍၊ တာလှား မာမိန်၍၊ တော် ၁၃ ဂုဏ်ပြု၍။

ნავედი, გუშინდელი ტრაპეზის ადგილზე სიგარეტის კოლოფი ვაპოვე. ნამოვულე ერთი ლერი ამოიღო, მეორე მე ძალით მივაჩერე. შეინახა ყურზე. კოლოფი კი არ დაიტოვა. მოუკიდა, კარგა მოსწია, გამოუშვა ბოლი, კიდევ მოსწია, მერე სიგარეტი დაათვალიერა. დიდი ხანია, არ მოუწევია, ბოლიში მოიხადა.

— მე სწავლა ძალიან მინდოდ, გარსიამ რომ ჩემ დედა ნაიყვან, დავრჩით მე და ჩემ უჯროს და. იმას ოთხ კლას კი პჟონდ ცოდნაი. ჩემ ბიძას, დიდი ხნის ნასული იყო ბარში და არც კი ვიცნობდი. ვიცოდი, რომ უცოლევილო იყო და უმაღლესი განათლებაც პჟონდა მიღებული. კახეთში ცხოვრობდა და სკოლის დირექტორად დაინიშნა სოფელში. სწორედ იმ წელს, დედა რომ ნავიდა სახლიდან.

ნერილი მიეკიდეთ, ჩემ დას სწორდა: ნამოდით, დროებით ჩემთან იცხოვრეთ. მამუკა ჩემ სკოლაში ისწავლის, შენაც რა-დაცა საქმეს მოგიძებნი. დანარჩენი მერე ვნახოთ, — გვნერ-და. უფროს ბიძას ჰყოთა დამ რჩევა და იმანაც: აბა, აქ რას აკეთებთ, წაიყვანე ძმა და წადიო. დიდხანს არ დავგვიაზნით. სწავლაც მაღლე იწყებოდა სკოლებში. ცოტა ფული ჩემ დას გა-მოუწინდა შენახული, ბიძამაც მოგვცა რაღაცა და გავსწიეთ კახეთისკენ. მიეკიდით კითხვა-კითხვით. სოფელში იცნობდნენ, სახლი მიგვასწავლეს. მეორე სართულზე ცხოვრიბდა პა-ტარა, რაღაცნაირ კოხტა სახლში. ბირის სართულზე სოფლის სამკითხველო იყო ორ თახმი. სკოლა მეორე სოფელში, იქი-დან სამ კოლომეტრში იყო, სადაც მე უნდა მესწავლა და მეო-რე დილით ფეხით წავედით. ჩემ დას სულ ეცინებოდა ჩემ სი-სარულზე. თავადაც კი ძალიან უხარიოდ. მიეკიდით სკოლის სოფელში. იმ სოფელში კოლექტივის თავმჯდომარებრ შატი-ლიიდან დიდი ხნის წინ წარმასულ კაცი იყვ. ადრევ წამსაული, ჩე-მის ბიძას სწორი. თურმე ვერ სწავლობდა, ვერ იგებდა გა-კ-ვეთილებს, რომ უხსნიდეს, მაშინაც კი და ძალიან გაბოროტ-და. დაანერა სწავლას თავი და გაიძვერობითა და, რა ვიცი, კო-დევ რით, თავმჯდომარე გახდა. აღორებდა თურმე ხალხს. არ იხდობდა, ამჟამავებდა და შრომადღებებს არ უწერდა და, რა ვიცი, კი ძალიან აშინებდა თურმე ყველას და მაღლე მაგის კოლექურნე-ობა სანიმუშო შეიქნა. სწერდნენ გაზეთში, უღებდნენ სურა-თებს და ძალიან დიდი მეგობრობა ჰქონდა რაიონის ხელმძღ-ვანელებთან. ხან ქეიფით, ხან ძლვენით, მოკლედ, როგორც წესია, ისეთი საქციელით, კარგა ცხოვრიბდა. მაგრამ უსწავ-ლელობის ბოლმა ძალიან აწვალებდა. რა ჰქონდა შესაშური, გარდა განათლებისა, ბიძაჩემს. აღარ ასვენებდა თურმე, ხან რას მოუგონებდა, ხან რას, ეს ყველაფერი ხახაბოში ადრევე ვიცოდით და სხვებმაც, ჩემნამა ბიძაშვილებმა, იცოდნენ. ხან ვისგან, ხან ვისგან ალწევდა ხახაბომდე იქაური ამბები. ბიძა მაგარი კაცი იყო იყო და სისიძაგლეს ჩუმად, ზურგსუკან, ფარუ-ლად უხერხებდა თავმჯდომარე. პირში, კი ელაქაჯებოდა.

სოფელში გვითხრუს, სკოლა მესამე დღეს დაკეტილია და დირექტორიც არ გამოჩენილა, წავედით თავმჯდომარეს-თან. იცოდა, ვინ ვყიყავით. დიდი მზრუნველობით მოგვიყიოხა. არაფერი ვიცი, მეც მითხრეს, რომ არ გამოჩენილა, არადა პირველი სეტტინგშერიც კარზეა და მანქუბებსო. რასაც გი-

გებთ, მეც შემატყობინეთო, — გამოგვაცილა. სკოლას რომ გამოუუარეთ, დავინახე, რომ ვიღლაცა გამოდიოდა, დაუუძახე, გავაჩერე, მივედით, დარაჯი აღმოჩნდა. ვერ შეგიძვებთო. ვუთხარი, რომ ნათელასვები ვართ და კაბინეტი გვინდა დავათ- ვალიეროთ, იქნებ რამეს მივხვდეთ, სად წავიდაო. გამიბრაზ- და. შექინებაც დამიპარა, სკოლაში ძალით რომ მივარდები, პასუხს მოგთხვენო. რატომლაც საღლიან არ მომენტოა მაგის საქციელი. ვუთხარი ჩემ დას, წადი მილიცაში, ვინმე მოიყა- ნე, ამ კაცზე ცუდი ეჭვი მაქს და იქიდან ფეხს არ მოიცვლი, ვიდრე მილიცა არ დაპყითხავს, თანაც რატომ მემუქრება, მაშინებს. რაღაცა იცის და მილიცაში ათქმევინებენო. ესმო- და ჩემი ლაპარაკი და მილიცა რად გინდათო, შეგვაშვა სკო- ლაში. სხვადასხვა კლასში შეგვახედა, ბოლოს ძალით მივაყა- ნინეთ თავი კაბინეტთან. გავვიღო, შევედით. ცოტა არეული მომეჩვენა იქაურობა, კუთხეში, სადაც ცერად იყო მიდგული კარადა, იქ მიმიყვნა რაღაცა, გამოვნი და შედედეული სისხლის გუშტში კედლისენ გადაბრუნებული ბიძა არ დავი- ნახე? დამიბნელდა და იქიდან მობრუნვილმა პირდაპირ ცხვირიში დავაყარე დარაჯს. წლით ცოტა ვიყავი, 14 წლი- სა, მაგრამ ძალა კარგი მქონდა, დავკარი და დავკარი, მივაქ- ციე სკამზე და მოკვლას უპირირბდი. არ ვიცი კი, რითა და და- იღრიალა, მე არ მომიერავს, თავმჯდომარემ მოკლაო. ჩემი და წავიდა მილიციის მოსაყვანად, ეს კი იატკაზე დავაწვინე.

სანერი მაგიდის უჯრების ამოლაგება დავინტე უაზროდ. მაგიდის ქვედა უჯრაში ღრმად შედგმული ნაგანი ვიპოვნე. თეთრ ნაფერში გახვეული. ამოვილე, უბის ჯიშები დაგმალე. დაგდებული კვნესოდა, არაფერი დაუნანია. მილიცაც მოვიდა. დარაჯი წაიყვანეს. მეორე დღეს თავმჯდომარე დაპატიმრეს. ხუთ დღეს მოგვინია იქ ტრიალმა. გვითხრეს, სასამართლოზე გამოგიძახებთო. მისამართი ჩაინერეს. ბიძა დავმარხეთ, ბევრი ხალხი შეგვენია და საკადრისად, სადაც ცხოვრობდა, იმ სოფლის სასაფლაოზე დავმარხეთ. წალება ხახაბოში ვერ მოვახერხეთ. მაშინ ხახმატის ზევით სამანქანე გზა ალარ მიდიოდა და ხახაბოში მიცვალებულის გადასასვენებლად მთაზე გადამტან ხალხსაც ვერ მოვაგროვებდით. ჩვენ ხახაბოში დავპრუნდით. ესე ჩამეშალა სწავლის საქმე... დაამთავრა და სურდანი ლიმილით შემომხედა.

მომკლავი ციხეშია თუ გამოვიდა? — ვკითხე უაზროდ,
ამდენი ხნის წინანდელ ამბავზე.

როცა შეგვატყობინებს, სასამართლოზე მარტო მე წამო-
ვედი. უკვე ზამთრის პირი იყო. უფროსებმა, ჩვენის გვარი-
სებმა, გადაწყვიტეს, რომ მამკლავის დაჭერა ჩვენ არ
გვაწყობდა. სისხლს ვეღარ მაიძევდეს, ვერ აიღებდეს. მე
ამბის მისატანად გამომიშვეს. რა როგორ იქნებოდა სასა-
მართლოზე, საიდანლაც იცოდეს. ყველა მოქრთამული
ჰყავს და სკოლის დარაჯიც სადღაცა გადაქარგულა.

სასამართლოზე რაიონის უფროსებიც ჩამოსულიყვნეს. მაგას რომ რამე მიესჯოს, მონინავე კოლმეურნეობა ჩაგვიგარდებაო. ხო იცი, როგორ ზრუნვადნენ ხალხზე. დარბაზიდან გაუშვეს მომქლავი. ეხვეოდნენ, პკიცნიდნენ. ერთხელ იმ ხვევნა-კოცნაში კი გამოაპარა ჩემსკენ თვალი და ცუდად შემომზედ. მერე ისევ სიცილ-კოცნაში გახვეული გაყყვანეს ოთახიდან. სასამართლო დარბაზს რომ ეძახიან. საშუალოზე კოტა მეტი ფართობის ოთახია.

დარპაზში მარტო დავრჩით მე და ერთი ახალგაზრდა ქალი. მე ბიძაშენის სახლის ძირის სართულში სამცითხველოს გამგები გარო და ბიძაშენს ძალიან პატივს გცემდიო. ეს

მოგონებათა სკივრი

რა უნამუსო სამართალი ქნეს, ქვეყანამ გაიგო, რომ მაგან მოკლა ბიძაშენი და დარაჯი ვასუაც მაგან გააქრო და ყველაფერი იმას დააბრალესო. წამოვედით ერთად. ბიძის ბინას დავავლებდი თვალს, ზოგს რამეს ეხლა წავიღებდი, ზოგს მერე მოვუხერხებდი. ტასომ თავისთან შემიპატიუა, პატარა ოთახში ცხოვრობდა. სამკითხველოდან შეხვიდოდი.

ის ვიდრე თავის ითახში რაღაცას ფაციფულობდა, სამკითხველოს წიგნები დავათვალიერე, სულ ორი კარადა იყო და ვნახე, რომ ყველა წაკითხული მქონდა. გამოვიდა და სავახმოდ შემიპატიუა. მოგწნენს ჩემი წიგნებიო? როცა გაიგო, რომ ყველა წაკითხული მქონდა, ძალიან გაიკვირვა: ეს ჰიუგოცო? ეს ომი და ზავიცაო? ესეცო? რამდენიმე გადაამონა და ძალიან გაუკირდა, სად შოულობდიო. ძატილში, ბარისახოში, ვიღაც-ვიღაც ბევრი წიგნი წქონდათ დაგროვილი და მე არავინ მიზოგავდა. ეგეც გაუკირდა.

ვივახშემეთ. ბიძაშენის სიკვდილი რომ გავიგეთ, იმის მერე მითხრა, ჩემი ბერდედა შატილიონი იყოო, მე კარგა არ მახსოვესო.

ბევრი ვისაუბრეთ მთისა, პარისა. ბოლოს ფრთხილად, რაღაცნაირად მითხრა: იმ თავმჯდომარეს, აგე, იმ სახლში ერთი ბავშვიანი ქრისტი ჰყავდა შეყვარებული. ყოველ პარასკევს ბავშვიანად დადიოდა სტუმრად და ღამით რჩებოდა. დილაზე ადრე მიიპარებოდა ხოლმე. სოფელი მაინც ხედავდა, რას გამოაპარებ სოფელს, ასი თვალი აქეს და ასი ყური. სასამართლოზე ის ქრისტი ესწრებოდა და განთავისუფლებაც მიულოცა. მე ვერ მარნევდა. ეხლაც მანდ არი ბავშვიანად მოსული, ალბათ ვეღარ მოთმინა, მაგრამ ვერ დარჩება. მილიციელების მანქანა რომ მოვიდა, ერთი ქვრივის წათესავია და მაგასთან იცის დადგომა. ალბათ, დღეს ბინდზე გაიპარება, შემდეგისთვის შეთანხმდებიან. მე ამას იმიტომ ვეუბნები, რომ შენი უფროსები თუ რმეს აპირებნ, იკოდნენ, რომ ყველა პარასკევს აქ სტუმრობს. აგე, ტყეც არ არის შორს. აგე, საკარტოფილეს გვერდით რომ თეთრონია, მაგისია. დღეს ღამის პირზე წავა და სად ვის შეატყობინებ. შემდეგისთვის კი იცოდნენ და თავად იციან, რას იქმენ. ჩემზე არაფერი უთხრა თქვენებს, ნუ გამრევ, მაგის მეტს მაინც ვერაფერს ვასწავლი. მადლობა გადავუხადე თეთრ ცხენს თვალი ვეღარ მოვამორე. გულიც ალარ დადგა საგულეს. ერთი საათი კი გავიდოდა ჩვენ საუბარში. ან არადა ცხენი სახლისკენ წამოიყვანეს.

სწრაფად ჩავიცვი. ბიძაჩემის ნივთებს სხვა დროს ვინმე მოაკითხავსო, — ვუთხარი. მე შენ არ გიცნობ, შენ — მე... თუ დამიჭირეს და დამკითხეს, მე ვერავინ გამტეხს. შენ არავისთან ილაპარაკო. გადავკოცნე და გასტერებული დავტოვე. თავქვე გავიტეცი გზაზე და სასაფლაო რომ იყო ტყის პირზე, გორის იქით, იმისკენ მიმავალ გზის პირზე დიდ მორზე ჩავჯექი და თავიც ხელებში ჩავრგე. ვითომ დარდით ან დალლის გამო. ნაგანი არ მქონდა შემონმებული, ბიძას მაგიდის უჯრაში რომ ვიპოვე და ეხლა მაგაზე დავინწყე ფიქრი. გული კინალ გამისქდ ლელვით, აბა, მაინც ბალდ ვიყვი. გამლილ დანა ჩავიდევ ჯაბეში, თუ დამიყალბებდა ნაგანი, მივახტებოდი და ყელს გამოვჭრიდი, ვიდრე გონის მოვიდოდა. ამიტომ ახლოს უნდა მივსულიყავი, ძალიან ახლოს. მაღე გამოჩნდა ცხენ-მხედარი, შვილი ცხენის გაგაზე შემოესვა, რო გამისწოდეს, სწრაფად გავვარდი, ვუტაცე აღვირს ხელი. ლულა მივუშვირე, მიცანიო? — ვკითხე. გაიცინ. ეგ ყმანვილა მაიშორევ, — ვუთხარი. გადახტ ცხენზეით აი ვაჟაო, გაიქცა და გზის გვერდზე ყურებ-

ზე ხელ დახვეულ ზურგით დაჯდ ჩვენსკე. ღმერთო, შენ მიშველეო, — გავიფიქრე და... და მიბრჯნით დავხერა გულზე. მაშივ გადაიქცა და უზანგამ არ გაუშვა. ერთი ფეხი აშვერილი დარჩა. ცხენი ალბათ მიჩვეული იყო სროლას, არ დამთხვე: აშვერილ ფეხსაც დავხერარი, არ განძრეულ.

კივილ გავიგონე: — გაიქე! მილიციაო! და გავფეცი! სწრაფად ავორბინე სასაფლაო, ტყისკენ და გორზე რომ უნდა გადამევლო, ამიტეხს სროლა, ჩემ ბედზე უკვე ბინდ იყვ ჩამამდგარი. მერე აღარ მახსოვეს.

გონს რომ მოვედ, ისე მაძაგასებდა სიცივით, რომ კანკალმა წელში არ გამტეხოსო, ვიფიქრე, ისე მტებდა და მახტუნავებდა სიცივე. თავის ტკივილი ეხლა? ხელი ვერ მოვკიდე, აი, თმებში წემსებივით მტკიოდ. წელ-წელა მოვე გონზე. თითებით ძალიან ფრთხილად მოვისინჯე თავი, ძალიან ფრთხილად ხა! ხა! ხა! რად მტკიოდა ეგრე, ქალაც ვიგონებ. ტყივის გამოევლო, ზედ შუაზე გამოეგლიჯა, ზედაპირზე და საემაოდ ღრმა ჭრილობიდან ალბათ ბევრმა სისხლმა იდინა. მთელი სახე, ყელი გამხმარი სისხლით მქონდა დაფარარული. ეტყობა, გონიც მაგან დამაკარგვინა, ძალათან ძალიან ახლოს იყო ტყვიისგან გამოტანილი ჭრილობა. წამოდგომა მოვახერხე. ვერ გავიგო, რა დრო იყო. შუა ღამე გადასული კი იქნებოდა, მაგრა ბნელობდა. მივბრუნდი და გზისკენ დაევშვი, არც დავფიქრებულვარ, სამკითხველოსკენ წავედი დაუფიქრებლად. კანკალით, ზურგის მტვრევით მივაღწი იქამდეც და შავ ფაჯარაზე მივაკაკუნე ჩუმად, ნელა. კარებისკენ მანიშნა და ბეღლ ოთახში შევედი. მომახვია, რაც საბური ჰქონდა. უკირდა, ესეთი კანკალი არ მინახია. სისხლისგან შავი სახე რომ დავინახე, ძალიან დავშინდოო, მერე მიამბობდა.

წყალი გააცხელა. დიდ ტაშტში დიდხანს მბანდა თავს. ძალანა მტკიოდა, ტყვიისგან თავზე გაჭრილ ღარს რო მისუფთავებდა, მაგრამ კრინტი არ გამიღია. კისერი, გულის პირიც დავიბანე. გავიდა გარეთ ქალალდის შუქზე. ხელის მოფარებით, სოფლიდან რომ არავის დაენახა, ციცისკუდა მოეკრიფა, დიდანას რეცხდა, ძალიან მაგრა დასრისა, ძალიან. თაფლში აურია და ჩამიზილა ჭრილობაში. ბამბაც დამადვა, მაგრა გადამიხვია. თავის ოთახში დამაძინა.

ერთ კვირას ვიყავი მალვით ტასოს ოთახში. გარეთ მარტო დამით გავდიოდი ჰაერისთვის.

საკვირველად მაღე მომირჩა ჭრილობა. მერვე დღეს ღამით გავედი, დიდხანს ვიარე ფეხით. მაგ მხარეს სულ რო გაცუდი, მერე შემხვედრ მანქანაზეც გავბედე ასვლა. ვიარე ორნელამდე, მერე ფამასკენ გადავუხვიერ და მათურიდან გადავედი სახლში. ვიმალებოდი ზაფხულში. ველადაც მომიხდა გასვლა. მერებდნენ. ნათესავებმა შეკრიბეს, ჩვენ სად გვქონდა იმდენი და შემდეგ გაზაფხულზე ერბო-ფულა წაულეს მოსამართლეს, მერე კიდევ მოითხოვეს ქრთამი და ვეღარ გავწვდით. შატილში დამაპატიმრეს ერთი წლის თავზე, ალარ ველოდი, მანამდე ვიმალებოდა, 10 ნელი მომისაჯეს. ჯერ მაღალეტკებში ვიჯექი, მერე სრულნლოვანებში გადამიყვანეს. აბა, ვის ახსოვდა სწავლა. სასჯელიც სრულად მოვიხდე.

კიდევ მოსწია ნახევარი სიგარეტი, მერე დასრისა ქვაზე და კმარაო, თქვა. ჩემმა ნასწავლებმაც დამიძახეს, საუზმე გაეწყოთ. მამუკას ვთხოვე და მადლობით მითხრა უარი, არ დაგვეწვია ტრატეზზე. ცულით საგულდაგულიდ დაინტერესობდეთ ერთმანეთს. ალარ შევხედრივარ, რც წელზე მეტი მეტი გასული.

თამთა ჯინჯოლავა

მინიატურები

გაყიდული სამოთხე

(არაკაცი, რომელსაც
რატომლაც კაცი ერქვა)

- ახალი სათვალე მინდა, — თქვა შვილმა.
- ფულს ვიშოვი და გიყიდი, — დაპირდა კაცი.

* * *

კაცმა მოგონებებში შეცოცებული დღეები გადმოაპირებავა და ძველ დღეებში გრძნობებს დაუწყო ძებნა. მათ ალაგ-ალაგ ლაქები დაჩინოდათ, უანგი მოსდებოდათ. კაცმა ნესტის აბლაბულები მოაცილა, გარეცხა, განბანა... ზოგან გაქელილი კალთები ამოუკეცა და გარეცხილი ფასეულობების გადარჩევას შეუდგა...

* * *

რა გაყიდო? — სამშობლო? — ეგ უკვე გაყიდულია!
მეგობრობა? ბავშვობის თუ გვიანდელი? ყველაზე მძიმე წუთებში დაბარებად გამოწვდილი მეგობრის ხელი თუ ალალი რჩევის? ან იქნებ შენი ბედნიერებით გაბედნერებული მისი გული? შენი ნახვით გასხვიოსნებული მისი სახე? შენი ცუდად ყოფნით დაზაფრული თვალები? ეგ მოიცდის... სხვა რა გვაქს გასაყიდა? — სიყვარულის უნარი! მას მრავალმხრივი სიყვარული შეეძლო, გამოდის, რომ გასაყიდიც მეტია. დედის სიყვარული ყველაზე ძვირი ელირება, რადგან ისცრემლებაპკურებია და წაუბილნავი. ყველაზე ბოლოს სწორედ დედის სიყვარულს დადებს დახლზე. ძმის სიყვარული ხომ არ გაყიდოს? ძმა ხომ სიცოცხლეზე მეტად უყვარდა, მის გამო ერქვა კაცი! მხოლოდ ძმის გამო! იქნებ წიგნის სიყვარული გაყიდოს? თუმცა ვის რაში სჭირდება წიგნი? ჩრჩილშეჭმული სტრიქონები სანავეზე მიიპარებიან... ან იქნებ ლამაზი ქალის სიყვარული? მიბნედილი მზერა, უცოდველი ტუჩების მოტკბო გემო და თავბრუდამხვევი აგონია სიცოცხლედ გარდაქცეული — შვილი? შვილს ვერ გაყიდის! არ გაყიდის! არ შეუძლია! საკუთარ, ულირსად მოარულ თავს შეელევა, მაგრამ შვილს — არა! ხელშეუხებელია! ერთადერთი ხელშეუხებელი, შეუფასებელი სიმდიდრე! სიცოცხლე გაყიდოს? ვინ იყიდის? თავისი მობეზრებიათ დროის ფანტია ადამიანებს, წლებს თვეებად კუნავენ, თვეებს — დღეებად, რათა მალე გალიონ, მალე გამოითვალონ თავიანთი აღსასრული.

სინანული? მდგომარეობა, როცა სულის ყველა ბგერა გჩხვლეტს, გონსმოსული ცხელი სირცხვილით იხსენებ გონდაგარგულ ქცევას. სიბილნეს, სიხარბეს, სიმახინჯეს, სიმრუშეს. ტკივილის ალი დაგდის სხეულში და შიშველი სინდისი ცრემლს გთხოვს. მოიფიქრა! სინანულის ცრემლებს გაყიდის! რა უნდა იყოს მასზე აღმატებული, მასზე ლამაზი, მასზე სათნო...

* * *

კაცმა წარსულის მყრალი სკივრიდან ყველაზე ფასებში დღე გამოილო. დღე, როდესაც ნახა დედა, მეგობარი, საყვარელი ქალი, შვილი და ძილის წინ ილოცა, ცრემლის მანტიაში გაახვია და ადამიანური გრძნობების ბაზრისკენ გაემართა...

* * *

არავინ იცის, რამდენ მატერიალურ ერთეულად შეუფასეს კაცს მის ხელთ (გულში) არსებული სულიერი საგანძურო, თუმცა, ფაქტია, იმავე დღეს შვილმა მადლობა გადაუხადა კაცს ახლი სათვალის გამო.

— არასოდეს გავყიდი! — თქვა შვილმა.

— რას არ გაყიდი? — დაეკითხა კაცი.

— ამ სათვალეს და სათვალიდან დანახულ წრფელ სამყაროს!

კაცს ლუკმა ყელში გაეხირა, ადგა, ფანჯარასთან მივიდა, მზედალეჭილ ქუჩას გახედა...

— არც თავისუფლებას გავყიდი! — თქვა შვილმა.

— თავისუფლებას? შენზე მე ვაგებ პასუხს. — გაეპასუხა კაცი.

— შენ მხოლოდ შენს თავზე აგებ პასუხს, მე კი — ჩემსაზე. ეს სათვალე ჩემი სამყაროა ახლა, ჩემს სამყაროს კი არასდროს გავყიდი!!!

— ბოლო ნაბიჯებამდე შვილო?

— ბოლო ნაბიჯის ჩათვლით!!!

კაცმა ფანჯრიდან მისნაირი გაყიდულების ბრბო დაინახა. სადლაც შემთხვევით გადანახული, უკანასკნელი (გაუყიდავი) ცრემლი აუხმაურდა ლოყაზე.

— გაუფრთხილდი შენს სამყაროს, მე მივდივარ, შვილო, — თქვა და მას მერე არავის უნახავს კაცი.

ძურის არა ფერი...

ის უსათვალოდ გარეთ გამოდის. თან თავის ოცნებებს კრეფს, რომელიც წუშისფერ ტკივილად ეღვრება სხეულში.

.....

ცარიელ ასფალტზე ჭუჭყანი ხალხი ირევა. ისინი შუშის თვალებით უმზერენ ერთმანეთს... ხელისჭუჭყამოტენილ ჯიშებიდან მტკიცედ გაკეცილ ცრემლსახოცებს მოუჩანთ თავი. ფეხის ტერფები გადაყვლეფილი აქვთ ცვრიან ბალაზე სირბილისგან, მამულის სიყვარულით გაუდენთოლებს. მრავალკუთხით სახეებიც მედილურად ადევთ მხრებზე. ენაც მტკიცისფერი აქვთ, მაგრამ მოქნილი — პატრიოტობის დასაჩემებლად. მათი ყურები შემართული შანტაჟია, ცხვირები — უგრძელესი, უბევრესი... სხვადასხვა ზომის, შეფერილობის, ყველა ბინძურ სურნელთა აღსაქმელად, ყველა განწირული (შენირული) არსების შესაყნოსად.



გული... არა აქვთ! მასზე უარი თქვეს! რა ხეირია მისგან? ტკივილი, ტკივილი, ტკივილი. მეტი არაფერი. არც იქიდან, არც აქედან...

მათ ყველაფერი აქვთ: უზარმაზარ შესაძლებლობათა მქონე ფიზიონომია, ხელგულგამაჭუჭყიანებელი ქაღალდების დასტა, ბეჭედი – ყველა კანონის კანონიერების დასამტკიცებლად, მათი უბადოუკი ყოფის მაიდენტიფიცირებელი ხელმოწერა და კიდევ ბევრი რამ, მაგრამ არ გააჩინათ ყველაზე მთავარი! – ყველაზე ტკივილიანი და ყველაზე ტკივილი – გულ!

ის ცარიელ ხალხმრავლობას კვეთს. აქ სხვანაირი ფერებით ცხოვრობენ. შექ-ჩრდილებთან მეომრებს მძიმე ცხოვრება აქვთ. მათ კიცხავენ, ამცირებენ, ადანაშაულებენ სიყვარულში. მათ არაფერი აქვთ, გარდა გულისა... ადამიანები გულით – აი, მათი ერთადერთი და სწორი ფორმულირება!

გზის გადალმა კი უგულონი უგულონ ცხოვრებით, მსოფლიო თანამედროვეთა ფერსულს მორგებული რალაც ალტერნატიულს მუდამ გთავაზობენ. მათ სამყაროში არ არის მხატვარი, ფერთა გამა ძეველ გრავიურაზეა მიმკვდარი. აქ არის მოდური ბრენდის ჩანთები და უზარმაზარი სათვალეები, საიდანაც ცრემლგამძლე თვალებით უმზერეს ერთნაირ ერთმანეთს, ნაყიდი მანერებით ხელოვნებაზე საუბრობენ, კოტიტა თითებით ებრაუჭებიან ფუქტიორყეულ მინას. ერთარი ერთმნების პლატფორმურ გარეგნობას ხარბდებიან და მეტად თავისებურ ღვახებს ქმნან, რათა გვაჩუქრონ კიდევ ერთი კოპირებული ადამიანი. ადამიანი ფერის, რითმისა და მუსიკის გარეშე. ცარიელი ადამიანი, ცრემლხოცი ადამიანი, ულირის ადამიანი, სიძულვილშეყვარებული ადამიანი...

არა – ადამიანი!

მათ იციან დროის ფასი, მათ ყველაფრის ფასი იციან. სადაც ყველაფერი იყიდება, ყველა ფერს ედება სათანადო ფასი!

მათ ლაქვარდი არა აქვთ...

ისინი ხელს მათივე მოგონილ უკანონო კანონებზე აწერენ, არადა დაუწერებელი კანონი ყველაზე მნიშვნელოვანი კანონია!

გულისმქონე ადამიანები უხმაუროდ ცხოვრობენ. უხმაუროდ ესესხებიან პალიტრას თბილ ფერებს, ერთმანეთს ავსებენ, ასიყვარულებენ და ბევრ ლამაზ ქუჩას ქმნან... ქუჩა მხოლოდ ბეტონის სუნი და სისქე არ არის. ქუჩა არის საძიებელი ადამიანისა, რომელსაც აქვს სახლი, სახლში აქვს გული, გულში აქვს სიყვარული.

ის დგას გზაჯვარედინზე...

დაბრეული... შეშინებული... გაკვირვებული...

რომელი მიმართულება მიიყვანს მას მთავარ გზამდე? იქნებ სჯობს გაეცალოს ხალხმრავლობას? ან იქნებ მსგავსი ფსევდო-სიმრავლეც საჭიროა „ღირებულის“ ღირებულებების გასამიჯნად? საკუთარი გულის საძიებლად? იქნებ მისი ყველა ფიქრი უნდა განუშისფერდეს?

ის დგას გზაჯვარედინზე...

დაბრეული... შეშინებული... გაკვირვებული...

განა შეიძლება ქუჩას, სადაც ბევრი ხალხი ირევა, ცარიელი ვუწოდოთ? ან პირიქით, ფილაქანს, სადაც უგულო ჰაბიტუსი ირევა, ვუწოდოთ ქუჩა? თან ძალიან ბევრი ჰაბიტუსი, მაგრამ არცერთი ადამიანი!

გზის გასაყარზე ჩანთა დევს უპატრონოდ.

ის მიდის და ჩანთაში იქექება. ჩანთაში მოპარული გულები ჩაუჩურთავთ...

ის მიეშურება ნამდვილი ქუჩისკენ. ეს არის ქუჩა, სადაც არის სახლი, სახლში არის გული, გულში კი სიყვარული...

P.S. ზოგჯერ, ძალიან ზოგჯერ, მოდურ იარლიყებს გამქეცეული გულები პატრონებს უბრუნდებიან და... აადამიანებენ მათ!!!

ერთი დღე ადამიანობამდე

სივრცემ ხმაური აკენიტა. ჰაერი დუმილით გაჯერდა. მზე ულიმლამოდ, ნაკუნ-ნაკუნ განერთხო ცაზე.

ცივად გათენდა.

* * *

ის, ჩამოფხატული ქუდით, ჭუჭყიან ქუჩას დაუყვა.

წარსული გადაფურცლა... ფიქრი გაუშიშვლდა, აატყივილა...

სათქმელი ყელში მოებჯინა, სიტყვა ითხოვა. გაქცევა მოუნდა...

* * *

შენ გინდება შეიცნო არსი, არადა ადრეა ჯერ ფიქრი. ცოდნ ხარ აშეარა ტკივილისთვის. თვალებანთებული დაეძებ არსის გზამევლებებს, მორღვეულ წუთებს გრძნობ შენს ფეხევეშ.

გზად უამრავ ტრაფარეტს აწყდები, ისინი შველას გთხოვნ, საკადრის ადგილს!

— სიცოცხლე შანსია, იყო ადამიანი! — გამცნობს პირველი ტრაფარეტი.

დაბრეული ლიმილი გიკრთის ბაგეზე. თეთრ გაღიმებას საკუთარ თავს ჩუქნი.

აბრებამდე ინტერვალი საკამაოდ დიდია. შენ, დაოფლილი, სიძეველისან დალილობი განაგრძობ გზას. თანდათან შიში გეძალება. საკუთარი თავის (გულის) გეშინია, არ გინდა მიენდო, რადგან ის ნაგბილნავს! სიყრუეს ნატრობ, რადგან სმენა საშუალებას მოგცემს გულისცემას მოუსმინო, საკუთარ თითებსაც უფრთხი, რადგან ცივია, შემინულ გრძნობებს ნალოლიავები და ნათითურები იარას დაგაჩენს სულზე. თვალების გეშინია, რადგან ის ყოველთვის სიმართლეს აირეკლავს! ყალბი ლიმილის გორა გინვევს, აქ შენი ტუჩების ანაბეჭდია!

გრძნობ შენი ცხოვრების სიმლაშეს...

გაქცევა გინდება ისევ... საკუთარი თავისგან...

სინანულის ცრემლი ნამწამზე ქვითკირდება.

* * *

— იბრძოლე, იყო ადამიანი! — მოუწოდებს მეორე ტრა-
ფარეტი.

ის ჩაფიქრდება... დროს მოითხოვს, სულის ყვავილებს
ამარცვლის...

* * *

ულამაზო დაისი დგას. ის უკვე ძალიან დაიღალა, გათე-
ნებამდე უნდა მოასწროს საკუთარი თავის (არსის!) პოვნა.

ის ხვდება განსხვავებულ ტრაფარეტს, სასორამატა-
რებელი ბერები დაკიდულია ცაში და რაღაცნარი ფე-
რია... სულისვერი...

სწეული ხარ და ზუსტად რომ საავადმყოფოს წინ დგა-
ხარ! სათუთად აენძულ სიტყვას კითხულობ და შესვლას
მოინდომებ.

...მაგრამ ეს არ არის ჩვეულებრივი საავადმყოფო, სა-
დაც პაციენტებს მედიკამენტებით კურნავენ. ეს სულიერი
საავადმყოფოა! —

— ეკლესია!..

მკვლელების, მძარცველების, ფარისევლების, უწმინდუ-
რების განსაწენდელი. აქ ყველა პოულობს შეებას: მდიდარი
თუ დარიბი, მოხუცი თუ ახალგვაზრდა. დაიარებიან სნეული,
რომელთაც რწმენის სიმცირე ცხოვრების დაღად დაუჯდათ.
საკუთარ თავს შეიცნობენ, ინანიებენ, პატივებას ითხოვენ.
ისინი სიყვარულს სწავლობენ და სულის სასხლავს იმარჯვე-
ბენ ხელში ახალი ადამიანის აღმოსაჩენად მათსავე სხეულში.
მათ გუგებზე თვალები აქვთ ასხმული, სითბოაჩონჩინილი და-
დიან და ყოველ შემთხვევას უცდინ მოყვასისადმი სიყვარუ-
ლის გამოსავლენად, დვთის სათონ საქმეთა აღსასრულებ-
ლად. ისინი იცვლებიან, კეთილშობილდებიან, ადამინდები-
ან, იწრთობიან, ემზადებიან მთავარი გზისთვის...

შენ თავდახრილი ფრთხილად შედიხარ. სანთელს ანთებ. სა-
ოცარია... შენ გვერდით ჯალათი დგას და არ გეშნია, არც განი-
კითხა, ხვდები რომ ის სხვანარია, ცხოვრების განსხვავებული
კონტრასტის, მაგრამ მაინც შენთვის მახლობელი. თქვენ ერ-
თად ლოცულობთ. მშვიდები... სხეული უკვე აღარ გამოიმებს.
საკმელის კეთილსურნელება გათრობს. სრულ ჰარმონიას
გრძნობ. მიში (საკუთარი თავის და გარესამყაროსი) უკვალოდ,
უკვალოდ ქრება. შეცვლის სურვილი სითბოდ იფურჩენება.

მხოლოდ ერთი აზრი გიტრირალებს გონებაში: — ყველა-
ზე მთავარი სულიერი ფასეულობებია, ვინაიდან თვით სუ-
ლია უმთავრესად ფასეული!

* * *

ეკლესიდან ჩაფიქრებული გამოვიდა.

გზა განაგრძო. ცხედარს გადაანყდა. სიპნელეში უჭირ-
და სახის ნაკვთების გარჩევა, მაინც დააკვირდა. ჩაიმუხლა
და შეათვალიერა. პრაგმატული მზერა გაყინულ თვალებში
ჩამკვდარიყო, ცინიკური კბილების წყება პქონდა შერჩენი-
ლი ურცხვად. ის კარგად დააკვირდა, თითქოს ეცნო, ეუც-
ნაურა... დაიბანა... სულს მიეფერა... ეს მისი წარსული იყო!
მრუში სხეული და ბილწი გულისთქმები. ეს მისი სხეული
იყო სულიერების გარეშე. სამარცხვინო ნეგატივი!

უსულო, გამოფიტულ არსებას ზიზღით გაცილდა და
შეშინ სამყარო დაურა! მან მოიგო ომი! ომი საკუთარ
თავთან!

ის, ნაზავი გამოვლილი სიმახინჯის, სივრცეაკენკილი
ხმაურის, მტკივნეული უსიტყვობის, ცივი თითებით ნაფე-
რები, საკუთარ სულს მიყურადებული, უკვე ნალი ღიმ-
ლით დგას და ხვდება, რომ საკუთარ არს მიაგნო.

* * *

ღამემ სიშავე აილოკა და მზე ამოიბურცა. ჯერ სუსტი
სხივები მიმოაპყურა, თანდათან ძალა მოიკრიბა და მთელი
ცისპირები აითვისა. თბილად გათენდა...

დაგუდული ჰაერი გაზაფხულის სუნთქვამ შეცვალა.
ახალმა დღემ ჩაიხუტა ახალი ადამიანი...

გვ6

შენი დუმილი მიყვარს შენს სიტყვებზე მეტად. შენს
მზერას ვიბარავ სასთუმალთან მჯდარი, შენს ტკბილ სუნ-
თქვას ვიმახსოვრებ, შენს ღიმილს ვაქანდაკებ, შენს სურ-
ნელს ყყინავ, შენს ყოველ გამოხედვას ვადულებ და სულის
ფსკერზე ვილექავ...

სიტყვებს ვიწვევ შენს გამოსახატად, გამირბიან, მეფან-
ტებიან...

იქნებ უბრალოდ სიყვარული დაგარქვა?

დაგვეცო დახაგსული გრძნობების კიბე და ახალს ვე-
ლერსო?

მომავალი როგორ გამოვეართო, მითხარი!

* * *

უფორმო სამყარო როგორ მღლის, იცი? იქნებ შეძლო
მარტობა გამიფერადო...

ძველი სიმართლე გაცრეცს მოლოდინს. რას ვერ მპატი-
ობ?..

* * *

შენთვის ვაკვესებ ბგერებს ქნარზე, შენი სმენის დასატ-
კბობად მხოლოდ. ვერ ვახერხებ გულის სხეულში დატყვე-
ვებას. ყუას ვატებ ფიქრებს და ვძლი.

ცრემლის მანგიამოსსული დაგეძებ, შენი ჩრდილი ას-
ვეტილა ყველგან, შენს თვალებს კი ვერსად წავარყდი...

* * *

დროს ნაწილ-ნაწილ ავათლი გვერდებს, არ მინდა უპეე-
ბი ნაოქმა დაგილაროს.

შენს კოცნას ბროლის ჭურჭელში ჩავლვრი, მინდა ყო-
ველდე ვუმზირო.

შენს გულის ფერქვას მაჯაზე დავიტვიფრავ და ასე გა-
ტარებ...

ღამის ბინდს დავლეჭავ უმალ, მინდა მხოლოდ ნათელს
უმზირო.

* * *

დრო სიბრაზეს გაადნობს და შეიზილავს, ჩემს ნაწილუ-
რებსაც ალოკავს.

იცოდე, სიკვდილსაც მოველავ, თუ შენს თავში შემეცილა!

P.S. ჭუჭყიან ნარსულს გავრეცხავ და მზეზე გავფენ!

როსტომ ჩხეიძე

აღსარეპარატურა დორინაშვილისა

IV.
გვერდიგვერდ, ძმურად

მათი სახელები ერთად გამოჩნდებოდა პრესის ფურცელზე.

ძმები ძმურადაც წარუდგებოდნენ მკითხველს.

ასეთ რაიმეს სულაც არ ითვალისწინებს გულითადი მე-გობრობის კანონები — მაინცდამაინც ერთად გამოჩნდნენ პირველად და ერთობლივადც გაინანილონ დებიუტის სიხარული.

ესენი ერთი ბედის თანაზიარნი აღმოჩნდებოდნენ, ერთ საგაზეთო წერილში გვერდიგვერდ ნახსენები.

სიხარულის განანილებისა კი... რა მოგახსენოთ.

იმ პასაუში მაინც განსაკუთრებით გადაეჯაჭვებოდა მათი სახელები ერთმანეთს:

— ამ ხულიგნების თავაშვებულობის გამო...

უნებურად საგაზეთო სტატიები ხომ არ ამერია?

სულ სხვა ციტატა ამიტომაც ხომ არ გაჩნდა?

არა, რა არევა ან რა სხვა ციტატა:

— ამ ხულიგნების თავაშვებულობის გამო ამას წინათ ქალაქის ერთ-ერთ ბაღში სისხლიც კი დაიღვარა. ჩევეულებრივ აყალ-მაყალს დანის ტრიალი მოჰყვა. დაიჭრა ხულიგნების ჯგუფის ერთი წევრი გურამ დოჩანაშვილი, 47-ე სკოლის მეათე კლასები მოსნავლე. ხულიგნების ჯგუფმა გადაწყვიტა „შური იძიოს ამსანაგისათვის“. ზ. გამსახურდისას წინადადებით ისინი იარაღდებიან — ზოგი რეზინის ჯოხით, ზოგიც დაით. ზვიად გამსახურდიამ სპეციალური დიდი საკეცი დანაც კი მოიმარჯვა. „წამოილეთ რამე, თუნდაც რკინის კეტები, რომ თავში ჩავცხოთო!“

ესეც მათი ერთობლივი გამოჩენა პერიოდიკაში — გვერდიგვერდ და ძმურად.

გვურამ დოჩანაშვილი — ხულიგნური ჯგუფის წევრი.

ზვად გამსახურდია — ამ პასაუშიდან და განსაკუთრებით მთელი სტატიიდან ცნაურდება ხულიგნური ჯგუფის მეთაურად.

უკეთეს წარდგენას ვერც ინატრებ!

უკეთეს შემოსვლას საზოგადოების თვალსაწიერში!..

მითუმეტეს, თუ ეს ხდება ოფიციოზის ფურცელებზე, მრისხან „კომუნისტისა“, უამრავი ადამიანისათვის რომ აერდაერია ცხოვრების გზა დაარსების დღიდანვე — თუკი პირდაპირ იმევეყნად არ გაისტუმრებდა, ციმბირსა ან შუა აზიაში კი გადაკარგავდა და სოციალისტური კატორლის ჯოჯოხეთს გამოატარებდა, და 1956 წლის 16 დეკემბრის ეს პუბლიკაციაც, შემაძრნუნებელი სათაურით დამშვენებული — „სარეველა“ — სასიკეთოს არაფერს მოასწავებდა ხულიგნებად გამოცხადებული ჭაბუკების თავზე.

და მითუმეტეს, თუ სტატიას პოლიტიკური სარჩული აქვს და საბჭოური სტილის ნიუანსებში გათვითცნობიერებული მკითხველისათვის არც ეს სარჩულია დაფარული და არც მწარე პერსპექტივა — ეს ჭაბუკები განწირული არიან, მათი ბე-

დი უკვე განსაზღვრულია და აღარაფერია მათი დამხსნელი ამ სატანჯველიდა, თუ რაღაც სასწაული არ მოხდა. ამიტომაც ბოლოვდება „სარეველა“ ტიპური საბჭოური განაჩენით:

— ჩვენი ამ წერილის ვა-გმირები მალე წარსდგებიან ხალხის სამსჯავროს წინაშე და დამსახურებულ სასჯელს მი-იღებებ ხულიგნობისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმე-დებისათვის, ხულიგნების ფეხევებში მინა უნდა იწვოდეს!

საბჭოეთში — ხელისუფლების მტკიცებით — არ არსებობდა და არც შეიძლება არსებულიყო განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანი, და თუკი დისიდენტობას მოინდო-მებდა ვინმე, ან ყაჩაღი უნდა დარქმეოდა, ან ხულიგანი, ან კანონდამრღვევი, წერილმანი თუ მსხვილმანი, და შესაფე-რისი მუხლითაც გასამართლებულიყო, რათა პოლიტიკურ პატიმართა არარსებობა ემტკიცებინათ დასავლეთის თვალში, თითქოს სრულ სიყალებზე აგებულ პროპაგანდას შეეძლოს მოაზროვნე პიროვნებათა გაცურება — და ვი-თომ დასავლეთის თვალში გაშიფრული არ ყოფილიყოს საბჭოთა იმპერიის არსი და რაობა, საზოგადოებრივ-პო-ლიტიკური ცხოვრების სტილი და ილუზიები.

საბჭოთა პროპაგანდა მაინც თავის კურსს მიჰყვებოდა — მტკიცებ და განუხრელებზე.

იქ კი, ოფიციოზის ფურცლებზე:

ზვიად გამსახურდისას ეს დავალება რომ მიეცა თანამზარებლთათვის: წამოილეთ რამე, თუნდაც რკინის კეტებიო, — 9 დეკემბერს მართლაც დასხმოდნენ ჰიგიენის სახლთან, მაგრამ... სრულიად უდანაშაულო მოქალაქეს, მუშას — პ-ს, და ჭრილობაც მიეყენებინათ. ჯერ ზვიად გამსახურდისა და-ერტყა, შემდეგ ცველა დანარჩენიც მისეოდა დაზარალებულს, ამ საქმეში კი ყველაზე მეტად „გამოეჩინა“ თავი ანა-ტოლ მიეაძეს, ხულიგნობაში არაერთხელ შემჩნეულს.

წლები რომ ჩაივლიდა და 80-იანი წლების მინურულს, როდესაც დისიდენტური მოძრაობა იატაკევეშეთიდან ამო-ვიდოდა და ხელისუფლება დაისაჭიროებდა იმ ჰუბლიგაციის, „სარეველად“ სახელდებულის, განმეორებას, ზვიად გამ-სახურდის იხვენებოდა: ახლა მაინც გამოჩნდეს ის „მითიური“ მუშა პ., ვისი გულისტოვისაც კინალამ ციმბირი უკან დაგვატოვებინებს, ვიცოდე მაინც, ვისი ცემი გვპრალდებოდა.

ან ის მოქალაქე ნ. ვინლა იყო, ორ ქალიშვილთან ერთად მიმავალი თავისითვის, ქუჩის „რაინდები“ გარს რომ შემო-ერტყმოდნენ და მუშტითაც გაინაპირებდნენ. ქალ-ვაჟი როგორდაც რომ დააღწევდნენ თავს ხულიგნებს და ტრამ-ვას ვაგონში ასელასაც მოახერხებდნენ, თავზეხელაღებული იქაც რომ შეჰერებოდნენ და გაგრძელდებოდა თა-ვაშვებულობა, ძიძილი, მუშტების მოღერება, უწმანურ სიტყვებით შეურაცხყოფა?..

თხრობა ბელეტრისტული პასაუშებითაც რომ შეემკოთ „კ. ქებაძის“ ფსევდონიმს ამოფარებულ ავტორებს!.. დიახ, როგორც გამოირკვეოდა, ისინი ორნი იყვნენ: კ. თორდუა და გ. შუბიძე.

ვთქვათ და:

ის ახალგაზრდა მოქალაქე ნ. დანდობილად რომ მისე-იონიბდა ორ ქალიშვილთან ერთად, ამ სურათის ხილვა ქუ-

* გაგრძელება. იხ. „ჩვენი მნერლობა“, №19,20

ნუთაგი და ცლეპი

ჩის „რაინდებში“ ასეთ გადალაპარაკებას გამოიწვევდა:

— შენ რომელს აირჩივ, ზვიადო?

ზვიადმა კი ზვიადად უნდა გადახედოს მსხვერპლს:

— მარცხენას, ცხადია! — ისმის მისი მოკვეთილი პასუხი.

— მაშ ჩვენ როვორმე მარჯვენასთან მოვრიგდებით, — ჩაილაპარაკებს ანატოლ მიქაძე და ამას უკვე მოქმედების ის განვითარება უნდა მოჰყვეს.

ამ კ. ქებაძეს — თუ ვინც იყვნენ — სულსა და გულს უხარებდა და ატყობნებდა მოხსახასე მდელო, მწვანედ მობიბინე ჯეჯილი, რაც საბჭოთა ახალგაზრდებს აგონებდა, მშობლიური პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით აღზრდილთ, მათი გმირული შრომის, ბრძოლისა და ბეჯითი სწავლის შთამაგონებელ მაგალითებს, მაგრამ... გულს უკლავდა ამ მდელოში, ამ ყვავილნარში ზოგან მოდგბული სარეველა ბალახი, რომელიც აფერხებდა და ზიანს აყენებდა მცენარის გაშლა-გაფურჩქვნას.

— სამწუხაროდ, ქვემოთ ლაპარაკი გვექნება სწორედ ამ სარეველაზე — ულირს ახალგაზრდებზე, პირდაპირ ხულიგნებზე, უსაქმურობისა და დებოშის „რომანტიკოსებზე“, ჯერ კიდევ აქა-იქ რომ მოსდებიან ჩვენს ლამაზ ყვავილნარს. მათ არ გააჩნიათ ქცევის რაიმე ნორმა, ერთმანეთს ეჯიბრებიან შორს გადაფურთხებაში, საზოგადოება მათვის თითქოს კოფებამდე წყალი იყოს, რომელსაც შეიძლება თავისუფლად გადაახტე, გასტოპო, გასცურო, მცლავის ძალა გამოსცდო.

იქვე მათ მოიხსენიებდა სინდისისაგან, შეენებისაგან, საზოგადოებისა და საკუთარი თავის პატივისცემის გრძნობისაგან თავისუფალ ახალგაზრდებად ანუ შუბლებრეცხილებად, რაც უკვე საშიში მოვლენა ჩანდა და ასეთი კაცის გამოჩენა კი — სახიფათო.

მათი გარეგნობის აღნერისას საქებარ ეპითეტებს არ იშურებდა: თავიანთი სიცოცხლის ნამდვილი გაფურჩქვნის, ნამდვილი გაზაფხულის პერიოდში მყოფნი, ჩვიდმეტ-ცხრამეტი წლისანი, ტანაშოლტილნი, გარეგნული სილამაზით დაჯილდოებულნი, უკანასკნელი მოდის ტანსაცმლით შემცული და დამშვენებულნი, წერეულვაშაკორილნი...

მათ სულში, მათ შინაგან სამყაროში რადა ხდებოდა?

თურმე — ნეტამც არ ჩაგხებდა:

— მხოლოდ სიცარიელე, ქარაფშუტა სული, დაკინებული ბუნება, დახურდავებული ხასიათი, ყველაფერი, გარდა ნამდვილი, ქეშმარიტი ადამიანური თვისებებისა.

სულიერ წინამორბედებად იერემია წარბასა და ტარი-ელ მკლავაძეს შეურჩევდათ პამფლეტის ავტორი. და ეს ლიტერატურული პარალელები, ეტყობა, კონსტანტინე გამსახურდიას „ხათრით“ ხდებოდა, რაკილა ამ ჯგუფის მე-თაური ზვიად გამსახურდია მამამისის ნაწარმოებში გა-მოხატულ დადებითი გმირებს კი არ ბაძავდა, არმედ სწო-რედაც იერემია წარბასა და ტარი-ელ მკლავაძეს.

და ყველას ერთად რომ ჩამოთვლიდნენ, მა ქუჩის „რაინდებს“, რომელიც ერთ საღამოსაც არ აცდენდნენ, რომ დე-ბოში არ აეტეხთ და ხულიგნური გამოხდომებით გამვლელ-გამომვლელი, ჩვენი ქალაქებს მშრომელები არ აღეშვილოთინათ: ეს ზვიად გამსახურდია, ეს ანატოლ მიქაძეო, ეს ვლადიმერ სიხარულიძეო, ეს თამაზ გუნჯუაო, ეს თეიმურაზ ცერცვაძეო, ეს თემურ მეტრეველიო, ეს მერაბ კოსტავაო, — კვლავ ბელეტრიზებული პასაუი გამოერეოდა მთავარი დამნაშავის ნამდვილი სახის გამოსააშეარაკებლად:

— შედიხარ წიგნის მაღაზიაში. არჩევთ სიახლეს.

თვალს იპყრობს ჩვენი ცნობილი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას ახალი რომანი — „ვაზის ყვავილობა“. ყა-დულობთ. შინ მიგხარიათ. გზაშივე ინტერესით ფურც-ლავთ წიგნს... ამ დროს პირველად აღწერლი ინციდენტი გატყდებათ თავს — ვიღაც მძლავრად გეჯახებათ და ზედ უნმანური სიტყვების კორიანტელსაც გაყრით. წაფორხილ-დებით. ეს სქელტანიანი წიგნი ხელიდან გივარდებათ.

— ვინ არის, კაცო, ეს ბაზდიტი? — თქვენი გულიდან აღ-მომხდარი სიტყვები არ ეპარება კ. ქებაძეს, ვინც, ეტყობა, იქვე მდგარა, და ბაშინვე მოგანვდით სასურველ ცნობას.

— იცნობდეთ — ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია — მწერლის შვილი... ხომ გულსატენია? მაგრამ სამწუხა-რო ფაქტია.

სწორედ აქ ჩანდება მის სულიერ წინამორბედთა სახე-ლები, როგორც წყეული წარსულის ხორცმეტებისა.

და დაე „დიდოსტატის მარჯვენის“ ავტორს, მხატვრუ-ლი პროზის ოსტატს საკუთარი ყურით მოესმინა ეს საყვე-დური „კომუნისტის“ ფურცლებიდან: როგორ მოხდა, რომ თქვენი საკუთარი მარჯვენა ვერ განაცრცეთ თქვენს საკუ-თარ შვილზეო?

საყვედური მოესმინათ სხვა მშობლებსაც — პედაგოგი-კის ინსტიტუტის სექტორის გამგესა თუ „საკმაოდ ცნობილ ამანაგას“, პასუხისმგებელ საბჭოთა მუშაკა თუ სამდა-ცინ ინსტიტუტის დოკუმეტს, საბჭოთა არმიის პოდპოლ-კოვნიკს, სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს უფროს კონტროლიორსა თუ განათლების დარგის მუშაკს...

ამ ჩამონათვალში არასადა გურამ დომინაშვილის მამის სამსახურის ხსენება, ისევე, როგორც „ხულიგანთა თაიგუ-ლის“ დასახელებისას არასად გაელვევებულა მისი გვარ-სახელი.

მისი სახება და ამ ჯგუფის წევრობა მაშინ უნდა გამოჩნ-დეს, როდესაც „კ. ქებაძის“ ფსევდონიშს ამოფარებული ავ-ტორები თბილისის პირველი საშუალო სკოლის დამუნათე-ბის შემდეგ 47-ე და 42-ე სკოლებსაც გადაწვდებოდნენ: ვერც ისინი დაიტრაბახებენ მოსწავლეთა შორის აღმზრდელობი-თი მუშაობის მაღალი დონით, როგორც ჩანს, პედაგოგიურ კოლექტივებს არ აწებებთ თვითეული მოსწავლის ბედიო.

სასეოლო კომერციული ორგანიზაციებიც ვერ ვერ მინდომოდნენ „მათ, რადგანაც ისინი კომერციის ბილეთის გვერდით დასარტყმელად გამზადებულ დანებს ატარებდნენ.

ამას მოსდევდა იმ სისხლიანი ეპიზოდის ხსენება, გუ-რამ დორჩანაშვილი რომ კინალაბ შეინირა.

დანით დაჭრილი საავადმყოფოში მოხვდა და მკურნა-ლობამ აარიდა ტოლ-მეგობრებით ერთად სუკის საკაში სამთვიან ყურყულებს მარტომდარტო, თუმც სასამართლოს ვერც ის გადაურჩებოდა, სასამართლოს, რომლის მოსა-ლოდნელი განაჩენიც სტატიაში უკვე გაცხადებულიყო:

— ხულიგნები გვევლინებიან როგორც სარეველა ბალახი მობიპინე ჯეჯილში, ისინი სახელს უტეხენ ჩვენს საუცხოო ახალგაზრდობას, გვევლინებად ჯანსაღ სხეულ-ზე, მუწუქს კი მოჭრა უნდა, სარეველას — ამოირვა.

37 წლის სტილისტიკა ჩვეული სისასტიკითა და შემზა-რობითი იჩენდა თავს.

მუწუქს — მოჭრა, სარეველას — ამოირკვავა...

აი, თურმე რა მოსდევდა სრულ ფუფუნებაში ყოფნას, სახლში მუსიკისა და უცხო ენების სწავლას, მასნავლებელ-თა დაქირავებას, საფულეში სახარჯო ფულის გამოულევ-ლობას, რათა არც ტაქსით სეირნობა მოეკლოთ და არც

რესტორნებში ქეიფი...

ასე შემოცურდებოდა ინტელიგენციისა და საზოგადოების სხვა ფენების დაპირისპირების სურვილი — ამგვარ შემთხვევას ხელისუფლება და ოფიციოზი ხელიდან როგორ გაუშვებდა.

ციხე-კატორლის კარი ავად აღმართულიყო ახალგაზრდების ამ გუნდის წინაშეც!..

რამდენი ადამიანი მოხვედრილიყო ციხეში ხულიგნობის ბრალდებით, რომდენი ადამიანისათვის მოეკითხათ პასუხი ქუჩური დებორშისა თუ აყალმაყალისათვის, მაგრამ ხელისუფლება და მისი პრესის ფლაგმანი — გაზეთი „კომუნისტი“ — არ დაინტერესებულა მათზე სტატიების შექმნით. აბა, რა ხელისუფლების საქმე გახლდათ, ვიღაცამ ვიღაცას უწმანური სიტყვებით თუ მიმართა ანდა უხეშად შეეჯახა, ხელი შემოკრა თუ დანა მოუქნია. რა საქვეყნო მოვლენა ეს გახლდათ, ოფიციოზი ასეთი მონდომებით რომ ჩარეულიყო და საგანგებო პუბლიკაციის მომზადებაზე ეზრუნა?!.

ერთი ფრაზა ყველაზე თვალნათლივ გათქვამდა ანონიმ ავტორებსაც, გაზრდის რედაქტორისაც და ხელისუფლებასაც:

— თავაშვებული ახალგაზრდები ხშირად „დემოკრატიაზეც“ გაჰყირიანა.

ესც „სარეველას“ შეთხვის მოტივიც და შთაგონებაც.

მართალია იქვე ასეა განმარტებული მათი სწრაფვა დემოკრატიისაკენ: მათი გაგებით ეს ნიშნავს, თუ სუსტსა და უდანაშაულოს სცემეს, მილიციელს არ უნდა დაქონდეს საქმეში ჩარევის უფლება, საზოგადოებას არ უნდა

მიეცეს დაზარალებულის გამოქომაგების საშუალებაო, — მაგრამ ეს პასაჟი უფრო იმ ანდაზის დადასტურებას ჰქონდა: ქურდას რომ ყური უგდო, დღეში ასჯერ გამოტყდებაო.

და აგრე, ისინიც გამოტეხილიყვნენ, რომ: ახალგაზრდები თურმე რაღაცას ლაპარაკობდნენ დემოკრატიაზე.

ხულიგნებად და დამნაშავებად მათი შერაცხვის მიზეზიც ეს ხომ არ იყო?

ჯერ ისედაც ადვილი მისახვედრი გახლდათ, უბრალო ხულიგნების მოქმედებას ხელისუფლება ამხელა მნიშვნელობას არ მიანიჭებდა, რომ „კომუნისტი“ ვრცელი წერილით გამოხმაურებოდა, იქ, სიღრმეში უთუოდ პოლიტიკის სუნი ტრიალებდა, და ეს სუნი მოულიდნელად ამოსხლეტილიყო ზემოთ: ხშირად დემოკრატიაზეც გაჰყვირიანო.

ეს ზოგადი და ბუნდოვანი ფრაზა გულისხმობდა იატაკევეშა ორგანიზაცია „გორგასლიანსაც“ და პროკლამაციების მთელ წყებასაც, ეს ახალგაზრდები მაღულად რომ ად-

გენდნენ და ავრცელებდნენ — საბჭოთა იმპერიის მძულვარებით ანთებული და საქართველოს სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის აღდგენაზე მეოცნებენი.

საბედისნეროდ კი 1956 წლის 1-2 დეკემბრის ღამე გადაქცეოდათ, 14 დეკემბერს მათი საქმეც რომ გაფორმდებოდა — 4612.

აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართვლის ბედმაო, — თვითონ ამ სწრაფვას შესწირვოდა ილია ჭავჭავაძე და ანდერძადაც ეს დაეტოვებონა: სხვა გზა არა გაქვთ, თქვენც ჩემს კვალზე უნდა იაროთ.

აგვიყოლია სიყრმიდანვეო, — ციხე-კატორლის კართან ამ ლოოლვას მიეყვანა ზვიად გამსახურდია და მისი თანაგუნდელ-თანამოაზრენიც და, როგორი მონდომებითაც უნდა შეენიღბა ხელისუფლებას მათი ეროვნული მრნამსი და სწრაფვა, მაშინვე უკვე ამოცნიბილი გახლდათ „სარეველას“ ნამდვილი შინაარსიც და მიზანდასახულებაც, სტილური ხერხებით უნებურად პაროდიას რომ დამგვანებოდა — როგორც ყველაფერი, საბჭოური სულით აღბეჭდილი.

მოგვიანებით ნოდარ დუბაძე ამ სტლის პაროდირებას რომ მოინდომებდა („თეთრი ბაირადები“), მნერლური ჩარევა ნაკლებ დაჭირდებოდა, რათა გროტესკული ყაიდის ტექსტი შეექმნა. პრდაპირ გაიმეორებდა გამოთქმებას და ფრაზებს, ნიშანდობლივს საბჭოთა უურნალისტიკისათვის, და ასე ძალდაუტანებლად შეითხვებოდა „ხულიგანთა“ მამხილებელი სტატია, რომანის ფურცლებზეც რომ ინვევდა და მკითხველის სიცილს და თეატრის სცენიდანც.

რომელიმე დასავლელ აბსურდისტს რაიმე ამგვარი ტექსტის შექმნა რომ მოენდომებინა, მთელი თავისი მხატვრული უნარი უნდა ჩაეხარჯა, ჩვენში კი გადაიკითხავდი პუბლიცისტურ წერილებს კანონიერების სადარაჯოზე მდგარი უურნალისტებისა და... დიდად სასეირო ქარგასაც ააგებდი.

სასეიროს მხატვრულ ქმნილებაში, თორემ!

უნებურად პაროდიას რომ დამგვანებოდაო...

პაროდია კი ლამობდა ტრაგედიის გადაქცევას ფარსად.

ფარსს კიდევ არაერთხელ განუმზადებდნენ ზვიად გამსახურდის მხსი დრამატული ცხოვრების მანძილზე, ოლონდ ამჯერად ვერაფერ გაეწყოთ ვერც კონსტანტინე გამსახურდის, ვერც „საკმაოდ ცნობილ ამხანაგსა“ და ვერც „პასუხისმგებელ საბჭოთა მუშავეს“ საბჭოურ-პარტიულ კულუარებში და ამ ახალგაზრდების კეთილისმყოფელთ ისლა დარჩენდათ, მათვის ერჩიათ, თბილი ტანსაცმელი მოიმარაგეთ, ციმბირის ყინვაში სხვაგვარად ძალიან გაგიჭირდებათო.

თუთაბი და ცლეპი

თუ რაღაც სასწაული არ მოხდებოდა...

მოულოდნელ მხსნელად... საბჭოეთის გენერალური მდივანი მოევლინებოდათ.

იცინებდა და რას იცინებდა ნიკიტა ხრუშჩოვი, როდესაც შეიტყობდა, „პუნტი“ სკოლის მოსწავლეები გინებობდნენ.

მანამდე საბჭოთა რეჟიმი არ განასხვავებდა სკოლის მოსწავლეს ზრდასრული მოქალაქისაგან — ყველას ერთნაირად მოეკითხებოდა პასუხი და სასტიკ სასჯელს არასრულწლოვანების წყალობით ვერ გადაურჩებოდა.

ახალი ხელისუფალი ამჯერად საჭიროდ მიიჩნევდა ასაკუბრიერი მიჯნის დადებას.

უფრო კი ალბათ იმას გაითვალისწინებდა, რომ სულ ახალი დახვრეტილი ჰყავდა მომიტინგენი თბილისში — საქართველოს დედაქალაქის შეუგული სისხლიან კალიოდ გადაექცია და რეპრესიების ტალღის გაგრძელებას ადარ მოინდომებდა. თან მეამბოხეთა ყმანვილური ასაკი გაუადვილებდა გამამართლებელი განაჩენის გამოტანას.

ზეიად გამსახურდიას მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებაში, „ავტობიოგრაფია“ რომ შერქმევია, ზოგიერთი ისეთი დეტალი თუ რეალია (ცნაურდება, რაც ზეპირ მატიანეში აღარ ტრიალებდა, ყოველ შემთხვევაში ჩემთვის მანამდე უცნობი გახლდათ.

რა გინდოდაო? — ეკითხებოლენენ გამომძიებლები, — ხომ მოგიწყვია მამაშენა შინ კომუნიზმი, და რაღამ აგამბოხაო?.. და ბრალს დასდებოდნენ „დიაცი საბჭოთა სამშობლოს“ დალატში, ეს კი, ჭაბუკი მეამბოხე, იქით დასდებდათ ბრალს საქართველოს დალატში.

„სარეველა“ რომ წაუკითხავს, კონსტანტინე გამსახურდია ლოგინად ჩავარდნილა და სნეულება საკმაოდ გართულებია. ხალხი, 9 მარტის რბევა-ულეტით ისედაც აღელვებული და გამწარებული, აღშფოთებას ვერ დაფარავდა ახალგაზრდების მიმართ დაძრული რეპრესიების ახალი ტალღით და „კომუნისტის“ რედაქციის გარშემო დაიწყებდა შეკრებასა და უკმაყოფილების გამოთქმას. რედაქციის თანამშრომლებს შეეშინდებოდათ მათ წინაშე გამოჩენა და უკანა კარიდან შეეცდებოდნენ მიმოსვლას.

სწორედ ამ დროს საფრანგეთში გამოიცემოდა კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიული რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“, რომელიც დიდ წარმატებას მოიპოვებდა და ეს წარმატება კიძალიან შეაფიქრიანებდა აქაურ ხელისუფლებას: ამ მწერლის დაღუპვას ვაითუ საერთაშორისო სკანდალი მოჰყვეს.

ამასობაში გამოჩენილი მწერლები — შალვა დადიანი, გიორგი ლეონიძე, გერონტი ქიქოძე, გალაკტიონ ტაბიძე, პავლე ინგოროვება თუ სხვანი — გამოთქამდნენ პროტესტს და მათი ზეგავლენა აიძულებდა ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვასილ მუავანაძეს, ეთიოვა ნიკიტა ხრუშჩოვისათვის მოსწავლეების გათავისუფლება.

საბჭოთა კავშირის გენერალური მდივანი გარემოებები რომ გაერკვევოდა, თანაც იცნობდა კონსტანტინე გამსახურდიასაც და აღარ მოისურვებდა საქართველოსთან ურთიერთობის გართულებას „დათბობის“ ხანაში, გადმოისროდა იმ ფრაზას, სასწაულებრივ რომ გადახსნიდა ციხის კარს მათ წინაშე და საციმბიროდ გამწერებულთ შინ გამოისტუმრებდათ: ეგად გვაელია, ბავშვებისა გვეშინოდესო.

„გორგასლიანის“ წევრები ცხრანი ვიყავითო — აღნიშნულია „ავტობიოგრაფიაში“.

მართალია „სარეველაში“ შვიდი „ხულიგანია“ ჩამოთვ-

ლილი „მოთარეშედ“, მაგრამ განაჩენში, ცხადია, ცხრავე ერთადა — გურამ დოჩანაშვილიც და კიდევ გურამ სხირტლაძეც, ვისი მამის სამასახურიც საქართველოს უშიშროების კომიტეტში მიახვედრებდა პამფლეტის ავტორებსაც და „კომუნისტის“ რედაქციასაც, რომ ამ ჭაბუკის გვარის გაცხადებას საჯაროდ უნდა მორიცებოდნენ.

ვლადიმერ სისახარულიძისა არ იყოს, გურამ სხირტლაძეც, ეტყობა, ამ განცდასაც აეყოლიებდნა — მამის ერთგულება საბჭოთა სისტემისადმი თავგისი ამბოხით გამოესწორებინა. ეს ფსიქოლოგიური გარემოება ისედაც ადვილი ამოსაცნობია ამგვარ მოქმედებათა უამს, მითუმეტეს, როდესაც წინამორბედებიც გყავს საქართველოს დრამატულ ისტორიაში — აღექსანდრე ორბელიანი და ელიტარ ერისთავი, მამების ცოდვათა გამოსასწორებლადაც გარეული ამბოხებაში.

აქაური სამსახური მხოლოდ დაადასტურებდა უმაღლესი ხელისუფალის ამ გადაწყვეტილებას და... 1957 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით იმედგადანურულ ჭაბუკებს პირობით სასჯელს აკმარებდა (ზოგს 3 და ზოგსაც 5 წლით) და კვლავ საზოგადოებრივ ცხოვრებას დაუბრუნებდა.

„სარეველა“ კი დარჩებოდა ეპოქის ერთ სახიერ დოკუმენტად.

და ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისა და მწერლობის ორი თვალსაჩინო, თავთავის ასაპრეზიდებული სახელის პირველ საჯარო გამსმოვანებლად: ხულიგანი გურამ დოჩანაშვილი დანის ტრიალისას დაიჭრა, ხოლო ხულიგანმა და ბანდის მეთაურმა ზვიად გამსახურდიამ მისი გულისათვის შურისძიება გადაწყვიტა დიდი საკეცი დანით შეიარაღებულმა.

V. საბედისეორო სძოლით

„ოქროს საწმისის“ პირველი ნომერი რომ იხილავდა მზის სინათლეს, დათარილებული 1975 წლის მაისით, მაგრამ უფრო გვიან დასტამბულიც და გავრცელებულიც, ზვიად გამსახურდია ერთ ცალს გურამ დოჩანაშვილსაც გადასცემდა.

კერ ოფიციალურ გამოცემებს უგვიანდებოდათ და პირველი იატაკევება უურნალი საბჭოთა საქართველოს სინამდვილეში, ასე საიდუმლოდ და ვაიგაგლაბით თავმობმული, მაშინვე, აბა, როგორ ჩაერთვოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ხმაური კ დიდი აპეკებოდა გამოჩენისთანავე.

ეს განსაკუთრებული გამოძახილი განსაზღვრავდა ამ შურნალისა და კიდევ „საქართველოს მოამბის“ მისიასაც ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ისტორიაში.

თავის მხრივ სულ უფრო მწვავდებოდა ხელისუფლების პოლიტიკა — იმპერიულიც და, შესატყვისად, რეპუბლიკურიც — და დისიდენტებს უკიდურესად შეავინოვებდნენ.

საქართველოში სამთავრობო ცვლილებას ეროვნული წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ გასასტიკებული ბრძოლაც მოჰყოლიდა და ქრისტიანული მოძღვრებების საბოლოოდ დამხობისა და გაერწყმლების მცდელობაც... ეს ყოველივე დრომიტული ტრადიციების უარყოფის სახელით ინათლებოდა, ხალხის გაბედნების მეურვალე სურვილად!.. ეხუმრებით ამხელა ტვირთის ჩამოსხივანის მხრივიდან?!.. ხელისუფლებას ჩამოსხივანის გვარის საჯარობის მხრივიდან!.. ეხუმრებით ამხელა ტვირთის ჩამოსხივანის გვარის საჯარობის მხრივიდან!

თუთაში და ლეგი

და სიმძიმეს თქვენც გრძნობთ და საკმაოდ მწარედაც გრძნობთ, მაგრამ შეჩვეული ჭირისაგან გამოხსნა გინძელ-დებათ და ჩვენი მოვალეობა სხვა რა არის, თუ არა შემზება და გაადვილება ჭირთან განშორებისათ.

სულ უფრო ვინროვდებოდა ყულფი ერის ყელზე, რათა ახალ ხელისუფალს პირნათლად მოეხადა ვალი კრემლის წინაშე, და ახლოვდებოდა უამი, როდესაც ქართული ენაც უნდა გამოცხადებულიყო ყავლგასულადაც, დრომოქმულადაც, ტვირთადაც...

სახელისუფლებო პოლიტიკის გამწვავებამ თავისთავად გამოიწვია სახალხო აღმფორებაც და დრტვინვაც, და დისიდენტური ნაპერნებებიც უკვე ფარულ ორგანიზაციის დაქმებანა — ჰელსინკის კავშირადაც გაფორმდა და იატაკებება უურნალიც რეალობად აქცია.

„ოქროს სამშისის“ გამოსვლა უკვე ეროვნულ-პოლიტიკურ მოძრაობის გამეცემისათვის მოასწავებდა, ხმამაღლა თქმული პროტესტი, გამომაზონიზებებილი სიტყვა სხვაგვარად აიყოლიებდა და აღანთებდა საზოგადოებას, სხვაგვარ ძალ-ღონეს შთაბერავდა და ხელშესახებს გახდიდა, რომ ეროვნული მოძრაობა არც არასოდეს ჩამქრალიყო ჩვენს ქვეყანაში, ეგაა, ხან უფრო მინავლებოდა თუ მიიჩრდილებოდა, ხანაც მონუმენტურ თუ შედარებით მომცრო ნიშანსვეტებად წარმოდგებოდა... და აგრეთვაული უურნალის გამოცემის დასაწყისი კიდევ ერთ თვალსაჩინო გაბრძოლებაზე მანიშნებდა.

პირველი მოსინჯვისათვის სწორედ ასე სჯობდა — ლიტერატურული ყაიდის გამოცემა, გამჭვირვალე პოლიტიკური პასაჟებითა და ქვეტექსტებით, მაგრამ არა პირნმინდად პოლიტიკური უურნალი, რომლის დროც დადგებოდა ძალინა მაღლეც და „საქართველოს მოაბისის“ სახელით ამოუდგებოდა გვერდით „ოქროს საწმისი“, რომელიც თითქოსდა მარტოდენ იფიციალურ რედაქტორებსა და ცენზურას ედავებოდა, მარტოდენ სალიტერატურო კრიტიკის მიერ ტენდენციურად გამოთქმულ შეხედულებებისა და შეფიასებათა გამოსწორებას ცდილობდა და სამწერლო პროცესის მოწესრიგებას.

რისი გამოქვეყნებაც იკრძალებოდა ანდა შეგნებულად მიფარებულიყო, თითქოს მხოლოდ ამ ლექსების, მოთხრობებისა თუ პეტლიცისტური სტატიების ერთად თავმყრასა და სათანადო დაფასებას ესწრაფოდა „ოქროს საწმისი“ და უფრო შორსმიმავალი მიზნები არც გააჩნდა.

ასეა თუ ისე, თავდასაცავად მოიშველიებდნენ ამ გამოცემის ლიტერატურულ აღნაგობასა და იერს.

ჰელსინკის ჯგუფსაც და „ოქროს საწმისის“ შედეგნა-გამოცემასაც ზვიად გამსახურდია მოთავეობდა და უმთავრესად ეს ორი პირვენება ამიერებინა გვერდით — მერაბ კოსტავა და ვიქტორ რცხილაძე.

გურამ დოჩანაშვილისთვისაც შეეთავაზებინა იატაკებება უურნალის შედეგნა-მომზადებაში მონაწილეობა, მაგრამ მას უარი ეთქვა.

მოგვიანებით ამ უარს თვითონ ასე ახსნიდა: მიუხედავად იმისა, რომ სამივესთან ვმეგობრიბდი და ბევრი რამ გადაგვეტანა ერთად, ვერ ვატყობდი, რომ ამ პატარა ჯგუფში მაინცდამაინც ერთსულოვნება სუფევდა, რაღაც ეჭვით დაუწყეს ერთმანეთს ყურება, საყვედურებსაც აღარ ერიდებოდნენ და არ მინდოდა ამგვარ განწყობილებათა შუაგულში მეც მოვქცეულიყავით.

იქნებ სხვა მიზეზიც არსებობდა და გაცილებით უფრო

დამაბრკოლებული მისთვის?

რა მიზეზი და: არ სურდა ხელისუფლებასთან ახდილი დაპირისპირება და არც ციხეში მოხვედრის პერსპექტივა იზიდავდა მაინცდამაინც.

ასეთ დროს კი უფრო მძაფრად და გაზვიადებულად აღიქმება ყოველი წვრილმანი და, რასაც ადრე აინუნშიც არ ჩააგდებდი, ახლა შესაძლოა გადაულახავ დარკოლებად გადაგექცეს.

უარი კი განუცხადა.

ის აღარ ჩასმიებია და აღარც შემდგომ უცდია მისი დაყაბულება.

ეგ კი არის, პირველი ნომერი რომ გადაუცია, მალევე უკითხავს: გადაათვალიერე თუ არაო?

ამან: იმდენი საქმე მქონდა, „ოქროს საწმისს“ ველარ ჩავუკეში.

მერე იმან კვლავ: რა ჰქენი, გაეცანიო?

ამან: ჯერ ვერ მოვიცალეო.

და მერე კვლავ და კვლავ: კიდევ არ გინახავსო?

შეფიქრიანდებოდა გურამ დოჩანსვილი, ასე რატომ ჩამციებიაო.

თან მართლა რა იმისთანა საქმეები დაგროვებოდა, რომ პატარა უურნალსაც ვერ გაცნობოდა... და გადმოიღებდა და პირველ ყოვლისა მეგობარი სამეულის სტატიებს გადაიკითხავდა, ერთ რეალად შეკრულს, გურამ რჩეულიშვილისა დაბადების 40 წლისთავს რომ ეძღვნებოდა.

ჩაკვებოდა, ჩაკვებოდა და... უეცრად თავს ამოჰყუფა ვიქტორ წკენილაძის წერილზე დართული შენიშვნა, რომელიც საკმაოდ მწვავედ გადმომვდენოდა თანამედროვეობას სიჭაბუკეშივე ტრაგიკულად აღსრულებული ბელეტ-რისტის ფოზზე: როგორ არა ჰყავს გურამ რჩეულიშვილი დღევანდელ ოფიციოზში გაბატონებულ შენრლებს, რომელთა ნაწერებს მათი უსახობის გამო ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევ; რა შორსაა მისაგან მოელი ეს ხროვა „შაყირისტ“-ფელეტონისტებისა, სულიერი მაზოხისტებისაო.

თვალსაჩინოებისათვის კი ასეთი ეპიზოდი იყო გახსენებული:

— ამას წინ მეგობარმა მომითხოვ ერთი ნიშანდობლივი ფაქტი: მასთან მისულა ერთი ჩვენი პოპულარული მწერალი, რომელსაც წაუკითხავს მისთვის ადგილები თავისი „გაბედული“ რომანიდან. კარგა ხანს კითხულობდა თურმე მწერალი. ბოლოს შეეკითხა მეგობარი — რაშიაო გაბედულება შენ რომანისა? მწერალმა მიუვგო: განა ვერ მიხვდი, როდესაც რომანის გმირები იმყოფებიან ერთ დიდ, მაღალჭერიან ოთახში, ეს ოთახი ეკლესიას რომ ნიშნავს?

ეს განმარტება შენიშვნაში კითხვა-ძახილის ნიშნით გაბიაბრუებულიყო, მაგრამ ეს არ ეკმარათ, არც მანამდელი ზოგადი „უსახობა“ და „სულიერი მაზოხიზმი“ და ცხარე კილოთი დასძენდნენ:

— ვაგლახ! განა წარმოსადგენია სულიერი კასტრირების ამ დონეზედ დაშვება?!?

აბა, სულიერი კასტრირებაო!.. თანაც, უკვე უშუალოდ იმ პიროვნებაზე, ეკლესიას ასე საგულდაგულოდ რომ შეეფარებინა რომანში და ამგვარ დაქარაგმებას გაბედულებად მიითვლიდა.

და კიდევ ერთი, მთელი პასაუის დამაგვირგვინებელი ფრაზა:

— ნუ დაგვავინყდება, რომ ეს მწერალი უკეთესია და-

თუთაბი და ცლეპი

ცემულთა შორის!

დიდი შეღავათია, დიდი, თუ სხვა დაცემულთ სჯობიხარ. რაღაც სასიკეთო მაინც ემეტებოდათ მისთვის, თუმც... ბევრიც არაფერი, რაკილა მრავალრიცხვან ეპითეტთაგან „პოპულარულზე“ მეტი ვერაფერი მიესადაგებინათ მისი აქამომდელი გარჯისათვის. არამცუ თვალსაჩინო, ცნობილიც კი ზედმეტი მოსჩვენებოდათ. ისე მაზოხიშმს, სულიერ კასტრირებას და დაცემას რომ გიხსენებენ, აღმატებული ეპითეტები კიდეც რომ დაგიხვავონ, იმ შეფასებას რაგამოასწორებს, თუნდაც შეამსუბუქებს!..

არადა, მისთვის რაოდენ ძვირფასი გახლდათ სოფლის განაპირას მდგარი ეს შენობა, რომელიც — პოლიტიკური რეჟიმის გათვალისწინებით — კოშკად მოიხსენიებოდა თხრობისას, თუმც უფლის სახლს გულისხმობდა; და ეს მინიშნება მარტოდენ მშერლისათვის კი არ ყოფილა საცნაური, არამც მკითხველიც იოლად უნდა მიხვედრილიყო მის დაინიშნულებას, რაკილა აქ ინახებოდა სამოსელი პირველი, ახალი აღთქმიდან გადმოტანილი სახე-სიმბოლო, რომელსაც გურამ დორიანაშვილი თავისებურადაც შეავსებდა და მხატვრული სიტყვის შინაარსით განმსჭვალავდა.

ციცაბო კაბეს უნდა აპყოლოდი იქ შესალწევად, ნესტიან, სქელ კედლებს შორის ჩირალდნით ხელში გაგეკვლია გზა და...

თუმც შენ ან სხვა იმ კოშკს როგორ მიუდგებოდით, როდესაც ერთადერთ კაცს ჰქონდა უფლება იქ შეღწევის — მამას, ვინც რიტუალად დაადგენდა იქ სტუმრობას და მხოლოდ წელიწადში ერთხელ ადიოდა კოშკში, გვიანი გაზაფხულის რომელიმე დღეს.

ჩირალდანდახათებული უძვირფასესი კაბიდან კი უამრავი კამკამა სხივი უღრიალით იწელებოდა ბნელში, და როდესაც მამა გაშლილ ხელისგულს ნაზად დაადებდა დიდ ამჟავისტოს, ყოველ ქვას უბაცდებოდა თამამი კაშკაში და მხოლოდ დიდი ამეთვისტო გრძნობდა და კოურილი ხელისგულის სითბოს.

სამოსელი პირველი რომანშიც ისევე უნდა გაყიდულიყო, როგორც მახარებელთ ეუწყებინათ კაცობრიობისათვის ჯერ კიდევ როდის იესო ქრისტეს მიერ ნაამბობი იგავის სახით, და „სამოსელი პირველის“ კომპოზიციური ქარგა ამ იგავის სიუჟეტზე რომ ამოიზრდებოდა, ფინალურ ნაწილში მამას ის საიდუმლო უნდა განეცხადებინა უძლები შეილისათვის, რომ: სამოსელი პირველი სიტყვა გახლდათ. და დომენიკოს ამბავი ცად კი ავიდოდა, მაგრამ მინაზეც, თავისიანებთანაც უნდა დაეტოვებინა. ის ქვა კი, დიდი ამეთვისტო, არასოდეს ალარ უნდა მოეცილებინა, დიდი ამეთვისტო — ცეცხლმოუდები, მეუფიანი, ანა-მარიას მოციაგე ქვა.

— ეს ლოდზე მძიმე იქნება, შვილო.

ამ რომანში ასე გამოითქმოდა ის თვალსაზრისი, რომელსაც გურამ დორჩანაშვილი მოვგიანებით არაერთხელ გაიმეორებდა, მწერლისა და კატორლელის შრომას ერთმანეთს რომ გაუიგივებდა, და თუ მწერლის იდეალს სხვადასხვა დროს სხვადასხვა სიმბოლოს შეურჩევდა, ამჯერად ანა-მარიას ამაღლებულ ხატებასთან გაათანაბრებდა, ჭეშმარიტი, შეუბლალავი ხელოვნების ემბლემასთან.

— მრავალ ქვეყნას აგაშენებინებს, და უცნაური მეცე დადგები — ბევრი ყმა თუმცა კი გეყოლება, შენ მაინც ყველას მონა იქნები და სული შენით ედგომებათ, გამიგე? — შეაგონებს მამა დომენიკოს, სინამდვილეში კი გურამ დორჩანაშვილი ამჟღავნებს საკუთარ მწერლურ კრედოსაც და თავისი მხატვ-

რული სამყაროს უმთავრეს ნიშანსაც, თანაც რამდენიმე ვარიაციით, რათა უფრო ჩეიბეჭდოს მკითხველის ცნობიერებას:

— და მაგ სამოსელს რაც უფრო მეტ ხალხს გადაანვდენ და გადააფარებ, უფრო მდიდარი შეიქმნები, უფრო ტანჯული... განამდები და გაიხარებ... სიტყვის თამაშად ნუ ჩამომართმევ — უბედნიერესი უბედური იქნები... და დატანჯული. თუ გესმის... და სიძულუვლიც თუმცა კარგად უნდა შეგეძლოს, ისიც ყოველთვის, განუყრელად უნდა გახსოვდეს, თუ დედამინას რაც ატრიალებდა. გამიგე?

ხოლო დედამინას რაც ატრიალებდა, დომენიკოს უკვე მოესმინა მიჩინილავაგან:

— სიყვარული.

და, აბა, იმ ცეცხლმოუდებელ, მეუფიან, ანა-მარიას მოციაგე ქვას დომენიკო როგორდა მოიშორებდა — ქვასავით მიმიქა, და ამითაც შემაგრძნობელს მისი სიძვირფასისა.

ცაშიც ავიდოდა, მინაზეც დარჩებოდა მისი ნაამბობი — პო, რაოდენ დიდსა და გაბედულ ოცნებას შესთამაშებდა გურამ დორჩანაშვილი, ჭეშმარიტად დიდ რომანის შექმნას რომ მიელტვოდა ფარწულად გულში, სახარების იგავიც ამიტომ მოემარჯვებინა კომპოზიციურ ჩარჩოდ, სამოსელი პირველის სახე-სიმბოლოსაც ამიტომ დასესხებოდა, კოშკიც ამიტომ გაეტოლებინა ეკლესისათვის... და პირველ ფურცლებს რომ ავსებდა იმ სამყაროსი, რომლის უცნაურ მეფედც ეგულებოდა თავი, ბევრი ყმა რომ ეყოლებოდა, და მაინც ყველას მონა იქნებოდა, უკვე დარწმუნებით განეზრახა, რაც შეიძლება მეტი ადამიანისათვის გადაეწვდნა და გადაეფარებინა ეს სამოსელი, რათა უფრო ტანჯული, განამებულიყო და გაეხარა, და უბედნიერეს უბედურად განევლო ცხოვრება.

პო, რა კარგა სიჭაბუკე თავის იცნებებიანად, რომელთავან ზოგი ხომ შაინც შეიძლება აგხდომოდა, და, ვინ იცის, სწორედაც ის, ყველაზე გაბედული და დაუჯერებელი...

თითქოს მარტოდენ კოშკი იდგა სოფლის განაპირას — მაგრამ მისი უცნაურობაც, სამოსელი პირველის იდუმალებაც და დიდი ამეთვისტოს რაღაც უჩვეულო გამოირჩეული ბაცნებინა და გაბერებოდა, განსაკუთრებული მხატვრული შენობა რომ აიგებოდა გურამ დორჩანაშვილის ხელით, თუკი ისე ეყოფიდა ძალ-ღონე, როგორც ეიმედებოდა... და ვითომ რატომ არ უნდა ყოფნოდა, ისეთი ექსპრესითა და არტისტიზმით, ისეთი ხელოვნებით მიედინებოდა თხრობა.

და უცრად ცივი წყალი გადაესხმოდა:

უკეთესია დაცემულთა შორისო...

თანაც უახლოეს ადამიანთა ხელით.

გურამ დორჩანაშვილი ამ სქილიოში ადვილად ამოიცნობა და საკუთარ თავი, და განსხვავებით შოთა ჩანტლადისაგან, ვისაც ეოცნებებოდა სარაც სექტორში სიცოცხლის გაგრძელება, ძალიან აღმურნებოდა ასეთი მკაცრი, შეურაცხმყველი, მისი ღირსების შემლახავი მოპყრობით... ოლონდ ვიქტორ რცხილაძეს კი არ გაუნაწყენდებოდა, არამედ ზვიად გამსახურდის, ვისაც გამოეტანა ის ყოფილი ეპიზოდი, გურამი ადგილებს რომ უცითხავდა შემდგომ ასერიგად გამხმაურებული რომანიდან „სამოსელი პირველი“ და საგანგებოდ მიანიშნებდა, თუ როგორ ქმნიდა თხრობა ეკლესის გარემოს. თანაც, „ოქროს საწმისის“ რედაქტორი ის გახლდათ და საბოლოო სახეს ის ანიჭებდა უურნალს... ის ჩაციებაც გაახსენდებოდა, მალიმალ რომ უმეორებდა: ნაიკითხე და ნაიკითხო!

და კიდეც მიეჭრებოდა ზვიად გამსახურდის და დიდი

თუთაში და ლეგი

შეხლა-შემოხლაც მოჰყვებოდა ამ შეხვედრას, რომელიც ადრინდელთაგან განსხვავებით ორი გულითადი მეგობრის შეყრას კი აღარ ჰყავდა, თუნდაც ცხარედ მოკამათეთა, არამედ დანასისხლად გადაკიდებული კაცებისა... და მას შემდეგ აღარც აღარაფერი შეიცვლებოდა მათ ურთიერთობაში.

დაემდურებოდნენ და სამუდამოდაც დაემდურებოდნენ ერთმანეთს.

ეს დღე გადამტყვეტი აღმოჩნდებოდა მათ ურთიერთობაში.

1976 წლის ამ დღიდან 1993 წლის 31 დეკემბრამდე — ზეიად გამსახურდისას ტრაგიულ აღსასრულამდე — რამდენი რამ შეიცვლებოდა ქვეყნაში, ჯერ მარტი — კოლონიური მიწა-წყალი დამიუკიდებელ სახელმწიფოდ წამოიმართებოდა, თორებმ სამხედრო გადატრალება და კიდევ ორი ომი რუსეთან, აფხაზეთსა და შეიძა ქართლში, ესეც ხომ თავისითავად...

მათ ურთიერთობაში კი არავითარი ცვლილება აღარ მოხდებოდა.

ის კი არა, გურაბ დოჩანაშვილს ზვიად გამსახურდიას დაპატიმრებაც ველარ მოუპრუნებდა გულს და შინ დაბრუნებულთან არამცუთუ ძველ მისგლა-მოსვლას არ ალადგენდა, კვლავაც სიცივე და უსაღმობა დარჩებოდა მათ შორის კედელივით. ის კი არა, გამტყუნებითაც ამტყუნებდა იმ ყბადალებული მონაიებისათვის, რისი გულისთვისაც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ქოლავდნენ: მეგობარი პატიმრობაში ჩატოვა და თვითონ მალე გამოაღნია გარეთ თავზე ნაცრის დაყრის ფასადო.

გარდა იატაკქვეშა გამოცემის იმ მწვავე პასაუისა, იმა-საც გაეცულისებინა, რომ „სამოსელი პარველას“ მეორე ნაწილი არა და არ იბეჭდებოდა „მნათობის“ ფურცლებზე, იმ ჟურნალისა, რომლის რედაქციაში თვითონაც მუშაობდა პროზის განცოფილების გამგედ და თითქოს არაფერს უნდა დაეპრკოლებინა რომანის გამოქვეყნება, მითუმეტეს, პირველი ნაწილი, ცალკე წიგნადაც გამოცემული, საქმაოდ გახმაურებულიყო და რედაქცია ისედაც უნდა ყოფილიყო მონდომებული მისი გაგრძელების დაბეჭდვას. გიორგი ნატროშვილი კიდეც შეპირებოდა და, დაიმედებული გურამი რამდენიმე ფრაგმენტს „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე რომ გამოაცემენდა, გაზეთის რედაქცია, მის სიტყვაზე დაყრდნობით, პუბლიკაციას წააწერდა, რომ მეითხველი სრულად ამ ნანილს „მნათობის“ უნდა დალოდებოდა.

მკითხველიც მოუთმენლად ელოდა.

ელოდა თვითონ მნერალიც.

ნომერი ნომერს მისდევდა, „სამოსელი პირველისათვის“ კი არა და არ გამოინახა ადგილი და გურამ დოჩანაშვილი იყარაუდებდა, მთლად რედაქტორზეც არ უნდა იყოს ამჯერად პუბლიკაცია დამოკიდებული, ვიღაცები უნდა იყვნენ ჩარეულნი და საკმაოდ ენერგიულადაც... ეჭვი უშიშროების კომიტეტისაკენ ეწეოდა — გაუშიფრავი არც ის შენიშვნა დარჩებოდათ და, რაკიდა მის შუაგულში მე და ჩემი რომანიც აღმოვჩნდით, მანცდამაინც არ ეჭაშნიკებათ ნომრიდან ნომერში მისი გაგრძელებით ბეჭდვოთ.

ვინ იცის, იქნებ მარტოდენ ეს არ ეყაბულათ და კიდევ უფრო მოეჭრათ გზა მისთვის — ვეღარც წიგნად გამოეცა... და სხვა წანერების გამოქვეყნებაც დაბრკოლებოდა...

როდესაც გაურკვევლობაში იმყოფები, ყოველთვის უარესს ფიქრობ, უარესს მოელი, და გაღიზიანება და გაგულისებაც მატულობს... და ამ გაურკვევლობას, გაბუნდოვანებულ მომავალს ზვიად გამსახურდიას აბრალებდა გუნე-

ბაში და: რა უნდოდა, რას მერჩოდაო, — ეს ფიქრიც არაერთხელ აეკვითატებოდა.

* * *

ვინ რჩებოდა, მაინც ვინ რჩებოდა ხალხის ხსოვნაში?

გადაულახავი ჯებირი აღმართულიყო მას და იმ კაცს შორის, მისი სიყრმის მეგობარი რომ ერქვა... არადა პირველმა სწორედ მან გააცხადა მხატვრულ სიტყვაში ზვიად გამსახურდიას გამორჩეული მისის თაობაზე.

მაპმუდ აალიდ წარმოსახა „მხიარულ ბორცვში“ და სათვე დაუდო ამ პირველების გაპერსონაჟებას — ბელეტრისტიკიკაშიც, ღოუქმენტულ პროზაშიც და ლირიკულ გმირადაც. თურმე რამდენი თხზულება უნდა დახვავებულიყო ზვიად გამსახურდიას სახელის გარშემო — სახოტბოც, განმაქიქებელიც და... მიუკერძოებელიც და რეალისტურიც... ახდილადაც და გამჭვირვალე ქარაგმებითაც...

ორი ურთიერთსაპირისპირ ნაკადი!..

დამეთანხმებით, ვრცელი მონოგრაფიის თემას: ზვიად გამსახურდია — ლიტერატურული პერსონაჟი.

ამ თემას კი გურამ დოჩანაშვილის მოთხოვნა გახსნის ვითომდა ისპაპანში მომხდარი, ვითომდა იღუმალებიდან მოსული სპარსელის ტრაგიული თავგადასავალი.

გამორჩეული მისის თაობაზეო...

როგორ ასწია, აღამაღლა, გოლგოთის მისტერიის უშუალო ანარეკლად შერაცხა მისი თავგანწირული მიმოხეთქება და კარგული თავისუფლების ამისაგებად... გამქრალი სახელმწიფოებრიობის დასაბრუნებლად...

იყო ასეთი დროც... ახლა კი, ახლა...

გურამს აღარც სურდა გახსენება, თუ ვის შთაევონებინა მისთვის ის მოთხოვნა, ვის ხედავდა მაჰმეტ აალის პროტოტიპიად, არა კრებით სახეს, არა იცნების თავისებურ ხორცშესხმას არამედ სწორედაც რეალურ პროტოტიპს, წაცრისფერ ყოფითობაში ამოზრდილს თავგამტებული კვეთებისათვის... და მხატვრულ გამოინაგონად ერწიუნა მეითხველს, პირნმინდა ღცნებად, რომელსაც მარტოდენ წარსულის დიდებულ აჩრდილთა მოლანდება ჰკვებავდა.

აქ კი გარშემო...

ვითომ გამქრალიყო ის სწრაფვა, ის ჟინი, ის შემართება?.. გურამს დღოჩანაშვილი დუშმილს ამჯობინებდა.

...მაგრამ მაინც, ვინ რჩებოდა ხალხის ხსოვნაში?..

არაფერს დაგრიდებულ დროის მსახვრალი ხელი.

მაგრამ... მესაიერება?..

ისე მიწიდან ასეთი ერთნაირ ციაგა ნეტა მართლაც როგორ დარქვეს ადამიანებმა ასეთი განსხვავებული სახელები — მეტლე, ქალწული, ლრიანგალი?..

* * *

მერაბ კოსტავა რომ დაბრუნდებოდა ათწლიანი გადასახლებიდან და ზვიად გამსახურდისათან მისი მეგობრობა ისევე გაგრძელდებოდა, თითქოს ეს ათი წელი არც ყოფილიყოს, თუ ვინმე გაოგნდებოდა იმ ძველი ურთიერთობის აღდგენით, მათ შორის გურამ დოჩანაშვილიც, ვინც მერაბის ამ ნაპიჯს მისი ჰუმბანური ბურებითა და დიდი მიმტევებლობით ახსნიდა, თუმც ამასაც დასძენდა: ასე როგორ ჰყავს მონუსხული, რომ კიდევ ენდობა, მონური ფსიქიკისა ნასახიც არ გააჩნია და ამ შემთხვევაში რა ემართებათ.

ნუთაგი და ცლეპი

არც ის სჯეროდა, თითქოს მერაბს დაეწეროს განმარტების ის წერილი — ზვიად გამსახურდიას სარეაბილიტაციოდ გამიზნული — რომლის შინაარსიც იუწყებოდა, რომ ერთის გამოსვლა ციხიდან და მეორის იქ დარჩენა ნინასნარი ურთიერთშეთანხმებით მოხდა, და რომ პოლიტიკური ბრძოლის ტაქტიკა მოითხოვდა ასეთ მტკიცნულ გადაწყვეტილებას, და რომ ზვიადმა ქვეების გულისათვის შეგდო სასწორზე საკუთარი რეპუტაცია, ეროვნული მოძრაობის შესანარჩუნებლად და არა თავის გადასარჩენად: დარწმუნებული ვარ, ზვიადის შედგენილია, მერაბი მხოლოდ ხელს მოუწერდა, — იმეორებდა, — მაგრამ ამაზე ხელი როგორ მოაწერა, არა, მონუსული ჰყავს, სხვა რა უნდა იფიქრო.

— იქნებ მისი განსაკუთრებული ორგანიზაციურული უნარის გამო დაყაბულდა იმ წერილის გამოქვეყნებას საკუთარი სახელით, და ზვიადის გვერდითაც ხმირად ამიტომაც ხედავენ, ლაქა საბოლოოდ რომ ჩამორცხოს, ეტყობა, ეჭვი არ ეპარება, რომ ეროვნული მოძრაობის ნინამძღლობას მასავით სხვა ვერავინ შექმლება?!.

— რა ნინამძღლოლიც არის, მაშინ გამოჩნდა... არა, მერაბი როგორდა ენდობა... ისე დამარწმუნებელი ლაპარაკი კი იცის, თუ კარგად არ იცნობ, შეუძლია ჰიპნოზიოგით და-გაჯეროს და ჩაგითრიოს... სჯობს ერიდო, თორემ მერე შეიძლება ინანო... თან ძალიან ეჭვიანია...

— ისეთი ცხოვრება გამოიარა, სულ დამსმენებითა და მოთვალვალებით იყო გარემოცული და, რა გასაკვირა, იოლად ალარავის ენდობოდეს და ცოტა უფრო მძაფრად აღიქვამდეს ყოველ სიტყვასა თუ საქციელს.

— ცოტა კი არა... იმისთანა ადამიანებზე აქვს ნათქვამი, ნამდვილად სუკის აგენტია, გამეორებაც არ მინდა... და უკვე მაშინ შემეპარა ეჭვი მის აბიექტურობაში, ისეთი შთაბეჭდილებაც კი დამრჩა, რომ მამაშისის მეტოქედ ვინც ესახება, მისთვის ცდილობს სახელის გატეხვას...

— ასეთი რამის დაბრალება...

— ვიცნობ, კარგად ვიცნობ... ასე რომ არ იყოს, ლევან გოთუაზე, კეთილშებილების ამ განსახიერებაზე, შეიძლება რაიმე ნამოგცდეს?.. ეჭ, ალარც მინდა გახსენება...

— ვიღაც შეიყვანდა შეცდომაში, ცოტა უკეთური ადამიანი პოლიტიკამართა შორისაც? ვიღაც, ეტყობა, გადაკიდებული იყო ლევანზე და უთხზავდა ყალბ ხმებს, და ზვიადმა კი მისი სიტყვები ალარ შეამოჩნდა.

— ლევან გოთუას სახელი რომ გაისმის, იქ ცოტა სხვაგვარი სიფრთხილე გინდა, ადვილად რომ არ აგიყოლიონ. ისე, რომ იცოდე, არაერთ მნერალს უსხესნებია ზვიადზე ლაპარაკისას მაშის კომპლექსი. ამ მხრივ ვერაფერს გეტყვი, რა ფსიქოლოგიური დაკვირვებები აქვთ ამისთანა, ან რამდენად სწორად სხინა... ეგ კი არის, რომ დიდ არაფრად მიაჩნდა, რასაც თვითონ აკეთებდა ლიტერატურაში. მე ვურჩევდი, თარგმანს მიჰყევი და დასავლური ლიტერატურის კვლევას, ხომ ხედავ, რა კარგად გამოგდის-მეთქი. ის კრებული „ამერიკელი პოეტები“ ძალიან გახმაურდა, მაშინ ეს უჩვეულო მოვლენა იყო, და მეც და სხვებიც ვუმეორებდით, რომ აუცილებლად უნდა შეედგინა მოზრდილი ანთოლოგია. — თარგმანი რა არის, მპასუხობდა, — საქმე, აი, ის არის, რომანებს თუ წერ ადამიანი, კონსტანტინეს რანგის რომანებსო.

— თვითონაც ხომ არ უცდია?

— უცდია კი არა, იგავებსა და ლიტერატურულ ზღაპრებს ვერ გაცდა, თანაც რა — ოდნაც წარმატებასაც ვერ

მიაღწია. იგავები გულუბრყვილობაა, ზღაპრები — ზედმეტად ჩახლართული.

— მამის კომპლექსი რა შუაშია?

— მე არც ვამტკიცებ, უბრალოდ სხვების ნათქვამი გავიმეორე... რომანის დაწერის უნი რომ აწუხებდა, ესეც აშკარაა.

— მაშ ჰაპნოზორივით, არა?

— მე გირჩიე და შენ როგორც გენებოს!.. ძალიან ცუდს კი მიგრძნობს გული!..

ერთხელ, ერთადერთხელ მაინც დარეკავდა მასთან, თუმც შინ არ დახვდებოდა და ამდენი წლის დაუბრების შემდევ მათი ლაპარაკი არ შედგებოდა.

თუმც რომ დახვედროდა, ძალიან ცხარე დაილოგი კი იქნებოდა მოსალოდნელი, რადგანაც ეს ამ ფრაზით აპირებდა მიმართვას, ყოველგვარი მისალმებისა და მოკითხვის გარეშე.

— რას ცდილობ, ზვიად, სად მიიწევ, გამაგებინება, მაინცდამანც სისხლი გინდა დაიღვაროს?!

1989 წლის მარტ-აპრილის მიჯნა გახლდათ.

ბედისწერის კიდევ ერთი ამოზვირთების უამი.

VI. ზურგზე — აუარება კაცის პედი

პაპიკოს, ჩუქ ლოთს, ლურჯი თვალები აქვს.

ეს ვითომ ჩეველებრივი, მაგრამ საგანგებოდ შერჩეული ეპითეტები მოთხოვნია „ჩემი ბუჭუტა, ჩევენი ტერგზა“ ისეთი ინტონაციით გაუდენთილა, რომ მკითხველს ძალდაუტანებლად მიანიშნებს მის თავისებურ მისიაზე, რასაც ამკვეთრებს და აგვირგვინებს ორად ორი სიტყვა:

— კაცია საჭირო!

არადა, ჰარალეთელებს უკვირთ, პაპიკო საერთო მხიარულებაში არასოდეს რომ არ მონაწილეობს, სადღეგრძელოსაც კი არ ამბობს, ისე დალევს ხოლმე ერთ-ორ ჭიქას და მიჯდება კიდეც ხის ძირში. და ერთხელაც რომ ჩაციდებიან: ეტყობა, რაღაც დარდი გაწუხებს, გვითხარი, რა დარდია და გულზე მოგრძებაო, — პასუხად იმ ლაკონურ ფრაზას იკარგებს და კინაღამ გადარევს პარმენა დვალს: რა კაცი, ბიჭო, რავა ქალივით ლაპარაკობ შენო... გამასხრებიან, აქილიკებინ, მაგრამ პაპიკო ცხოვრებაში პირველად უნდა წარმოთქმას რთული წინადადება:

— მთავარი ისაა, რომ კაცია საჭირო. მაგრამ ის კაცი მარტო მე კი არ მინდა, ყველას გინდათ, სუყველას, კაცია საჭირო.

ესეც ამ ლურჯთვალება, ჩემი ლოთის თავისებური მისია — განჭვრიტოს სხვათაგან განსხვავებული პიროვნების მოვლინების აუცილებლობა.

ასე უნდა გადაიქცეს პაპიკოს მოლოდინი მკითხველის მოლოდინადაც.

ასე უნდა შემოცურდეს ხალისინ, იუმორით აღსასესება თხორიბაში მესიანიზმის მოტივი და განწყობილება და... კიდეც მოვიდეს პაპიკოს ნაუცნებარი კაცი და შეეცალს ჰარალეთელთა აყოლიებას ყველაფრის დასაკარიცხვებლად, ბუნებისაგან რები ისწავლონ, და საკუთარი სხეულებიც დაინახონ, ისეთი უბრალო, ჩეველებრივი და ჭეშმარიტად გასაოცარი, და დამით, ტყეში, სადაც სიტყვებს მეტი ფასი აქვთ, იქნებ ინწუურონ ადამიანის გონების უსაზღვრო შესაძლებლობანი, რომ აღარაფერი ითქვას წელიწადის დროთა ფერადოვან მუდმივობასა და ბევრჯერ ნახსენებ ჰაერზე... წყალზე... მზეზე...

თუთაში და ლეგი

აგერ მესიაც... მაგრამ სოფელმა იგი ვერ უნდა იცნოს. ის, რაც ამქვეყნიური წესია — მხსნელის ვერცნობა — ჰარალეთელნი როგორ გამოეთიშებოდნენ ამ ჯაჭვს და ბუჭუტაში მათი სულიერი ფერისცვალებისათვის მოვლენილ კაცს ან როგორ ამოიცნობდნენ და ან როგორ მიენდობოდნენ!..

გულდანყვეტილი უნდა გასცილდეთ მათი სულიერი ხსნისათვის გამოცხადებული კაცი, უეცრად მოვლენილი უეცრადვე გაუჩინარდეს ჰარალეთელთა მკაცრი დამუნათების შემდეგ, წინასწარმეტყველურ გმობას რომ მოგვაგონებს თავისი პათოსით, მაგრამ სასოწარკვეთილებაში მაინც არ ვარდება მცირე ხნით მოვლენილი უცნობი, რაკი-და ასულდგმულებს რწმენა, რომ:

— ტყუილ-უბრალოდ მაინც არ მისაუბრია — გინდაც სულ გადამივიწყოთ, და ასეც იქნება, რაღაცა მაინც რჩება — ყოველთვის რჩება სადღაც, პატარა, რაღაცა... ყოველთვის რჩება.

თანაც, როგორც გამოცდილმა ფისქოლოგმა, ისიც უწყის, თუ როგორ უნდა დაუტოვოს აქაურიბას თავისი ხსოვნაც და დიდი გარდატების მოლოდინიც:

— და კიდევ ერთი კაცია თქვენში, ვისთვისაც მოველ... რომელიც არ მიხსენებია...

ამ ფრაზის მოსმენამ ყველა ჰარალეთელს საკუთარი თავი უნდა წარმოადგენინოს იმ ერთ კაცად...

ლრმა ფისქოლოგიური ფანდიცა და ზოგადმესიანისტური მრნამსიც — მოლოდინი ყოველთვის უნდა რჩებოდეს საზოგადოებაში, თუნდაც სულ ახლახან შეექციოთ ზურგი მათი მხსნელისათვის ან გაეძევებინოთ, ანდა სულაც ჯვარზე გაეკრათ.

გურამ დოჩანაშვილი ბუჭუტას ასე პირდაპირ ვერ აქადა-გებნებდა საქართველოს დამოუკიდებლობას და სულიერი ფერისცვალებისაც სწრაფვა უნდა ექმარა გამჭვირვალე შინიშნებად, ცხოვრების დიხება ასე არაფრისდიდებით რომ აღარ უნდა გაგრძელებულიყო და მოლოდინს კი მართლაც მოეყვანა გამოხსნის იდეით შეპყრობილი კაცი, ვინც იქნებ ვერც ეცნოთ, მაგრამ ამაოდ მაინც არ ჩავლიდა მისი გარჯა, რაკიდა სადღაც რაღაცა მაინც რჩებოდა, თუნდ სულ პატარა, ერთიბერო, მაგრამ ნაღვერდალის შემნახავი.

და ნიშანდობლივია, თხრობაში ერთი-ორჯერ იმპერიის ხსენებაც რომ გაიღვებდა, მკაფიო მინიშნება, ჰარალეთი მისი ნანილი რომ გახლდათ, არა თავისუფალ ერთა ძმური კავშირის, არამედ სწორედაც იმპერიის.

სტილური არტისტიზმი, თამაშ-თამაშა თხრობა იოლად გადაატარებდა ცერზორთა გონებას ამ სტრიქონებზე და გადააზვას გადაურჩებოდა.

პოლიტიკური სიმი ჩამოკრავდა, შეფარულად, ყრუდ, მაგრამ მაინც... და თუ სადღაც რაღაცა, თუნდაც პატარა, აუცილებლად რჩებოდა, ამ მოთხრობასაც — „ჩემი ბუჭუტა, ჩვენი ტერეზა“ — უნდა დაეტოვებინა თავისი კვალი საზოგადოებრივ ცნობიერებაზე და ძალაუნებურად წამოეტივტივებინა „მხიარული ბორკვის“ მხატვრულ-იდეური მრნამსი — ამ ორ მოთხრობას შორის ხიდის გასადებად.

ჩემი ბუჭუტაო — მკვეთრად იუნიყებოდა სათაური, რომ ეს პერსონაჟი მწერლისათვის განსაკუთრებით ძვირფასი და მისანდობი გახლდათ.

შეფიქრიანდებოდა, ვაითუ მოთხრობის სახელწოდება ჯეროვნად ვერ გაისანასო, და სიცილ-სიცილით ფინალში საგანგებოდ ჩაურთავდა:

— და კიდევ ერთ კაცს ახსოვდა ბუჭუტა. კი უნდა მიხვ-

დეთ წესით, ვის-ვის და მე — აბა ტყუილ-უბრალოდ მიგაკალი ამ ამბის აღწერას თავი?

რჩებოდა მაჲმუდ აალი... ბუჭუტაც რჩებოდა...

...ხოლო პაპიკო, უწინდებურად მოწყენილი, გვიმრიანში იმალებოდა და ლურჯად ამღვრეული თვალებით საითკენ-დაც იცქირებოდა.

კაცის მოსვლა იყო საჭირო... მალე, დროულად, თორემ მერე იქნებ ამაოდაც დარჩენილიყო მისი მოვლინება, გვიანი მგზავრის აუსანელი შემოხეტება გაუდაბურებულ სივრცეში, სადაც წყლის წვეთიც კი აღარსად მოიპოვება და აღარც რაიმეს ნიშატია დაკარგულის ამოსაგებად.

და მისჩერებოდა ლურჯად ამღვრეული თვალები ზეცის უძირო სილურჯეს.

* * *

კითხვის სასწაულებრივ ბუნებაზე რომ ჩამოაგდებს სიტყვას ვასიკო კეურაძე, თავის მღელვარე საუბარს ორ „მისალოცთან“ ღვინის სმისა და კითხვის შეპირისპირებით დაიწყება, არის მათ შორის რაღაც საერთოო:

— მე მგონი ის, რომ ორივეს ეგრეთ წოდებულ პიროვნულის თავისუფლებასთან მიყვავართ, ოღონდ ერთი — მიშვებული, აგდებული, ულამაზო თავისუფლებაა, უპასუხისმგებლობით გამოწვეული, მეორე კი — შემართული, გამოცდილი და ყოვლისშემძლე, ამამაღლებული, გესმით? ორ, რა სიამოვნებით გამოვამწყვდევდი ლოთებს ჩემს კარცერ-ლუქსში, რადგან თავისუფლებისადმი გარკვეული მისწრაფება აქვთ...

კარცერ-ლუქსში, ჰეეე!.. ამ უტორიურ გარემოში, მაცვილებინივრულ წარმოსახვად რომ რჩებოდა — სამოთხედ ნამდვილ მეითხველთაფის, ხოლო კარცერად — ვინც იძულებით უნდა შეგვყანა წიგნის ჯადოსნურ სამყაროში. არადა, თვითონ ორივე თავისუფლების მორიგებას ცდილობდა თავის არსებაში, და ცხოვრების სტილი თანდათან ამ მონაცვლეობაში გადაეზარდა — ღვინის სმისა და კითხვა-წერის... სწორედაც მონაცვლეობაში, წამიერადაც რომ არ მოუნდომებია მათი ურთიერთებზავება, რადგან არა სჯეროდა, და ვერც ვერასოდეს ირწმუნებდა, რომ ნასვამ კაცს შეიძლება ნამდვილი მეითხველის ხელოვნებით წაეკითხა წიგნი ანდა ღირებული სტრიქონიც კი დაეწერა, არამცაუ მთელი თხულება, და სასაცილოდ არა ჰყოფნიდა გალაკტიკონ ტაბიდის ირგვლივ შეთხული მონაცვლირი, თავისებურ ლეგენდადადაც რომ იხსენიედნენ: თუ არ დათვრა, ისე ლექსს ვერ შექმნისო.

ლეგენდად იმიტომაც, რომ თვითონვე აღვივებდა ამ შეხედულებას გალაკტიკონი და დიდად კამაყოფილი ეგებებოდა მის დამკვიდრებას. „დაწყევლილი პოეტის“ მითოსიც აგულიანებდა საამისოდ, განა არა, მაგრამ არანაკლებ — და ეგებ უფრო მეტადაც — პოლიტიკური სარჩული ჩამალულიყო ამ საბურველის მიღმა, ერჩივნა და ძალიანაც ერჩივნი სარჩული, ასოციალურ, მარგინალურ ადამიანად წარმომდგარიყო ხელისუფლების თვალში, და არაერთხელ ისიც მომხდარა, ღვინით ან კონიაკით რომ დაუსველება წვერი, სუნი ეცემათ და ყველას მთვრილი ვეგონებო. არადა, წვეთი რა არს, ისიც არ ჰქონია დალეული.

გურამ ნასვამი არასოდეს უთამშია, თუმც საზინააღმდეგო არაფერი, რომ ასოციალურ ადამიანად მიეჩინა, მარგინალურ ადამიანად წარმომდგარიყო ხელისუფლების თვალში, და არაერთხელ ისიც მომხდარა, ღვინით ან კონიაკით რომ დაუსველება წვერი, სუნი ეცემათ და ყველას მთვრილი ვეგონებო. არადა, წვეთი რა არს, ისიც არ ჰქონია დალეული.

შესაძლოა სიჭაბუკის იმ ამბებმაც იმოქმედა, კინალამ

ნუთები და ცლეპი

ციმბირსა და გადასახლებაში რომ ამოჰყო თავი.

თვითონ სხვაგვარ ახსას უძებნიდა ამ მიღრეკილებას და ვრცელ მოთხოვინაში „იქამდე“ საკუთარ თავს სანდროდ რომ ჩახატავდა, პირდაპირ გადმოიტანდა თხრობაში ყოფილი რეალობიდან იმ ეპიზოდს, ერთხელაც, ოცდათ ნელს მიწევნილს, ნამეტანი სმა რომ შეემთხვეოდა და გული კარგა მაგრად შეჯანჯლარებდა, დროებით შემკრთალი ლოგინზე მიწევბოდა და გაბრაზებულ ყურს მიუგდებდა. მამა თავის უახლოეს მეგობარს მიაეთხავდა, კარდიოლოგ შალვა გოგნიაშვილს, რომელიც ფსიქოლოგის ხელოვნებითაც შეეცდებოდა და ერწმუნებინა ახალგაზრდა კაცი, რომ ლვინოს აუცილებლად უნდა მორიდებოდა. მგონი კიდეც დაიყაბულებდა, მაგრამ მერე სხვათა შორის რომ დაინტერესდებოდა, აქამდე რატომ სვამდიო, ისეთ პასუხს მოისმენდა:

— რადაც რომანს ეწერ და დოდი ქვეი კი მაქეს რომ სისულელეა, მაგრამ ჩემთვის ყველაფერია მანც, რადგან აუარება კაცის ბედი მეიდია ზურგზე... არ ვიცი, საჭიროა ეს თუ ავადყოფნაბად გადამექცა, არ შემიძლია ყველი გვერდი გადასამუშავებლად ათვერ მანც არ გადავწერ და ძალიან ხირიად კი, თორმეტჯერ, თხუთმეტჯერ, ოცჯერ!.. ისეც მგონია, რომ ყველი ახალი, აი ეპიზოდს რომ ეძახიან, ყველაზე მთავარი და გადამეტყვეტია და განამებულს მეჩვენება, ლონნდ აი ამ ადგილს როგორმე მოვრჩე და მერე რა უჭირს-მეთქი და როგორც იქნება და რომ დავამთავრებ, მთელი თავისი დაუნდობლობით აღმემართება ის მომდევნო ადგილი, მანამდე იმით გულს რომ ვიკეთებდი და თურმე წინა რა ყოფილა თურმე, რახან შედარებით დაძლეულია, არაფერი, მაგრამ სწორებ იმ ვითომც ადგილ წინაში ისე ვარ ჩაფლული და ჩათრეული და ჩათრეული, თავს ველარ ვაზნევ, ვიტონჯები, გათიშვა მინდა, მაგრამ სადაა, და ველარაფრით ვიცილებ, ჩემი ყოველი ნამცეცი ამ ადგილითაა გაუღენილი, ვერც გაექცევი, ვერც ჩიმოიბერტყავა, არადა, მომდევნო ადგილი გამომწვევად მიცდის და, რა ვქნა... ვსვამ, ვითიშები... როგორც გითხარით, აუარება ხალხი მანენაშერებზე, და იმათში კი ზოგი ისეთი გარენარია, და როგორია რომ ასეთებიც კი, ჯერ რომ საერთოდ არ არიან და ბნელში ბჟუტავენ მერე, ნელინელ უნდა სული ჩაბერო და ზილო, ზილო, როგორებია გასაცოცხლებლად ასეთი მწარე ვინებიც და, ახლა იმათ აღარ იკითხავთ, ვინც ტკივილამდე მიყვარს და მტკივა? აგერ მამაჩემს, მარტოკინა ჩემთვის ვერ მოუვლია და იმათი მოვლა როგორია, ვინებიც რომ შენამდე სულ არ არსებობდნენ და ჯერ შექმნა და მერე და მერე მოვლა და მოვლა უნდათ ისეთი და მერე რამდენს, მთელი სამასი ადამიანის შექმნა, მოვლა და პატრონობა მმართებს და როგორია ეს...

ცოტა სული უნდა მოითქვას ამ მღელვარე ლაპარაკის შემდეგ, მწერლის მხატვრული ესთეტიკისა და შემოქმედებითი ფსიქოლოგიისათვის დეირფას მასალად რომ წარმოგვიდება, პერსონაგუსისთვის კი მხოლოდ დასაბუთება მისი ყოფილი ცხოვრების ამ მანერისა, და რაკილა თავისი განცდება ასე დამაჯერებლად ჩამოაყალიბა, უკვე შეუძლია შეაჯამოს, და გადამწყვეტი დასკვნის წინ აუცილებლად რომ უნდა შეყოვნდეს, ამ მხატვრულ პაუზას გურამ დოჩანაშვილი ზუსტი ფსიქოლოგიური დეტალით ავსებს — სანდრომ ძალაში შეაჯამოს, და გადამწყვეტი დასკვნის წინ აუცილებლად რომ უნდა შეყოვნდეს, ამ მხატვრულ პაუზას გურამ დოჩანაშვილი ზუსტი ფსიქოლოგიური დეტალით ავსებს — სანდრომ ძალაში შეაჯამოს.

— მე რა თქმა უნდა მშვენივრად ვიცი, რომ ბეური მართლა დიდი მწერალი საერთოდ არ სვამდა, მაგრამ მე აღბათ პატარა ვარ და რახან იქიდან ერთმა დიდმა მწერალმა გაცოფებისას წუმბე და ჭაობი რომ დაარქვა, სხვაგვარად

ველარ ამოვდივარ და, ვიცი ვცდები და... მაინცა... ვსვამ.

ეს ამაღლვებელი — თვითონ მწერალი „ტანჯვანად და-კაცებულ აღსარებად“ რომ მოიხსენიებს — ტირადა არამარტო მკითხველზე მოქმედებს შთამბეჭდავი ძალით, არამედ ძალაშვაც, ვინც მასთან იმიტომ მისული, რომ სამუდამოდ აედებინა ხელი დვინის ასე თავდავინებით სმაზე, უკვე აღარ მოერიდება თავის მეგობარსაც და მტკიცედ განუცხადებს:

— ამან უნდა ჰსვას.

ყველაზე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ბელეტრისტს აუარება ადამიანის ბედი რომ ჰკიდია ზურგზე, ცხადია, სანინაალმდეგო საბუთად ვერ გამოდგება და აქ მწერალთა დიდ-პატარაობაც არაფერ შუაშია — უმთავრესი მაინც ფსიქიკა, ნებისყოფა, ცხოვრების პირობები, გარემოცვა და ზოგჯერ ისეთი წვრილმანებიც, უცხო კაცს ეგებ სასაცილოდაც რომ არ ეყოს, ამ მწერლის ცხოვრების ნირის არჩევა კი განსაზღვროს — დროებით ანდა სამუდამოდ.

გურამს, რასაკვირველია, ერჩივნა ეს ყოველივე რომანტიკულ საბურველში გაეხვია და პირზმინდად მხატვრული მოტივებით აეხსნა — მწერლური ფანატიზმით. ...ან იქნება მართლაც ველარ გადაეხედა ესთეტიკური სამყაროს მიმმა და მანიცდამანც ვერ დაჯევერებინა ამ მიდრეკილებას, ვთქვათ, პოლიტიკური სარჩულიც თუ ჰქონდა — სიჭაბუკიდანვე ქეცენობრივიში მწარედ დალექილი შემაშფორებელი განცდა, რომელიც გამუდმებით თავდავინებისაცნ გენწოდა — ან უნდა გეწერა, ან უნდა გესვა. ეგ არის, ერთმანეთში არასოდეს არ უნდა აგერია და არ მოგჩვენებოდა, რომ წასვამიც იოლად აუხვიდოდა ახალ-ახალ თხზულებათა შექმნას, თუნდაც უკვე იმ სიმაღლისათვის მიგელნია, შენს ნებაზე რომ დაატრიალებდი ქნარსა თუ სიტყვას.

მკვეთრად უნდა გამიჯულიყო, ისე მკვეთრად, რომ ერთხელ რა არიან, ერთხელაც არ წაცდენოდა სული, კალმის ხელში აღებისას ბოთლიც რომ მოედგა გვერდით, შიგადაშიგ წრუპვა ვითომ ისეთს რას მიზამისო.

კანონივით ინამებდა მათ დაშორიშორებას და ამ კანონს არაფრისდიდებით არ გადავიდოდა.

ჩამთავრებდა რომელიმე განსაკუთრებით ძნელ მონაკეთს ანდა მოთხოვინას და... გადაებმებოდა ლვინით გალექილ დღეები. უკვე ისე მორეოდა, დიდი სმა აღარ სჭირდებოდა, ერთი ჭიქაც ძლიერად მოქმედებდა და წამსვე მთვრალს ამსგავსებდა... ლვინოც აღარ სჭირდებოდა, ერთი კათხა ლუდიც თავისას შერებოდა... და აღარც ის უნდა გაგვირებოდა, სავსე ბოთლი თუ ედო პალტოს ჯიბეში, დროდადრო ამოელო და მოეწრუა... ანდა მანქანში დროდადრო მოეხადა თავი ბოცისათვის — ხაშურიდან დაბრუნებისა როგორც იყო.

ის ფათერაკიც ნასვამს მოუხდა, ღამიანად შუაგზაზე მომავალს მანქანამ რომ გაკურა ფრთა და ისე გადაუმსმსვრია ფეხის ძვალი, თან დროულადაც არ იზრუნა პაერაციისათვის, და... კიდეც ხელჯონებით მოუწევდა საარული...

ბედის ისეთი ულმობელი დარტყმა გადაეტანა, ეს ფათერაკი იმასთან შედარებით არაფრად ულირდა და ხუმრობით იოხებდა გულს.

რაღაც ავპეტითად მანქანა ტარიელ ჭანტურიასაც რომ დაუჯანებოდა (თურმე სიფხიზლეც ვერ შეველის ფათერაკი!), გურამი სასწრაფოდ შეებმიანებოდა ტელეფონით: მე მგონი, აქეთ უფრო უფერესი ბიჭები ვიკირიბებითო. ისიც პასუხს დაუგვიანებდა თუ რა: აბა, მარტო ხომ არ დაგტო-

თამარ ცინცაძე დაიბადა 1987 წელს, თბილისში. დაამთავრა თბილისის 141-ე საშუალო სკოლა და ივანე ჯავახიშვილის სახელის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ბაკალავრიატი სარედაქციო-საგამომცემლო სპეციალისტით. 2008 წელს სწავლა განაგრძო ამავე უნივერსიტეტის მაგისტრატურის თეორიისა და შედარებითი ლიტერატურულის განხრით. 2010 წელს ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა ნაშრომი „ალექსანდრე აბაშელის ლირიკა XX საუკუნის 10-20-იან წლებში“. კომისიის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, რეკომენდებულია ნაშრომის ცალკე წიგნად გამოცემა. თამარ ცინცაძე აგრძელებს ალექსანდრე აბაშელის შემოქმედების კვლევას და მუშაობას ფილოლოგიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

თამარ ცინცაძე

აპაშელების საბა

ყოველი ოჯახის ბედი რაღაცით გამორჩეულია და განსაკუთრებული. „ზოგი თავისებურად არის ბედნიერი, ზოგიც – უბედური“. განსაკუთრებული არის ბედნიერი, ზოგიც – უბედური“. განსაკუთრებული სახელით, გვარით, ცხოვრების წესით, საქმიანობით, ღვაწლით, შემოქმედებით, ზნეობითა და მორალით. მცირედ რჩეულთა რიცხვს მიეკუთვნება ალექსანდრე აბაშელი. ისაკ ჩოჩიას არავინ იცნობს საქართველოში, სამაგიეროდ, ალექსანდრე აბაშელი, მეტ-ნაკლებად, ყველას გაუგია – ქართული ლექსნიკის ვირტუოზი, ახალი ქართული პოეზიის ერთ-ერთი მესაძირკვლე, ყოველ შემთხვევაში, „შავჩინობანთა“ ოთხეულის ფოტო მაინც წამოუტივდება გონიერაში: გაფითორებული მზერა მარადისობისათვის რომ მიუჰყირიათ და თავგანწირვა და სრული თვითგადება სახეზე შეჰყინვით. ამ უკვდავ, გაუსუნარ ფოტოზე ვახტანგ კოტეტიშვილს, კონსტანტინე გამსახურდიასა და პავლე ინგოროვას გვერდს ალექსანდრე აბაშელი უმშევებეს – ამ დროისათვის ის უკვე ამ სახელით იყო დამკვიდრებული ქართული პოეზიის პარნასზე.

ფსევდონიმებით ცხოვრება და მოღვაწეობა განსაკუთრებით მოდური და პოპულარული გასული საუკუნის 10-20-იან წლების ქართული მწერლობაში იყო. ზოგი „ჩეხეიძეობას ქუჩიშვილობას არჩევდა“, ზოგიც – ჩოჩიობას აბაშელობას. აბაშელობა ისურვა პოეტის ერთადერთ-მა ქალიშვილმა (ვაჟი ტიფით გარდაცვალა) მედეამაც. მიუხედავად იმისა, რომ მედეას შთამომავლები ამ გვარს აღარ ატარებენ (ისინი თუთბერიძეები და ალხაზაშვილები არიან), ეს მაინც აბაშელების ოჯახია. ერთხელ ბაბუას მართლაც შეუთავაზებია უფროსი შვილიშვილისთვის გვარის შეცვლა: ბიჭის სიცელქე და ონავრობა „ზემოთ“ მამის გამო შურისძიებად და გაგულისებად მოუნათლავთ, სკოლიდან გარიცხვითაც მრავალჯერ დამუქრებიან (ყოველთვის კონსტანტინე შეველოდა). ბაბუამ გაზრდილს, მომავლის დაზღვევის მიზნით, აბაშელობა ურჩია, მაგრამ



ალექსანდრე აბაშელი

ბიჭისგან ისეთი პასუხი მიუღია: შენ მამაჩემმა რა დაგიშავაო, — შვილიშვილისთვის სიამაყით შუბლზე უკოცნია და ეს თემაც სამუდამოდ ამორურულა.

თუთბერიძეების თბილი და მყუდრო სახლის ზღურბლიდან პირდაპირ აბაშელის ეპოქა იწყება. კეთილმა, გულლია და სტუმართმოვარე მასპინძლებმა ალექო თუთბერიძემ და ირინა კაკუშაძემ შეძლეს, დრო შეეჩერებინათ და გარდასული ეპოქის წამი მოეწყვეტა — აბაშელების ოჯახის პირტოტი ინტერიერში იკითხება და იშიფრება: ფოტოსურათები, წიგნები, ხელნაწერები, ავეჯი, მემორიალური ნივთები – თავი მუზეუმში გეგონება. კედლებიდან დინჯი, დარბაძისელი, თითქოს ფრესკებიდან გადმოსული, უამრავჯერ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე გავლილი ადამიანები შემოგცერიან. მასპინძლობა საუბარს ორი ჯადოსნური სიტყვა უდებს სათავეს — ბაბუა და მედეა!

მამაშვილური სიყვარულის არაერთი მაგალითი იცის ქართულმა მწერლობამ თუ ქართულმა ყოფამ, მაგრამ ეს მაინც გამორჩეული და განსაკუთრებულია. 1929 წელს გამოცემულ „გაბზარულ სარკეს“ სულისშემძღვეული მიძღვნა ახლავს: „ჩემი სიცოცხლის ერთადერთ ყვავილს – ჩემს მედეას – ვუძღვნი ამ წიგნს“. ამ ეპიგრაფში თხოვნაცაა, ბრძანებაც და მოწოდებაც, ეპოქის გამსრესა, უმძიმესი წერის ქვეშ მოქცეული, „გავიდოდა თუ დაიღუპებოდა, არავინ იცოდა სწორადა“. როცა „საქართველოს სამუშებრივი გადაუქროლეს“, „კაენის სულის აღზევება“ აბაშელების ოჯახმაც იწენია, იწენია და მერე როგორ! — ოცი წლის მედეა დაკვრივდა, ოთხი წლის ალექო თუთბერიძე დაობლდა. 1937 წელს ცნობილი ადვოკატი ილია თუთბერიძე დახვრიტეს: საკუთარ სინდისტან კომპრომისზე არ წავიდა, მეგობრების, კოლმეურნეობის თავმჯდომარებების – წითლიძისა და კობეშვილის – დაცვა მთელ საქართველოში მხოლოდ მან იკისრა (ბრალდებოდათ 15-ის ნაცვლად 10 სმ-ის სიღრმეზე ხორბლის დათესვა, შეიძლება თესლის მოწამვლაც კი). მესამე პროცესიდან დაბრუნებულს უთქვამს: მე, ეტყობა, თავი დავიღუპეო, — და მართლაც იმავე დამეს ნაუკანიათ (დაპატიმრება მედეასაც ელოდა — „სამშოლოს მოღალატის“ ცოლებს ყაზახეთში, სპეციალურ ბანაცში აგზავნიდნენ, შვილებს — უპატრონო ბავშვთა სახლში. მედეა ჯერ ლენინგრადში გააპარეს, შემდეგ დიდხანს ბაქოში (ცხოვრობდა. საბედნიეროდ, ბავშვი არ წაურთმევიათ – ბაბუასთან იზრდებოდა).

ზნეობრივი გმირობა იშვიათია, მაგრამ, საბედნიეროდ, ის არ არის ოდენ მნერლობის კუთვნილება, ცხოვრებაშიც რეალურია და, ამდენად, კიდევ უფრო დასაფასებელი და დასამასოვრებელი — „ანდერძივით შვილთ სათქმელი“.

ამ ამბებს აბაშელების — თუთბერიძების ოჯახში ჰყვებიან — გაუგულისებლად და განურისებლად, მშვიდად და წყნარად; ჰყვება ცოლაშმარი — ალეკო თუთბერიძე და ირინა კაუშაძე, შესანიშნავი ტანდემი, რომელთაც კარგად იციან, რომ „დიდი ჰყავდათ წინამორბედი“, ამიტომაც სისხლხორცეულ საქმედ მიაჩინათ ალექსანდრე აბაშელის მემკვიდრეობის მოვლა და სამომავლოდ ისეთი საიმედო პატრიონის ხელში დავანება, ალექსანდრე აბაშელის მუზეუმი რომ ერქმევა.

მედეა აბაშელის ლამაზმა მოგონებებმა — „ჩემი ცხოვრება, სულ ერთ საღამოს წასაკითხო“ — ყველაფერი ვერ დაიტია, მითუმეტეს, ეს მემუარები დაუმთავრებელი დარჩა. ეს მედეას თვალით დანახული წარსულია, თავისი და მშობლების ცხოვრება, რომელშიც ერთ-ერთ მთავარ როლს ყოველთვის თვითონ თამაშობდა. რაც მედეას უთქმელი დარჩა, ბატონი ალეკო და ქალბატონი ირინა აესებენ. და მაინც, ერთი დეტალი, ერთი შტრიხი ალექსანდრე აბაშელის ცხოვრებისა მედეას მოგონებებიდან — რომ არა პოეტის ქალიშვილის მემუარები, ჩვენ არასდროს გვეცოდინებოდა ალექსანდრე აბაშელის ერთი საოცრად გაბედული ნაბიჯი: პოეტი ქალიშვილთან ერთად (მეუღლე თბილისში დარჩა საქმების მოსაგვარებლად) 1921 წლის მარტში საქართველოს დევნილ მთავრობასთან ერთად უცხოეთში მიემგზავრებოდა. საშა აბაშელი ბავშვიანად ლამის დაძრული გემიდან ჩამოვიდა, — უსაშობლოდ ცხოვრებას რა აზრი აქსო, — და თბილისში დაბრუნდა. ეს ისეთივე მოქალაქეობრივი გმირობა იყო, როგორც შემდეგში მისი სტატია: „პროლეტარიატი და ბოზია“, ანდა გახმაურებული ლექსების „წერილი ნოე ჩხილაძეს“, „შორეული ნაპირისა“ თუ „მეოცნების დღიურის“ გამოქვეყნება.

ალექსანდრე აბაშელის შთამომავალთა განსხვავებული პროფესიის მიუხედავად (ალეკო თუთბერიძე მეტალურგია, ირინა კაუშაძე — ქიმიკოსი, ლეგან ალხაზშვილი — ეკონომისტი, ილიკო თუთბერიძე — ფიზიკოსი, ნიკუშა თუთბერიძე და ნინო ალხაზშვილი — პროგრამისტები), ეს მაინც პოეტის ოჯახია: აქ პოეზია, ქართული სული და აბაშელის ეპოქა სუნთქეას. ბატონი ალეკო მნერალთა გარემოცვაში გაიზარდა და მათთან უამრავი მოგონება აკავშირებს. საარაკოა კონსტანტინესა და მისი მეგობრობა, მე მასთან კამათში დავვაჟეაციონ, — იხსენებს. კამათობდნენ ყველა-ფერზე — ფეხბურთიდან დაწყებული თვით მნერლობით დამთავრებული. კონსტანტინე დაჲყვებოდა ყველგან — სკოლაში, ინსტიტუტში, სამსახურშიც კი. ხანდახან ბატონი კონსტანტინე სამაგიერო პატარ-პატარა „სამსახურსაც“ სთხოვდა: ალეკოსა და მის მეგობრებს მეშახტეთა სახლთან მანქანა უნდა დაეტვირთათ და მასალები კოლხური კოშკის მშენებლობაზე აეტანათ, მნერალი კი სკოლის დირექტორთან — ბატონ იპოლიტესთან — მიჰყვებოდა და მის თავს სკოლაში აღადგენინებდა (ბატონ ალეკოს ისიც კი ახსოვს: მარტი იყო, თოვდა და მანქანის ძარიდან გოგოებს გუნდებს ვესროდითო). იმ დროს მეტალურგიის ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლად მიღება არც ისე იოლი საქმე იყო. აქაც უფროსი მეგობარი მიჰყოლია. დიდი ამბით შესვედრია ერთმანეთს ფერდინანდ თავაძე და კონსტანტინე გამსახურ-

დია, ერთმანეთი უქიათ და უდიდებიათ. საოცარი დეტალი: კონსტანტინეს არ ათხვინინა, პროტეჭეს პირდაპირ განცხადება დაანერინია. ფერდინანდის კიდევ ერთი კაცური საქმე: რეპრესირებული მამის ბინის დასაბრუნებლად დაწესებულების ხელმძღვანელს უნდა მოეწერა ხელი, მაგრამ ეს საკმაოდ საშიში და სახიფათო საქმე იყო. ამაზეც არ დაიხა უკან და განცხადებას ფოლებში ალეკო თუთბერიძის ბეჭებზე მოანერა ხელი. ამის შემდეგ როგორ არ ირწმუნება: „კარგი საქმე კაცა ზედა, აზომ თურმე არ წახდების“.

ალეკო თუთბერიძის საუკეთესო მოგონებები ქვიშეთს უკავშირდება — ზაფხულობით მნერალთა სახლში გატარებულ წევებს. ერთ ზაფხულს ქეთევან ირემაძემ „მატეო ფალკონე“ დადგა. მონაწილეობდნენ გურამ ზედგინიძე, ლეო ანთაძე, ნათია ამირეჯიბი... ფორტუნატოს ალეკო თამაშობდა. ბილეთები გაიყიდა, მსახიობები ხევბზე ისხდნენ და... მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: ფორტუნატოს ხეზე ჩამოეძინა. ბოლოს ყველაფერმა მაინც კარგად ჩაიარა და მაყურებლის ოვაციებიც დაიმსახურეს.

ერთი მოგონება გაღაეტიონს უკავშირდება. გაღაეტიონს უყვარდა საშა აბაშელი და დიდად აფასებდა მას. თავისი ლექსების რუსულ პრესენტაცია მომზადებას მხოლოდ მას ანდობდა. არასდროს ესწრებოდა ვინძეს საიუბილეო საბამოს. 1944 წელს რუსთაველის თეატრში აბაშელის იუბილეზე მიპრძნებულა. პიჯაკზე რაღაც ძაფი მოდებოდა. ალექსანდრეს მეუღლე ფრთხილად მივიდა, ააცალა და ამ ძაფს სოცოცხლის ბოლომდე ინახავდა. ეკატერინე ბრალოვს კამ, პოლონელმა ქალბატონმა, თითქმის არ იკოდა ქართული, მაგრამ იკოდა გაღაეტიონისა და, საერთოდ, ქართული პოზიტივისა და კულტურისა ფასი. თავად ხელოვანმა, ჩინებული ხმის ბატონმა, კონსტანტინოვისა დაამთავრა, კარიერაზე უარი თქვა და თავი იჯახს შესწირა. ქართული ტრადიციები გაითავისა, ხუთი იბოლო გაზარდა — ორი მულიშვილი და სამი დისწული, შემდეგ ობოლი შეილიშვილი. საბოლოოდ დისშვილების დარდს გადაჰყვა. შეილიშვილისა და მისი მეგობრების მესაიდუმლე, ხელის გამმართველი, დამცველი და გვერდში მდგომი — ასეთი ახსოვს და ასე ახასიათებს ალეკო თუთბერიძე ბების. სიცოცხლის ბილოს, უკვე სანდაზმულსა და ავადმყოფს, ბიჭები რიგორიგობით ასეიონებდნენ. მაშინდელთაობას ასე ესმოდა ამაგის დაფასება და გადახდა.

და ბოლოს: XIX საუკუნის მინურულიდან დღემდე ასე მოედინება ჩინჩა-აბაშელები-თუთბერიძე-ალხაზშვილების ცხოვრება. პოეტმა ალექსანდრე აბაშელმა თავისი ნინა ორ თაობას — მშობლება და ბებია-პაპას ხელთუქმნელი ძეგლი დაუდგა: ოთხმოცი წელი უთეორიოდ მცხოვრები ბებია, ამბოხებული, ლერერთს შეჭიდებული პაპა, რომელმაც „ქრისტეს მისიდან წისძლი გადაუღვარა“, ნისქვილში უშმურაყალის მარტინოს ბილოს, უკვე სანდაზმულსა და კულტურულის, „ალექსანდრე აბაშელები-თუთბერიძე ბების“. სიცოცხლის ბილოს, უკვე სანდაზმულსა და ავადმყოფს, ბიჭები რიგორიგობით ასეიონებდნენ. მაშინდელთაობას ასე ესმოდა ამაგის დაფასება და გადახდა.

და ბოლოს: XIX საუკუნის მინურულიდან დღემდე ასე მოედინება ჩინჩა-აბაშელები-თუთბერიძე-ალხაზშვილების ცხოვრება. პოეტმა ალექსანდრე აბაშელმა თავისი ნინა ორ თაობას — მშობლება და ბებია-პაპას ხელთუქმნელი ძეგლი დაუდგა: ოთხმოცი წელი უთეორიოდ მცხოვრები ბებია, ამბოხებული, ლერერთს შეჭიდებული პაპა, რომელმაც „ქრისტეს მისიდან წისძლი გადაუღვარა“, ნისქვილში უშმურაყალის მარტინოს ბილოს, უკვე სანდაზმულსა და კულტურულის, „ალექსანდრე აბაშელები-თუთბერიძე ბების“. სიცოცხლის ბილოს, უკვე სანდაზმულსა და კულტურულის, „ალექსანდრე აბაშელები-თუთბერიძე ბების“. შემდეგ სამუდაბოდ პოეზია მისი განვითარების მიზანის სახისა და სახისა და გადახდა.

ეკა ბუჯიაშვილი

გზრდელად სამშობლოს სიყვარულისა

რა იყო მაინც, რა უცნაურად დაემთხვა მისი სიტყვები იქ შეკრებილთა საფიქრალს, თითქოს თითოეულის სულ-სა, გულსა და გონიერაში ჩაეხედოს, თითქოს საგანგებოდ ჩაღრმავებოდეს მათ მიზანსა და სანადელს.

არა, უურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე ზედიზედ კი დაიბეჭდა რამდენიმე წერილი ამ თემაზე, მაგრამ ახლა ვარიანში, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში — იყონ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმის ეზოდნ რომ ახმანებს ზარებს — მაინც სხვანაირი მადლი მოჰყვებოდა ამ სიტყვებს. მღვდელი თადეოზი (ქებაძე) იაკობის სულის მოსახსნებელ პანაშვილს რომ გადაიხდის მგალობლებთან: **ნათია ფადიურთან, მარიამ ხიზანიშვილსა და თათია გიორგიშვილთან ერთად, ქადაგებაში ამასაც იტყვის:**

— მისი სული ნათელშია, რადგან ამ ადამიანის ცხოვრებაც და მოღვაწეობაც წმინდანთა ცხოვრებას შეესაბამებოდა. ალპათ მაღლე დადგება ის დღეც, როცა მას წმინდანად შერაცხავენ.

რა იყო მაინც...

რა იყო და... გონიების თვალი იყო, ღვთიური იდუმალებით ახელილი, სულის სიღრმეებსაც რომ სწვდება და ჩვენი სურვილების თვალშეუდგამ მწვერვალებსაც, ჩვენი არსებობის ფსკერსაც და ჭერსაც, მითუმეტეს, როცა იმ ადამიანის ცხოვრებაზე ვსაუბრობთ, ვისმა ღვაწლმაც დიდწილად განსაზღვრა ჩვენი ეროვნული ცნობიერება, იმჟერიული რეჟიმის წნევის ქვეშ გადაარჩინა ქართული ენა და, მასთან ერთად, ქართველობაც.

ეს ყველაფერი იმ დღეს მოხდა, როცა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების წევრები, როსტომ ჩეხეიძის თაოსნობით, ტრადიციულად ვარიანს ესტუმრნენ იაკობ გოგებაშვილის ხსოვნისათვის პატივის მისაგებად. მანამდე იაკობის ცივ-ცივებიც წყაროებიც შესვეს, **მანანა ხიზანიშვილის** მეგზურობით ამ დიდი ერისკაცის სახლ-მუზეუმის კედლებიც მოინახულეს, იმ აივნიდანაც გადმოიხედეს, საიდანაც გაპყურებდა იაკობი თავისი ქვეყნის ზეცას. მერე კი გორის უნივერსიტეტს ენვიონენ, სადაც ქალბატონმა თინათინ ელბაქიძემ ჯერ ამონარიდები წაიკითხა ალექსანდრე ჯანელიძის, გერონტი ქიქოძის, აკაკი

ბაქრაძისა და გურამ ასათიანისადმი მიძლვნილი საღამოებიდან, შემდეგ კი ოთხი ავტორის — ლევან ბრეგაძის, როსტომ ჩეხეიძის, მაკა ჯოხოძისა და იოსებ ჭუმბურიძის — წერილებზე დაყრდნობით შექმნილი პიესა — „სამშობლო, როგორც უფალი“. თავისი ხავერდოვანი ხმითა და პროფესიონალიზმით მან კიდევ ერთხელ შეაგრძნებინა დამსწრებას ერთი მსახიობის თეატრის მადლი. და ეს შეხვედრაც იაკობ გოგებაშვილის ხსოვნას მიეძლვნა.

* * *

როსტომ ჩეხეიძის თქმით, „ამ ოცდაათი წლის წინათ ჩვენს საზოგადოებრივ კულტურულ ცხოვრებაში მოხდა მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა — დაარსდა ცუბლიცისტური თეატრი, რომლის სულისჩამდგმელიც ქალბატონი თინათინ ელბაქიძე გახლდათ. მან შეძლო, თავი მოება ამ საშვილიშვილო საქმისათვის. 80-იანი წლების გარიფრაჟზე მის მიერ შექმნილმა თეატრმა დიდი როლი ითამაშა ერთს გამოლვიდებაში.

მასალებს თვითონ არჩევდა — უმთავრესად იმ მწერლების ნანარმოებებს, მაინცდამაინც რომ არ ტრალებდა ლიტერატურულ სივრცეში, აკრძალული არ იყო, მაგრამ მათი გავრცელება მიზანშეწონილად არ მიაჩინდა ხელისუფლებას... და აი, თინათინ ელბაქიძემ სცადა, გაერღვია ერთგვარი შემოსაზღვრული სივრცე და ალეფგინა კავშირი აუდიტორიასთან“.

იოსებ ჭუმბურიძე კი აღნიშნა:

— ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც წამაქეზა ამ სცენარისთვის მომეკიდებინა ხელი, ისიც

იყო, რომ ძალიან მენატრებოდა ქალბატონი თინათინის ხმა. გამიჩნდა იდეა, ერთი მსახიობის თეატრი ალექსანდრე იორბელიანის საზოგადოების სალონში გაცოცხლებულიყო. ეს არის ერთი იდეით — საქართველოს ბედისწერასა და საშველის ძიებაზე ფიქრით ასხმული დრამატული მასალა. კიდევ ერთი მიზეზი მისი დაქრისა იყო რუსულან ნიშნიანიდისა და ოთარ ჩეხიძის დაილოგი, რომელშიც ბატონი ოთარი ამბობს: ჩვენ ისევ იქა ვართო. სათაურად კი ავირჩიე ცოტა სხვაგვარად ნათქვამი სტრიქონი პოეტისა, რომელმაც სამშობლო და უფალი ერთმანეთს გაუტოლა (თავად რაფიელ ერისთავი ასე წერს: „როგორც უფალი, სამშობლო, ერთია ქვეყანაზედა“).

* * *

— როცა ქალბატონმა თინამ ეს სცენარი „ჩვენი მწერლობის“ სალონში წაიკითხა, სიტყვით გამოსვლისას ვთქვით: კარგი იქნებოდა, გორშიც მოგვესმინა-მეთქი. ასე აგიხდეთ ყველაფერი კარგით, — თქვა პოეტმა ჯემალ ინჯიამ.

მის ხმაზე თაობები იზრდებოდნენ, ამ ხმას ცნობდნენ ყველან, ლამის თავისიანად მიიჩნევდნენ. ხშირად საგანგებოდ ელოდებოდნენ მის რადიოსპექტაკლებს — ჩვენი



თინათინ ელბაქიძე

ერისა და ქვეყნის საწუხარზე აგებულს, რაღაცნაირი, უჩვეულოდ ხავერდოვანი ტემპრით გამოტარს. აკი ამიტომაც იტყვის შეკრებაზე გორის უნივერსიტეტის პროფესორი ელდარ მამისთვალიშვილი:

— ხმირად გისმენდით, ქალბატონო თანა, ხან როგორი ნარმომედგინეთ და ხან როგორი. საგანგებოდ ჩამახსოვრებული მქონდა ეს დღეები და ველოდებოლი თქვენს გადაცემებს.

უურნალისტმა ნიკო თანაიშვილმა კი:

— ჩემთვის დიდი ბედნიერებაა თქვენთან პირადად შეხვედრა, ხმა ხომ ნაცნობი იყო და ძალიან ახლობელიც ჩემთვის, მაგრამ ახლა თითქოს თავიდან აღმოგაჩინეთო.

პროფესორმა ნელი ჭანტურიძემ დასძინა:

— ვუსმენდი და ვფიქრობდი, რა კარგი იქნებოდა, ასეთი შეხვედრები სკოლებშიც ჩავატაროთ ან სულაც ასე ის-ნავლებიდეს პუბლიცისტიკაო.

განათლების ფაკულტეტის დეკანმა მზია ზანგალაძემ ისურვა, რომ ამ საღამომ მთელი საქართველო მოიაროს, რადგან ეს ის სატკივარია, თითოეულ მათგანს გულისგულს რომ უნდა ჩასწვდეს და კიდევ ერთხელ შეურსიოს სიმი სამშობლოს სიყვარულისა.

— მეც ერთ-ერთი იმათგანი ვარ, ვინც ბავშვობიდან ისმენდა ამ ხმას და ვერც კი ნარმოვიდენდი მაშინ, რომ გავიდოდა წლები, მას შევხვდებოდი და ასე გულითადადაც ვისაუბრებდით. სკოლებში კი ეს ყველაფერი უნდა შევიტანოთ კიდევ ერთი რამის გამოიც — როგორც ნიმუში ორატორული ხელოვნებისა, ლექსის შეგრძნებისა, სიტყვის გზინებისა... რადგან თუ დღეს შეგვიძლია საუბარი იმაზე, როგორ უნდა გრძნობდე სიტყვას, პოეზიას, ამაში დიდი ძალისხმევა მოუძღვის ქალბატონ თინა ელბაქიძესაც, — აღნიშნა შეხვედრაზე პროფესორმა სალომე კაპანაძემ.

კიდევ ერთი პროფესორის სოხუმის უნივერსიტეტიდან ნინო ვახანიას თქმით კი, საღამოს ასეთი შთამშეჭდაობა, ქალბატონი თინათინი პროფესიონალიზმთან, მის ხავერდოვან ხმასთან ერთად, უნივერსიტეტის გარემომაც განაპირობა, შემდგარმა სულიერმა კავშირმა მსმენელსა და მსახიობს შორის... და, რაც მთავარია, იმ ოთხი ავტორის სულიერმა მრნამსმა, რომელთა ნაწარმოებებზეც აიგო პიესა:

— ინინ გვასწავლიან უმთავრესს — სამშობლოს სიყვარულს. სამშობლოს გრძნობა ბავშვობიდანვე გვეძლევა, მაგრამ ყველაფერს, დვთის ბოძებულს, ზრდა, წვრთნა და განვითარება უნდა, როგორც მაღალ კოშკში გამომწყვდეული წეტანი იჯდა „მზრდელად სიყვარულისა“, ასე სულის შებერვით შენახვა და ზრდა სჭირდება ქვეყნის სიყვარულისაც.

„ჩენ ისევ იქა ვართ“, — დაჩივლებს ოთარ ჩხეიძე, რადგან საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციისა და თუ დაკარგული გმირის პრობლემა ისევ მწვავედ დგას საქართველოში, დაიჩივლებს იმ იმედით, რომ ლერთი არ გაგვირავს... დღევანდელი შეხვედრაც ასეთი იმედია ჩენთვისო.

* * *

ეს ძიება დღესაც გრძელდება.

ძიება გმირისა, რომელიც ჩენ მა მორღვეულმა და ჩამოშლილმა ცნობიერებამ დაიტანა, ამიტომაც აღნიშნავს ასეთი სცენარების მნიშვნელობას პოეტი ვანო ჩხივაძე.

პროფესორ გიორგი გოგოლაშვილის აზრით, „სწორედ

ამ ხმამ, ასეთმა პიროვნებებმა უნდა შეგვახსენონ, რომ სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა და არასოდეს უნდა გამრუდდეს ხაზი, რომელსაც იკაობ გოგებაშვილმა ქართული მიმართულება უნოდა. ილისეულ სამებას — მამული, ენა, სარწმუნოება — მან ეროვნული სკოლა დაუმატა და ასე განისაზღვრა ოთხი ძირითადი ბურჯი ჩვენი ეროვნულობისა. — ქართლად ფრიადი ქვეყანი აღირაცხებისა, — სამაყით ამბობდა გიორგი მერჩულე. სამწუხაროდ, მეორე ათას-წლეულში ჩვენს ეროვნულ მთლიანობაზე ამ სიამაყით ვერ ვისაუბრებთ. რა გველის მესამე ათასწლეულში? ჩვენ უნდა შევილოთ დავაპარუნოთ ის, რაც დავკარგეთ და ამაში სწორედ ასეთი სულისკვეთება, ასეთი შეგონებები დაგვეხმარება“.

დაგვეხმარება სიტყვაც, რომლის მნიშვნელობაზე ახალგაზრდა მწერალმა ზვიად ჭვარაცხელიამ ისაუბრა:

— ვუსმენდი ამ მონოსპექტიკულს და გამახსენდა ანტიკური თეატრის ერთი პერსონაჟი, მთხოობელი, რომელიც გვიყვებოდა სცენაზე დატრიალებული ამბების შესახებ. ასე გვიამბობდა ქალბატონი თინათინი იმაზე, რაც გადახდენია საქართველოს და რაც ხდება დღეს.

ჩვენს სინამდვილეში ხმირად ისმის კითხვა: რას ნიშნავს გადარჩენილი სიტყვა... და იქვე ამბობენ, რომ სიტყვა უნდა გადავარჩინოთ სკოლაში, უნივერსიტეტში, ყოველდღიურ ცხოვრებაში, სიტყვა უნდა გადავარჩინოთ მწერლობაში, რადგან მწერლობა იყო ის ცოცხალი ორგანიზმი, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში მოჰქონდა ქართული სიტყვა. იაკბ გოგებაშვილის მოღვაწეობაც ამის მაგალითი იყო... და ამ ყველაფერს შეგვიძლია დაუმატოთ განსახიერებული სიტყვა — ის, რისი მოწმენიც დღეს აქ გავხდით, მოწმენი ოჯერ გადარჩენილი სიტყვისა: ერთხელ, მწერლის ნანარმებში და მეორედ — ქალბატონი თინას წაკითხვის წყალბით. ასეთი დეკალამატორები, ასეთი რჩეულები, რომლებიც ცდილობენ, სულით ხორცამდე განგვაცდევინონ სიტყვის მადლი, თითზე ჩამოსათვლელი ჩვენს სინამდვილეში.

ამიტომაც უნოდა ამ საღამოს სულის განვითარებისა და სულიერი ერთობის კიდევ ერთი საშუალება პროფესორმა მარიონ კოპერიძემ. პროფესორმა მარიონ გივაშვილმა, რომელიც უძლევებოდა საღამოს, განსაკუთრებული მაღლობა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებას გადაუხადა, საშუალება რომ მოგვცა ეს ყველაფერი მოგვემინა. გორის უნივერსიტეტის რექტორმა ზაზა ცოტნიაშვილმა პროფესიონისტი როსტომ ჩხეიძეს მისიონერი უნოდა და დასძინა:

— ეს საზოგადოება ძალიან საქირო საქმეებს ადგამს თავს და ჩენ ცნურილი გვიჩნდება მასთან ერთად არა-ერთ სანატერესო პროექტში მივიღოთ მონაწილეობა.

თვითონ ქალბატონმა თინათინმა კი აღნიშნა:

— მე მგონია, რომ ბედი ძალიან მწყალებს. საერთოდ, პუბლიცისტური თეატრის შექმნის იდეა აკაკი ბაქრაძეს ეკუთვნოდა, მაგრამ რატომლაც მე მომაწერეს. რუსთაველის თეატრში გავმართო პარველი საღამოები, რომლებიც საბედისნერო აღმოჩნდა ბატონი აკაკისთვის. ის იყო, ამ კარგად დაწყებულ საქმეს და უნივერსიტეტის კერა შემომთავაზა. წლების მანძილზე არაერთი საინტერესო სპექტაკლი შეიქმნა იქ... სულ ახლახან ბედმა იოსებ ჭუმბურიძეს შემახვედრა, მან კი როსტომ ჩხეიძეს, ვინც ფართოდ გამიღო თავისი სალონის კარი. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მათ. ასეთი

ზურაბ ლავრელაშვილი

როგორ იცერება ლიტერატურის ისტორია

ხუთიოდე წლის წინათ პროგრამა „ლოგოსის“ ფარგლებში ქართულად გამოიცა „ბერძნული მითების სამყაროს“ ცხრა წიგნი. სერიის მეათე წიგნი „მითების სიპრძე“ განკუთვნილია დამხმარე სახელმძღვანელოდ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთათვის და როგორც წინასიტყვითაშია აღნიშნული – „ნარმოადგენს ანტიკური მითების კვლევისა და მოსაზრებების პოპულარულად სისტემატიზაციისა და გადმოცემის ცდას“.

ბერძნული მითების მნიშვნელობასა და როლს ევროპული თუ მსოფლიო კულტურისათვის აქ აღარ შევეხებით. დასანანი აღბათ ეგაა, რომ ეს სერია უფრო ადრეც უნდა გამოცემულიყო. თუმცა რაც გაკეთდა, ესეც საქები და დასაფასებელია. მით უფრო, რომ სახელმძღვანელოს შედგენა განათლების სამინისტროს ჩვენი სახელმანი მეცნიერისათვის რისმაგ გორდეზიანისთვის დაუვალებია, რაც ერთიათად ზრდის წიგნის შემცნებით ღირებულებას.

ისიც საგულისხმოა, რომ სახელმძღვანელოს მომზადებაში აქტიკური მონანილეობა მიუღია მრავალ მკვლევარს, ჩინიანსა თუ უჩინოს, რომელთა წვლილი ანტიკური თუ ქართული მითოლოგიის კვლევის სფეროში, განურჩევლად სამცნიერო ხარისხისა, ერთობ მნიშვნელოვანია.

ეს აღბათ ერთი იმ შემთხვევათაგანია, როცა სახელმძღვანელოს მოსამზადებლად ამდენ პროფესიონალს უმუშავია...

ამიტომაც ორმაგად გულსატებინია, რაც ამ ნაშრომში ამოვიკითხეთ. სახელმძღვანელოს ერთ-ერთ შემაჯამებელ თავში „ბერძნული მითოლოგია და მსოფლიო კულტურა“ ბატონი რისმაგი, მიმოიხილავს რა ბერძნული მითოლოგიის გავლენას მსოფლიო კულტურაზე და მათ შორის ქართულზეც, ჩამოთვლის იმ „ზოგიერთ ქართველ მწერალს, რომელთა შემოქმედებაშიც ანტიკური მითოლოგიის შემოქმედების კვალი მნიშვნელოვანია...“

მერედა ვინ არიან ეს მნერლები?

აკაკი წერეთელი, ლევან სანიკიძე, ოთარ ჭილაძე, ტიტიან ტაბიძე, გალაკტიონ ტაბიძე, გოგლა ლეონიძე და არჩილ სულაკაური.

ჩამონათვალს შოთა იათაშვილი აგვირგვინებს...

„ზოგიერთი იმ მწერლის“ გეერდით, ვის შემოქმედება-შიც, სახელმძღვანელოს ავტორის აზრით, ანტიკური მითოლოგიის შემოქმედებითი (sic!) გამოყენების კვალი მნიშვნელოვანია, ბატონ რისმაგს რატომდაც სიცარიელე დაუ-

ტოვებია, რომელიც სახელდება ფრიად ამორფული განსაზღვრებით: „და სხვათა შემოქმედება“.

ქართული ლიტერატურის ზერელედ მცნობისათვისაც კი იოლი მისახვედრია, თუ ვინ იგულისხმება ამ „სხვათა შემოქმედებით“ და ვინ არ სცნო მოხსენების ღირსად ჩვენმა პატივცემულმა მეცნიერმა...

მაინც ჩამოვთვლი: ვაჟა-ფშაველა, ვასილ ბარნოვი, გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, დემნა შენგელაია, ჯემალ ქარჩხაძე...

ოპონენტები შეიძლება შემოგვეკამათონ, რომ ჩვენს მიერ ჩამოთვლილ მნერლათა შემოქმედებაში უშუალოდ არ ჩანს ანტიკური, კერძოდ კი ბერძნული მითების „შემოქმედებითად ათვისების მნიშვნელოვანი კვალი“...

ეს არგუმენტი საცურადლებო იქნებოდა, რომ არა თავად ბატონი რისმაგის მიერ შემოთავაზებული ის კრიტერიუმები, რაც საფუძვლად დაედო ზოგიერთი ქართველი მწერლის შემოქმედებით ამთვისებლებად კლასიფიკაციას და სხვათა უარყოფას...

როგორც სახელმძღვანელოდან ირკვევა, ანტიკური მითოლოგიის „შემოქმედებითი ათვისება“ სამ ვარიანტით ყოფილა შესაძლებელი. ა) მითის ძირითადი ელემენტების „ხელშეუხებლობის“ – ანუ მითის დატოვებისა თავის „ქრონოლოგიურ თუ გეოგრაფიულ“ კონტექსტში; ბ) მითის გათანამდროვების; მისი პერსონაჟების სახელებისა და ძირითადი სიუჟეტური სქემების დატოვების, თუმცა მოქმედების თანამედროვე ეპო-

ქაში გადმოტანის გზით; გ) მითის სრული ტრანსფორმაციისა, როდესაც ხელოვანი ტოვებს მხოლოდ მითის ყველაზე უფრო დამახასიათებელ მოტივებს... (მითების სიბრძნე“, გვ. 308).

იმის ნიმუშად, თუ როგორ მოაზომა თავისივე კრიტერიუმები ბატონმა რისმაგმა თუნდაც ანტიკური მითების შემოქმედებითად ამთვისებელ ზოგიერთ ქართველ მწერალს, გალაკტიონის შესახებ თქმულიც გამოდგება: მის პოზიციაში ათობით მითოლოგიური ფიგურა და სიუჟეტია ასახულიო...


ამ ტრაფარეტული და არაფრისმთქმელი ფრაზით სახელმძღვანელოს წამყითხველი ვერასოდეს შეიტყობს, რამდენად შემოქმედებითად აითვისა გალაკტიონმა ანტიკური მითოლოგია...

ისლა დაგვრჩენია დაგასკვნათ, რომ ანტიკური მითოლოგიის „შემოქმედებითი ათვისება“ თურმე მხოლოდ მითოლოგიური ფიგურისა და სიუჟეტის გამორჩევა ყოფილა...

იგივე ითქმის ოთარ ჭილაძის შესახებაც – მისი ცნობილი რომანი „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ დახსაიათებულია ასევე არაფრისმთქმელი წინადადებით: მნიშვნელოვანია მედეასა და არგონავტების თემის ასახვის თვალსაზრისითო...

არადა „მითების სიბრძნე“ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ყმანვილთათვის არის დამხმარე სახელმძღვანელოდ გამიზნული...

სად და როგორ უნდა ექცებონ ყმანვილებმა, ვთქვათ, გოგლა ლეონიძისა და არჩილ სულაკაურის შემოქმედებაში ანტიკური მითოლოგიის შემოქმედებითის „შემოქმედებითად ათვისების მნიშვნელოვანი კვალი?“



პრიტიკა

და თუკი მოძებნიან, სახელმძღვანელო რით დაეხმარებათ?

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ „მითების სიბრძნის“ ავტორ-შემდგენლებმა განვებ არ მიუთითეს ჩვენს ყმანვილებს ანტიკური მითოლოგიის „შემოქმედებითად ამთვისებელ“ მწერალთა თხზულებანი, რაკილა უკვე გააცნეს მათ ამ „შემოქმედებითი ათვისების“ პრინციპებზე და საქმეც მოთავებულად ჩათვალეს – ახლა თავად წავითხონ ჩვენს მიერ ანტიკური მითოლოგიის „შემოქმედებითი ამთვისებლად“ მიჩნეული „ზოგიერთი მწერალი“ და თავადვე მიხვდნენ, რა და როგორ აუთვისებითა ბერძნული მითებიდანო...

ვერ გეტყვით, რამდენად პედაგოგიურია ეს ხერხი, მითუმეტეს, რომ „შემოქმედებითად ამთვისებელ“ ზოგიერთი მწერლის თხზულებას სახელმძღვანელოს ავტორი ასახელებს, ზოგიერთისას არა...

ასახელებს ოთარ ჭილაძის რომანს, მაგრამ არ ახსენებს არჩილ სულაკაურისას...

ალბათ დროის სიმცირის გამო...

ან იქნებ სულაც იმის გამო, რომ თვითონაც არ იცის ზუსტად, სად და რომელ თხზულებაში ასახა არჩილ სულაკაურმა ანტიკური მითოლოგია შემოქმედებითად?..

ამ სამწუხარო ვარაუდს გვიმაგრებს სახელმძღვანელოს ავტორისა და სერიის ფრიად პროფესიონალ წევრთა მიერ იმ ქართველი მწერლების უარყოფა, რომელთა სხენებაც მათ საჭიროდ არ ჩათვალეს და რომლებიც ანტიკურ მითოლოგიაზე მსჯელობისას მაშინვე უნდა გახსენებოდათ, როგორც კი ჯერი „შემოქმედებით ათვისებაზე“ მიდგა.

შესაძლოა ესეც ერთ-ერთი პედაგოგიური ხერხია, რომითაც ყმანვილებს ვაძლებები ფანტაზია განვითარონ და თავად ეძებონ ის ზოგიერთი ქართველი მწერალი, ვის შემოქმედებაშიც ანტიკური მითოლოგია ასე თუ ისე აისახა...

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეები ხომ უკვე შეიარაღებული არიან ანტიკური მითების შემოქმედებითი ათვისებისა სამი კრიტერიუმით და აღარ გაუჭირდებათ მოძებნონ ის ქართველი მწერლები, რომელთა შემოქმედებაც ამ კრიტერიუმებს აქმაყოფილებს...

ოღონდ საკითხავია, რატომდა გამოარჩიეს სახელმძღვანელოს ავტორ-შემდგენლებმა: აკაკი ნერეთელი, ლევან სანიკიძე, ოთარ ჭილაძე, ტიციან ტაბიძე, გალაკტიონი, გოგლა ლეონიძე და არჩილ სულაკაური, და რატომ დაუტოვეს ამოსაცნობად ყმანვილებს: ვაჟა-ფშაველა, ვასილ ბარიოვი, გრიგორ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, დემინა შენგელაია, ჯემალ ქარჩხაძე?..

იქნებ ესეც თანამედროვე პედაგოგიკის საიდუმლო მანევრია, რომელსაც ჩვენ, უბრალო მოკვდავნი, ვერ ჩავნვდებით, ოღონდ ასევე უბრალო ლოგიკა იმასაც გვეკრახობს, სახელმძღვანელოს ავტორ-შემდგენლებს „ზოგიერთი ქართველი მწერალი“ მხოლოდ იმიტომ გაახსენდათ, რომ თვალში მოხვდათ მათ თხზულებათა სათაურები, რომლებიც ანტიკური ფიგურებიდან თუ სიუჟეტებიდან მომდინარეობს და „შემოქმედებით ამთვისებლებადაც“ ამიტომ მიჩნიესო...

მაგრამ სახელმძღვანელო აქაც არათანმიმდევრულია...

წარმოვიდგინოთ, რომ სკოლის მოსწავლემ წასაკითხად აიღო ხელში ბატონი რისმაგისა თუ ანტიკური მითების მკვლევართაგან მიჩნეული კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიონისოს ლიმილი“ და ველარ მიხვდა, თუ

რატომ არ მიუყენეს სახელმძღვანელოს შემქმნელებმა ამრომანს სამი კრიტერიუმიდან ერთი მაინც?

აქ უკვე პედაგოგიკა არაფერ შუაშია...

შედარებით ოლიო გასაგება „მითების სიბრძნის“ ავტორის პოზიცია, როცა მან ვაჟა-ფშაველა და რუსთაველი ამოილო „შემოქმედებითად“ ამთვისებლთა სიიდან, რაკილა მათ შემოქმედებაში ანტიკური მითები ასე აშკარად არ ჩანს, თუმცა ბატონმა რისმაგმა გვანუგება – როგორც კი მკვლევარები საბოლოოდ დაადგენენ „ვეფხსისტყაოსანსა“ და პომეროსის პოვებს შორის პარალელებს, რუსთაველს მყისვე „შემოქმედებით“ ამთვისებელთა ჩამონათვალში ჩაერთავო...

რა ბედი ეწევა ვაჟა-ფშაველას, ეს ჩვენთვის უცნობია...

უფრო უპატივებელია სახელმძღვანელოს ავტორისაგან გრიგოლ რობაქიძის მოუხსენიებლობა – მისი რომანი „გველის პერანგი“ ხომ იოდიპოსის მითის ფრიად ორიგინალური „რეცეფციის“ ნიმუშია, როგორც ამას ბატონი რისმაგი იტყოდა...

რუსთაველისა და პომეროსის ზოგიერთი ჯერაც გაურკვეველი და ფრიად სახეჭვო პარალელისაგან განსხვავებით ეს დამაჯერებლად არის დასაბუთებული ამირან გომართელის შესანიშნავ გამოკვლევაში „ქართული სიმბოლისტური პროზა“, რომელიც 1997 წელს დაისტამბდა.

ალბათ უნდა ვიმარჩიელოთ, მართლაც რა პრინციპებსა თუ პედაგოგიურ მეთოდებს ეყრდნობა იმ „ზოგიერთი ქართველი მწერლის“ კლასიფიცირება ანტიკური მითების „შემოქმედებითად ამთვისებლებად“, რომელთა სახელები დამხმარე სახელმძღვანელოში მოხვდა, და რა მიზუნით ითქვა უარ ჩვენს კლასიფიციზე, ვის შემოქმედებაშიც, „მითების სიბრძნის“ ავტორის აზრით, ანტიკური მითების კვალი არა და არ ჩანს?

გვინდა გვჯეროდეს, რომ სახელმძღვანელოს ეს ნაწილი ბატონ რისმაგს არ დაუწერა და ის ბრძანად ენდო რომელიმე არაპროფესიონალ კოლეგას, რითაც ფაქტობრივად წყალში გადაიყარა ესოდენ დასაფასებელი შრომა, რაც ამდენ მკვლევარს სახელმძღვანელოს შესაქმნელად გაუწევია.

რატომ წაიბორძიეს სახელმძღვანელოს ავტორ-შემდგნელებმა მაინცდამანც მშობლიურ ღიტერატურაზე – ეს ჭეშმარიტად ამოუცნობი ქართული ფენომენია...

როცა ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში ახალი მითოლოგიზმის სულის შესახებ საუბრობს, ბატონ რისმაგს არ ავიზუდება ჯორისი, კაფუა თუ თომას მანი, მაგრამ არ ახსენდება კონსტანტინე გამსახურდია და გრიგორ რობაქიძე... არ ახსენდება „მითოლოგიური სულის“ მძღავრობა გასული საუკუნის დასაწყისის ქართულ პროზაში...

არადა განა ამ მითოლოგიური სულის ნაყოფი არ არის, რაც კი რამ ღირებული და ფასეული შეუქმნია ქართველი კაფუაში?

შორს თუ წავალთ, იქნებ მითოლოგიური აზროვნება ჩვენი მხატვრული ღიტერატურის განმსაზღვრელადაც გამჩნდეს!

თუ როგორი პატივითა და ყურადღებით ექცევიან ეროვნულ ღიტერატურას სახელმძღვანელოს ავტორ-შემდგნელები, იმითაც ჩანს, რომ ქართულ მწერლობაზე ანტიკური მითების გავლენაზე მსჯელობას ნიგნის მხოლოდ...

მშობლიური კულტურის მოამაგე მკვლევარი კი სულაც ცალე თავს მიუძღვნიდა ამ საკითხს – ანტიკური მითო-

დასანანია, რომ ასეთი დაუდევრობა – მეტი თუ არა – საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერის ნაშრომში გვხვდება, თანაც იმ ნაშრომში, რომელიც ყმანვილთათვის არის განკუთვნილი...

რატომ ვუმალავთ მომავალ თაობას ჩვენს ეროვნულ საუნდჯეს და რატომ ვეწევთ ქართული ლიტერატურის დისკურსითაციას? ნუთუ ასე უნდა იწერებოდეს ლიტერატურის ისტორია?

უკვე ხუთი წელია ქართული საზოგადოება ამის პასუხს ელის...

P.S. ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში („ლიტერატურული გაზეთი“ 31, 2010) კორესპონდენტის კითხვაზე, რა აზრის ბრძანდებით მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაზე, ბატონი რისმაგი, ქართველ პროზაიკოსებზე საუბრისას, დასძენს, მიხეილ ჯავახიშვილი ევროპული ტიპის რომანისტად მიმართია, კონსტანტინე გამსახურდია კი ევროპულ-ქართული ტიპისაო...

როგორც ჩანს, ინტერვიუს ფანრმა საშუალება არ მისცა ბატონ რისმაგს, განემარტა, რა პრინციპით ჰყოფს იგი ჩვენს კლასიკოსებს ევროპულ-ქართული ყაიდის (ტიპისო, თავად ბრძანებს) შემოქმედებად და რას ნიშნავს საერთოდ ევროპული ან ქართული ტიპის რომანისტობა... ამგვარი კლასიფიკაციი პატიკურმულ მეცნიერს ალბათ „ანტიკური ხანის მაღალმატერულ ლიტერატურასთან პროფესიოლმა სიახლოვემ“ უკარნას, როგორც ამას მასთან მოსაუბრე ჟურნალისტი გამცნობს, თუმცა საეჭვოა, „მაღალმატერული ლიტერატურის“ შემქმნელ ანტიკური ხანის მწერალთაგან ვინძეს გაკვრით მაინც სცოდნოდა, რა არის ქართული ტიპის რომანისტობა და ამჯერად მაინც რად არ „გაუმართლა“ კონსტანტინე გამსახურდიას, მთლიანად „ევროპული ტიპის“ პროზაიკოსი ყოფილიყო, ან რად ეთქვა უარი მიხეილ ჯავახიშვილს „ქართველური ტიპის“ შემოქმედის თიკუნზე...

ინტერვიუს მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ასეთი დაყოფის ერთ-ერთი კრიტერიუმი, არც მეტი, არც ნაკლები, „ქართული მწერლობისადმი ემოციური დამოკიდებულება“ ყოფილა, რასაც ბატონი რისმაგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ლიტერატურის დახარისხებისათვის... ამ ორ ფაქტორთან ერთად კი — ანუ ანტიკურ ლიტერატურასთან სიახლოვესა და ემოციურ დამოკიდებულებასთან ერთად, კრიტერიუმების ჩამოყალიბებაში დიდი წილი უძევს თურმე მწერლის ცოდნასაც... აკი ამის მიხედვით მიიჩნევს ბატონი რისმაგი გალაკტიონს უდიდეს პოეტად — თავის პოეზიაში მიან მსოფლიო ცოდნის გარკვეული სინთეზი (sic!) მოახდინა... თანაც, პოეტი ემოციურადც მოქმედებს მკითხველზე (ისევ sic!) და ამავე დროს შესისხლორცებული პერიოდია ანტიკურობა, რაც მხატვრულ სახეებში გამოსუატავს...

მეტიხედვით ადვილად მიმიხედვება, თუ რად დამჭირდა ამ ინტერვიუს ასე ვრცლად დამონმება: ამ შემთხვევაში უკვე ველარათორით გავამართლებთ ბატონ რისმაგის უცნაურ „რეცეფციებს“, თუნდაც ნაკლებვალიფიციური კოლეგის მომიზეზებით... როცა სერიოზული მკვლევარი ასეთ მიამიტურ დეფინიციებს გვიმხელს, მხოლოდ დანანებით შეიძლება ითქვას, რომ მის ნააზრევში აშკარად შეინიშნება „მსოფლიო ცოდნის გარკვეული სინთეზის“ უკმარბა... უვიცი და თანაც დიდი მწერალი ქვეყანას არ მოსწრებია, მაგრამ ვის-ვის და ბატონ რისმაგს მაინც უნდა მოეხსენე-

ბოდეს, რომ მწერალი ცოდნით როდი ფასდება, არამედ ხელოვნებით, „მსოფლიო ცოდნის სინთეზი“ კი, თუნდაც „გარკვეული“ ან „გაურკვეველი“, ჯერაც ვერავის მოუხერხებია, მითუმეტეს, ლიტერატორს, ვის დანიშნულებაც, თუ ბატონ რისმაგს ვერწმუნებით, მკითხველზე ემოციური ზემოქმედება... პატიკურებული მეცნიერის ლოგიკით, გალატიონინის პოეზიაში ალბათ ფაზიკის, ქმითისა და ნიადაგმცოდნების „სინთეზიც“ უნდა ვეძიოთ, სხვა დანარჩენ „მსოფლიო ცოდნასთან“ ერთად (!), რითაც ის ჩვენზე ემოციურ ზემოქმედებას ახდენს, ოღონდ გაუგებარია, რაღატომლაა ამავე დროს ვაჟა-ფშაველაც ბატონი რისმაგისთვის უდიდესი „ავტორი“, თუკი იმას „მსოფლიო ცოდნის სინთეზი“ ვერ მოუხდენია და, როგორც ჩანს, არც ისე ემოციურად ზემოქმედებს მკითხველზე...

ასევე საეჭვოა, ბატონი რისმაგის კრიტერიუმების მიხედვით, რუსთაველის პოეტური რეპუტაციაც, ვინაც გალაკტიონინის ბადალიც ვერ ყოფილა თურმე, რაკი მცირდებ მაინც ვერ მოუხერხებია „მსოფლიო ცოდნის სინთეზი“ და, ეტყობა, ვერც ემოციური ზემოქმედების მხრივ შეედრება მას...

ძალზე ძნელია ქართველი მკითხველი აიძულო, ირწმუნოს ბატონი რისმაგის ასეთი თვითნებური იერარქიულობა ჩვენი მწერლებისა, მითუმეტეს, რომ „ანტიკურ ლიტერატურასთან პროფესიონული სიახლოების“ შედეგად შემუშავებული მისი კრიტერიუმები, რბილად რომ ვთქვათ, ერთმანეთს ეწინააღმდეგება...

თავის გუნებისად ლიტერატურის ჭრა და კერვა იქნებ რომელიმე ახალთაბის მწერლუკას ან ლიტერატურულ ყვინჩილას ეპატიიდებდეს კადეც, მაგრამ არა სერიოზულ, ჭუადამჯდარ და საქვეყნოდ ცნობილ მკვლევარს...

რაღა გასაკვირია, თუ პროგრამა „ლოგოსის“ ეგიდით შექმნილი სახელმძღვანელოც ბატონი რისმაგის კრიტერიუმების თარგზე გამზადდა და იქ ჩვენი მწერლობის საუკეთესო ნახევარია გამოტოვებული...

ამ ფონზე ერთობ მოჩვენებითა ბატონი რისმაგის წუხილი, რასაც ინტერვიუს ბოლოს გვიმებელს: ძალიან მწყდება გული, ქართველ მწერლებს დამფასებელთა ასეთი მცირე აუდიტორია რომ ჰყავთო...

საკითხავია, ვისგან უნდა ისნავლოს ქართველი მწერლის დაფასება ახალგაზრდობამ, თუკი პროფესიონულ დონეზეც ვერ განვუმარტავთ მათ ჩვენი მწერლობის ხილსა და სიდიადეს და მარტო ევროპოცენტრიზმით შექმაზულ „რეცეფციებს“ მივაწვდით...

ისეც საკითხავია, ვილამ უნდა წეროს ქართული ლიტერატურის ისტორია, თუ ასეთი მწარე შენიშვნების გამოთქმა გვიხდება (ჩვენდა სამწუხაროდ) მათდამი, ვის მხრეზეც ქართული კულტურა უნდა იდგას!

ამ საქმეში ხომ უფრო მეტი პატორიტიზმი და თავგანწირვა მოგვეთხოვება („მსოფლიო ცოდნასთან“ ერთად!), ვიდრე საეჭვო გემოვნების ლიტერატურულ კონკურსებში არბიტრობა და ვითომ თანამედროვე მწერლობაზე ზრუნვაა...

ბედი ხომ არა მარტო ზიგნებს, არამედ ერებსაც აქვთ, ბატონი რისმაგ, ერთი ანტიკური ხანის გამონათქმისა არ იყოს...

მითუმეტეს, ათმაგად მოსაფრთხოებელია ჩვენნაირი მცირერიცხოვანი ერის მომავალი, ნარსულის რელიეფად რომ არ ვიქცეთ...

იქნებ ამაზეც გვევიქრა...

ნინო დეკანოიძე

სიტყვის მოსასმენად

მტრედი გარს ევლება გუმბათზე აღმართულ ჯვარს და ვერცხლისფერ რკალს ახვევს. საბუდებელს ეძიებს. საღამოა შემოდგომისა, რა თქმა უნდა, წყნარი და მიხელება სამების საკვირველ ტაძართან, მისი გრანდიოზულობის მიუხედავად, დიდებულ სიმშვიდეში გაგულებინებს თავს. ყოველდღიურობიდან ცოტა ხნით ამოგარდილი, აჩქარებული რიტმის პატიმარი შვებით ამოისუნთქავ, როცა მერამდენედ და საკუთრად აღმოაჩენ, უფერული და უძლურია ყოველივე მარადიოლობის წინაშე.

აქ, ამ დვთის სახლის კალთებქვეშ საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრს უდევს ბინა და ეროვნული კულტურის აღმონიშვილის პატიმარი შემოქმედის მხატვების წარმატების წილ ტვირთს ეზიდება.

წლების წინათ სიზმორშიც ვერ დაიჯერებდით, ერთ სახურავქვეშ ერთმანეთის მიყოლებით მწუხრის ლოცვასაც თუ მიუსწრებდით და შესაბამისად დათმებულ ლიტერატურულ ღონისძიებასაც დროის მოკვლის გარეშე დაელოდებდით. ასეთი გახლდათ საღამო 23 სექტემბრისა. დარბაზის ერთ კუთხში, სკამების მწკრივს მიღმა სივრცე გამოფენას ეთმობოდა. სამი შემინული მაგიდიდან მზიურდებოდა ნამუშევრები: ბისერების ელვარებით შემკული აქსესუარები: უნატიფესი ყელსაბამები, ჰაეროვანი ქუდები; ჰალსტუხები, ჩანთები, ქამრები, სათანადო და მუშავებული და შეფერადებული ცომით საძერნი ერთ დროს პოპულარული, ახლა კი უფლებაპყრილი თოვლის პაპები და მათთ მემკვიდრე ხალისიანი და თავერაინი სანტაკლასები, თოჯინები. კედელი ეთმობოდა ნამჯის ლერებისაგან სათუთად ამოქარებულ ქართულ ტაძრებს, პორტრეტებს, სხვადასხვა კომიოზიცებს.

ნასავდით ყოველივე ამას და დაგამახსოვრდებათ, აუცილებლად დაგამახსოვრდებათ მათთ ავტორი, ყმანვილი ქალი, თვითნასწარები სელოვნი, თავისი ასაკისათვის შეუფერებლად ჩუმი და სევდინი მაია კაპანაძე — წარმოშობით ვორიდნ, თავის სათონ და მორიცებულ დედასთან ერთად; მომლოცველებს გვანან... გამოვენა, ერთი თვე რომ გასტანა, ამაღლების მერე მოხსენება და ეს კოლექტა ისევ დაბრავდება მათ სახლში თემ-ქაზე. ენანება თავისი მუყაითი ქალიშვილი დედას მარტოოდენ შეცოდებისა და სიბრალულისათვის, შიგა და შიგ დამთვალიერებელს შველასა სთხოვს, ეგებ ხელენიფებოდეს ვინმეს მაიას დასაქმება, რომ გოვონაშ საკუთარი მარჯვენით და შრომის-მოყვარეობით ცხოვრებას გაუძლოს. აქვე უნდა აღინიშნოს,

მაია კაპანაძის ნამუშევრების წარმოჩენა ამ გარემოში ზღვაში წვეთია საპატრიარქოს უთვალივი ქველმოქმედებიდან.

...ეს ყოველივე, რაც თვალმა ნახა, რა თქმა უნდა, სიტყვაში მოიტანა, თორემ სარედაქციო დავალება ითვალისწინებდა მხოლოდ რეპორტაჟს, ახალი წიგნის პრეზენტაციის შესახებ. საზოგადოებაც ამ თვალსაზრისით მიეკატიუებინათ მოთავეებს ეთერ თათარაიძესა და ამირან არაბულს. ტიტულებისა და რეგალიების გარეშეც რომ კარგად ცნობენ საქართველოს ნებისმიერ კუთხეში. ეს წნობა დიდ სიყვარულთან ერთად, ავტორიტეტისა და სანდოობასაც გულისხმობის, რადგან მათ მიერ ნაამაგარი უამრავი საშვილიშვილო საქმე, როგორც იტყვიან ხოლმე, სახეზეა. სახეზეა წლობით ნაოცნებარი გაბრიელ ჯაბუშანურის წიგნი, რომელიც აერთიანებს სიცოცხლეშივე ლეგენდადქცეული შემოქმედის მემკვიდრეობის მხოლოდ ნაწილს. კრებულის შემდგენლი, წინასიტყვაობისა და ლექსიონის ავტორი ამირან არაბული დასძენს:

„დიდალი მასალისაგან შეირჩა ასი ლექსი, ორ-ორი პოემა და ბალადა, დღიურები, ლიტერატურული ჩანაწერები, პირადი წერილები... ჩრდილში ყოფნას ჩეული შესანიშნავი შემოქმედის მხატვრულ სიტყვას დღემდე არ მოჰკლებია ლვთისძირი მაღლა და მარილი, რაშიც კადევ ერთხელ დარწმუნდება ჭეშმარიტ კულტურულ ღირებულებებზე ორიენტირებული ქართველი მკაფიოდ“. გამოცემის რედაქტორია ეთერ თათარაიძე, წიგნი მხატვრულად კლასიკოსის სისა-დავითაა გაფორმებული გოგი რჩიაურის მიერ.

წესისა და რიგის გათვალისწინებით პრეზენტაცია გაიხსნა ზუსტ დროს, გადავსებული დარბაზის წინაშე. უმტკე-სობა ხევსური გახლდათ. თბილისა დამკვიდრებული, კახეთიდან წეულონ თუ ისინი, არაგვი რომ ჩამოიარეს სიტყვის მოსასმენად.

შესაფერისად, ღონისძიებას წამყვანი მიუჩინეს — თამაზ ტყემალაძე — კოლორიტული მოღვაწე და უურნალისტი. მან აღნიშნა გამომცემელთა წლობილი არაჩვეულებრივი წიგნის მომზადებაში, მოიშველია მურმან ლეპანიძის სახელი და საზოგადოებას მოახსენა, თუ როგორი პატივისმცემელი იყო კლასიკოსად აღიარებული პოეტი გაბრიელ ჯაბუშანურის შემოქმედებისა.

ამირან არაბულმა მაღლობა გადაუხადა საზოგადოებას, თბილისის სტუმრებს იმ სიხარულის გაზიარებისათვის, ამ წიგნის სამზეოზე გამოტანას რომ მოჰყვა.

ეთერ თათარაიძემ, ვინც უდავოდ კარგი მოსაუბრეა და ნამდვილად აბათილებს ცრუ მითს, ვითომდა პოეტებს საჯაროდ ლაპარაკე არ გამოიუდით, ამ ჩინებული წიგნის წლობით დამაბრკოლებელ გარემოებებზე გაამახვილა ყურადღება. გულისტკივილით აღნიშნა იმ ადამიანთა ზერელობა, რომელთაც შეეძლოთ წლების წინათვე მიელოთ მონაწილეობა ამ მაღლიან საქმეში, მაგრამ არ გაისარჯენ. სამაგიეროდ, დიდი მაღლობა გადაუხადა გიორგი ჯაბუშანურის, გაბრიელის ძმის შეიღებილს, გერმანიაში განსწავლულ „ბალდს“, საჯაროდ გამოჩენას დარბაზში მორიცებულად დარჩენა რომ ამჯობინა.



გაბრიელ ჯაბუშანური

თამაზ ტყემალაძემ, ვიდრე მორიგი სიტყვით გამომსვლელებს მიანიჭებდა უხერხულად ურეგლამენტო თავი-სუფლებას, წაიკითხა ლვანლმოსილი მეცნიერისა და მოღვაწის ალექსი ჭინჭარაულის წერილი, სადაც იგი ამ კრებულის გამოსვლას ულოცავს საქართველოს. მოამაგებს კი სიყვარულით უძლვნის სახუმარი ლექსს.

სიტყვითა და მოგონებებით წარდგნებ: გიორგი გიგაური, ბალათერ არაბული, ერეკლე სალლიანი, პოეტის უმცროსი ძმა გელა ჯაბუშანური, კობა არაბული, ჯურხათ ივანე წიკლაური, ივანე ლიქოკელი, თამაზ წიკლაური; გიორგი არაბულმა წიაკითხა ლექსი ახალი კრებულიდან. ეთერ აფაქიძემ — საკუთარი ლექსი, მიძღვნილი გაბრიელ ჯაბუშანურისადმი.

უსაზღვრო მადლიერება გამოიხატა გამომცემლებისადმი, დამშვიდებაც, რომ სიცოცხლეში ჩრდილში მდგომ პოეტს აღმოაჩინდნენ თავდადებული მოამაგენი ეთერ თათარაძისა და ამირან არაბულის სახით. ითქვა ისიც, რომ

თბილისში ერთ-ერთ ქუჩას, სასურველია, მიეკუთვნოს გაბრიელ ჯაბუშანურის სახელი. რალა დასამალია და ტრიბუნა გამოიყენეს აგრეთვე გულის მოსახებლადაც...

პრეზენტაცია გახლდათ თბილი და შესაბამისად კარგიც. შეიძლებოდა უკეთესიც ყოფილიყო. ამის თქმის საპატა აჩენს ახალგაზრდობა, ვინც ჭარბობდა დარბაზში და მეტად სასიამოვნო დასანახავი იყო მათი ზრდილობინი მომზიბლაობა, კრძალვის მომგვრელი ბუნებრივი არისტოკრატიზმი. ყველამ კარგად ვიცით, ისნი ერთადერთი გუნდი არ გახლავთ საქართველოს ხვალინდელი დღისა. ზოგადად ბევრნი არინ. უსაფუძლოა ცინიზმი ნიჰილისტისა და სკეპტიკოსისა, რომ მომავალმა არ იცის, ვინ არის რუსთაველი, ილია, ვაჟა, ავაკი, გალაკტიონი... რას ნიშანავს პასუხისმგებლობა დღევანდელობის წინაშე. ოღონდაც მათ ფართო ასპარეზი მიეცეთ, ჩანჩქერიერით დაუდგრომელ სილადეს დათრგუნვა კი არა, გულმოლგინე მზრუნველობით უნდა შესაფერისი კალაპოტის ძიება.

ახალი ნიგერები

მაია ჯალიაშვილი

უკუნეობის ნათელი სტუმარი

გერმანული რომანტიზმის გამორჩეული თეორეტიკოსი ფრიდრიხი შლეგელი ჩვენში უფრო ცნობილია, როგორც ფილოსოფოსი, ამჯერად მას შესანიშნავ მწერლადაც გავეცნობით. მაია მირიანაშვილმა, რომელიც ამჟამად გერმანიაში ცხოვრობს და აქტიურ მთარგმნელობით საქმიანობას ენევა, ქართულ ენაზე ამეტყველა ამ ცნობილი მწერლის, პოეტის, ფილოსოფოსის, კრიტიკოსისა და ლინგვისტის მისტიკური ელფერით ალბერტილი ზღაპარი: „ამბავი სასწაულოთმოქმედი მერლინისა“.¹ აღსანიშნავია, რომ შლეგელმა ეს ზღაპარი მეუღლესთან, დოროთეასთან, ერთად დანერა, რომელიც გამორჩეული ესთეტი იყო და რომანტიკისთა შემოქმედების დიდი თაყვანისმცემელი. ისიც საგულისხმოა, რომ რომან „ლუკინდაში“ მწერალმა სწორედ თავისი ახალგაზრდული წლები და დოროთეა ფეიტან სამიჯნურო ურთიერთობაზე ასახა. მათი სამიჯნურო მიმოწერის თარგმანს, რომელიც უთუულ დანერერესებს ქართველ მკითხველს, მაია მირიანაშვილი მომავალში აპირებს.

ცნობილია, რომ ფრიდრიხი შლეგელმა და მისმა ძმამ, ვილჰელმმა, თავიანთი ნაშრომებით დიდი ზეგავლენა მოახდინეს გერმანელ რომანტიკოსებზე. ფრიდრიხის ზემოთ ნახსენები რომანი „ლუკინდა“ მიიჩნევა რომანტიზმის ერთგვარ მანიფესტად, რომელშიც განსაკუთრებული სიცხადით წარმომჩნდა ამ სკოლის ესთეტიკური და ეთიკური იდეალები. განსაკუთრებით საინტერესოა ფრიდრიხის მეობრობა ნოვალისთან, რომელიც 18 წლისა შეხვდა თავის მომავალ მოძღვარს და მისგან ბევრი რამ შეისწავლა.

აი, რას წერს ამის თაობაზე ნაირა გელაშვილი თავის შესანიშნავ წერილში ნოვალისზე: „ლაიპციგში ნოვალისმა გაიცნო ფრიდრიხი შლეგელი. ორი ელვარე სულის, ტალანტისა და

მკვეთრად განსხვავებული ფსიქიკის ადამიანი შეხვდა ერთმანეთს და, ცხადია, ამ შეხვედრას ერთიანად დამუხტეული სულიერი ველი უნდა წარმოექმნა. მართლაც, ერთმანეთით აღფრთვანებას მაღლევე მოჰყვა განხეთებილება და შემდეგ კი მათი რთული ურთიერთობა სამუდამო მეგობრობაში გადაიზარდა. რამდენიმე წლის შემდეგ ორივე — ადრეული გერმანული რომანტიზმის, ე.ნ. „იენის სკოლის“ მთავარ ბურჯებად გვევლინება... შლეგელმა ნოვალისის სულის ნათელ, ანგლოზურ საწყისს შეაგება დემონური იმპულსები, ელადის დიონისური ღამე და ქაოსიც გადატანება და ბიძგი მისცა ნოვალისის შინაგან თვისებას: ხედვის უნივერსალურობას. აი, რას წერდა შლეგელი თავის ძმას ვილჰელმს ნოვალისზე: „ბედისწერამ ერთი ახალგაზრდა კაცი მომაყენა კარს... აშოლტილი, კარგი აღნაგობისა; უაღრესად ნატიფა სახე და შავი თვალება აქვს, რომელიც დიდებულ გამომეტყველებას იძენენ, როდესაც ის მშვენიერ საგნებზე საუბრობს. ერთ საღამოს ველური ცეცხლოვანებით მამცნო თავისი აზრი: სამყაროში არაფერი ბოროტი და ყველაფერი თანადათან ოქროს საუკუნეს უახლოვდება...“ შლეგელმა ინინათვრდნო ნოვალისში „დიდი, ლირიკული წოეტი“. შემდეგ ნოვალისი სწერდა შლეგელს: „შენ ჩემთვის ელადის მთავარულუმი იყავო. შენი წყალობით შევიცანი ცა და ქვესწერები და ვიგებ ნაყოფი ცნობადი ხისა“.

ამ ზღაპარში, „ამბავი სასწაულოთმოქმედი მერლინისა“, სწორედ ეს დემონური სული ირეკველება. თავისი სულისკვეთებით ნახარმოები ეხმანინება ნოვალისის ზემოხსენებულ თვალსაზრისა, რომ „სამყაროში ბოროტი არაფერია“, რომელიც მაშინვე გაგვახსენებს სტრიქინებს: „ბოროტიმცა რად შეემზადეთ კეთილისა შემოქმედსა“ („ვეფხისტყაოსანი“), რაც გამოძახილია დიონისის არეოპაგელის მოძღვრებისა ბოროტიმცას უარსობის შესახებ.

ზღაპარში მოთხოვნილია, როგორ შედგა ეშმაკთა კრება, სადაც გადაწყვიტეს კაცობრიობის მხსნელზე შურისძიება. აღმფორთებულებმა იმით, რომ მაცხოვარმა დაამსხვრია ჯოჯოხეთის კარიბჭენი, მოიფიქრეს მზაკვერული გეგმა, რომლის მიხედვითაც, ქალწულის წიაღში როგორმე თავიანთი მსგავსი უნდა ჩაესახათ, დედამიწაზე მათ ნებას რომ აღასრულებდა. ამ მიზნის მისაღწევად ეშმაკებმა უმანკო ქალწულის 49

ლი შეარჩიეს, რომლის ცდუნება შეუძლებელი ჩანდა, მაგრამ მათ მაინც მოახერხეს ეს ისე, რომ ქალწული გაოგნებული დარჩა. მან არ იცოდა, როგორ და რა გზით დაფეხმიდა. ის კვლავაც დავთისმოსავ ცხოვრებას განაგრძობდა. 9 თვის თავზე კი, როგორც ზღაპარში ვკითხულობთ: „ქალს ვაჟი შეეძინა, რომელსაც წესით ეშმავის, ჩამსახველის, ძალა და ნება უნდა ჰქონოდა. ეშმაკმა ქალი კი შეაცდინა, მაგრამ მისი სულის წაწყმედა ვერ შეძლო. ქალში მხოლოდ უფლის სიყვარული სუფევდა.“

ბაგშეს ჩამსახველი ეშმაკისაგან უნარი დაპყვა ყველაფერი სწრაფად აეთვისებინა, ხოლო რწმენა დედისგან მიიღო. მონათვლის შემდეგ კი უფლისაგან მომავლის განჭრეტის უნარი ეწყალობა. ასე რომ, ბაგშე უფლისაც ეკუთვნილი და ეშმაკისაც. ეშმაკისაგან სხეული ებოძა, უფლისაგან კი სულიერება, რადგან მიიჩნევდა, რომ მას ყველაზე მეტად სჭირდებოდა სულიერება“.

ამგვარად, შლეველმა გამოხატა ბოროტისა და კეთილის ისეთივე განუყოფლობა, როგორც სიკვდილისა და სიცოცხლისა. რა თქმა უნდა, ტექსტი ფილოსოფიურ-ალეგორიულია და მასში წარმოჩნდება სიკეთისა და ბოროტების, როგორც არქეტიპების, მარადიული ბრძოლა.

შლეველის თვალთახედვით, ბოროტება ვერანაირი გზით ვერ შეძლებს გამარჯვებას, მის დასტური ეს ზღაპარია. მასში ბევრი საინტერესო ამბავია მოთხრობილი მერლინის მიერ ალ-სრულებულ სასწაულთა შესახებ, რომელთაგან ყველა სიმართლის, სიყვარულისა და სიკეთისთვის განხორციელდა. ზღაპარში გვცვდებიან ძალაუფლებასმოყვარე, ხარბი და სასტიკი სელმინიფენი, აურაცხელ ქინებას რომ ვერ სკეპტიკიან და გამუდმებით სხვათა ტერიტორიების დაპყრიბას ესწრაფიან, მოღალატე, ხარბი და მლიქენები ქვეშვრდომები და უბრალო, კეთილი ადამიანები, მათ შორის ადამიანშენვა ერთი განსწავლული და მორჩმუნე განდევილი ბლაზიუსი, რომელიც მთელი გულით ემსახურებოდა უფალს. იგი გაოცებულიც იყო და თან შეფიქრიანებულიც მერლინის ზეადამიანური ნიჭით. ცდილობდა თვით მერლინისაგან გაეგო, რა იყო ამის მიზეზი. ძალიან საინტერესოა მათ შორის გამართული დიალოგი:

— ნუ ცდილობ მიზეზის გაგებას, ტყუილუბრალობი ნუ ირჯები. რაც მეტს გაიგებ ჩემ შესახებ, მით მეტად დაიტან-ჯები. დამშვიდიდი, მომენდე და ის გააკეთე, რასაც გირჩევ.

— როგორ უნდა მოგენდო, — უთხრა ბლაზიუსმა. — თავად არ ამბობ, რომ ეშმაკის შვილი ხარ? მაშინ როგორ არ უნდა მეტინოდეს, რომ მაცდუნებ?

— მისმინე, — უთხრა მერლინმა, — ყველა ბოროტ არ-სებას ბოროტება სიკეთედ მიაჩნია, რადგან ბოროტი ბოროტების გარდა ვერაფერს ხედავს. ისევე როგორც კეთილი — სიკეთის გარდა.

მერლინმა ბლაზიუსს გაანდო თავის შესახებ ყველაფერი და უთხრა:

— ეშმაკი შეცდა, თავად მოატყუა საკუთარი თავი, როცა დავთისმოსავ ქალიშვილში ჩამსახა. ახლა კი მისმინე და გაკეთე ის, რასაც გეტყვი: ყველაფერი ჩაინერე, რასაც მოისმენ, ნახავ და გიკარნახებ, რომ მოგვიანებით, ვინც ამ ნიგნს ჩაიკითხავს, უკეთ შეძლებს თავის დაცვას ცდუნებისაგან.



— თანახმა ვარ, — თქვა ბლაზიუსმა, — მაგრამ ვიდრე ამას დაგინყებდე, დაიფიცე უფალი, წმიდა სამება, რომ ისეთს არაფერს დამანერინებ, რაც უფლის ნება-სურვილისა და მაცხოვარ იესო ქრისტეს წინააღმდეგ იქნება მიმართული.

— ვფიცავარ, — დაეთანხმა მერლინი.

ასე რომ, ზღაპარში მლეველი ერთგვარად დასცნის ეშმაკს, რომელმაც თავისი ჩანაფიქრი ვერ განახორციელდა. მერლინი არ გახსლიჩა ორად, არამედ უყოფმანოდ გადაიხარა ხორციელი დედისა და ფეშმარიტი სულისჩამ-დეგმელის, უფლის მხარეს. ის არასდროს დამდგარა არჩევნის წინაშე. წინასწარმეტყველებისა და ნათელმხილველობის წიჭს მხოლოდ უსამართლობის დასამარცხებლად იყენებდა.

წლები მიდიოდნენ, ის კი მარადიულად ახალგაზრდა და მშვენიერი რჩებოდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღესაც მოხდა მის ცხოვრებაში რაღაც მინშვნელოვანი და საპედისნერო: გადაეყარა ულამაზეს ქალწულს, კეთილმომვანი სახელით — წინანე, რომელიც მისი ჯადოსნობით იმდენად დაანტერესდა, რომ შეგირდად აყვანა სოხოვა. მერლინი არ შეეწინააღმდეგა წიჭია-ერ, ცნობისმოყვარე და ჯიუტ ქალს და ყველაფერი ასწავლა. ამ შემთხვევაში შლეველი იცავს იმ პარადიგმას, რომლის მიხედვითაც, ქალი მაცდუნებელია. ამჯერადაც ქალმა ისარგებლა მერლინის უსაზღვროს სიყვარულითა და კეთილშემობილებით და მერლინი თვითორ მოაჯალოვა, ისე, რომ მას აღარ შეეძლო რეალურ სამყაროში ცხოვრება, ის დატყვევდა სხვა რეალობაში, რომელში შეღწევა მხოლოდ ამ ქალს შეეძლო.

ამ ზღაპარს მსჭვალვას ირონიაც, რომელსაც შლეველი საკუთარი თავის პაროდიერებად მიიჩნევდა. ადამიანი ბუდინივად იტანჯება: ეპოტინება რა შეუძლებელს, რათა აუცილებელი მოიპოვოს, მაგრამ ხშირად მათი გარჩევა უჭირს. წწორედ პოეზია მიაჩნდა მას შეუძლებლის წვდომის ასპარეზად, პოეზია, როგორც წათელილვა და თვითშემეცნების გზა.

თავის ცხოვრებასა და შემოქმედებაში ის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა რელიგიას, რომელსაც ფილოსოფიასა, პოეზიასა და მორალთან ერთად მაცოცხლებელი აზროვნების 4 ძრითად საყრდენად მიიჩნევდა.

შლეველი ამ ზღაპარში თავისებურად გადაამუშავებს გრაალის ციკლის ლევნების მოტივებსაც და ქმნის მეტად საინტერესო, ზღაპრისთვის ნიშანდობლივ კარნავალურ გარემოს, რომელშიც ათასნაირი ნილაბი მონაწილეობს.

ზღაპარს კი ლია ფინალი აქვს: დატყვევებულ მერლინს გაათვისუფლებს კი ოდესმე ჯადოსან ქალი? მკითხველს შეუძლია თავისი დასასარული შეოთხზას, მთვარია, რომ მისი წაკითხვა ყველას გაუჩენს სევდიანი იმედის განცდას, რომ ბოროტება დედამიწაზე ვერასოდეს იზეიმებს. მერლინი კი უნებური მსხვერპლია ბნელი ძალებისა. მან ნებით იტვირთა სასჯელი, რათა ბოროტ სულებს ფიქრადაც აღარასოდეს გაევლოთ მსგავსი განზრახვა.

გოეთეს ფაუსტში მეფისტოველი ეუბნება ფაუსტს: „ნათელი მხოლოდ ღმერთისთვის ქმნილა, იქ დაიმკვიდრა ზესთა ზეობა, ჩვენ უკუნეოთ გვარვუნა წილად, თქვენ — დღედალამის მონაცვლეობა“ (თარგმნა დავით წერედიანმა).

მერლინი შეიძლება გავიაზროთ, აგრეთვე, როგორც სიმბოლო, ზოგადად, ადამიანისა, რომელიც მიიჩნება რიგორის განვითარების გარეშე.

პატარა ჩხეიძე

აიძულება?!

სასიხარულოა, რომ ქართულ კრიტიკაში გაბატონებულ მარქსისტულ და, ახლა უკვე მასზე დამატებულ, ლიბერალურ მეთოდოლოგიაში სულ უფრო და უფრო მძლავრად ჩნდება ილიას სკოლისა და დასავლური „ახალი კროტიკის“ საფუძველზე დაყრდნობილ ანალიზი.

„ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე არაერთი ასეთი კრიტიკოსი ამბობს აწონილ სიტყვას და მათ შორის არის გია არგანაშვილი.

ორიოდ სიტყვას ვიტყვი მის საგულისხმო წერილზე, „ხევისბერი გოჩა აიძულეს საკუთარი შვილი მოეკლა“.

ეგება არც იყოს საჭირო ეს მცირე გამოხმაურება, მაგრამ რაღაც გულს დამაკლდა და გადაკენცვიტე მეც შევწეოდი მეტებელს კლასიკის უკეთ წაკითხვაში.

ვაჟას შორიდან გამასცემირთო, უთქვამს იორამ ლუდუშმაურს; ყაზბეგსაც შორიდან უნდა „გამავსცემირათ“!

მრავალი თამამი და სადავო აზრია გამოთქმული გია არგანაშვილის წერილში, მათ შორის ის, რომ „მთაში „გამორჩეულობა“ საწყვად ითვლება“, ისიც, რომ „ხევისბერის დიდაქტიკური მორალი ერთ ფრაზაში ეტევა, ვინძლო ქეეყანა არ გააცინოთ“, და ისიც, რომ თემსა და მოლიზლარ ბრძოს შორის ერთი ნაბიჯია...

ამ საკითხებზე შეიძლება ვიკამათოთ, ვიმსჯელოთ და სწორ დასკვნამდეც მივიდეთ, მაგრამ იმაზე ვერ ვიდავებთ, რასაც გია არგანაშვილი „ორ სიმართლეს“ უნდებს და ამბობს, ორი სიმართლე (თემის და ხევისბერის) დაუპირისპირდა ერთმანეთის.

აյ შეუძლებელია ორი სიმართლე იყოს, იმიტომ რომ ერთია თემი და ხევისბერი. ცალკ-ცალკე აღარც თემია და აღარც ხევისბერი. თემსა და ხევისბერს თუ გავჰყოფთ, ისევ იმ ბანალურ თემამდე მივალთ, სკოლაში რომ გვანერინებდნენ და, ჰეგელიანურ-მარქსისტული დიალექტიკის ანალოგით, „თემისა და პიროვნების დაპირისპირების“ საკითხი ერქვა.

არც ვაჟასთან და არც ყაზბეგთან გამორჩეული ვაჟეაცი თემს არ დაუპირისპირდება, თუნდაც მართალი იყოს კონკრეტულ საკითხში; არ დაუპირისპირდება იმიტომ, რომ თემი მოლიზლარი ბრძო არ არის და არც სამსჯავროზე თავშეყრილი ხალხია.

თემი ადათია, წეს-ჩეულება, ტრადიცია, თემი ფესვებია, თემი ზნეობაა, ბოლოს და ბოლოს!

თემის რღვევა ყოველივე ამის რღვევაა და განა იმას წერდა ალექსანდრე ყაზბეგი, რომ მის ყველაზე ამაღლებულ გმირებს, ნებით თუ უნებლიერ, თემის მოშლა სურდათ?! არსად, არცერთ მოთხრობასა თუ რომანში ყაზბეგი თავის გმირს თემის აუგს არ გააბედინებს, პირიქით, სულ იმას დარდობენ, რომ თემი მშლება ახალი ცხოვრებისა და კანონების მძლავრობით და ხალხის ზნეობა ქვეითდება.

მართალი გითხრათ გამიკვირდა, წერილის ავტორმა როსტომ ჩხეიძის „ყაზბეგიანა“ რომ დაიმოწმა „ორ სიმართლეზე“ მსჯელობისას. ვიცოდი, როსტომი ასეთ რამეს

არ დაწერდა, მაგრამ, სულო ცოდვილო, კაცნი ვართ და „ყაზბეგიანაში“ მაინც ჩავიხედე. აი რას წერს ბიოგრაფიული რომანის ავტორი:

„თუკი ასეა, მაშ „ხევისბერ გოჩაში“ ორი სიმართლეც შეიძლება გამოიკვეთოს: ხევისბერისა („ადამიანი ტანჯვისათვის არის გაჩენილი“, როგორც ფორმულა ცხოვრების სიბრძნისა, დიდი და გარდაუვალი ჭეშმარიტებისა) და ონისეს (ვინც თავის გულთან წრფელია, და თუ მას რაიმე იძყრობს და იტაცებს, მხოლოდ ბუნებისმიერი და ძლევამოსილი ძალა) სიმართლე“.

აი რომელ „ორ სიმართლეზე“ საუბარი როსტომ ჩხეიძის წიგნში, ბუნებრივ, წრფელ სიყვარულზე და თემის წიაღში მცხოვრები ადამიანის მოვალეობაზე, დადასა და გარდაუვალ ჭეშმარიტებაზე. ეს ორი მოვლა მართლაც დაპირისპირებულია და ყაზბეგი ხშირად უბრუნდება ამ თემას.

გოჩა იმიტომ ჰქლავს შვილს, რომ მან გადაუხვია „დიადი და გარდაუვალი ჭეშმარიტების“ გზას, ადათის წიაღიდან გამოვიდა, მამის მიერ ჩაგონებული წინაპართა ანდერძი დაივინწყა. ონისემ ვერ შეძლო თავის მოთოვეა, გრძნობას დაემონა და კავშირი განცვიტა მამასთან, წინაპრებთან. რაკი კავშირი განცდა, ყველაფერი მოიშალა. აღარც მამაა, აღარც შვილი. აღარც წინაპრებია, აღარც შთამომავლობა. აღარც ანდერძია და აღარც აღსრულება.

გოჩა რომ ამბობს, ონისე ეხლავ მკვდარია, მაგის სასჯელი ცეცხლში დაწვააო, საკუთარ თავსაც გულისხმობს. ონისემ არამარტო სახელი გაიტება, არამედ ოჯახი და გვარიც შეარცხვინა და ამქვეყნიური სატანჯველი უკიდურესად დაუმიმდიმა.

და ამ დროს რა უნდა ჰქნას თემმა? ქვები აკრიფოს და ისედაც დაქცეული ოჯახი ჩაქოლოს? ეგრე ხომ „მოლიზლარ ბრძოლ“ გადაიქცევა.

თემი ჰქმანურობას იჩენს, თემი ცდილობს დააცხოროს მამის სამართლიანი რისხვა, გადაარჩინოს წარჩინებული ოჯახი, იხსნას ხევისბერის ავტორიტეტი.

მაგრამ ხევისბერ გოჩას ვეღარ შეაკავებება. იგი აღარ არის ზნეობრივი მაგალითი თავისი ხალხისათვის. იგი აღარ არის ბრძენი მსაჯული. შვილის უგუნურმა საქციელმა დაშალა და გააცამტვერა მისი მყარი და მთლიანი ხასიათი, ლაფში ამოსვარა მისი სახელი.

ხევისბერი გოჩა არ არის წმინდანი. იგი გმირობისა და წინამძლოლობისათვის იყო გაჩენილი და კიდევაც ეწეოდა თავის ჭაპანს, სანამ სისხლ-ხორცმა არ უღალატა და რაღაც ექნა, მეტისმეტ სატანჯველს ვეღარ გაუძლო, კაცი იყო... როსტომი წერს პაჯი უსუბის სიმაღლემდე ვერ ავიდაო; ოღონდაც რომ ვერ ავიდა; შვილის ღალატი აღაბათ უფრო მძმევა, ვიდრე აღზრდილისა.

ხევისბერმა გოჩა აღლი აღმართა საკუთარ სისხლსა და ხორცზე, რითაც ამქვეყნიურ სატანჯველს გადაარჩინა ინისეც, ოჯახიცა და გაარჩიცა; და ეგებ იქ შეყრილი, ამ უდიდესი ტრაგედიის მხილველი ხალხიც გადაარჩინა, რომ „მოლიზლარ ბრძოლ“ არ გადაქცეულიყო.

საკუთარი თავი კი სამუდამო სატანჯველისათვის განირა.

ხევისბერი გოჩა გამორჩეული კაცი იყო. იგი თემისა და ადათის წიაღში ცხოვრობდა, იცოდა თავისი მოვალეობა და თავისუფალი იყო. მას ვერავინ ვერაფერს აიძულებდა!



ინგებორგ ბახმანი

თეთრი დღეები

ასეთ დღეებში ვდგები არყოს ხეებთან ერთად,
გადავივარცხნი ხორბლის თმას და შუბლს გამოვაჩენ,
ყინულის სარკის წინაშე მდგარი.

რა იჭრება,
ჩემი სუნთქვით შედედებული.
დილაადრიან სულ იოლად ქაფდება იგი.
იქ, სადაც მინას სულს შევუბერავ,
კვლავ გამოჩნდება ბავშვის თითით
დაწერილი შენი სახელი: უმანკოება!
ამდენი ხნის ლოდინის შემდეგ.

ასეთ დღეებში ტყივილს არა ვგრძნობ,
რომ დავიწყების შემწევს უნარი
და გახსენებაც ჩემი ვალია.

მე მიყვარს, მიყვარს გააფთოებამდე
და ინგლისურად ვიხდი მადლობას,
ფრენისას კარგად რაც მისწავლია.

ასეთ დღეებში მაგონდება მე ალბატროსი,
რომლითაც ცაში დავფარფატებდი
და მიფრინავდი ჯერაც უცნობ ერთ ქვეყანაში.

იქ, ჰორიზონტზე, გული მიგრძნობს,
დაშვებისას კვლავ გამოჩნდება
ბრწყინვალებით გარემოსილი
ჩემი ზღაპრული კონტინენტი,
იქ, სადღაც გალმა,
რომელმაც აქეთ გამომიშვა,
ცივ სუდარაში გამოხვეული.

ერთი კუნძულის სიმღერები

ჩრდილის ნაყოფი კედლიდან ცვივა,
და მთვარის შუქი სახლს შეათეთოებს,
ხოლო ჩამქრალი კრატერის ფერფლი ზღვის ქარს შემოაქვს.

და მშვენიერი ბიჭუნების მკლავებზე ტკბილად
თვლემენ ბუჩქები,
შენი ხორცი კი ჩემსას იხსენებს.
კმაყოფილება ვიგრძენი მაშინ,
როცა გემები ხმელეთს მოსცილდნენ,
ძვლები კი ჩვენი მოკვდავი ტვირთით
ანძის აღმართვას შეუდგნენ უმალ.

ეშაფოტები თურმე ახლა ცარიელია,
ჩვენ გვეძებენ და ვერ გვპოულობენ.

შენ თუ ალსდექი,
მე თუ ალვსდექი,
ჭიშკრის წინ აღარ ეყრება ქვები
და ზღვაზე ნავსაც ვერსად დალანდავ.

ხვალ კი კასრები დაგორდება,
კვირის ტალღებს რომ შეეგებონ,
ჩვენ გაპოხილი ფეხსაცმელებით
დავეშებებით სანაპიროზე.
ყურძენს გავრცხავთ და მერე დავჭყლეტო,
რომ მოსავალი ლვინოდ იქცეს
სანაპიროზე.

შენ თუ ალსდექი,
მე თუ ალვსდექი,
მაშინ ჯალათი ჭიშკრის პალოს დაეკიდება,
ურო კი ზღვაში აღმოჩნდება ლრმად ჩაძირული.

ერთხელ ხომ მაინც უნდა დადგეს დღესასწაული!
წმინდაო ანტონიუს, შენ, რომელიც ასე ეწამე,
წმინდაო ლეონპარდ, შენ, რომელიც ასე ეწამე,
წმინდაო ვიტუს, შენ, რომელიც ასე ეწამე.

ახლა კი მოდით, გზა დაუთმეთ ჩვენს ვედრებას და
ჩვენს მლოცველებს,
ახლა კი მოდით, გზა დაუთმეთ მუსიკას და
ნამდვილ სიხარულს!

ჩვენ ნასწავლი გვაქვს გულუბრყვილობა,
ჭრიჭინობლების გუნდში ვმლერით კარგა ხანია.
როცა ვჭამთ და ვსვამთ,

მჭლე კატები
ჩვენს მაგიდას ირგვლივ უვლიან,
მანამ, სანამდე მწუხრის მესა დაიწყებოდეს,
ჩემი თვალებით
შენი ხელი ხელში მიჭირავს,
ხოლო წყნარი, მამაცი გული
თავის სურვილებს გნირავს თამამად.

თაფლი, ნიგოზი მიეცეს ბავშვებს,
მეთევზეს სავსე ბადე ჰქონდეს,
ბალებს ნაყოფი ნუ მოჰკლებოდეს,
მთვარე კი ვულკანს, ვულკანს მიეცეს!

ჩვენგან ნაკვესი ნაპერწკლები საზღვარს გადასცდეს,
ღამეს რაკეტა ბორბალს დაუმსხვრევს,

ტივებზე მსხდომი პროცესია ნელა გეშორდება,
ნინასამყაროს იგი თავის დრო-ჟამს უტოვებს.
დრო-ჟამს უტოვებს მცოცავ ხვლიკებს,
უძლებ მცენარეს და თევზს, შეპყრობილს ციებ-ცხელებით,
ქარის ორგიებს, მთის ავხორცობას,
იქ უბირ ვარსკვლავს გზა აებნევა,
და მის ბერდზე დანარცხებული
განიფანტება არე-მარეზე.

ახლა კი მედგრად, წმინდანებო უგუნურებო,
უთხარით მინას, რომ კრატერი არ მოისვენებს!
წმინდაო როხუს, შენ, რომელიც ასე ენამე,
ო, წმინდაო ფრანც, შენ, რომელიც ასე ენამე.

როცა ვინჩე მიდის, მან ზაფხულში ნაგროვები
ნიუჯარებით საესე ქუდი ზღვაში უნდა გადააგდოს
და ნავიდეს თმააფრიალებული,
მან ის სუფრა, თავის სატრფოს რომ გაუშალა,
ზღვაში უნდა მოისროლოს,
მან ჭიქაში ჩარჩენილი ღვინო
ზღვაში უნდა ჩაქციოს,
მან თევზებს თავისი პური უნდა უნილადოს
და ერთი წვეთი სისხლი ზღვას შეურიოს,
მან თავისი დანა ზღვის ტალღებში უნდა გაავლოს
და ფეხსაცმელი ზღვაში ჩაძიროს,
გული, ღუზა და ჯვარი,
და ნავიდეს თმააფრიალებული!
მაშინ ის უკან დაბრუნდება.
როდის?

ნუ მეკითხები.

ეს არის ცეცხლი მიწისქვეშეთში,
ეს ცეცხლი არის წმიდათაწმიდა.

ეს არის ცეცხლი მიწისქვეშეთში
და ქვა თხიერი.

ეს არის წყალი მიწისქვეშეთში,
რომელიც ჩვენში ჩაედინება.

ეს არის წყალი მიწისქვეშეთში,
რომელიც ჩვენს ძღლებს დასწავს, დადაგავს.

და მოვა ცეცხლი უზარმაზარი,
მდინარე მიწის ზემოთ ამოვა.

და ჩვენ ამისი მოწმე გავხდებით.

ჩრდილები ვალდები ჩრდილები

უცხო ზეცის ქვეშ
ჩრდილები ვარდები
ჩრდილები
უცხო მიწაზე
ვარდებსა და ჩრდილებს შორის
უცხო წყალში
ჩემი ჩრდილი ილანდება

ნაცრისფერი დღეების შემდეგ

ერთი საათით მაინც ვიყო თავისუფალი!
შორს ვიყო თუნდაც, ოლონდ ვიყო თავისუფალი!
ღამის სიმღერით სფეროებში მაღლა ასული
მინდა ავფრინდე დღებზე მაღლა
და დავინუყბა საღმე ვეძებო...
მსურს ბნელი წყლები გადავიარო
და თეთრ ვარდებს ფეხდაფეს ვსდიო,
სულს ფრთები მივცე.
ო, ღმერთო, ნეტავ, არაფერი აღარ ვიცოდე,
გრძელ დამეებში რა სიმწარეა,
იქ ხომ თვალები გვიფართოვდება
უსახელო ჭირის წინაშე.
ლოყებზე ცრემლი დამდენია
სიგიჟით სავსე ღამეებიდან
და ფეხმძიმიბის ნეტარებიდან,
მსურს ბორკილები დავამსხვრიო
და შუქი შევსვა...
ერთი საათით შუქს რომ ვუყურო!
ერთი საათით მაინც ვიყო თავისუფალი!

რომ ავიხედე

ერთი უხამსი ტკბობის შემდეგ
დამცირებულმა მწარედ და მძიმედ,
დამშვიდება თუკი შევძელი,
რაღაცად ვლირვარ.
მე ვარ მდინარე
ტალახინი და ეს ტალღები ნაპირს ელტვიან,
ბურქების ჩრდილებს, ქვიშაზე ფენილთ,
და გამათბობელ სხივებს მზისას,
თუნდაც ამ ერთხელ.

ვაი, რომ ჩემს გზას შეწყალება არ უნერია.
ის შეცოდება ზღვისკენ მიბიძგებს.
ზღვა დიადია, უკიდეგანო!
მე სხვა სურვილი არ გამაჩინია,
დიდმა ტალღებმა, დაე, თავზე გადამიარონ
და უსასრულო ზღვაში ჩამძირონ.

ძალუძის კი, განა, ამ მძლავრ სურვილს –
უფრო ტკბილ ნაპირს უძლვნას სალამი,
მე დამატყვევოს, არსად გამიშვას,
თუ კერაც მახსოვს დიდი სიბრძნე უკანასკნელი!

შუა ზაფხულები

ძილ-ღვიძილსა და სიზმრებს შორის
აბიბინებულ მდელოებზე მოხეტიალე
ჩემი მზერა აიტყორცნება
უსასრულო სიმღლეებში.
რა მჩქეფარეა ეს ცხოვრება!
ცაზე ღრუბელი ღრუბელს მისდევს
და მხურვალე საათებივით

ჩაძირვა უწევთ
მყაყე გუბურის
უსაშველო მწუხარებაში.
ჩემს წილში კი არარა იძვრის,
მწველი სიცხისგან
სიმშვიდეში ვარ ჩაძირული.
და დღეს დღე მისდევს,
ჩემი თვალები ოქროსფერ მზეს
მუდამ ხედავენ.
მაგრამ იდესმე იგი დარჩება
იქ, სადაც ჩრდილი აილრუბლება.
ო, რა მწარეა ხელის მოცარვა.

გაუცხოება

ხეებში ხეებს ველარ ვხედავ,
ტოტებს ფოთოლი არ ასხია, ქარს რომ მიანდონ.
ნაყოფი ტკბილი, მაგრამ – უსიყვარულო,
ერთხელაც რომ ვერ დაგანაყრებს,
რა უნდა მოხდეს ამაზე მეტი?
აი, ჩემს თვალინი ტყე გარბის უკან,
ყურთან ჩიტები ნისკარტს ხურავენ,
მდელო საწოლის მაგივრობას ველარ გამინევს.
დრო-ჟამით უკვე გამაძლარი ვარ
და მაინც მისი შიმშილი მტანჯავს.
რა უნდა მოხდეს ამაზე მეტი?

მთებზე კოცონი ლამით ინთება.
ნუთუ გზას მაინც უნდა გავუდგე
და ამ ყველაფერს კვლავაც უნდა მიგუახლოვდე?

მე ვერც ერთ გზაში გზას ველარ ვხედავ.

ჯერ კიდევ ვშიშობ, შემოგავლო ჩემი სუნთქვის

მტკიცე ძაფები,
და სამოსელად შეგირჩიო ოცნებების დროშები ლურჯი,
თუ ჩემი ბეჭელი ციხე-კოშეის ნისლის ჭიშკრებზე
ჩირაღდნები ავაბრიალო, რომ ჩემი პოვნა იოლად შეძლო.

ჯერ კიდევ ვშიშობ, გამოგიხსნა მოციმციმე დღეთა წყებიდან,
დროის მდინარის ოქროსფერი თავდალმართიდან,
თუ სავსე მთვარის საზარელი პირსახის თავზე
ჩემი გული ვერცხლისფრად ღვივის.

გამოიხედე და ნუ შემხედავ!
ჩემი დროშები დაშვებულია და ჩირაღდნებიც ჩაინვა უკვე,
და მთვარეც თავის გზას მიუყვება.
დროა, მოხვიდე და შემეხიდო, წმიდათანმიდა
ოცნებავ ჩემო!

გერმანულიდან თარგმნა
დალი ფანჯიპიძე

რუბენ დარიო

სააღდგომო ზღაპარი

მშვენიერი სალამო იდგა, მართლაც მშვენიერი...
მდიდრულ, ელეგანტურ სასტუმროში გამართულ
reveillon-ზე* უამრავი ლამაზმანი და მახინჯიც ფუნტებში,
დოლარებში, რუბლებში, ბესოებსა და ფრანგებში ეჯიბ-
რებოდა ერთმანეთს. იყო შემპანურის შუშხუნიც, მოვარ-
დისფრო-მოთეთრო ზმანებაც, თვალმარგალიტის კაშკა-
შიც. მერე შორიახლოდან გაისმა ნაზი მუსიკის ჰანგები...

აღარ მახსოვს, ვინ მიმიყვანა ქალბატონების ჯგუფთას,
სადაც თავს ინორებდნენ იანკი, იტალიელი, არგენტინელი
ლამაზმანები... მე კი ერთი მომზინვლელი და უცნაური ქა-
ლის ვარეგინბამ გამაოცა: ყელს მხოლოდ ერთი წითელი
ზონარი უმშვენებდა... მოგვიანებით ერთმა წარჩინებული
გვარის დიპლომატმა დახვეწილი და საოცრად მჭევრმეტყ-
ველი გერმანელი პოლიგლოტი გამაცნო. იგი ხან ერთი და
ხან მეორე ლამაზმანის გვერდით გამოჩენდებოდა და მათთ-
ვის სასიამოვნო, ელეგანტურ კომპლიმენტებს (ასე რომ
უყვართ მაღალი წრის ქალბატონებს) არ იშურებდა.

— მ. ვოლფჰარტი, — მითხრა მინისტრმა, — ძალზე
სასიამოვნო ადამიანია.

გერმანელმა რატომლაც დაიჟინა, ესპანურად ველაპა-
რაკა. საუბარი ვაგვიგრძელდა. მართალი ვითხრათ, არა-
სოდეს შევხვედრივარ მისი ეროვნების ადამიანს, რომე-
ლიც ასე კარგად საუბრობდა ესპანურად. მიამბო თავის
მოგზაურობაზე ესპანეთსა და სამხრეთ ამერიკაში, გამოვ-
ძებნეთ საერთო მეგობრები, ოკულტიზმით გატაცებაც გა-
მანდო. მერე მომიყვა, როგორ მკურნალობდა ბუენოს-
აირესში დიდ პოეტს, ჩემს ძველ მეგობარს; რა გადახდა
თავს ერთ საჯარო დაწესებულებაში ჩემს ახლობელთან,
პატრიისიოსთან, მადრიდში კი... სულ ცოტა ხანში ჩვენ შო-
რის გულითადი ურთიერთობა დამყარდა. ოტელის დახვე-
ნილ გარემოში ჩემი ყურადღება მიიპყრო იმ სენიორამ, რო-
მელზეც თავში მოგახსენეთ. იგი დაგვიანებით მოვიდა. მე-
ფური და, იმავდროულად, ელეგანტური იერი ჰერნებდა. ჩემს
თანამიმასუბრეს ალფროთოვანება და ენთუზიაზმი გაუზია-
რე. ვოლფჰარტს უცნაურად გაერიდა:

— დააკვირდით! ეს ისტორიული თავია, ისტორიული!

მართლაც საგულდაგულოდ დავაკვირდი. ქალის
პროფილი, ვარცხნილობა, ეპოქის თავისებურებათა
გათვალისწინებით, ძალზედ წააგავდა coiffures a la
Cleopatre. გარეგნობით, მანერებით, განსაკუთრებით კი
ერთადერთი საშვენისით — წითელი ზონარით კისერზე
(ასე რომ დამაინტრიგა) — ისე ჰეგვდა პორტრეტებზე
გამოსახულ დედოფალ მარია-ანტუანეტას, კარგა ხანს
მდუმარედ შევცემოდი. ნუთუ მართლა ისტორიული
თავი იყო? თანაც იქვე, გვერდით... სულ რაღაც ორ ხა-

* საშობაო ან საახალწლო ვახშამი (ფრ.)

ბიჯში, თანხმობის მოედანზე... დიახ, თავი, რომლის ვარ-ცხნილობაც იყო ხან *a la circasiana*, ხან *a la Belle — Poule*, ხან *al casco ingles*, ხან *al gorro de candor*, იქ *a la queue en flambeau d'amour* ი *a la chien couchant*, *a la Diane*, და კიდევ ბევრნაირი, ის თავი...

ქალბატონი ჰილის კუთხეში დაჯდა. ერთადერთი, ვი-საც დაელაპარაკა, ვოლფპარტი გახლდათ. როგორც მო-მესმა, გერმანულად ლაპარაკობდნენ. ლვინომ ჩემს ნარ-მოსახვაში ოქროსფერი ნისლი აამოძრავა და იმ მომზუსხ-ველ და იდუმალ არსებაზე ნარმოუდგენელი ვარაუდები ააფრიალა. ორკესტრი, როგორც კი სასუალება მიეცემო-და, პავანას* უკრავდა. დაბუდორული თმები, შხამიანი ბუ-ზები, ახდენილ ოცნებათა ტრიანონები,** დახვეწილი გა-ლანტურობა და პოეზიით შენილბული აღვირახსნილობა, უთვალავი სათაყვანებელი სახე, პილბალმოყრილი ნატი-ფი ურთიერთობაზი, მეხსიერებაში შემონახული ანეკდო-ტები, წერილები, პამფლეტები... გამახსენდა ამ ლექსთა ულამაზესი ხელნაწერები, მონტესკიე-ფებერნაკისა და რენიეს პოვზია, ლუკინის შესანიშნავი იტალიური პოემე-ბი... გაიხსნა ჩემი ფანტაზიის საზღვრები და მეც სიხარუ-ლით შევეგებე ზღაპრების სასწაულებს, ბრძენებაცთა მი-ერ შესხავლილ და წმინდა წიგნებში ასახულ ენკარნაცი-ებს, მეცნიერების შესაძლებლობებს, რაც, ყველაფრის მიუხედავად, სხვა არაფერია, თუ არა დანებება იმ გამო-ცანის ნინაშე, რომელიც ყოველდღიურად ღრმავდება...

ჩემი ფეთქებადი ტვინი სწრაფად ამუშავდა. როდესაც ფიქრებიდან გამოივერკვიე, გერმანელს იმ ქალბატონის სახელი ვეკითხე. იგი მიედ-მოედო, მხოლოდ ისტორიულ თავზე ილაპარაკა, რამაც ვერანაირად ვერ დამაკმაყოფი-ლა. თავაზიანობის გამო აღარ დავისინე, თუმცა ჩემს გა-მორჩეულ მეგობარს მივულოცე გერმანიაში სილამაზის ასეთი შესანიშნავი ნიმუშის არსებობა. მან კი რაღაც აპ-ნეულად მიპასუხა:

— გერმანელი არ არის. ავსტრიელი.

ის ავსტრიელი ლამაზმანი გახლდათ. მე კი ვცდილობ-დი დეტალებში დამეჭირა მსგავსება არა მხოლოდ კურ-ჩარსკის, რიოტის, ბუაზოს მიერ შესრულებულ პორტრე-ტებთან, არამედ გრევინის მუზეუმის სარდაფში შენახულ ცვილის ფიგურებთანაც კი...

* * *

— ჯერ ადრეა, — მითხრა ვოლფპარტმა, როდესაც იყო სასტუმრომდე მივაცილე. — შემობრძანდით, ცოტა კიდევ ვისაუბროთ. ხვალ პარიზს ვტოვებ და, ვინ იცის, კი-დევ როდის შევხვდებით ერთმანეთს. შემობრძანდით. მო-დით სოდიანი ვისკი დავლიოთ, ინგლისურ ყაიდაზე, თან ერთ საინტერესო რაღაცას გარვენებთ.

ლიფტით ავედით. *Vale!-მა**** ბრიტანული სასმელი მოგვიტანა. გერმანელმა გაყვითლებული ქადალდებით საგსე ჩანთა გადმოილო. მათ შორის იყო ერთი ძველი, ხე-

ზე შესრულებული პორ-ტრეტი.

— აი, ეს ჩემი ნინაპ-რის, ჰეიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორის თეობალდ ვოლფ-პარტის პორტრეტია, — მითხრა მან. — პაპაჩემი, სავარაუდოდ, ცოტათი ჯადოქარი, სინამდვილეში კი ბრძენებული გახ-ლდათ. მან გადაამუშავა ალდო მანუციოს მიერ გა-მოცემული იულიუს იბ-სეკენის ნაშრომი სას-



ნაულებზე და ხელახლა გამოსცა 1557 წელს ბაზილეაში ინ-ფოლიო გამოსული ცნობილი წიგნი *Prodigium ac ostentorum chronicon*. ჩემმა ნინაპარმა ის არა საკუთარი სახე-ლით, არამედ კონრად ლიკოსტენესის ფსევდონიმით გა-მოაქცეყანა. თეობალდ ვოლფპარტი სალად მოაზროვნე ფილოსოფოსი იყო. რამდენადაც ვხვდები, თეთრ მაგიას მისდევდა. მას საშინელ, დანაშაულებათა და კატასტრო-ფების ეპოქში მოუნია ცხოვრება. სისასტიკესა და მუხა-ნათობასთან საბრძოლვებლად ამ მორალისტმა ამხილა უხილავი და უჩვეულო, მაგრამ ცხადზე ცხადი მავალითე-ბით დანახა შეშინებულ ხალხს, თუ როგორ აისახება მისი მუქარა ამოუცნობ მოვლენებში. მაგალითად, კომეტის გამოჩენა 1557 წელს, რომელიც მხოლოდ 15 წელს გაგრ-ძელდა და საშინელი ამბები გვინინასწარმეტყველა. პაპა-ჩემმა ეს კომეტა ბავშვობაში ნახა: უზარმაზარი იყო, სის-ხლისფერი, ხოლო კუდი შაფრანისფერში გადადიოდა. აგერ, ნახეთ ილუსტრაცია და ლიკოსტენესის კომენტა-რიც. ხედავთ, რა სასწაულები დაინახა მისმა თვალებმა. კომეტის წვერზე ყველაზე დიდი და კაშკაში ვარსკვლავა, ქვევითაც სამი ვარსკვლავი ბრნყინავს, გვერდებზე ხმლე-ბი და ხანჯლები ჩანს, მათ შორის ადამიანთა მოჭრილი თავებია; ზემოთ კი უზარმაზარი ხმლით შეიარაღებული ავისმომასნავებელი ხელია. ყველაფერი ეს ღრუბელთა რკალშია მოქცეული. მოგვიანებით, ამ კომეტის აღწერი-სას სიმონ გულარდიც წერდა სასწაულებზე: „*de regard d'icelle donna telle frayeuse a plusieurs qu'aucuns en mourrent; autres tomberent malades*“. ერთი ავტორი წერს, რომ ლიხ-ტენბერგის მონაფემ, ასტროლოგმა პეტრუს გროსერუსმა ეს საშინელი ფენომენი თავისი ხელობის კანონებით ახსნა და შესაბამისი შედეგებიც მიიღო: მისმა ვარაუდებმა ყვე-ლაზე კეთილგონიერნიც კი საგონებელში ჩაგდო ნახე-ვარ საკუნძუზე მეტი. თუ ლიკოსტენესი წერდა კატასტ-როფებზე უნგრეთსა და რომში, სიმონ გულარდი ყუ-რადლებას ამახვილებდა თურქების განადგურებაზე უნგ-რეთში, შიმშილზე შევაბიაში, ლომბარდიასა და ვენეციაში, ომზე შვეიცარიაში (ავსტრიული ვენის ადგილას), გვალ-ვაზე ინგლისში, ოკეანის ადიდებაზე ჰილანდიასა და ზე-ლანდიაში, რვადლიან მიწისცრაზე პორტუგალიაში. ლი-კოსტენესმა ბევრი გასაოცარი რამ იცოდა. აღმოსავლე-თიდან მობრუნებული პილიგრიმები ყვებოდნენ თავიანთ ზეციურ ხილვებზე. 1480 წელს, არაბეთში ხომ ნახეს ში-

* ესპანური ცეკვა.

** სასახლე, რომელიც ააშენა პარიზთან ახლოს დედო-ფალმა მარია-ანტუანეტამ. სიმდიდრის, ფუფუნების, დახვე-ნილი გემოვნების, განცხრომის სიმბოლო.

*** ლაქია (ფრ.)

შისმომგვრელი კომეტა დროისა და სიკვდილის ნიშნებით. ამ საბედისნერო წინასწარმეტყველებას მოჰყვა კორინთოს განადგურება და ომი პოლონეთში. გაერთიანდნენ ვლაძისლავი და მატიას უნგრელი. წახეთ, რას წერს უამთააღმნერელი: „ლრუბლებს ჰყავს ფლოტი, და ჰაერს ჯარი“; ლიკოსტენესი, რომელიც შუაგულ გერმანიაში ცხოვრობდა, გვერდს არ უვლის მსგავს მოვლენებს. იგი აღნიშნავს, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის 114 წელს ლრუბლებში ხომალდები გამოისახნენ. ლიონის ეპისკოპოსი სან აგობარდო კი უფრო ინფორმირებული ჩანს.

მან იცის, რომელი ფანტასტიკური ქვეყნისაკენ მიცურავენ ეს უნივერსო ხომალდები: მაგონისაკენ. და, ალბათ, შემოლოდ სიფრთხილისა გამო არ ასახელებს წმინდა მამა მარშუტს. ამ გემებს მართავდნენ ჯადოქრები — *tempestarii*. კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება ეპისკოპოსის მონათხობზე, მაგრამ მოდით ძირითად თემას მივურუნდეთ. ჩემმა წინაპარმა დაადგინა, რომ ცა და მთელი ატმოსფერო, რომელიც გარს გვახვევია, ყოველთვის სავსეა ამ იდუმალი ხილვებით. ალექიმიკოსი მეგობრის დახმარებით მან შექმნა ელექსირი, რომელიც საშუალებას გაძლევთ ბუნებრივად შეიგრძნოთ ის, რაც ადამიანის მზერას მხოლოდ და მხოლოდ გამონაკლისის სახით წაუდგება.

— მე მივაგენი ამ საიდუმლოს, — თქვა ვოლფპარტმა და ღიმილით დასძინა: „აი, ამ აბებშია ეს სასწაული ჩატკეპნილი. ვისკი ხომ არ დაგიმატოთ?“

ცხადი იყო, გერმანელი კარგი ბუნების ადამიანი გახლდათ, გატაცებული არა მხოლოდ ინგლისური ალკოჰოლით, არამედ ყველანაირი ხელოვნური სიამოვნებითაც. მომეჩვენა, რომ იმ უეთში, რომელზედაც მიმითითა, ოპიუმის ან ინდიელთა კანაფის შემცველი აბები იდო.

— მაღლობა, — ვუთხარი, — არასოდეს გამისინჯავეს და არც მაქეს სურვილი ვეზიარო ან ჰაშმებს, ან კვინსის საჩამლავეს, და საერთოდ ნარკოტიკის საკრალურ ზემოქმედებას.

— ეს არც ერთია და არც მეორე. გაგამხნევებთ — ეგაა და ეგ. შესანიშნავი რამაა ყველაზე ნაკლებად წერვიულთავისაც კი.

გერმანელი ისე ჩამაცივდა, რომ ვისკის ბოლო ყლუპს აბიც მივაყოლე და მასპინძელს დავემშვიდობე. ქუჩაში ციოდა, მე კი მაინც ვიგრძენი, როგორ ამიმოძრავდა ძარ-


ლვებში სასიამოენო სითბო. აბები არ გამხსენებია და ეს მდგომარეობა ხანგრძლივ ლხინს მივაწერე. ელისეს მინდვრები გავიარე და თანხმობის მოედნამდე მივედა. შორის ქალის ქალი მიაბიჯებდა. ასეთ დროს მდიდრულად ჩაცმული ქალის გამოჩენამ გამაკვირვა. მერე ლამის მოციმციმე შუეში გავარჩიე, რომ ძალიან ლამაზი იყო. მივუახლოვდი და ვიცანი ქალბატონი, რომლის გარეგნობამაც ასე დამანტრივგა *reveillon-ზე*: ქალბატონი, რომელსაც თეთრზე თეთრ ყელზე ერთადერთი სამშვენისი ეკეთა: წვრილი წითელი ზონარი, ჭრილობასავით წითელი.

მომესმა, როგორ ჩამოკრა საათმა სადღაც შორს, ავტომობილის საყვირიც გავიგონე. რაღაც უცნაური ზარხოში მომერია. ყოველგვარი აზრები ზებუნებრივზე თავიდან ამოვიგდე და მივუახლოვდი ქალბატონს, რომელმაც უკვე ჩაუარა ობელისეს და ტიუილრისაკენ მიემართებოდა.

— მადამ, — ვუთხარი, — მადამ...

ამასობაში ნელ-ნელა ცივი, ნესტიანი ბურუსი ჩამოწვა. ლამპიონები არა-ამქვეყნიურად ციმციმებდნენ. ქალი მოედანზე შეჩერდა და შემომხედა. უცებ ჩემ თვალინი რაღაც კინემატოგრაფიული სურათი გადაიძალა: უთვალავი ადამიანი ირეოდა ერთმანეთში, როგორც სიზმარში. ვერ გეტყვით, რა ვიგრძენი იმ ნუთას. ერთდროულად რეალურ

და წარმოსახვით დროში აღმოვჩნდი... თვალები მღვრიეცას მივაპყარი და დავინახე ფიგურები, რომლებიც ლიკოსტენესის წიგნის ილუსტრაციებში იყო: უზარმაზარი ხანჯალშემართული მელავი. ქალი კი მომჩერებოდა. მას ნალვლიანი, ავისმომასწავებელი იერი ჰერნდა და, თითქოს ჯადოსნური კვერთხი მოიქნიაო, სხვა ტანსაცმელი ეცვა, რაღაც მოსასხამის მსგავსი, რომლის გრძელი ბოლოებიც წინ გადმოდიოდა. მისი ვარცხნილობა აღარ მიაგვდა *a la Cleopatre*, თავზე მხოლოდ პატარა, უბრალო ნაჭრის ქუდი ეხურა, საიდანაც ჭალარა თმა მოუჩანდა. მიახლოება რომ დაგაპირე, დავინახე რაღაც ეტლის მავგარი, რომელსაც სამკუთხა ქუდებში გამოწყობილი (თითქოს გახუნებული სურათებიდან გადმოვიდნენო), ხმლებითა და შუბებით შეიარაღებული ჯარისკაცები მოყვებოდნენ. მეორე მხრიდან ცხენოსანი გამოჩენდა, მერე კი ეშაფოტიც გამოიკვეთა... ოჯ, ღმერთო, რა თქმა უნდა: ეს ხომ უკვე ნანახის გამეორებაა. ასეთ დროს ნუთუ კიდევ შემწევს ფიქრის უნარი? დიახ, შემწევს. ვგრძნობდი, რომ იმ



მხატვარი ალექსანდრე სლოვინსკი

უცხოური ნოველა

წუთას უხილავი გაცხადებულიყო და გარს მეხვია. დიახ, ეს გილიოტინა იყო. და, როგორც კოშმარებში ხდება, და-ვინახე, თუ როგორ ვითარდებოდა ტრაგედია (კინემა-ტოგრაფიულობა უკვე ვახსენე?).... თუმცა, არ ვიცი, რა მიზეზთა გამო, დეტალები ვერ გავარჩიე. ქალბატონი ისევ მომაშტერდა და ღვთაებრივ, საბედისწერო ხილვაში (ზელავი, ხმალი, ღრუბლები, თავები) ამოფრქვეულ შაფ-რანისფერ ნათებაში დავინახე, როგორ მოკვეთა მექანიკურმა ნაჯახმა თავი ქალბატონს, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინათ სასტუმროს სალონში აღმაფრთოვანა მეფური გალანტურობით, ამაყი იერითა და ძალან თეთრი ყელით, რომელსაც მხოლოდ სისხლისფერი ზონარი ამშვენებდა.

ნეტავ რამდენ ხანს გაგრძელდა ეს იდუმალი ნარმოდ-გენა? ვერ გეტყვით, იმიტომ, რომ ეს ხდებოდა იმ უცნობ იმპერაში, სადაც მეცნიერება მხოლოდ ხელების ფათურით მიინებს წინ, და ისეთ დროში, რომელშიც არ არსებობს ოცნება და რეალობა და ათასი წელი ერთ წამში გარბის.

უცემ ყველაფერი გაქრა. როდესაც გონზე მოვედი და მივ-ხვდი, თუ სად ვიმყოფებოდი, ტიუილრისაკენ წავედი და ბალ-ში ამოგვავი თავი. გამიკვირდა, როდესაც ჭიშკარი ლია დამხ-ვდა. ლამეულ, მკრთალ ნისლში გზა განვაგრძე. ვიფიქრე, რი-ვოლის მხარეს პირველივე ჭიშკრიდან (რომელიც, შესაძლოა, ასევე ლია იყო) გავალ-მეთქი... ისე, რატომ არ უნდა ყოფილო-ყო ლია?.. მაგრამ იყო კი ეს ბალი ტიუილრის ერთ-ერთი ბალ-თაგანა? ხეები, შუა ზამთარში მუქფრად შეფილოლი ხეები მეზვია გარს... ნაბიჯი გადავდგი და ქასავით მაგარ რაღაცას წამოვეკრი ფეხი. თითქმის უგონოდ მყოფი, საშინელმა გაო-ცებამ შემიძყრო, როდესაც მომესმა: ვაი! ეს ხმა წუხილსა და შეწყვეტილ, დახსულ სიტყვას ჰგავდა. საგანი, რომელმაც ფე-ხი მატერია და თან ხმაც გამოსცა, იყო არა ქეთ, არამედ თავი. ცას აეხედე. იქ, სადაც ადრე უზარმაზარი ხმალი ეკიდა, დავი-ნახე მთვარე, უფრო სწორად, მთვარის თავი. იქვე ჩამწკრივე-ბულიყვნენ სხვა თავებიც ლიკოსტენესის ილუსტრაციები-დან. მე კი უკიდევარ სელვასავით გადაჭიმულ ბალში ვიდები, სასწაულებით მონუსეული მეგონა, რომ ნამდვილად პოემის ან წმინდა წიგნის პერსონაჟი ვიყავი. სრულად უმიზეზოდ ჩემს ტვიმში იმ დღის გაზიერებში ამოკითხული ფრაზები ირ-ოდა: „ბოლო უამი! ტრიპოლი! პერინის ალება!“ ღვთაებრივი-სადმი ლტოლვამ ენით ალუნერელი სევდა მომგვარა. გავი-ფიქრე: „ოპ, ღმერთო! ოპ, უფალო! მამარ ჩენონ!..“

გვერდზე გავიხედე. ნაზ, ოქროსფერ შუეში ლირა გამოი-სახა, მის ზემოთ კი თავი, ზუსტად ისეთი, ლუქსემბურგელ გუსტავ მოროს ორფეოსის ქანდაკებას რომ აქვს. სახეზე ტკივილი ალბეჭდოლა, მის გარშემო არსებები მოძრაობდ-ნენ: სულიერები (რადგანაც მთა სული მოძრაობაში მუდავნ-დება) და უსულოები (მათ მოძრაობა შინაგანია, ფარული). გავიგონე (ამას მკარნახობს ჩემი მეხსიერება), როგორ ამბობ-და თავი: „დადგება, დადგება უამი თანხმიბისა და მაშინ ლი-რა სიმშვიდისათვის აუღერდება“. ორფეოსის თავთან გასაო-ცარი სილამაზის ვარდი და ზღვის ბალახი დავინახე, რომ-ლისენაც ოქროს კუ მიბობლავდა. უცებ მეორე მხრიდან სა-შინელი ყვირილი მომესმა. ისეთი მრავალხმიანობა იყო, ქო-რო გეგინებოდათ. ადრე რომ ვახსენე, იმ ნათებაში დავინახე, თუ ვინ ყვიროდა: ხე, დატოტვილი ხე, რომელსაც ნაყოფის ნაცვლად თავები ესხა. გავიფიქრე, ეს მუსლიმანთა წმინდა წიგნში ხახსენები ხე ხომ არ არის-მეთქი. გავარჩიე ყოვლის-

შემძლე ალაპის სადიდებელი სიტყვები; ხის ქვეშ სისხლის გუ-ბე იდგა.

ძალ-ღონე მოვიკრიბე. ბალში გაჩერება აღარ მინდოდა და გასასვლელისაკენ წავედი. ყველა მხრიდან ჩურჩული და გაურკეველი ხმები ისმოდა: ეს თავები ხმაურობდნენ, ბინ-დში ტოტებიდან რომ გამოანთებდნენ ხოლმე. კოშმარის გაუსაძლისი წუთები მედგა. შიშის დასათრგუნად ჩემს თავს ჩავაგონებდი, რომ ყოველივე ეს მხოლოდ სიზმარი იყო. და უცებ ვიცანი საშინელი, ამაზრზენი, მრავალგზის დაწყე-ლილი მედუზას თავი, რომელსაც გველებისგან შემდგარ მოძრავ, ჯოჯონხეთურ თისო-ში* გმირკაცი თეთრი ხელით ჩაბლაუჭებოდა. მეორე მკლავზე (ქალის ოქროსფერ ხორცს რომ ჰგავდა) კი მას ხვეულომიანი თავი ჩამოე-კიდა. ეს მეომარ ოლივერნის თავი იყო. მერე იოანე ნათ-ლისმცემლის თავი დავინახე; იქვე იყო იმ გამორჩეულ მო-ციქულის თავიც (ცოცხალი გეგონებოდათ), რომელმაც რომში მინიდან წყალს ამოახეთქინა. ის თავიც იქ იყო, რომე-ლიც შურისძიების ვახშამზე როდრიგო დიას დე ვივარმა სა-კუთარ მამას მაგიდაზე დაუგდო.

მერე მეფე ჩარლზ ინგლისელისა და დედოფალ მარია სტიუარტის თავები დავინახე. სამგლოვარო ზედახორაში ჯგუფ-ჯგუფად დალაგებული თავების რიცხვი იზრდებოდა და ჰერში სისხლისა და სიკედილის კვალს ტოვებდა. იქვე ნა-ხავდით ბაიაზეთის ორი ათასი ბაზიერის გაბურდნულ თავს; აღმოსავლეთის ძლევამოსილ მცყრობელთა ოდალისკების მოკვეთილ თავებს, რწმენისათვის წამებულთა, სიძლვილი-სა და ადამიანთა კანონების გამო, ბარბაროსთა ურდოების მიერ და საპყრობილებსა და მეფეთა კოშკებში მოკვეთილ უთვალავ თავს; აგრეთვე ჩინგისხანების, აბდულხამიდების, ბენზონების ბრძანებით მოკვეთილ თავებს...

გავიფიქრე: „ოპ, გამარჯვებულო ბოროტებავ! სულ შენ უნდა იბოგინო დედამინაზე? და შენ, პარიზო, სამყა-როს თავო, შენც უნდა მოგვეთონ ნაჯახით შენს უსასრუ-ლო სხეულს?“

თითქოს ჩემი ფიქრები წაიკითხაო, ჯგუფს, სადაც ლუ ХVІ-ს, პრინცესა ლამბალის, ნარჩინებულთა, რევოლუციო-ნერთა, წმინდანთა და მკლელთა თავები იყო, გამოეყო ეპისკოპოსის ფიგურა. ხელში საკუთარიც და გალიელი მო-ნამე დონისის თავები ეკავეა. უცებ ფიგურამ ჩამოიძახა:

— ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, ქრისტე აღსდგება!

თავმოკვეთილი მლვდელმთავრის გვერდით დავინახე ყელმოლერებული ავსტრიელი ქალბატონი სასტუმროს ჰო-ლიდან. ამჯერად მის ყელზე წითელი ზონარის ნაცვლად ჭრილობა ლაქლაჟებდა; და მარია-ანტუანეტამ ჩარმოთქვა:

— ქრისტე აღსდგება!

და ორფეოსის, მედუზას, ოლოფერნის, იოანესა და პავლეს თავების ხემ, თავების ტყემ და სხვა უთ-ვალავმა თავება სიღრმიდან იღალადა:

— ქრისტე აღსდგება! ქრისტე აღსდგება!..

* * *

— საერთოდ არ ვარგა ძილი ჭამის შემდეგ, — დაასკვ-ნა ექიმმა, ჩემმა კეთილმა მეგობარმა.

* ფაფარი (ფრ.)

ნოდარ ებრალიძე

ცხენები რიოზე გადმოვლენ

დიახ, რიონი წყალუხვი მდინარეა, მაგრამ კოლხეთის ჭალებში და მათი შემომსაზღვრელი მთების კალთებზე გაზრდილი ბედაურებისათვის დაუძლეველი მიჯნა ვერ იქნება. თუმცა მდინარების გადალახვა (ცხენსაც ისეთივე ნიჭად და გამოცდად მიეთვლება), როგორადაც „შარა გრძელი“ და „დიდი რბევა“ — არა მარტო მითოსურ გადმოცემებში, არამედ ისტორიულ ქრონიკებში, მხატვრულ ლიტერატურასა და ზეპირსიტყვიერებაში.

ჩვენ რაღაზე მოვიგონეთ? ახლავე გაგიმხელთ: სექტემბრის დამდეგს (4-სა და 5-ში) ქალაქ აბაში ჩატარდა საქართველოს პირადგუნდური ჩემპიონატი ეროვნულ ცხენოსნობაში (ისინდი, ცხენბურთი, დოლი — 2000 მ, მარულა — 6000 მ). გვიანდელი ამბავია, არა? რა ვენათ, „ჩვენს მწერლობას“ მეტი იორერატიულობის ილაჯი არა აქვს (არც მოეთხოვება). ამიტომაც უფრო ზოგადი საკითხებით შემოვიფარგლებით; ხოლო მთელი ქართული მასშტაბისათვის ცხენოსნობა, მით უმეტეს — ეროვნული, რომ ათვალისწილებული სახეობაა, ესეც ცნობილია (გამონაკლისი განხეთი „ლელო“ და მისი ახალგაზრდა მხედარ-კორესპონდენტი თორნიკე გაჩერჩილაძეა). ასე რომ, ერთხანს მანც ისევ „...მწერლობამ“ უნდა შეანიოს სიტყვა ჩვენი ქვეყნის ცხენ-მხედრებს. მართებს კიდეც. აქ, ალბათ, არ ეგების, მაგრამ მაინც დაუუმატებ თავში ნათევამს, რომ მკითხველსაც კარგად მოეხსენება საერთოდ (ცხოველთა სამყაროს და, კერძოდ, ცხენის ადგილი მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობაში, როგორც სახისმეტყველებითი, ისე ისტორიულ-შემეცნებითი ასპექტით).

მაინც გამექცა სიტყვა, მომიტევეთ, და რადგანაც ჩვენივე ჟურნალის შარმანდელ ნომერში (2) უკვე გამოქვეყნდა („სპორტის“ რუბრიკით) ნაკვევი ეროვნულ მხედრულ თამაშებზე („ცხენბურთი პირმხიარულად უნდა ითამაში“), შეიძლება მივიჩნიოთ, რომ პირველი კვალი უკვე გავლებულია და მკითხველს ანაბანადან დაწყება არ უნევს. ამიტომაც პირდაპირ გავიმეორებთ იმ კითხვას, რომელიც, დღეს, სამწუხაროდ, ეროვნული ცხენოსნობის მოყვარულთა და გულშემატევიართა წინაშე ისმის: „ითამაშებენ თუ არა XXI საუკუნის საქართველოში ცხენბურთსა და ისინდს?!“ თითქოს ლიმილის მომგვრელია გლობალური კატაკლიზმებით გაჯერებულ ჩვენს ეპოქაში ასეთი კითხვის დასმა. მაგრამ ყველს თავისი სადარდებელი აქვს. როდესაც გაზეთი „ლელო“ რეგულარულად აქვეწებს ნერილებს მივიწყებულ ეროვნულ ცხენოსნურ სახეობებზე (ძირითად და კაპიტონ ნაჭყებას ცნობილი წიგნის საფუძველზე), მოგვეპოვება ინფორმაცია ეგრობისა და, საერთოდ, მთელი მსოფლიოს ქვეყნებში ცხენების, არა მარტო სპორტული და სადოლე ჯოშების, მომრავლების, აქა-აქ კანტიკუნტად შემორჩენილი ხალხური თამაშების აღდგენა-გავრცელების შესახებ, ჩვენივე სატკივრისაკენ გახედვა არ უნდა გაგვიკვირდეს.

არადა დამოუკიდებელ საქართველოში კარგი პირი უჩანდა ეროვნული ცხენოსნობისათვის ახალი სუნთქვის

გახსნას. ვგულისხმობ 1991-ში, 1997—99-ში ჩატარებულ ჩემპიონატებს. მაგრამ შემდეგ საერთო ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობის ფონზე აღმავალი ხაზი გაწყდა. ვერც ეროვნული სახეობების ცალკე ფედერაციად გამოყოფამ შემოაბრუნა სასურველ დონეზე საქმე. ეს ვითარება შარშანდელ რესუბლიკურ ჩემპიონატშიც აისახა, რომელიც აგვისტოს მიწურულს ფოთში გაიმართა. რა თქმა უნდა, ასპარეზობას ნათელი მხარეც ახლდა, რომლის დაუნახობა უბრალოდ უსამართლობა იქნება; და, რაც მთავარია, მის არსებობას უნდა დაემყაროს მომავალი საქმიანობა.

ფოთში არის შესაბიშნავი მწვენც სასპარეზზო მოედანი (როგორც კლასიკური ცხენოსნობისათვის, ისე ისინდისა და ცხენბურთისათვის). ქალაქის საცხენოსნო სკოლის სპორტუმენტი და თანამშრომლები თვალისწინებით უფრთხილდებიან ას რბილ, ბალახოვან, ტორფიანი გრუნტის მქონე მოედანს, რომელსაც არც ზღვისპირა წვიმების ეშინია და არც გვალვებისა. ამიტომაცა, რომ მრავალ წლის მანძილზე ფოთელი მხედრები ანიჭებენ კლასიკური ცხენოსნობის ერთადერთ, საქართველოში შემორჩენილი სახეობის — დაბრკოლებათა გადალახვის ასპარეზობებს ზოგადებრულ ხარისხს; უფრო მაღალი რეიტინგის შეჯიბრებებზეც გამოსულან — „კავკასიის თასზე“, და 2001 წელს, როცა ასპარეზზობა გუნდური იყო, 2004 წლის ჩათვლით (ზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო), ფოთელმა გოგიტა კოდუამ თავისი წვლილი შეიტანა საქართველოს გუნდის პირველ გამარჯვებაში. 2005-დან ეს ტურნირი პარადი გახდა. ბოლოს კი მსოფლიო თასის გათამაშების საეტაპო მიშვნელობაც მიერთა. 2007 წელს გ. კოდუამ უაღრესად ძლიერ მეტოქებაზონ ასპარეზზობისა III საპრიზო ადგილი მოპოვა (ეს ჩვენს მხედრები საუკეთესო შედეგი იყო). გოგიტას გვერდით, როგორც კლასიკურ, ისე სალურ სახეობებში, დგანან მისი თანაგუნდელები: დენის ციგანკოვი, თორნიკე კოდუა და სხვები. მაგრამ აზერბაიჯანის ცხენოსნობა ბოლო სამ წელიწადში მძლავრი ნაბიჯებით განვითარდა, მიყოლა გაძნელდა. წლევანდელი „კავკასიის თასის“ გათამაშებაში ფოთელებიც ფიქრობდნენ მონაწილეობის მიღებას; საქართველოს ფედერაციამ არჩია უარი ეთევა მათთვის. მართლაც ძალზე ძლიერი ცხენები ჩამოიყვანეს აზერბაიჯანიდან. მაგრამ აქ ერთი კონკრეტული ასპარეზზობის გამოტოვების საკითხი კი არ დგას, საქართველოსათვის ძალზე მიშვნელოვანი მხედრული კერის ბედის ანაბარად მიტოვებასა საჩითირო. აქ კი მხოლოდ ფედერაციის გადაწყვეტილება მდგომარეობას ვერ შეცვლის.

მაგრამ ჩვენ ისევ ეროვნულ ცხენოსნობას, კერძოდ, წლევანდელ ჩემპიონატს უნდა დავუზრუნვდეთ. და თუ „კავკასიის თასზე“ შევჩერდით, აბაშის ჩემპიონატის შემდეგ მოვლენები ისე განვითარდა, რომ ამ თემაზე მაინც უნდა გვესაუბრა. ასე რომ, ზემოთებული ბოლოში შეგვახსენებს თავს...

წლევანდელ ჩემპიონატს კი წინსვლის აშკარა ნიშნები აჩნდა. მთავარს ახლავე მოგახსენებთ: ამჯერად, ფოთის ტურნირისაგან განსხვავებით, სადაც მხოლოდ 2 გუნდი (ფოთი, აბაში) მონაწილეობდა, აბაში 4 სრული გუნდი გამოდიოდა — სამტრედია, აბაშა, სენაკი, მარტვილი. და ასპარეზზობამაც ნიმდევილი გუნდურ სახეობებში დღის შემთხვევაში „მარულის“ წმინდა სისხლის ინგლოსურმა ფაშატმა „აღეგრამ“ (შეედარი — გამოცდილი უოკეი, ყმანვილობაში ყოფილი დელის იპოდრომის ცხენობგამოცდების მონაწილე აღეგრამილი, მირუაშვილი, მერაბ მერაბიანი — მერაბ)

გორგასლიძე), ხოლო თამაშებში ნახევარფინალური შეხვედრები სენაკ-სამტრედიასა და აბაშა-მარტვილს შორის გაიმართა (სენაკმა ცხენბურთი მოუგო სამტრედიას 13-5, ისინდი — 15-4; ასევე აბაშამ-მარტვილს: 15-7 და 4-1. III ადგილისათვის სამტრედიამ მარტვილის ახალგაზრდული გუნდი ორივე თამაშში დაამარცხა: 11-8 და 15-7.

ძალზე დაძაბული გამოდგა ფინალური ასპარეზობა ისინდში სენაკსა და აბაშას შორის ძირითადი 2 კამარა (ტა-იმი) ფრედ — 5-5 დამთავრდა, რაც ძალზე იშვიათი შემთხვევაა. დამატებით, მე-3 კამარაში სენაკმა გაიმარჯვა (4-2), ცხენბურთში — მეტი უპირატესობით: 10-3.

მიუხედავად თამაშებში

სენაკის გამარჯვებისა, რადგანაც მარტვლაში გაიმარჯვა (წმინდა სისხლის ინგლისური ულაყი „ფლოქვი“; მხედარი — დათო იობაია, მწვრთნელი — ჯემალ ქორჩილავა) და დოლში II იყო, საერთო ჯამში 2010 წლის გუნდური I ადგილი აბაშამ მოიპოვა, სენაკს ცხენთვამოცდაში უმცირესი ქულები ხვდა და გამარჯვებულ გუნდს საერთო ჯამში 3 ქულით ჩამორჩა. III ადგილზე სამტრედია გავიდა.

შაგრამ მხოლოდ ჩასათვლელი ასპარეზობები ვერ გამოხატავს იმ საცხენოსნო ლხინს, რომელიც იმ დღეებში აბაშის ცხენთსარბიელზე იგრძნობოდა. დოლსა და მარტვლაში (ცალკეულ მეტატრონებთა ცხენების მონაწილეობა ნამდვილ ზეიმს უტოლდებოდა. ცხენ-მხედრები მოვიდნენ ბათუმიდან, ქუთაისიდან, გურიის სოფ. ვაკიჯვრიდან). მათ შორის ცნობილი მხედრებიც იყვნენ — მაღალი დონის ცხენთვამოცდის დროინდელი ოსტატი-უოკერი ანატოლი პავლოვი, პარდუბიცეს სტიპილჩინის ასპარეზობათა ერთ-ერთი დოლის ორგზის მონაწილე სოსო შელია, ყულარის ცხენსაშენის წმინდა სისხლის ულაყი „სანთელი“, რომელიც სიბერებში გურია-სამეგრელოს სარბიელზე იცავს თავისი ჯიშის სახელს.

აბაშის მუნიციპალიტეტის ცნობილი დიდი სათემო სოფლის — კეთილარის ახალგაზრდებმა უმოკლესი გზით რიონზე ნავით (დაიახ, ნავით და არა ბორნით) გადმოიყვანეს თავიანთი ბედაურები, რათა აბაშის ასპარეზობაზე დროულად მოხვედრილიყვნენ. „ჩვენ შეგვიძლია სრული გუნდიც გამოიყენოთ, თუ ამისი მოთხოვნა იქნება“, — მშვიდად და დაჯერებულად განაცხადეს მათ.

სწორედ ასეთი მოხალისების მოთხოვნით პროგრამაში ჩართეს ადგილობრივი ჯიშიბრივი ჯგუფის ცხენები. მსურველთა რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ მონაწილენი 2 ჯგუფად გაყვეს, მანძილიც „კლასიკური“ (დერბის) შეირჩა — 2400 მ (აბაშის სადოლე წრის ორგზის შემორბენა). მაყურებელმა გულთბილად მოულოცა 1 გარბენში ჩემპიონატის ერთადერთ ქალ მონაწილეს — თეონა ტყებუჩავას ლამაზი გამარჯვება. „აბაშური დერბი“ — ასე უწოდეს ამ დოლს და ეგებ დამკვიდრდეს კიდეც. როდესაც მეტი ყურადღებით მოეკიდე-

ბიან ცხენების შერჩევას, ახალბედა მხედრების ნახალისებას, აღბათ, იგი თავის მნიშვნელობასაც შეიძენს ხალხური სელექციის მხარდაჭერასა და ახალგაზრდობის აღზრდაში.

ჩემპიონატის აღმოჩენად შეიძლება მივიჩნიოთ მარტვილის ახალგაზრდული გუნდის გამოჩენა. ვფექტობ, ეს ჭბუკები მაღლი იტყვიან თავის სათქმელს და ხანმოკლე სასიმოვნო მოგონებად არ დარჩებან ხალხური (ცხენოსნობის ქომაგთა გულებში).

თამაშებში სენაკის გამარჯვება მოულოდნელი არ ყოფილა. მართალია, წლების მანძილზე სენაკს გუნდი აღარ გამოუყვანია, მაგრამ ცალკეული მოთამაშები მაინც განაგრძობდებინ ვარჯიშს. მეზობელი რაიონების გუნდებშიც გამოსუ-

ლან ჩემიონატებზე (ამისი უფლება ეროვნული ცხენოსნობის ფედერაციას აუცილებლად მიაჩნია). თანაც გუნდს დაუბრუნდა თავისი ლიდერი, ხალხური ცხენოსნობის ნამდვილი დიდოსტატი დემურ ლაშქარავა. თანაბათა ცვლა მხედრულ თამაშებშიც ჩვეული ამბავია, მაგრამ უფრო განგრძობითი ხასიათისაა (ეს „უპირატესობა მაინც აქვთ ცხენოსნებს, როგორც კლასიკოსებს, ისე „ხალხოსნებს“). ფეხბურთელის, თუნდაც თანამედროვე ჩიგბურთელის კრიტიკული ასაკი მათვათის სპორტული შესაძლებლების აკმეა! სამტრედიელთა აკადემიური, გამოკვეთილი ხელწერის გუნდის ვეტერანებმა — პავლე კაპანაძემ, ოთარ მარგიანმა, ისევე

როგორც აბაშელმა ენვერ ჭანტურიამ და სენაკელმა ზურაბ ჩარგაზიამ, მსაჯებს შეაშველეს ხელი, ამ 10-15 წლის წინ ერთმანეთის მჯობმა ძმებმა ბორუებმა სულაც მაყურებლისა და ქომაგის ტყავში ყოფნა გამოსცადეს. ასე რომ, „ძველ სამტრედიელთა“ სახეს მურად ფანცხავა და მშვენიერ თაფლა ანგლოარაპზე ამხედრებული სერგო კანდელაკი წარმოადგენდნენ და მათ რამდენიმე დახვეწილი ქრესტომათიული სათამაში ეპიზოდი შესთავაზეს კიდეც აბაშელ მაყურებელს.

საიხარულო სწორედ ისაა, რომ მაყურებელი უამრავი იყო. ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატზე რომელიმე გუნდმა შეიძლება მთელი სეზონის მანძილზე ვერ მოაგროვოს იმდენი გულშემატკივარი, რამდენიც სექტემბრის იმ ორ საღამოს აბაშის იპოდრომზე მოზღვავდა. ასპარეზობა კი წასადილებს (16 ს.) იწყებოდა და საღამოს რვის ნახევრისათვეს მთავრდებოდა. მთავარმა მსაჯმა ალექსანდრე ვადაჭორიამ და მინდვრის მსაჯმა, გალის ყოფილი საცხენოსნო კლუბის მთავარმა მწვრთნელმა, 1998-99 წლებში საქართველოს ჩემპიონის, თბილისის „ჟოკეი-კლუბის“ ან არარსებული ეროვნული ცხენოსნობის მოთამაშე მწვრთნელმა მარტონ ბაბაშვილამ (ა. ვადაჭორიამ ამ გუნდის მოთამაშე უფროსი იყო) უარი თქებას ლამის ტრადიციად დამკიდრებულ დროის მოგების ხერხზე: ცხენბურთის ტამებს შორის, შესვენებისას სხვა გუნდების ისინდის მატჩის ჩატარებაზე. პო, ასე დრო ნამდვილად გამოიზოგება, მაგრამ იკლებს მატჩის, როგორც დასრულებუ-



კახაბერ კიკიანი — „კავკასიის თასის“ გამარჯვებული

ლი სპორტული სანახაობის, მთლიანობაში აღქმის შესაძლებლობა. თთქმოს საცხენოსნო აპარატისაზე კი არა, რაღაც ჩასათვლელ ღონისძიებაზე შემოგეცდა ფეხი. ეს, ალბათ, სადაცოც არაა. მაგრამ იმას მოვაყოლე, რომ მაყურებელი ასე 3, 5 საათი იპოდრომზე იმყოფებოდა — ესე ივი ფეხზე იდგა! დიახ, ასეა. აპაშის ცხენთსარბელის ტრიბუნის ლითონის ჩინჩხი კი შემორჩენილია, მაგრამ დასასხდომი ფიცრანაგი ხელახლა დასაგებია. აპაშის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბ-ნი გურამ გურავა, ვინც მხნე, გულიანი მიმართვით გახსნა ასპარეზობა, შეპარდა კიდეც ა. ვადაფერიას, რომ სულ მაღლე დაინტენციალი სარბელის კეთილმოწყობა; ტენდერიც ჩატარებულა. ასე რომ, ზამთრის დადგომამდეც მოსალოდნელია, რაიმე შეჯიბრი გამართოს აპაშის განახლებულ იპოდრომზე, რომელსაც ბუნებრივი სიკეთე ნამდვილად არ აკლია, ყოველმხრივ ისეა შემკული, როგორც კოლხეთის ჭალებისა და კორომების წიაღში შეიძლება დაიბერტყოს ღვთის კალთა; ისევე, როგორც სულ ცოტა ხნის წინ თბილისში, დელისის იპოდრომზე ტრიალება და ღვთის თვალი. მაგრამ აპაშელებმა შეძლეს ამ ცხენთსარბელის შენარჩუნება. დედაქალაქზე ეს ვერ მოხერხდა....

ამით უნდა დაგვემთავრებინა, მაგრამ ყოფილმა დელისის იპოდრომში, უფრო ზუსტად — მისმა ერთმა ნაკვეთმა, საკონკურსო მოედანმა კვლავ გაუწია სამსახურის საქართველოს (და არა მარტო ჩევნი ქეეპნის) ცხენსანობას: აპაშის ჩემისინატის ზუსტად კვირის სწორზე აქ ჩატარდა „კავკასიის თასის“ მორიგი გათამაშების დასკვნითი ასპარეზობა. ამ ტურნირზე ზემოთ ვთქვით ორიოდ სიტყვა და 2000 წლიდან მოყოლებულ პერიპეტიობზე ახლა ველარ მოგითხრობთ. აზერბაიჯანელთა უპირატესობა (ძირითადი ცხენებით) პირველ ორ კონკურსივე დაჩრნდა, მაგრამ უშუალოდ თასის და საეტაპო გათამაშებაზე ჩევნია მხედრებმა იმარჯვეს: თასი მოიპოვა კახაბერ კიკიანმა. მან რთული მარშრუტი უჯარიმოდ გაიარა და საკონტროლო დროის 1 წამით გადაცილებისათვის 1 საჯარომ ქულა მიიღო, II იყო მრავალი საერთაშორისო ასპარეზობის მონანილე ბულგარელი ვენტო ტენევი (-3), III — გაგა თოხაძე (-4). კახაბერი და გაგა საქართველოს გუნდის უსუცესა და უმრნემესი მონანილენი არიან. თავისთავად ჭაბუკი გ. თოხაძისათვის „კავკასიის თასის“ ასპარეზობაზე შეკრებილი გამოცდლი მხედრების ჯგუფში მესამე ადგილის ალება დიდი გამარჯვებაა, ხოლო რადგანაც კ. კიკიანს და II ადგილზე გასულ კ. ტენევს, რომლებიც ორ-ორი ცხენით გამოდიოდნენ, საეტაპო შედგის საჩვენებლად სხვა პედაურები ჰყავდათ დათქმული, ეს ჯილდო გაგას ხვდა წილად. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ გაგა ყულარის ცხენსაშენის წმინდა სისხლის ულაყ „ეროსზე“ იჯდა. ასე რომ, მათ ჩევნი მეცხენობას სახელიც დაიცვეს.

„ჩევნი მეცრლობის“ რედაქციის სახელით ვულოცავ მათ და „თბილისის იპოდრომის“ მწვრთნელებს — მარდონ ლაბაშიას, ზურაბ ღუნდუას, გელა ტატანაშვილს ამ გამარჯვებას. ეს ყველაფერი „აპაშის დერბის“ სასიხარულო გაგრძელება იყო...

თათია ჯგუშია

ღიად დაცურული პარატეპი

არ მიმიხურავს ფანჯრები, მხოლოდ შალის უმძიმესი ფარდები ჩამოვაფარები, მაგრამ მსუსავმა, ლურჯმა პერმა მაინც გამოაღწია უზეში ქსოვალიდის ნასვრეტებიდნ, შებლი გამიგრილა.

ჩამოვხსენი ნათურები, ქალების უდარუნი სამგლოვიარო მარშივით გაისმა. მოვაშიშვლე კედელები, თაროები, ასანთის კოლოფილს ტოლა უკრები და მთელი ჩემი სამყარო ერთ ჩანთაში ჩავატიო.

სოფლის ბოლოში მინა ამოვჩორენე, თავიდან მშრალი იყო, ფხვიერი, მერე სისველე ვიგრძენი, მუხის ფესვებით ლონიერად დაძარღვულ ნიაღამდე ჩავედა, ნერვებივთ ამოვართვი და მეტკინა. თითები არა, ფესვები, როგორც ბავშვებს ეწვით ფედის გაჭრილი თითო.

შიგ გამოიტან ამტჭრილ გაზეცემა, გუაშის კოლოფებს, ფარგანების პერპარიუმს, წილები ზონირ შეკრეულ ფოტოებს, დედის ხელშენავლებ ნამცხვრის რეცეპტებს, თმის სარჭებს, აბებს. მერე მინას სველი საბანივით ვაფარებ და... მოვაითხავ ხოლმე — წმ. ავგუსტინეს სანუგეშოთი, პიონერი და ფურისულებით.

ამ დღიდნ სახლი ვედარ შემომაგებებს ჩემსავე თავს, სიცარიელე გაცილებით მსუსება, ვიდრე წლობით ნაგროვები, ნათილისმარ ნივთები. შემომრჩა მხოლოდ ბარათები, რომელთა ერთადერთი ლირსება ის არის, რომ ადრესატამდე არ მისულან. ამ ქალალდებიდან შეიძლება გავაკეთო ვარსკვლავები, ღრუბლის ქულები, მაგნოლიები... ირგვლივ შემოვილაგო და მიხაროდეს, რომ მათ არ ვატკინე, განცყობები არ გადავდე მომავდონებელ ციებასავით.

ეს ღიად დახურული ბარათები.

„ნერილი დედას“ — აქ ხშირად მეზობლის ფანჯრიდან ლიმნინაინა ქადების სური ვარება, მსოლოდ გრილის სურნელი, შენ ხლების სითბო არ ხსევს, მე მაინც ჩემს რთაში ვიტყუშებ და მერე საჩქაროდ ვგმანოვ კარს, დარაბებს. დედა ხარ და უნდა ყველები იყო, სადაც ჩემი თვალი და ყონსვა მიწვდება. ვიცი, ეს ზამთარი გადავა და ზაფხულის პირას უთუოდ მოხვალ...

„ნერილი გარდაცვლილ მეგობარს“ — მუყოსგან პატარა კოლოფი გავაკეთე, შიგ ორი ლერი მატიტელა ჩავაფინებ და კიდევ ციცინას თელები, დალამდე დავდევდი. შენ ვარსკვლავები უნდა გამომიგზავნო. ვსასაც რაზე მიწურდება ხელი, მის მიხედვით! აქ სულ ქეხს, ცისკენ კაბე ირყევა და შენთან ვერ მოვდივარ, ვიცი, არ მიწყენ...

„ნერილი ბავშვობას“ — ტუჩებზე შემხმარი რე კირად გადამექცა. მე არ მახსოვს ზღაპრები ასეთი დასასარულით!!!

„ნერილი კაფას“ — „მე სხვა ქალაქში ვარ, იგი არც ძელია, არც ლურჯი, არც წითელასხურავებიანი, მაგრამ გამუდმებით ჩამესმის, ქუჩაში შავი პალტოს ტოტებს რომ მიითოვე, ყოველ სალამის ჩემს ფანჯარისთან ბასრი პროფილი რომ ჩაივლის ხოლმე, შენია. უკაცრიელო! მარტობა რომ გამიტკბლე, და მაინც ძალიან ჩემი, ღრუბლიდან საგრძები და სიტყვები დამატებითი მიმართულებებს იძენებ და მეშინია, უცნაურ და შემზარავ ღამის ფრინველად არ გადავიტცე, რადგან ფიტნების მახასიათის გადახდა გარემონავისავით...

„ნერილი შობენს მეოცე ნოკტიურნისთვის“ — ჯერი ეირივით უშორდ შეჭრილი თმებით რაგაზე რომ მოვალათდები, კი არ ვუსმენ, ასე მგონია ქარვის-ფერ ბურთულებს ვაგონებ ხელისგულზე, მე დროს ქალაქში მოდის წვერი და ყვითელ ნოტებს სულის ფსკორისკნ მივიტრენ სასწრავოდ. შერალად, ხელულებლად რომ შემიმრჩეს, სათუთად შეკონინებული იკანანებივთ. წვიმს და სამიდ რაკუნებენ ქარვის ბურთულები ჩემს ხელისგულზე...

„ნერილი მზეს“ — აღარ მიყეარხა, დედას გეფიცები! წყვდიადს ალლობ და ოთახს კი მინათებ, მაგრამ ჩემი კედლები დაბზარულია, ფარდაზე ნაქარგები — ამონინებილი. მოდიხარ, რომ და ბარები, და ბარები ასეთი დასასარულით!!!

„ნერილი კაფას“ — თქვენ გეალი ვარ, ალე ძელია, არც ლურჯი, არც წითელასხურავებიანი, მაგრამ გამუდმებით ჩამესმის, ქუჩაში შავი პალტოს ტოტებს რომ მიითოვე, ყოველ სალამის ჩემს ფანჯარისთან ბასრი პროფილი რომ ჩაივლის ხოლმე, შენია. უკაცრიელო! მარტობა რომ გამიტკბლე, და მაინც ძალიან ჩემი, ღრუბლიდან საგრძები და სიტყვები დამატებითი მიმართულებებს იძენებ და მეშინია, უცნაურ და შემზარავ ღამის ფრინველად არ გადავიტცე, რადგან ფიტნების მახასიათის გადახდა გარემონავისავით...

„ნერილი მზეს“ — აღარ მიყეარხა, დედას გეფიცები! წყვდიადს ალლობ და ოთახს კი მინათებ, მაგრამ ჩემი კედლები დაბზარულია, ფარდაზე ნაქარგები — ამონინებილი. მოდიხარ, რომ და ბარები, და ბარები ასეთი დასასარულით!!!

და ბოლოს,

„ნერილი ადამიანებს“ — თქვენ კენ მომართული ყველა ბრალდება

ათასჯერ გამოვლილია პირსა და გულში, კარგად შეფულულიც, მევახეც,

შეფულულიც, პრიდაპირიც, როგორ გყვეიროთ „ნილბები!“ როცა მე თვითონ შინიდან გასვლის წინ ვარდისფერი ფანქრით ვიხატავ პირზე ლიმილს.

ვიქენები ჩუმად, უბრალოდ: მე აღარასდროს ამოვალ იმ ავტობუსში, სა-

იდანაც თქვენ უადგილობის გამო ჩამომსვით!

* * *

ამ კანონს სტალინი საგანგებოდ შემოიღებდა გიორგი უკუკვის მოსახლეობად.

უამისოდ ცოტა არ იყოს სახიფათო გახლდათ ასეთი ნაბიჯის გადადგმა. იქნებ ვერც ვერაფერი გაებედა უმაღლესი მთავარსარდლის უკვე გადაყენებულ მრადილეს, მაგრამ უცრად რომ აედა თავზე ხელი და ჯარიბის მობილიზება და დაუმორჩილებლობა გამოეცხადებინა? დიდი სახლი მოეხვეჭა გერმანიის დამარცხების ჟამს და მის ზეგავლენა ერთხანს მოხსნის შემდეგაც შენარჩუნდებოდა სამხედროებზე. ამიტომაც დაისაჭიროებდა საბჭოთა იმპერატორი და უმაღლესი მთავარსარდალი ამ ახალი მუხლის ჩამატებას, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერი თანამდებობის პირი ჰკარგავდა ყოველგარ ძალაუფლებას, როგორც კი თვითმშრინავში ჩაჯდებოდა.

გემსა თუ მატარებელში კვლავაც უფლებამოსილად ითვლებოდა, დედამინის უკიდურეს მხარეშიც რომ გამგზავრებულიყო, მაშინაც ინარჩუნებდა და მაღალჩინოსანი გავლენას.

ერთადერთი თვითმშრინავი დადგინდებოდა იმ უჩვეულო გარემოდ, სადაც მინისტრებიც და სხვა პოლიტიკური ბობოლებიც ჩვეულებრივ მოქალაქებად გადაიქცეოდნენ და იქდან გაცემულ მათ ბრძანებას არავითარ მნიშვნელობა აღარ ენიჭებოდა.

ტრაპიდან ტრაპამდე სრულიად უმწეონ ხდებოდნენ.

და დაუშვებოდნენ თუ არა ტრაპზე, მინას ჯერ რომც არ შეხებოდნენ, მათი ბრძანება უკვე ჭრიდა.

რაღა ანთონი, ჰაერში ატაცებული, და რაღა საბჭოთა მაღალჩინოსანი თვითმშრინავში!..

უკუკვი აინუშიაც არ ჩაგდება ამ ახალი კანონის შემოღებას, რას ნარმოიდებენდა, მისთვის თუ გამიზნულიყო, მას თუ ეცლებოდა დასაყრდენი... მაგრამ სულ ცოტა ხაში თვითმფრინავში მოქალათდებოდა თუ არა, სასწრაფოდ გაიცემოდა ბრძანება მის მოსახსნელად და, ტრაპზე გადმოსულს მაშინვე რომ ამცნობდნენ, მოხსნილი ბრძანდებით, უსიტყვოდ დაემორჩილებოდა იმპერატორის ამ გადაწყვეტილებას.

ასე მარჯვედ მოგვარდებოდა ეს განზრახვა და ალბათ კიდეც მიავინცყდებოდა სტალინს ეს კანონი — უკუკვისხელა პოპულარობა სხვას არავის ჰქონია, მანიცდამაინც თვითმფრინავი რომ დასჭირებოდა მის გასასტუმრებლად თანამდებობიდან პენსიაზე, კატორლაში თუ სულაც მოუსავლეთში.

გიორგი ლეონიძე კი გამოიყენებდა და...

იმხანად ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს დირექტორობდა და ძალაში კარგი ურთიერთობაც ჰქონდა თავის მოადგილესთან, გიორგი ციციშვილთან — დაუზარელ, ენერგიულ, გულითად პიროვნებასთან. მაგრამ ბევრი მოშურნე გამოუჩინდებოდა ამ ურთიერთობას და ისე შეუჩინდებოდნეს „ნიზამინის“ შემოქმედს, ბოლოსდაბოლოს გულს ააყრევინებდნენ მოადგილეზე და ისიც საბაბს დაუწყებდა ძებნას მის მოსაშორებლად.

ხელზე ვერაფერს დაიხვევდა.

საბჭოს სხდომებზე აქეთ-იქიდან რომ წამოესეოდნენ გიორგი ციციშვილს და მის გამტყუნებასა და დისკრედიტირებას მოინდომებდნენ, ის თავისი ორატორული უნარით ადვილად გაუსწორდებოდა მოწინააღმდეგებს.

რა გინდა იღონო?

უფლება არა გაქვს, რომ შვებულებაში გაუშვა ან მივლინებით და დრო იხელთო.

მობრუნებული სასამართლოში იჩივლებს და იოლად აღადგენინებს თავს.

აი, მაშინას, გიორგი ლეონიძეს იმ კანონის არსებობას რომ ჩააწევთებენ.

ისიც დროს შეურჩევს და, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტსაც მოუვა თუ არა მინვევა შუა აზიდან დიდ სამეცნიერო ფორუმში მონაწილეობის მისაღებად, დირექტორი სასწრაფოდ გამოიძახებს მოადგილეს: მე ვერ მიხერხდება წასვლა და, აბა, შენ იცი, როგორ ასახელებ ჩვენს ინსტიტუტსაც და მთელ საქართველოსაც, შენისთანა რუსული განა ვინ იცის, ძლიერ ახერხებენ ორი სიტყვის გადაბმას ერთმანეთზე, შენ კი წყალივთ მოგედინება სიტყვაო.

სიამე გადაეფინებოდა სახეზე მოადგილეს და ისე გაემგზავრებოდა დავალების შესასრულებლად, რომ წამითაც არაფერში დაეჭვდებოდა, თორემ მატარებლებს გამოიცვლიდა და თვითმფრინავს ახლოსაც არ გაეკარებოდა.

თავისი ნებით როგორ ჩადგამდა ხაფანგში ფეხს!..

და მოწყდებოდა თუ არა თვითმფრინავი მინას, წუთის დაუკარგავად გაშანდალდებოდა ბრძანება მისი მოხსნის თაობაზე. თუმც შეტყობინებით იქ არ შეატყობინებდნენ — დაე მოეხიბლა ფორუმის მონაწილენი ენამჭევრობითა და ენერგიულობით.

შინ ტრიუმფით დაბრუნებული... ვერსად ვეღარაფერს გაასახივრებდა.

უკუკვისათვის შემოღებული კანონი მასაც საბედისწეროდ გაუხედებოდა.

თუმც ამაღდ ზემოდნენ მისი მეტოქენი თუ მოშურნენი, კარიერა სამუდაოდ დავუსამარეთო. გავიდოდა წლები და გიორგი ციციშვილი ისეთ აღმასვლას დაიწყებდა, თანამდებობებსა და რეგალიებს უხვად მოხვევჭდა — ლიტერატურის ინსტიტუტს სულაც დირექტორად მოეღლონებოდა, მწერალთა კავშირის გამეობის მდივნადაც დანიშნებოდა და თავმჯდომარებასაც გამოჰკავდა ხელს, მეცნიერებათა აკადემიაში რომ აირჩევდნენ, აკადემიკოს-მდივანიც გახდებოდა და ჰუმანიტარული სფერო მთლიანად მას ჩაპარებოდა.

ჯერ აღმასვლის გზაზე, როდესაც მსახიობის სახლში გიორგი ლეონიძის დაბადებითი 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართება და მოხსენების წაკითხვას სთხოვენ.

ზეპირად გამოვიდოდა გიორგი ციციშვილი, როგორც სჩვერდა, და ერთი საათი მოუწყინრად და გატაცებით ილაპარაკებ-



და ამ დიდებულ შემოქმედსა და პიროვნებაზე, ექსპრესიულად წარმოსახავდა მის პოეზიასაც, პროზასაც, სამეცნიერო მექანიკურობასაც, და ადამიანურ თვისებებზეც საკმაოდ გააგრძელებდა საუბარს. ახსენებდა მის ბავშვურ გულს, ხელგამლობას, უშურველობას... მომლენობასაც არ გამოტოვებდა... და ამ აღტაცებულ მსჯელობაში უეცრად ეს ფრაზაც გაიელვებდა:

— ცოტა უცნაურობა კი სჩვეოდა ბატონ გიორგის, თვითმფრინავში უყვარდა ადამიანების მოხსნა!..

ოღონდ ეს ისე, სხვათაშორის, რაკილა მოხსენების ეგზალტირებული პათოსი ბოლომდე არ ჩაცხრებოდა.

ტაშის გრიალში დაუბრუნდებოდა თავის სკომის.

ის ფრაზა თავისთავად გამორეოდა გიორგი ლეონიძის ფსიქოლოგიური პორტრეტის გააზრებას — მეტი სისრულისათვის. წყენისა არ გახლდათ, ეგაა, ის ეპიზოდი განე-

ზოგადებინა, რაკილა სხვაგვარად მიზეზს ვერა ხსნიდა, მასავით ერთგული და დაუზარელი კაცი რატომ უნდა გამოეშვა დირექტორს მოადგილეობიდა.

ეფიქრა, თავი ემტვრია და ბოლოს ამ დასკვნამდე მისულიყო: ეტყობა, ეს ერთი ახირება ჰქონდა, თვითმფრინავში უყვარდა ადამიანების მოხსნა და მეც ამ ახირებას შევეწირე უნებურად.

დიდი პოეტის ბუნებისათვის ნიშანდობლივ ბავშვურ თამაშებში, როგორც ჩანს, ამგვარი საქციელიც იგულისხმება.

ისე ეს ფრაზა ბევრს ჩარჩა გონებაში და რამდენიმე მეც მკითხავდა, ხომ არ იცი, რას ნიშნავს ეს „თვითმფრინავში უყვარდა ადამიანების მოხსნაო“.

არა, მაგრამ იმედი მაქსეს გავარკვევ, მეც ძალიან დავინტერესდი-მეთქი, — მივუგებდი.

* * *

დაკვეთილით აღტაცების დაუსრულებელ მდინარებაში, საბჭოთა ეპოქას რომ სჩვეოდა, ხელოვანთ ისიც დაევალებოდათ, რომ ხან მთილინ ბარში ჩამოსახლების პროცესით აღფრთვანებულიყვნენ და ხანაც მთის აღორინებით.

80-იანი წლების დასაწყისიც მთაში ხალხის აბრუნების მოწოდება-შეგულიანებით აღინიშნებოდა და ზეიმიც ზეიმს მიეწყობოდა ამ პარტიულ-სამთავრობო დადგენილების დასამშვენებლად.

შატილში გრანდიოზული ზეიმი გაიმართებოდა —

სპექტაკლივით დეტალურად გათვლილ-გაანგარიშებული.

ალექსი ჭინჭარაულს თავისი შთაბეჭდილება დარჩებოდა და ამ ყველაფერზე და გულისთქმას კაფიას მიანდობდა:


ტაში, ტაში, ხევსურებო,
სიმღერა და ცეკვა ხშირი!
რაც მთავრობამ დაგვინგრია,
აგვიშენებს ცეკავშირი.

ვახუშტი კოტეტიშვილს ძალიან მოეწონებოდა მეგობრის ეს ექსპრომტიც და სამთავრობო სუფრაზე თამადობისას მოიშველიებდა, თუმც, ცხადა, იფრთხილებდა და „მცირედენ“ შესწორებას შეიტანდა: ნაცვლად „მთავრობისა“, იმ წუთას „უამთასვლას“ ამჯობინებდა, და სტრიქონიც ასე გამართებოდა: რაც უამთასვლამ დაგვინგრიაო.

პოლიტიკური პროტესტი ერთბაშად გაქრებოდა!..

სუფრის წევრები აღტაცების კიუინას დასცუმდნენ — ეპიგრამის ეფექტი მოგეხსენებათ... და ედუარდ შევარდნაძეც მოწონებას რომ გამოთქვამდა, ამასაც დასძენდა ცეკასმდივნობისდროინდელი სიცილით — გულღიად გადახსნილი ტუჩები, ტუჩებს ზემოთ კი გაყინული სახე და ავადმომზირალი მზერა:

— თავდაპირველ ვერსიაში ხომ „მთავრობა“ ითქვა?!



მხატვარი ზაალ სულაკაური

— მოშავდნე!

გარშემომყოფი გაიციებდნენ და აღტაცებასაც ვერ დამალავდნენ: რა ენა გაქვს, რა ენა, ეს მაინც რამ გათქმევინა, ერთ სიტყვაში ამდენი რამ როგორ ჩატიე, ასეთი ნეოლოგიზმი მწერლებს შეეხარბებათ.

ედუარდ შევარდნაძე ცხედარს შემოუვლიდა და გარეთ გამოსული, ვიდრე მანქანისაკენ დაიძრებოდა, სახელოვან კომპოზიტორზე შეიჩერებდა მზერას და:

— ბიძინა, ჩვენ ახლა წანაშვიდნებით!

ჩვეული სიცილით გაიციებდა და... კიდეც გაქრებოდა. წახდენით არ წახდებოდა ბიძინა კვერნაძე, მაგრამ გაოცება როგორ არ აღხეჭდილა სახეზე: ასე წამებში ვინ და როგორ აცნობა, ჩემთვის რალაც ჩავილაპარაკეო.

იმას ეს მოულებნელობის ეფექტიც ძალიან სამოვნებდა და ახლა ვახუშტი კოტეტიშვილს დაახვედრებდა ორლეს: შენია მეგობარმა აკი დანგრევა მთავრობის ნამოქმედარად გამოაცხადა, შენ დღრო-ჟამს რატომ გადაულოცეო?!

...სოფლის შენების ეს ყაიდა თუ რას მოასწავებდა, სულხანსაბა ორბელიანს უკვე გამოეთქვა სიბრძნე-სიცრუის წიგნში ძაღლისა და მამლის არაკით დაუფრო მეტს ვერც პარტიულად ორგანიზებული „მთის აღორძინების“ პროექტი მოიტანდა.

წარსულისა ყველაფერი იცოდა სულხან-საბამ და მომავლისასაც ყველაფერს ჭვრეტდა...

ვაჟას სამყარო ბავშვობიდანვე გარს ერტყა. მთებს მისი თვალით შეჰქურებდა, მდინარის შეული ჯერ ვაჟას ლექსებში გამოივლიდა და ყურთასმენას მერე აღწევდა. საქართველოზე ნათქვამ აფორიზმს თავისებურად იმეორებდა: „სხვაგან სად არის ვაჟას ბუნება, სხვაგან სად ხარობს დეკა და ქუჩი“.

იორს მიმართავს: გეფიცები, კაცი მგონისარ და ამიტომაც გესაუბრებიო. უმალვე ხედება, ეს პანგი საიდან მოდის და დასძენს: „ვაჟამაც აქო შენი ტალლები“.

ელანდება კიდეც მისა სახება და არცთუ ძნელად მისახელი მეტაფორით გვიხატავს ლექსის დაბადებას დიდებული პოეტის გონებაში: „დამარცვლავს დინჯად კრიალისანს დალალულ ხელში, შეათამაშებს და დაიხვევს თითზე ნახევარს, დაექებს უცხოს მისთვის ნაცნობ მძივების ფერში, დააკვირდება თვითული თითის გარხევას“.

ქართული პოეზიის დევი (როგორც ტიციან ტაბიძე უწოდებდა) იმდენად ძალგულოვანი და ყოვლის-შემძლე ჰერნია, რომ ილია ჭავჭავაძისადმი მიძლვნილ ლექსში დრო-უამის უკან დაბრუნებას ნატრობს და თავის ფალავანს ზღაპრული მხსნელის როლს ანიჭებს: „როცა მტრული ხელი გელავდა, როცა გული ჩერდებოდა, ჩარგლის ლომი სადა გყავდა, მარჯვედ ნამოგშველებოდა“.

მოძღვარი, მსაჯული, ზედამხედველი, ყურის ამწევი თუ ტაშის დამკვრელი, ნამდვილი მამობილი — ყველაფერი იყო მირზა გელოვანისათვის მისი ბუმბერაზი თვისტომი და ლამის კარის მეზობელი. რამდენი კილომეტრია თიანეთიდან ჩარგლამდე? თუნდაც ასი იყოს, ერთი და იმავე ფერის ღრუბლები დასტრიალებენ თავს, ერთი და იმავე ჯიშის თოვლი ეფინებათ, ერთნაირად თენდება და ლამდება, ლამდამობით კი ერთი და იგივე მოჩვენებანი აკაკუნებენ კარზე, გვშია, გვცივაო.

და აი, უცრად, 1938 წელს, ოცდაერთი წლის მირზა გელოვანი ნერს ლექსს სათაურით „მწყემსის მუქარა“.

შეუძლებელია დავიწყებოდა, რომ ნახევარი საუკუნის წინათ ვაჟა-ფშაველას ამავე სათაურით ჰქონდა გამოქვეყნებული ლექსი. და მანც ასე დაარქვა. ამასთან, შინაარსიც შორს არ გასცდენა ვაჟასეულ ნაწერს ანუ დედანს. ოლონდ მირზას ლექსი უფრო ვრცელია და უფრო დაუდეგარი.

საყველთაოდ ცნობილი სიუჟეტების ხელახლა და არაერთგზის დამუშავებას საკმაოდ თვალსაჩინო ადგილი უჭირავს შესა საუკუნეთა მწერლიბაში.

ასე მაგალითად, ხალხურმა ლეგენდამ ფაუსტზე დიდრონი თუ მომცრო წიგნების მთელი წევება ნარმოქმნა. ისეთმა ცნობილმა მწერლებმა სცადეს თავისი კალამი, როგორებიც იყენებ ინგლისელი მარლო და გერმანელი ლესინგი. დასარულ, გოეთემ ბრწყინვალე წერტილი დაუსვა გამოცდილ თუ გამოუცდელ ავტორთა ჭიდოლს უკვდავ თემასთან.

სიუჟეტის განმეორება განსაკუთრებით გავრცელებული იყო აღმოსავლურ პოეზიაში. არავის ეთაკილებოდა ერთხელ

დევთან ჭიდილი გააჩადვინა

თუ არაერთხელ თქმულის გარდათქმა. არავინ ერიდებოდა თუნდაც სახელმოხვეჭილი წინამორბედის გამოწვევას შეჯიბრში. საკმარისია აღინიშნოს, რომ სპარსულ ენაზე აღნუსხულია არაბული წყაროდან ნასესხები „ლეილ-მაჯნუნიანის“ სამოცამდე ვერსია (ერთიც ქართული დაურთოთ!).

არც ჩვენ მოგვკლებია ამ მოვლენის მადლი. აღმოსავლური ნიმუშების გადმოქართულებასთან ერთად ამას ადასტურებს „ვეფხისტყაოსნის“ ჩანართება და გაგრძელებანი.

ვაჟა-ფშაველას „მწყემსის მუქარა“ ყოფაცხოვრებით ჩარჩინებში ეტეოდა. სრულიად სხვა სულისკვეთებას გვიმუშლავნებს მირზა გელოვანის ლექსი — ჭაბუკური გახელებისა და თავანყვეტის თავბრუდამხვევი სურათი. აյ ასახულია ქალის მოტაცება და ლურჯა ცხენის გაფრენა ქარმოდებულ მთებში. მდევარიც კვალდაკვალ მისდევთ („მომკიოდეს შენი ქმარი ასი მეომარითა“). მწყემსის მუქარა ჰიპერბოლის ფრთებს ისხამს: ასივეს დავკრავ და ასივეს დავაწვენო. მერე რალა იქნება? მერე იქნება ალერსი ბალაზი და მერე კო — რაც იქნება, ის იყოს — გინდ დაჩეხონ... ხანმოკლე სიყვარულისათვის სიცოცხლეც არ ენანება.

ეს ოცნებაა მწყემსისა და მუქარის შესასრულებლად გულმოდგინედ ემზადება. ბრაზიანი და გახელებული შავ დანას ლესავს, შავ ლამეს ელოდება, რომ ქალს კარი შეულენს, ჩაეხუტოს, ჩაევის და მერე, რაც იქნება, ის იყოს — გინდ დაჩეხონ და გინდაც გადაჩეხონ.

ერთი სიტყვით, ოცდაერთი წლის მირზა გელოვანი დაუსწრებელ ორთაბრძოლაში ინვეს ანგარიში წლის ვაჟა-ფშაველას, მალე ქართული პოეზიის დევად რომ წამოიმართება.

დევთან, თუნდაც მოზარდთან, ჭიდილი ვინ გაიგონა, ასეთი რამ მარტორდეს ზღაპრებში გვხვდება, მაგრამ საკუთარი ძალ-ღონის გამოცდა სწორედ დევთან ეგების და დამარცხებაც კი აამალებს უთანასწორო ორთაბრძოლაში თავისი ნებით გასულ ახალგაზრდა პოეტს.

მირზა გელოვანი მოხიბლა ნახევარი საუკუნის წინათ დანერილმა „მწყემსის მუქარა“-მ. მისი სული დიდი ვნებით დამუშავება და ბრძნებული უბრალოება დედნისა ფერად ზმანებად აამეტყველა. თითქოს ვარჯიშობდა, ამ თემაზე რა შეიძლება დაინეროს ყველაზე მძაფრი და გულანთებული, რომ ყველოს სტრიქონი, თავისი პირქუში და მდევარი იერით, შეესატყვისებოდეს იმ საოცარ სამყაროს, რომელსაც მთანი მაღალი ჰქვია — მარადოვლიან მწვერვალებს, პიტალო კლდეებს, ჩაბნელებულ ხეობებსა და გაგიჟებულ მდინარეებს რომ შეუქმნიათ.

„შემი გენის ერთი ბეწვია, უფრო მეტია ნისლი“, — ვკითხულობთ მირზა გელოვანის შინაგან მონოლოგში. ვინ იცის, ეგებ, სწორედ „მწყემსის მუქარა“ იყო აღმოკლება იმ „ერთი ბეწვი გენისა“, რომელმაც ახალგაზრდა პოეტი ასე გაათამამა და დევთან ჭიდილი გააბედვინა.



აგნეს სმედლი, სახელგანთქ-
მული ამერიკელი ჟურნალისტი
ქალი, 1950 წელს, ორმოცდათვეებ-
სმეტი წლისა, გარდაცვლილა

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე შეუდგენია ანდერძი, ექ-
სტრავაგანტურ ანდერძთა კოლექციიში შეტანას რომ იმსახურებს.

აგნეს სმედლი თავისი მასული და უძრავ-მოძრავი ქრისტენი უნ-
დერძა... ვერ გამოიცობთ, ვის უანდერძი! ვის და გენერალ ჯუ დეს,
რომელიც 1945-54 წლებში ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი
არმის მთავარსარდალი იყო (სხვათა შორის, ეს ის ჯუ დე გახლავთ,
რომელიც 1956 წლის მარტის ღორსახსოვან დღეებში თბილისში,
კრინანისა აგარა ჯზე, იმყოფებოდა სტუმრად და ქართველ სტუდენტ-
თა დალეგაცია ეახლა იქ, რათა მისი მხარდაჭერ მოეხვეჭათ სტალი-
ნის სახელის დასაცავად ნამოწყებულ მშვიდობიან ბრძოლში. „ჯუ დე,
ჯუ დე!“ — ჩვეულებისამებრ სკანდირებდა ლამის მთელი თბილისი).

აგნეს სმედლი ისე გამოიხსალმა წუთისოფელს, რომ ვერ მო-
ასწრო დაემთავრებინა წერა ჯუ დეს ბიორგაფიისა. ანდერძში მი-
თითებული იყო, რომ მოხედინათ მისი ცხელის კრემაცია, ხოლო
ნეშტი მოეთავსებინათ იქ, „სადაც დაადგენდა გენერალი ჯუ დე“.

ურნა აგნეს სმედლის ფერფლით დაკრძალეს პერინი დიდი პტი-
ვით. ცერძონიას ესწრობდა ათასამდე კაცი, მათ შორის — რმდე-
ნიმე მაღალიჩნავანი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობიდან.

თუკი გავეცნობით აგნეს სმედლის ცხოვრებას და მოღვაწეო-
ბას, ალბათ, აღარ გაგიკვირდება არც მისი ანდერძი და არც
დაკრძალვა პერინი.

ამერიკელი მკვლევარები ნორმან პოლმარი და ტომას ალენი
აღნიშვნელ, რომ აგნეს სმედლი სანგრძლივი დროის მანძილზე
უშუალოდ იყო დაკავშირებული დაზვერებას და შპიონაჟთან.

ყმანვილექალობიანვე გატაცებული ყოფილა რევოლუციუ-
რი იდეალიზმის იდეებით. მონანილეობდა ინდოელთა რევოლუ-
ციურ მოძრაობაში. 1928 წელს გაემგზავრა ჩინეთში გერმანული
გაზეთის „ფრანცურტერ ცატუნგის“ კორესპონდენტად (შემდ-
გომში თანაბრძომლობდა „მანჩესტერ გარდანთაა“). მუშაობდა
შანსაშით. სწორედ იქ გაცხო სახელგანთქმული საბჭოთა შზევ-
რავი რისად ზოგად და დაუახლოვდა. სხორცე აგნესის ბინაში
იყო მოთავსებული ზორგეს იატაკებებმა რაცია. სმედლიმ ზორგეს
გაცნო თავისი იაპონელი მეგობარი ოდაკი ჰიცუმი, რომელიც
საბჭოთა მზევრავის მთავარი მრინეველი გახდა.

ზორგე მოგვიანებით დაწერს: „ერთადერთი ადამიანი ჩინეთ-
ში, ვისაც ვენდობოდი, იყო აგნეს სმედლი. მისი სახელი პირვე-
ლად ჯერ კიდევ ევროპაში გავიგე. მისი დახმარებით მოეუყარე
თავი ჩემს ჯგუფს ჩინეთში; განხაცუორებით მნიშვნელოვანი იყო
მისი მოსაზრებანი ჩინელ ამხანაგთა კანდიდატურების შესახებ“.

მთელ წინასწარ სამუშაოს აგნეტის ასაყვანად და საქმის
კურსში ჩასაყიდვებად აგნეს სმედლი.

აგნეს სმედლი

როდესაც 1933 წელს ზორგე
ჩინეთიდან იაპონიაში გადაბარ-
გდა, სმედლიმ, ჯანმრთელობის
გამოსაკეთებლად, მოსკოვს მი-
აშერა. ორი წლის შემდეგ კი ისევ ჩინეთში ამოცყო თავი.

აგნესს, მოუხედავად თავისი არაერთ სატრიფილო რომანისა
(თორამეტი წლისა გათხოვდა და მალევე გამოორხოვდა), რატომდაც
კაცის სამისალი ერჩინგა ქალისა და გასული საუკუნის ოცდაათი-
ანი წლების დამლევა ჩინელ კომუნისტთა კონტროლებებში მოქცეულ
ტერიტორიაზე წითელარმიელის ფორმით დაბრძანდებოდა.

სერ არჩიბალდ ელარ-კერი, სწორედ იმსანად ინგლისის ელ-
ჩი რომ იყო ჩინეთში, სმედლის უწოდებდა „ერთ-ერთ უდიდებუ-
ლეს ქალს მთელი დედამიწის ზურგზე“.

1941 წლიდან აგნეს სმედლი ცხოვრობდა შეერთებულ შტა-
ტებში, განაგრძობდა წერას და ლექციების კითხვას ჩინეთზე.

1943 წელს გამოაცვენა წიგნი „ჩინეთის საბრძოლო პიმინ“,
რომელიც ხოტბას ასახამდა ჩინელ კომუნისტებს, ხოლო ნაციონა-
ლურ პატრიას (გომინდანი) მიმიწევდა ნაციისტურ ორგანიზაციად.

1947 წელს, გენერალ-მაიორმა უილოუბიმ, დაზევრების უფ-
როსმა არმიის გენერალის დუგლას მაკარტურის შტაბში, მოამზა-
და მოხსენება, რომელშიც ბათულებული ის საკვაბძო როლი, სმედ-
ლიმ რომ შეასრულა შორეულ ამონსავლეთში პროკომუნისტური
ჯაშეული ჯგუფების ორგანიზაციაში. ეს მოხსენება, ორი წლის
შემდეგ, გამოქვეყნდა ვაშინგტონში.

სმედლიმ პირადი უსტარი აახლა პრეზიდენტს ტრუმენს; და-
უშინებით სთხოვდა, აეძულებინათ უილოუბი, რომ ბიოდში მოხა-
და მისთვის ანდა ჩამოერთმიათ გენერლისეულ ხელშეუხებლო-
ბა, რათა ცილისნამების გამო სასამრთლოში ეჩივლა.

თავდაცვის სამინისტრომ ირჭოფული განცხადება გააკეთა: „სადაცერვო სამმართველოს არ ძალუს დოკუმენტურად დაადას-
ტუროს მოხსენებაში მოყვანილი ფაქტები შპიონაჟის ბრალდებას-
თან დაკავშირებით. მოხსენება იაპონიის პოლიციის მიერ მიწოდე-
ბულ ინფორმაციას ეფუძნებოდა, რაც აუცილებლად უნდა აღნიშ-
ნული მოხსენებაში. დასაბუთებანი, შესაძლოა, არსებობს, მაგ-
რამ მათხე ხელი არ მიგვიწვდება“. სმედლის გამოექმნა რამდენ-
მე უურნავისტი, აგრძელებული შინაგან საქმეთ მინისტრ პა-
როლდ იქსი, რომელმაც დაწერა: „მათ, ვიც კარგად იცნობს მისს
სმედლის, თავმი არსალდეს მოუვა ბოდვითი აზრი იმის შესახებ,
რომ ეს გულადი და განათლებული ამერიკელი ქალი შეიძლება და-
ცემულიყო ისეთ საქმიანობად, რომერიც არის შპიონაჟი, დამო-
უკიდებლად იმისგან, რომელ ქეყანას მოემსახურებოდა, თუნდაც
— თავის სამშობლის, რომელიც მას თავდაცვინებით უყვარს“.

უილოუბიმ თავის წიგნში „შანსური შეთქმულება“ (1952)
ძველი ბრალდებანი გამომორა, მაგრამ აგნეს სმედლი უკვე აღარ
იყო ამქვეყნად, რომ თავისი პროტესტი გამოეთქვა.

პროიკა

25 სექტემბერს — დუშეთის ზეიმის დღეს — მთავარ მოედანზე
გაიმართა დაიდი კონცერტი, სადც ერთობაზე საცეკვლებოდ ცეკვა
და სიმღერა, განსაკუთრებით ზაგულისში კი ის არის, რომ მისი
მსვლელობისას სცენაზევა ჩატართო გაბრიელ ჯაბუშანურის ერთ-
ტომეულის პრეზენტაცია, პოეტისა, ვინც თავის მიიჩნევდა ვაჟა-ფშა-
ველას ქალანის ერთ თასმად, და მართლაც მხატვრულ-ესოეტიუ-
რი მრნაშითაც და ზნეობრვადაც მი გზას უერთგულა ბოლომდე.

აქამდე გამოცემულ კრებულებს შორის ეს ყველაზე სრული
და მრავალფეროვანია. ამირან არაბულმა, მისი შემოქმედების
მკვლევარმა და მოამაგებ ამ გამოცემასაც შეასსა ხორცი და
ხელშესახებად წარმოაჩინა ტრაგიკული თავისი მოგობარი ოდაკი ჰიცუმი, რომელიც

სიტყვის შემდეგაც ამირან არაბულმა და ეთერ თათარაიდემ,
პოეტი, ფლოლებორისტი და ერთტომეულის რედატტორმა,
ისაუბრებს წიგნის მომზადებისა და გამოცემის ცალკეულ გა-
რემობებზე პოეტმა ტარიელ ხარხელაურმა კი, ვაჟა-ფშავე-
ლასა და გაბრიელ ჯაბუშანურის სულიერმა მემკვიდრემ, წაი-
კითხა მეოთხელისათვის საყვარელი ლექსი ვერავლის ციხე-
გაბრიელის ერთი ლექსი წიგნითხა მსახიობმა ზაზა ალექსა-
ძემ, ვინც თავიდან ბოლომდე წარმართავდა ზეიმს დუშეთის
ცენტრში.

მაყურებლის განწყობილებამ და რეაქციამ დაადასტურა,
რომ წიგნის წარდგინება ძალიან მოხსენება საერთო ზეიმს, და რა-
კიდა ამ ექსპერიმენტმა გაამართლა, მოსალოდნელია, რომ სხვა
ორგანიზაციის განცხადებამ გაიზიარდება.